

Տ Ե Ր Ա Վ Ե Ր Ա Հ Ե Ր Ա

ՏՎՈՂԱՐՈ ՔՄԻՇԱԾՈ

ՊՐԵԼՈՒՑՎԱԴՐՈ ՅԵՐԱԿՈ

**№ III**

ՅԱԿԻ ՅՈՒՆԵՍԿՕ ՅԱՅՆԱԳՐԱԿԱՆԱՅԻՆ

186

Ը Կ Ո Խ Ա Բ

ԽՈՏՏՈՎ ԱՅՏ ԱՅՏ ԽՈՏՏՈՎ ԱՅՏ ԽՈՏՏՈՎ ԱՅՏ

1903





Հազ. պեն. Տիֆլիս, 25 Մարտ, 1903 թ.

## შინააღმდეგისი

ბ8

I—მოგმენი. — თუქსებისა თარგმანი ად. სოლოდაშვილისა . . . . .	1
II—სამი. — მ. გორგისა, თარგმანი ი. შოლუშიარდგინიანგისა. (გარძელება) . . . . .	30
III—ხელი. — რუს-ასმალის (1877—1878 წ. (უკანასკნელ თმის დროის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ეგანგულოვისა (დეს. სრული) . . . . .	65
IV—შართვილთა გატიანე. — მოსე ჭანაშვილისა . . . . .	1
V—უცხოეთის მიმოხილვა. — 1. კლერიკალისმი და დემოკრატია. — 2. ინგლისის საქმეები. — 3. ბალკანეთი. — 4. ვპოტიუნისმი. . . . .	33
დაგატება. — საბერძნებლის ქველი ისტორია დასაზყიდებისან დამოუკიდებლობის დაკარგებების დაკარგებები. — ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ. — ს. (ლიტერატური) . 417—460	

## მ თ მ ე ნ ტ ი

თუეშვილსი.

ზაფხულის მზე ჩადიოდა. ყველგან სრული მყუდროება სუ-  
 ფევდა. ოქროს-ფეროვანი და ვარდის ფერი ღრუბლები ნელ-  
 ნელა შორდებოდნენ დასავლეთს და მისრიალებლნენ მტრედის  
 ფერ ცის სივრცეში. ამ სიჩუმეში მხოლოდ მწერების ბზუილი  
 და მსხლის ხეებზედ ჩიტების ფთხრიალი ღა ისმოდა. მეხრეე-  
 ბის და გუთნის-დედების ხმაც კი არ ისმოდა, რადგან უქმე დღე  
 იყო.

ყველგან მყუდროება და სიჩუმე იყო, და ამ მყუდროე-  
 ბაში მხოლოდ მედიდურად გაბატონებულიყო ბუნება—ბუნება  
 სუნნელოვანი, წყნარი და ლამაზი.

მინდორ-მინდორ, ოქროს - ფერ ყანების შუა მიიხლაკნე-  
 ბოდა თეთრად გაპენტილი გზა. საით მიდიოდა ეს გზა, ამის  
 გამოცნობა ძნელი იყო: ასე გეგონებოდათ, თითქოს იგი ქვეყ-  
 ნიერობის ბოლომდის მიდიოდა, იმ წერტილამდის, სადაც მხო-  
 ლოდ თავდება ადამიანთა ცხოვრება. ხშირად ადამიანები აშე-  
 ნებენ საცხოვრებლად ისეთს, ჭიანჭველების სოროების მზგავსს,  
 მიწურებს, რომელნიც დედამიწის ზევით არც კი სჩანან, და  
 მოგვაგონებენ ნაგვის გროვას და იმის მისახვედრად, რომ იქაც  
 სულდგმულები სცხოვრობენ-დალოლავენ, უნდა ძალიან მიუ-  
 ახლოვდეთ და დააკვირდეთ.

აი, ეს მიხლაკნილი გზაც ასეთს სოროებისაკენ თურმე მი-  
 დიოდა.

აქ გაშენებული იყო პატაწეკინა სოფელი, რომელიც ისე იყო გარშემო მოცული სუფთა ჰაერით, მშვენიერ ველ-მინდვრებით, რომ შემში ზარში ჩასმულს საგანს მოგავონებდათ. ვიწრო ქუჩებზედ ჩამწკრივებულნი იყვნენ დაბალი, პატარა სახლები, რომელთაგანაც ჩამჭეარტლულ - ჩაშვებული სანათურები გამოიყურებოდნენ. ხალხი ცოტა სცხოვრობდა; ათასში ერთხელ თუ გამოჩენდებოდა ვინმე და ისევ მაღლ მიიმალებოდა რომელსამე ეზოში. ამასთანავე დაინახვდით რამდენსამე გამხდარს და ყურებ ჩამოყრილს ძალს, რომელიც ან ეზოს კარებთან წამოწოლილა, ან არა და ეზო - ეზო დაწანწალებს სასუნის საშოვნელიად, მუცლის ამოსაყორად. ბავშვების ხმაურობას თუ გაიგონებდით, ანუ ფრინველების უივილ-ხივილს, თორემ ადამიანის ხმას სრულიად ყურს ვერ მოჰკრავდით: არსაიდან მათი ხმა არ ისმოდა. ამისთვის შევიძლიან იფიქროთ, რომ აქ ხალხი არასოდეს ერთმანეთს არ ელაპარაკება. ყველა ფანჯრები ჩაეკერნათ, თუმცა გრილი საღამო იყო.

მხოლოდ სოფლის ბოლოს რამდენიმე ახალი, უფრო სუფთა და გარეგნობით მხიარული სახლი იყო გაშენებული.

აქ უფრო ხშირია გაშენებული ხეხილები, ხშირად მოისმის აღამიანთა ხმაურობა; ძალებიც აქ უფრო მსუქანი და მმოძრავნი არიან; მხოლოდ ერთს სახლში სამწუხარო რამ ამბავი მომხდარიყო. ფანჯრიდან ანთებულ სანთლების ელფარება მოსჩანდა და მოისმოდა იქიდან ვიღაცას დაბალს ხმაზე გალობა. ეს სანთლები „მირქმის“ სანთლები იყვნენ, რომელთაც მცხდარის წინ ანთებენ ხოლმე, და გალობა კიდევ დიაკვნისა, განკურნებულის სულის მოსახსენებლად წარმოთქმული.

მოისმოდა იქიდანვე ქალის ტირილი, კარების წინაც ახოვანი ვაჟკაცი იჯდა, თავ - პირი ჩამოსტიროდა და ქვისაგან გამოჭრილს სხეულს უფრო წააგავდა, ქვასებრ გამხმარი ხელები კი მუხლებზე დაეჭინა.

აქ, სადაც ია და ნარგიზი მშვენივრად ხარობდნენ და მრავლდებოდნენ, მშვენიერ სუნნელოვან პაერთან ერთად სიკვდილიც ჩამოფრენილიყო.

ამ სოფლის ყველა ქუჩები გადიოდნენ ერთს მოედანზე, სადაც მრავალი ხალხი დაუსუსტუსებდა და ვაჭრობით იქცევდა თავს: აქ მუდამ მოძრაობა და ხალხის ღრიანცელი იდგა. ეტყობოდა, რომ ამ ადგილის სიცოცხლის ძარღვი სოფლელებისა უფრო მეტად და ძლიერად სცემდა.

ამ ვაჭრობის მოედნის შუა ალაგას იყო ერთი ადგილი, რომელიც მის გარშემო მყოფ სახლებს არა ჰგავდა.—ეს იყო საყდარი, სიცელისაგან სრულიად გაშავებული, და მის გალავანს აჩრდილებდა მშვენიერი ცაცხვის ხეები. ცოტა მოშორებით აღმართული იყო განკერძოვებით მეტის-მეტი მაღალი ჯვარი (ჯვარუმა). საყდრის და ჯვარუმის მახლობლად იდგა ერთი სახლი, მტრედის ფრად შეღებილი, წინ მშვენიერი ბაღჩით, ფანჯრები ღია იყო და იქიდან მოისმოდა ბავშვების ხმაურობა: ბავშვებმა უყბად რალაც-ხმა გაიგონეს და ყველამ ამაზედ დაიწყო ლაპარაკი. ჰაერში წკრიალებდა სუფთა, მიმზიდველი და მიმხმობი ხმა ზარისა. ყმაწვილები „პლებანიაში“ \*) ყველა ერთხმად ხმა მაღლა კითხულობდნენ და მათი ხმა ზარის წკრიალა ხმას უერთდებოდა.

ზარის რევა შესწყდა და მის მაგიერ შორიდან სხვა ხმა მოისმოდა. ეს ხმა მინდერიდან მოისმოდა და იგი უერთდებოდა მოედნის აყალ-მაყალსა და ხმაურობას. ხმა თან და თან ახლოვდებოდა და უფრო ძრიელდებოდა. იგი იყო ხმა ფონტის ეტლის ზარისა. ვიღაცა მოდრიგინებდა ამ ეტლით სოფელში. მაღლ მოედანზედ გამოჩნდა ფონტის ეტლი, ოთხი ცხენით შებმული. ეტლის კოფოზედ ფონტის ტალიონთან გვერდით იჯდა კრგად გამოწყობილი მსხური.

მოედანზედ ერთი მითქმა-მოთქმა: ვინ მოვიდა? საიდან, რისთვის? სად გაჩერდება, ანუ გაჩერდება აქ თუ არა? ყველანი ერთხმანეთს ეკითხებოდნენ.

ამ დროს ფანჯრიდან გამოიყურებოდნენ მენდელ შაპირი და ხაიმ ციგლერი და მოუთმენლად თვალს ადევნებდნენ ეტლს:

\*) პლებანია—მოძღვრის სახლი.

რომელს სასტუმროში გაჩერდებოდა მგზავრი. ეს ორი გაიძვერა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, კონკურენცია ჰქონდათ გამართული, მასთან კარეტა აქ იშვიათი მოვლენა იყო და ამიტომ უფრო მეტის ინტერესით გამოიყურებოდნენ მათი თვალები. შაპირმა გაიღიმა, რა დაინახა კოფორტედ ნაცნობი ფოჩტალიონი. იგი უსათულდ მასთან მოიყვანდა მგზავრს.

შაპირი არ მოსტყუფდა ანგარიშში. კარეტა მისი სახლის წინ გაჩერდა. ჩამოხტა ლაქია საჩქაროზედ კოფორტი და მსწრაფლ გააღო კარეტის კარი, საიდანაც გადმოვიდა მეტად მოხდენილი ქალი.

ეს ქალი ლამაზი იყო თუ არა? ამის გამოცნობა უცბათ ძნელი იყო, ისეთი დაღლილ-დაქან ცული გამომეტყველება ჰქონდა. მის სახეს რაღაცა ტანჯვის ბეჭედი ესვა. მის მკრთალს და ნაზს სახეზე დიდი თვალები ისე მოღვრემილნი და ჩაფერფლილნი გამოიყურებოდნენ ხშირ წარბებს ქვეშ, რომ თითქოს იგინი ვერაფერს ჰქონდავდნენ. იგი ნელა ავიდა კიბეზე კაბის შრიალით, რომლის კუდს (შლეიფს) უკან აეყოლებია ჩალა-ბულა და ქაღალდის ნახევები. მან უკან მიიჩედა და ნელა აიწია კაბის კალთები და ამ დროს მის ბეჭედზე ბრილიანტის თვალმა გარშემო გააპნია მრავალ-ფეროვანი სხივები.

ჩამომხმარი და ძარღვებ აშლილი შაპირი ნელის ხმით ეკითხებოდა ფოჩტის მოხელეს: „ვინ ბძანდება ეს ქალბატონი?“

— არ ვიცი, შორიდან მოემგზავრება, მოესმა ფოჩტანის პასუხი კოფორტის.

— ფოჩტაში რატომ არ შეუხვიეთ?

— აქ გაათვეს ლამეს.

სასტუმროს პატრონი მოუბრუნდა იქვე მდგომ ცოლს და უთხრა:

— რომლია! ჩეენსა გაათვეს ის ქალი ლამეს.

რომლიამ დაუყვირა სახლში მყოფს გოგოს:

— გიტლია! წადი, სტუმარს ოთახი დაუგავე.

ბრძანება ქალბატონისა მსწრაფლ შესრულებული იყო პატარა, გამხდარმა, დაძონძილმა გოგომ აიღო დიდი ცოცხი

და მტვრის კორიანტელი ააყენა. იგი საჩაროდ უსვამდა ცოცხლს უსწორ-მასწორო იატაკს და მტვრის სვეტები ერთი მეორეს აზღვევდა. ამ საშინელს კორიანტელში აღამიანები მოჩვენებად გეჩვენებოდათ.

ერთი მოჩვენება—გიტლია მხიარულად ეუბნებოდა მეორეს.

— სანამ მე ოთახს დავგვი, კეთილმა ქალბატონმა დერეფანში მოიცადოს.

— თუ ლმერთი გწამს, გამიშვი, ოთახში შემოვიდე. ჩემ-თვის სულ ერთია, დასტოვეთ ოთახი ისე, როგორცა, დაუგვე-ლი.

მართლაც და მას ხმაზედ ეტყობოდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო და შევიდა პირდაპირ ოთახში, საღაც ბურუსივით გარს ეხვევდა მტვრის კორიანტელი. ის კი ამას არც კი ამჩნევდა.

როხლიამაც ამ დროს დაუყვირა: დაანებე დაგვას თავი.

გიტლიამ უშველებელი ცოცხი იატაკზედ დააგდო და თვი-თონ კი კარებთან გაჩერდა ისე უძრავად, თითქოს ვისმეს კედ-ლისთვის მიუწებებიაო. ამ საცოდავს, გამხდარს, ძონძებში გა-ხვეულს არც სილამაზე აკლდა. მშვენიერი დიდრონი შავი კუნა-ჰეტივით თვალები და გრძელი დაკულულებული თმა ამშვე-ნებდა მისს სახეს. იმისი თვალები როგორლაც შეშინებულები და შემკრთალნი გამოიცეირებოდნენ და მათს სილრმეში დაუ-სრულებელი დარდი და ნაღველი დაბუდებულიყო. იგი თვალს არ აშორებდა მგზავრ-ქალს, რომელიც ჯერ ისევ მტვრის ბუ-რუსში იყო გახვეული და ხელთათმანებს იხდიდა ხელებიდან. როდესაც ხელთათმანები სრულიად გაიხადა, გიტლიამ წიიბუტ-ბუტა—აი, აი, აი!

როხლიამაც, რომელიც ლია კარებთან იდგა, იგივე გაი-მეორა: აი, აი!..

მგზავრმა-ქალმა ხელი თმაზედ წაივლო და ამ დროს, რო-გორც მწვენე ცეცხლმა, ისე გაანათა ზურმუხტის ბეჭედმა.

— ქალბატონ! იქნება რამე გნებავდეთ? ტკბილის ლი-მილით ჩაეკითხა როხლია.

— გმადლობ, არაფერი მინდა.

რობლია ისევ თავ-დაბლად, მოწიწებით ჩაეკითხა: იქნება ცოტათი წაგეძინოთ? კეთილო ქალბატონო, გზაში ძალიან დაიღლებოდით.

— არაფერი არ მინდა, გაიმეორა სტუმარმა.

რობლია ოთახიდან გამოვიდა, გიტლა კი ისევ ისე ატუ-ზული იდგა კარებთან. მისი შავი გიშერივით თვალები, რომე-ლნიც თითქოს მეტის-მეტი შრომისაგან გაგარეულებულიყვნენ, განუშორებლივ მისხერებოდნენ უცნობ ქალს. ისე იდგა იგი უძრავად, გაშტერებული, თითქოს რაღაცა საკვირველს მოჩვე-ნებას მოეჯადოვებინა. ეს ორი არსება, რომელნიც ისე გან-სხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თითქოს სხვა და სხვა პლა-ნეტაზედ ყოფილიყვნენ დაბადებულები, ერთმანერთში საზო-გადოს რაღაცაც წარმოადგენდნენ: ორივენი ერთგვარად იტან-ჯებოდნენ შეუბრალებელის და სასტიკის ბედის ქვეშ. ორივენი, თვითეული თავის დაგვარად, უზომოდ უბედურნი იყვნენ. ერთი წუთის შემდეგ გიტლიამ ჩახრინწიანებულის ხმით წამოიძა-ხა: — იქნება გსურთ სამოვრი მოგართვათ?

მგზავრმა უპასუხა: გმადლობ, მეარაფერი არ მინდაო. ამა-ვე დროს მოიხადა შლიაპა და მის შუბლს მოეფინა მშვე-ნიერი მკრთალი ოქროს-ფერი თმა.

გიტლია გამოვიდა ოთახიდან და ნელა გაისურა კარები.

ამავე დროს მენდელ შაპირმა შეაყენა მიმავალი ლაქია და ჰკითხა.

— ვინა ბრძანდება ეგ ქალი?

ლაქიამ წარმოსთქვა იმისთანა სახელი, რომლის გაგონე-ბაზედ რამ დენიმე სატახტო ქალაქი ერთმანეთს შეეხლებოდა და ტაშის ცემით და დაფნის გვირვენებით მიეგებებოდა. შა-გრამ მენდელ შაპირს ეს სახელი პირველად ესმოდა და კი-დევ ჩაეკითხა:

— სადა სცხოვრობს ხოლმე — სოფლად თუ ქალაქად? ან რას აკეთებს, რა მოხელეა?

— მლერის, — მიუგო ახალგაზდა ლაქიაშ და დაცინვით აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი. მენდელი გაჰკვირდა.

— მღერის? როგორ თუ მღერის? ყოველთვის მღერის? ან რისთვის მღერის?

ლაქის უნდოდა გასცლოდა მენდელს, მაგრამ მან არ გაუშვა:

— მაშ საით მიდის?

— თავის მამულში.

— სადა აქვს მამული?

— აქედან ათის ვერსის მანძილზე.

— დიდი მამული აქვს?

— ძალიან დიდი.

მენდელმა საჩქაროზედ მიირბინა თავის ოთახის კარებთან, შეჭყო იქ თავი და თავის ცოლს შესძახა:

— როხლია შა! ყური უგდე, რომ სიჩუმე იყვეს. მგზავრია-ქლი დიდი ვინმე თურმე ყოფილა. იქნება კოდეც ეძინოს.

მას არ ეძინა. თავის მოხდენილის ხელებით საჩქაროზედ შეაგროვა მხრებზე გადაყრილი თმები და ერთად შეგროვილ-მოკუმშული კეფაზე მიიმაგრა. შემდეგ დადგა ფანჯარასთან, გააღო სრულიად, ხარბად და ლრმად შეისუნთქა სუთია ჰაერი, თითები-თითებს გადააწნა და ხელები ძირს დაუშვა. იგი სივრ-ცეში იცქირებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მისი, უძილო-ბისაგან დაწითლებული, თვალები არც ცას ჰქედავდა და არც დედა-მიწას. თვალების მხედველობა სრულიად მიქცეული ჰქონ-და თავის შინაგან არსებისაკენ; იგინი თითქოს რაღაცა დიდს ნაღველს ჩასცეროდნენ, დარღს, რომელიც საფლავის ლო-დივით აწვა ამ დროს გულს.

ეს სასტუმრო ოთახი შაპირისა მეტად ბნელი, გამჭვარტ-ლული და უსუფთაო იყო. გიტლიასაგან იქვე მოგროვილი მტვერი და ნაგავი, კედელზე რამდენიმე გამჭვარტლული სურათი, იქვე კამოდზედ გატეხილ ლამპართან ძველი-ძველი გაპოხილი ქაღალდის თაიგული, მინგრეულ-მონგრეული ავე-ჯეულობა, ჭუჭრუტანები. და აბლაბუდები ამშვენებდნენ ამ ოთახს.

ქალი ბრილიანტის საყურებით ყველა ამას ვერ ხდავდა, ვერ ამჩნევდა. იმისთვის სულ ერთი იყო. ფანჯარას მოშორდა და აუჩქარებლივ მივიღა კეღლობი მდგარ დივანთან. ყველა მის გრძნობებზედ ამ უამად გაბატონებულიყო მხოლოდ დაღლილობა მოქანულობა, რომელსაც ადამიანი დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ იგრძნობს ხოლმე და განსაკუთრებით სულიერ ტანჯვის შემდეგ. პირველ შემთხვევაში ადამიანის თვალი გაუმაძრად ეწაფება ხოლმე ქვეყნიერობის სანახაობას, მის სიმშვენიერეს და მეორე შემთხვევაში ადამიანის თვალები დახუჭვას ესწრავფინ და სამუდამოდ დაძინებას. ბევრს უძილო ღამეებს ამ ქალის ჩაჭარხლებულ თვალებისათვის თავისი ბეჭედი უკვე დაესვა.

დივანს ათასი ნახვრეტი ჰქონდა და იქიდან სცვიოდა სხვა-და-სხვა ჭუჭყიანი ნაგლეჯი ნაჭრები. დივანზედ იდო პატარა ბალიში, ოდესლაც კანვით შეკერილი ვარდებით. მგონი, თავის დღეში ამისთანა დივანზე არა წოლილა ამისთანა მშვენიერება და ამისთანა ბალიშზე თავი არ დაუდვია ამისთანა უმანკოებას, აგრე-თვე არ ღირსებია ამ დივანს შეხება ამისთანა ლამაზი ხელებისა, რომელზედაც მას დაეყრდნო დაღლილი თავი.

იგი, წამოწოლილი მშვენიერი ტანთსაცმელით, უძრავად იწვა დივანზე და არც არავის იხმობდა თავისთან და არც არა-ფერი არ სურდა.

ვაჭრობის მოედანზედაც ხმაურობა შემწყდარიყო და ცა-ზედაც ამოცურდა მოვარე.

ლია ფანჯრიდან ზამბახის მშვენიერი სუნი შემოდიოდა, რამდენიმე ბუჩქი ამ ყვავილისა რაღაც შემთხვევით ფანჯრის წინ ამოსულიყო.

მას არც არაფერი ესმოდა, არც არას ჰქედავდა და არც არას გრძნობდა. იმისთვის სუყველა ერთი იყო. ამომავალი მთვარე მენდელის სასტუმროში მყოფს არავის შეუმჩნევია. ძარღვებ-აშ-ლილს მენდელს ერთი წუთი დრო არა ჰქონდა სატრონომიური ანუ პოეტური დაკვირვება მოეწინა. იმან დაინახა ნაცნობი, მიმავალი ურმით, რაღაცა საქმე ჰქონდა მასთან და გამოუდგა,

რომ დასწეოდა. როგორც იყო, დაეშია და დიღხანს ელაპარაკა  
თავის საქმეზე.

სად ჰქონდა მას დრო ეცქირნა: ანათებდა მთვარე თუ  
არა.

როხლიას ყველა თავის სიკეთესთან ერთი ცუდი ზნე  
სჭირდა: მეტად მყვირალა და მოუსვენარი იყო. იქნება ასეთი  
მოუსვენრობა მეტის-მეტმა ოჯახის მზრუნველობამ დაპირდა  
მასში, ვინაიდან ხშირად ადამიანის კეთილი მიღრეკილებანი  
ბოროტად გარდაიშნებიან ხოლმე. ამ წუთშიაც, როგორც  
ყოველთვის, სამზარეულოშიაც და ოთახებშიაც, ერთი გაუთავე-  
ბელი ყვირილი იყო. როხლია შევიდა სამზარეულოში და ნახა  
იქ იატაკზე გატეხილ ქოთნის ნამტვრევები. დამნაშავე ვინ იყო?  
ან რომელიმე მისი შეილი, ან არა და გიტლია? ბავშვები უარს  
ამბობენ გატეხაზე, მაშისადამე, გიტლია გასტეხავდა; დამნაშავე  
ის იქნებოდა.

თუმცა მენდელმა უთხრა ცოლს სიჩუმე ყოფილიყო სახლ-  
ში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როხლია დიდის ხმით ილანძლე-  
ბოდა: ლანძლავდა შეილებს, გიტლიას და საღლაც წასულს  
ქმარს, რომელიც მუდამ საღლაც დახეტიალებს და აგრეთვე  
თავის ბედის-წერას, რომ დღეს იმისთანა ძვირფასი ქოთანი  
გაუტეხს და ამან გული სრულიად მოუკლა და დაუთუთქა.  
ხმა-მაღლა ჰყვიროდა და ამასთანავე ფეხებით აბრახუნებდა, ასე  
რომ მისი ტლანქი ფეხების მოძრაობით მთელი სახლი ზანზა-  
რებდა.

მისი სახის მოხაზულობის სისწორე ამტკიცებდა, რომ ერთს  
დროს ესეც მარილიანი უნდა ყოფილიყო. თვალები სრულიად  
ჩასძრომოდნენ და უსიკოცხლოდა გამოიყურებოდნენ. იმისთანა  
თვალები და ისიც ქოთნის გატეხის დროს, რასაკვირველია, მთვა-  
რის ამოსვლას ვერ შენიშვნავდნენ.

რაც შეეხება გიტლიას, რომელიც ქალბატონმა კარგად  
მისტყება ქოთნის გატეხისათვის, მან წამოავლო ვედრას ხელი  
და ჭისაკენ გაექანა და ერთის წუთის შემდეგ მხრებზედ გადა-  
დებული სავსე ვეღროთი მოლახლახებდა და ამ აუტანელის

სიძრმით დატვირთული მისი სხეული ხან მარჯვნივ გადაიზნი-  
ქებოდა, ხან მარცხნივ.

ხამი ციგლერის სახლში უფრო სიჩუმე იყო, მაგრამ იქაც  
კეუაში არავის მოსვლია ზევით მთვარისაკენ აეხედნა. ხამს  
და მის ცოლს მაღალი ჩაეღუნათ ძირს თავი და ორივენი დავ-  
თარს ჩაღირლიტებდნენ. ეტყობოდათ ორივეს, რომ მონი  
მუდიმ შეთანხმებული იყვნენ ერთმანეთთან, ასე რომ ეხლაც  
კი, ამ ანგარიშის დროს, ორივენი ერთს დროს და ერთისა და  
იგივე ხმით წარმოსთქვამდნენ ხოლმე სხვა და სხვა კიფირებს.  
იგინი აკვებით და კრავატებით უფრო მდიდარნი იყვნენ, ვი-  
ნემ ფულით. სამი თუ ოთხი კრავატი ზედი ზედ იყვნენ  
ჩამწკრივებულნი ერთს ოთხში და იქვეც იდგა გვერდზე ტყუ-  
პების ორი აკვანი. იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ხამმა გაჯავ-  
რებით და სიბრაზით მიაგდო იქით ეგ ანგარიშის წიგნი და  
წამოიყენა:

— არა! მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან! რომ მოკვ-  
დეს ობუხოვსკისა, მანიც მეტს აღარ ვადროვებ. და თუ ერთი  
კვირის შემდეგ არ მომცა, მაშინ...

— როგორ თუ ერთი კვირის შემდეგ?! ხვალ, ხვალ უნდა  
მოგვცეს ჩვენი ვალი, რომ მოკვდეს უნდა მოგვცეს! — მეტის  
მღელვარებით დაუმატა მალკამ.

— სწორედ ერთის კვირის შემდეგ, — გაიმეორა ქმარმა.

— და ეგრე იყოს, როგორც შენ სთქვი, ერთის კვირის  
შემდეგ....

— სასამართლოში ვუჩივლებ და შემდეგ სახლს წავარ-  
თმევ...

— სახლი კი არა და სასახლე დაუძახე! უბრალო ქოხია!

— და ქოხი იყვეს. მერე სხვას ვისმეს მეტის მოგებით  
მივყიდი. აქამდისინაც გავუყიდდი, მაგრამ მეცოდებოდა მისი  
სიღარიბე...

— თუ ღარიბია, მაშ ყოველ დღე ჩის რადა სვამს და  
ისეთს ძვირს, კარგის ხარისხის ბურღულს რად იღებს ხოლმე

ჩვენგან და მერე კი ვეღარ ვვიხდის ხოლმე ჩვენს ვალს?!—  
უფრო მეტის მღელავარებით ელაპარაკებოდა მალკა.

— უნ მართალი ხარ, მალკა, დაეთანხმა ქმარი.—ერთის  
კვირის შემდეგ სასამართლოში ვუჩივლებ და რამდენიმე თვის  
შემდეგ სახლს წავართმევ.

— უნდა წაართვა, უნდა წაართვა, მაშ! დაათავა ლაპარაკი  
მალკამ და ისევ დავთარს დაუწყო ღირდიტი. არც ერთი სხივი  
მთვარისა ამ დავთრის ფურცელს არ მოხვედრია.

მთვარე კი უფრო მაღლა - მაღლა მიცურავდა და მისი  
სინათლე მთლად ვერცხლის ფერად გარდაქცეულიყო. არე-  
მარეც ვერცხლის ფერითვე მოეფინა. ამ ნათელში ჩუმად აღმარ-  
თულიყვნენ ზამბაბები ბაღჩისა, რომლის წინ კარებთან იჯდა  
აღმიანი, ძალიან მგზავსი ქვის ქანდაკებისა. დრო გამო-  
შვებით იიღებდა მაღლა მაგრად მოკუშულს მუშტს, თითქოს  
ვისმეს ემუქრებაო, და მერე ისევ ძირს თავის მუხლზედ დაუ-  
შვებდა მძიმე ლოდივით.

სიკვდილი სწვეოდა მის სახლს და მისი შეილი ემსხვერპლა  
მას. ბაღჩის წნულთან ქალების გროვა იდგა და ერთანერთში  
ტურუნობდნენ.

— დილას აქეთია ესე ზის გაშეშებული და ხმას არავის  
სცემს!

— მეც რამდენჯერ მიესულვარ, მითხოვნია და დამირწ-  
მუნებია, რომ ეს ყველა ღვთის ნებით მოხდა, მაგრამ, თითქოს  
დაყრუცდ-დამუნჯდაო, ძირს დედამიწას ჩასცერის და მომაკვ-  
დავი ძალივით ქმინავს.

— ხუმრობა ხომ არ არის, რომ კაცმა დაპკარგოს იმის-  
თანა შეილი, რომელიც ძმასევებრ მოესწრო და მეგობრობის შემ-  
წეობას უწევდა. ელოცნა მაინც, ვისმეს გამოლაპარაკებოდა... .

— იქნება ენა ჩაუვარდა?

— ან იქნება გონება დაპკარგა?

— ქრისტიანები! აბა შეხედეთ, მუშტით როგორ ემუქრება  
ვიღაცას, გიჟივით არის!..

— ქსენდზიც რომ მიღიოდა იმათგან, ამბობდა: „უბედული რობა ეწვევა ამ კაცს. თუ ტირილი არ დაწყო, შეიძლება ჭიუაზედ შესცდეს“<sup>1</sup>. იგი დიდხანს ელაპარაკა ამ საცოდავს სხვა და სხვა წმინდა საგნებზედ, ლოცვებს უკითხავდა და მერე, რომ ავადმყოფთან დაიბარეს, მითხრა „შეიძლება ჭიუაზედ შესცდეს, თუ არ იტირებსონ“!

ის კი, ვისზედაც ეს დედაკაცები ტუტუნობდნენ, ქვასავით უძრავიად იჯდა და ხამუშ-ხამუშ მუშტებს ატრიალებდა ჰერში, თითქოს ვიღიასაც ემუქრებათ. იგი არც მთვარეს უცქერდა და არც იმ ჯვარტმას, რომელიც მთვარის შუქზედ უფრო ბრწყინვალედ მოსჩანდა.

მთვარეს არ უცქროდა აგრეთვე, თუმცა შეეძლო სანათურიდან მისი დანახვა, მარტოხელი დედაკაცი, რომელიც ვიწრო ქოში დაგლეჯილ ლოგინზედ იწვა. მთვარის სხივი მის თავს ხვდებოდა და თითონ კი ჭერში იცქირებოდა.

გამხდარი სახე დამბლისა, მაგრაც მოკუმშული ტუჩები, ანთებული ცეცხლივით, ყველა ესენი ერთად ხატავდნენ მისს სასოწარკვეთილებას და საშინელს ტანჯვას. უკვე ორი წელიწადია ასე დევს ლოგინზედ და მშიერი კი არ ჰქვდებოდა, რადგან ისეთი კეთილი ადამიანებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ყურს უგდებდნენ და ასაზრდოვებდნენ. სასტიკი ფიზიკური ტანჯვანი უფრო ნაკლებად ჰქოდავდნენ მას, ვინემ მწარე ირონია, რომლითაც სავსე იყო მისი გული და ბაგენი. განა შესაძლებელია, რომ ასე დაივიწყონ და უპატრონოდ დასტოვონ იმათ, ვინც ასე ძლიერ უყვარდა მას და ვისაც ასე ერთგულად ემსახურებოდა?. სად არიან ეხლა ივინი, ვის საჩქოსაც პატრონობდა, ვის სურვილებსაც ასრულებდა, ვისაც ავადმყოფობის დროს უვლიდა და რომელთა ზარალსაც დასტიროდა, როგორც საკუთარს? ხშირად სტკიფა ხოლმე საცოდავს ყველასათვის უსარგებლო ფეხები, მაგრამ უფრო ხშირად კი დაობლებული და მოტყუებული გული. მთელი დღე და ღამეები დევს იგი ასე უძრავიად მარტოდ-მარტო, ზოგჯერ მშიერიც, და ნაღვლიანი ჰქიცერობს ხოლმე:

— ან იქნება ქვეყანაზე კეთილი ადამიანები აღარ არიან?  
 ან იქნება ღმერთიც არ არსებობს?

ერთს ლამეს, როდესაც მეტის-მეტად იტანჯებოდა, თავის  
 თავს უპასუხა:

— ალბად, ღმერთი არ არსებობს!

და ამ დამის შემდეგ, ბოროტება, რომელიც აქამომდე  
 მისითვის სრულიად უცნობი იყო, ულრღნიდა მას გულს და  
 წყევლაჲ-კრულვა, რომელიც თავის დღეში წინად ფიქრადაც  
 არ მოსცლია, ეხლა მის გონებაში მწერებივით ირევიან. მის  
 გარშემო სიჩუმე მაინც ყოფილიყო! მაშინ ცოტათი მაინც  
 მოისცენებდა! მაგრამ სად არის! იo ეხლაც, სწორედ მის კარე-  
 ბის წინ ჯოჯოხეთური ყვირილია — ამ ქოხის პატრონი ეჩსუბე-  
 ბა თავის მდგმურს. პირველს (ობუხოვსკისას) აქვს სახლი, მაგ  
 რამ დიდ ვალშია, მეორეს კი ორი შვილი ჰყავს და მათ გამო-  
 საკვებად საზრდო კი არ მოეპოვება.

და ორთავენი ერთმანეთს ბედნიერებას აყვედრილნენ.

— მე რომ საკუთარი სახლი მქონდეს, მის მეტი არა  
 მინდოდა-რა, — ეუბნება ერთი.

— მე რომ შვილები მყავდეს, სხვა ამის მეტი არა მინდო-  
 და-რა, — უყვირის მეორე.

— თუ-კი მაგ სიკეთეს მიზამთ, წაიყვანეთ ორივე ჩემი  
 შვილი, აქამეთ, ჩააცვით და ოქვენი იყოს.

— მაშ შენ ჩემი ვალები გაისტუმრე!

ყოველთვის ასეთი საშინელი ყვირილი და ლანძლვა-თრე-  
 ვა ესმოდა საცოდავს დამბლას, ყველა ეს უნდა იეტანა და  
 აქედან გაქცევას ხომ ვერ შესძლებდა. გონებაში სულ წყევლა-  
 კრულვა უტრიალებდა და ესევე ტუჩებით წაიტუტუნა. გონე-  
 ბაში ისევ იგივე კითხვა დაებადა: ან იქნება კეთილი ადამია-  
 ნები აღარ არიან? ალბად, ღმერთიც არ ყოფილა?! და ბნელმა  
 აზრმა ლრუბელივით გაუარა გონებაში: „ალბად, არ ასებობს.“

მთვარეც გასრიალდა და სწორედ ეკლესიის სამრეკლოს  
 თავზედ დაადგა. საყდრის გალავნის გვერზედ, ხეების ჩრდილს  
 ქვეშ, აღარა პატარა არსება მოძრაობდა. არც თუ ქონდრის-

კაცი იყო, არც თუ კუზიანი. ის იყო ბავშვი, რომელსაც ზურგზედ კართოფილით სავსე ტომარა წამოეკიდნა. რის ვაი-ვაგლანით მთარევდა იგი თავის შძიმე ტვირთს და მისი სიარული ფოფხვას უფრო ჰგავდა: ჩაეღუნა ძირს თავი თითქმის დედა-მიწამდე და ისე მიფოფხავდა. ხამუშ-ხამუშ საშინლად კვნესოდა და ახრავდა და უფრო ძირს ხრიდა თავს, რათა სახელოთი მოეწმინდა წურწურა ოფლი და ცრემლები... ეს პატარა ჭიან-ჭველა თავისზედ დიდს ტვირთს სოროსაკენ მიათრევდა. ეს პატარა აბელი, რომელსაც რომელმაღაც კაენმა წამოჰქიდა ტვირთი, წარმოადგენდა სიმბოლოს კაცობრიობისას, რომელიც თავის მხრებზედ ატარებს ბედისაგან ნაანდერძევს ტვირთს!.. რის ვაი-ვაგლანით ვაცოცდა ვაჭრობის მოედანზედ და ერთს ვიწრო შესახვევში მიიმაღა. ამ დროს მთვარე უფრო ზევით ავიდა, ზედ შუა გულ ცახედ გაჩერდა და იქიდან უხვად აფრევევდა დედამიწაზედ კაშკაშა სხივებს. ამ მთვარის შუქი ვერცხლის ფრად მოეფინა მენდელი, სასტუმროს იმ ოთახის იატაკს, რომელშიაც მგზავრი-ქალი იყო დივანზედ წამოწოლილი, და სახე კი ბალიშში ჩაემაღა.

სრულიად უძრავად იწვა და ეტყობოდა, რომ ან ეძინა და ან ისეთი მწარე ფიქრების უბსკრულში სცურავდა, საიდანაც არც ძირი სჩანდა და არც ქვეყნიერების ხმა ისმოდა. ამ დროს მოესმა შორიდან ფოჩტის ეტლის ზარის ხმა, რომელიც პირველად სუსტი იყო და თან და თან კი ძლიერდებოდა. ვიღაც მოემგზავრებოდა იმავე გზით, რომლითაც ეს ქალი მოვიდა. მოდის და დაე მოვიდეს! იმას ქვეყნიერებაზედ არაფრისა ენაღვლება! უცბად მისი გული შემდეგმა მოულოდნელმა აზრმა გამსჭვალა:

— იქნება ის იყოს?

და ეს სიტყვები შეუერთა თავის ირონიულს სიცილს. განა ეს სასაცილო აზრი არ იყო? სულელი გული დამორჩილებოდა ასეთს უაზრო, სულელურს იმედს! იგი აქ? რისოფის? ამის საძებნელად? ამისთვის სასწაული იყო საჭირო!

ზარის ხმა უფრო ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა. ქართველი მაღლა თავი და გასწორდა მაგრამ იმდენი ძალა კი ვერ მოეკრიბა, რომ განეფანტა ჩაძახილი სულელურ იმედისა.

— იქნება, შეიძლება...

და ისევ ირონიული ღიმილი გამოკრთოდა მის ტუჩებზედ.

— კითომ ის შენსკენ წამოვიდოდა, მოგძებნიდა? ეს ისეთივე ზღაპარია, როგორც სამოთხის ფრინველები, მომლერალი ხეები და უკვდავების წყარო! რომ ის აქ მოვიდეს, ამისთვის სასწაულია საჭირო.

ზარის წკარუნი უფრო ძლიერ ისმოდა და შესწყდა იგი მენდელის სასტუმროს წინ. მგზავრი ქალი ღივნიდან საჩქაროდ წამოხტა.

— აქ დადგა!..

ეს იყო იმედის წამოხახილი, რომელიც შეწყვეტილ იყო ირონიულის კითხვით:

— მერე რა მოხდა? გვონია, რომ ეს ადგილი რჩეულთა, ბედნიერთა ადგილია?! გონს მოდი! ეს საზოგადო სასტუმროა!

— არა, არა! ვიდასიც ფეხის ხმა ისმის... ხმაც!.. ვისია? ღმერთო ჩემო! ეს იმის ხმაა! იგი ამ ქალის სახელს ახსენებს, მას კითხულობს. სასწაული მოხდა!

თავისი ნაზი ხელებით მაგრად უჭერდა მაგიდის კუთხეს და წინ წამოიხარა ისე, რომ მთვარემ ზედ სახეზედ შემოაშუქა.

— თქვენ... აქ?..

იგი ჰქითხავდა ისევე, როგორც ადამიანი, რომელიც ხედავს რასმეს და თვალებს არ უჯერებს. ეს ხომ მართალი იყო. იგი საჩქაროდ მიუხსლოვდა ქალს და ხელი მისცა.

— თქვენ აქა ხართ? როგორ, რისთვის?

— რისთვის, როგორ? გაიმორა მოსულმა ისეთის ხმით, რომლის გაგონებაზედ დიდი ხანია იმედი დაჲკარგა — ველარ გავიგონებ ვერასოდესო! და ამასთან გაიცინა იმ სიცილით, რომლის ხმას ანაცვალებდა თვის დიდებას, მის გუნდრუჟთა მკმეველ და მაღიდებელთა ტაშის ცემას, რომლითაც მას ყველ-

გან და ყოველთვის ხედებოდნენ, მისცემდა თვის სახელს, აღტა-  
ცებას, დიდებას!..

ყმაწვილი კაცი დაჯდა და, გახარებულმა, მხიარულად  
დაუწყო ლაპარაკი:

— თქვენ გიყირთ, რომ მე აქ მოვედი? ეს თქვენ რად  
გაკვირვებთ? ეს ხომ სულ უბრალო რამ არის! სადაც დაგტო-  
ვე, იქ ვერ გიბოვე და მეც უკან საძებნელად დაგვედევნე. ასე  
კითხვა-კითხვით ქვეყნიერობის საზღვარს გადაუცდებოდი და  
მეონი მის განაპიროს უკვე მოვედი. მაგრამ ბარგი, რომელიც  
თან მოვიტანე, ძალიან მძიმეა: იგი დატვირთულია წყენით,  
სიბრაზით, შეურაცყოფით, საყვედურით... ამ ლაპარაკის დროს  
აიღო ქალის ხელები და ტუჩებზედ მიიღო.

მის თავის დახრაში მოწიწება-პატივისცემა იხატებოდა და  
მის ხანგრძლივ კოცნაში—სიყვარული. ქალმა ორივე ერთად იგრ-  
ძნო და დამჭკნარი, გადატანილის ტანჯვისაგან, ახლად გაი-  
ფურჩქნა, მისი სახე ვარდის ფერად აენთო, მოულოდნელის  
ბედის ლიმილისაგან მთლად ჰკანკილებდა და ლიმილით იმეო-  
რებდა:

— წყენით! სიბრაზით! რისთვის?

— იმ მოუსვენრობისათვის, სასოწარკვეთილებისათვის,  
ტკივილებისა და დარღისათვის, რომელიც მე თქვენ მომივლი-  
ნეთ...

— ყოველ წუთს, ყოველ დღე ეჭვებით, ურწმუნოებით  
ვიყავ გამსჭვალული...

— აგრეთვე მეც, გააწყვეტინა ქალს სიტყვა ახალგაზრდა  
კაცმა.

— მაშ თქვენ არ გჯეროდათ ჩემი სიყვარული? ჩაეკითხა  
ქალი.

— დილით რომ მინდოდა დამეჯერა, საღამოთი ვეჭვობდი.  
ყოველი წუთი ამ კითხვის მაძლევდა: ეს შესაძლებელია? მეო-  
რე წუთი უპასუხებდა ერთხელ: „სწორედ“ და ათასჯერ კი:  
„ეს შეუძლებელია“.

— ჩემი წუთებიც ეგრე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს...

— თქვენ ეგრეთ დიდებაში ხართ!.. მე კი ერთი იმ ჭიალუათაგანი ვარ, რომელიც თქვენ გარშემო ტრიალებენ და ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავს...

— თქვენ მაღალი საზოგადოებიდან ხართ... მე კი იმ გუნდს ფრინველებისას ვეკუთვნი, რომლის სიმღერას ყველა მოწიწებით, სიამოვნებით ყურს უგდებს, მაგრამ მასთან ტოლად ფრენა კი დიდხანს არავის ეპიტავება, იქნება იმიტომ, რომ იგინი მეტად მაღლა ფრინავენ...

— მე ვდუმდი და მასთან ვფიქრობდი: ღირსი არ ვარ მეთქი! ჩემს სიჩუმეში სიამპარტიანე იფარებოდა.

— მე კი ვფიქრობდი: არ ვუყვარვარ მეთქი! მეც ჩუმად ვიყავ, ველოდი სიტყვას...

— და იმ დაუფიწყარ და ბედნიერ დიდი ხნის ჭუკჭუკის დროს არც შენ არც მე უგ სიტყვა არ წარმოგვითქვამს...

— ჩენ იმ ძვირფას, საუცხოვო დროს, რომელსაც ჩენ ერთად ვატარებდი ი, ერთი წუთი ისეთი არ ყოფილა, რომ „გულს გულისათვის ეთქვა“.

— და ამისთვის წამოხვედი .. თავი დამანებეთ?..

— სრულებითაც არა! ეგ მე უნდა გითხრათ: „თავი დამანებეთ მეთქი!“ აი, ეს რამდენი დღეა, თვალებს გავახელ თუ მოხხუჭავ, სულ იმას ვიმეორებ: „თავი დამანება“. მაშ რა უნდა მეფიქრნა, როცა წახვედით თქვენს სამშობლოში და დიდხანს არ ბრუნდებოდით... აქ რა არის გასაკირველი? ყველაზედ ძვირფასი ხომ სამშობლო მხარეა... მოვიდა ამბავი, რომ თქვენის ცხოვრების ბეჭედში საუცხოვო მარგალიტის თვალი იქნება მალე ჩასმული.

— და თქვენც დაიჯერეთ?

— დავიჯერე. და განა ეს მართალი არ არის?

— ის მართალია, რომ ტანჯვის დრო დამიდგა და ჩემს თავს ვუთხარ: „კმარა“ - მეთქი. გავჭიმავ ძალზედ იმ ძაფს, რომელიც დღითი-დღე ჩემს გულს სწვდება, და სრულიად გავწყვეტ მეთქი... წავალ და ვეცდები ყველაფერი დავივიწყო მეთქი. დრომ დიდმა გაიარა... მაგრამ არაფერი გამიწყვეტნაა

და არც არა დამვიწყნია - რა. დავგრუნდი და ის ადგილი დამხვდა ცარიელი, სადაც ყოველივე დავტოვე, რაც კი ჩემ-თვის სანატრელი და ძვირფასი იყო! წავიდა, გაიქცაო! ფრთხები რომ მსხმოდა, გავფრინდებოდი, მაგრამ მე, ადამიანის შვილს, სად მომეცოვება. ამისათვის, შიშით დაბრმავებული, აჩქარებით გა მოვექანე თქვენ კენ, ჩაჯერ მატარებელში და გამოვფრინდი ორთქლის ფრთხებზედ...

— მარგალიტის თვალი? — მორცხვად ჰქითხა ქალმა.

— ის სხვა ბრილიანტთან ჩაჯდება, სხვის ცხოვრების ბეჭედში. რასაკვირველია, ჩემზედ უფრო ძვირფასზედ.

— მაშ აგრე ყოფილა, მე კი მეგონა... — და მერე ჩუმად დაათვა:

— რომ ის ძაფი, რომელზედაც ჩემი სიცოცხლე ეკიდა, აბლაბუდა იყო.

— და ამიტომ დასტოვე ყოველისფერი და ამ უცნაურს გზას დაადეგ? ოხ, შე არა კეთილო და ურწმუნო არსებავ! თავის საკუთარის ძალის, თილისმის რწმენა კი არ ჰქონდეს კაცს და ასე მაღლე კი იჯერებდეს რაღაცა დაუჯერებელს ამ-ბავს. წამოხვედი და საღ? უდაბნოში, ქვევნიერობის საზღვარზედ? მიყრუებულს, საძაგელს ადგილის!.. განა ეს კარგია? ეგრე უნდა მოიქცეა არსება, ეგრედ ძვირფასი ქვეყნიერობისათვის, აგრე-თი შშვენიერი, კეთილი, მეტად კეთილი?!

თილო მისი ხელი და კოცნა დაუწყო; მერე აქეთ - იქით მოიხედა და მაღლა მხიარულად წამოიყვირა:

— მაგრამ არა, ეს კუთხე სრულიადაც არ არის ცუდი! პირიქით, რაღაც არა ამ ქვეყნიური, — სამოთხის მგზავსი კუ-თხეა. მთვარეს ნათლით მოეფინა მთელი ოთახი და ნაგავი და ლაქები ოთახისა რაღაც ზღაპრულ სიმშვენიერედ, სუ-რათ-ხატებად გარდაექმნა. კარებთან ნაყარი ბზე, ჩალაბულა ისე ბჟყვრიალებდნენ, როგორც ძვირფასი ნათალი ქვები და ყველა იქ მყოფი საგანი ციმცემებდა — მოძრაობდა სარკმ-ლიდან შემოსულ სუნნელოვან ნიავისაგან. ამას უფრო ამშვე-ნებდა და ალამაზებდა ის დიდი სიხარული, რომელიც იმ ვაჟ-

კაცის სახეზე გამოკრთოდა, რომელიც მუდამ მხიარულად იღიმებოდა, უყვარდა სიცილი და ტანჯვა კი ეჯავრებოდა. იმან ეხლა იპოვა ის, რაც დაჭკარება, გადაბა ის, რაც მას ვაწყვეტილი ეგონა, და ამისათვის განუსაზღვრელია ჰერობდა. ქალი კი ამ ამომავალს მზის სხივებს ისე არ გაუხარებია, ცხოვრებას მის-თვის ძლიერი დაღი დაესვა; ტანჯვას მის სულის სილრმემდის ჩაეღწია და პირველს ბეჭნიერს წუთს ასე უცბად ვერ გაექარვე-ბინა და ეს ტანჯვას გულიდან ვერ ამოეგლიჯა.

მის ტუჩებს ლიმილი არ მიაჭარებია, როდესაც ეუბნეოდა:

— თქვენ სთქვით: „ამ უცნაურს გზას დაადექო“! ეს ერთად-ერთი-ლა დამრჩენლა. თქვენ კარგად იც-თ, რომ მე ყოველგან გზა ხსნილი მაქვს. იმ ფრინველს, რომელიც მაღლა ჰურინავს და კარგად ჰგალობს, ყოველთვის გზა ხსნილი აქვს. მაგრამ მე თვითონ კი არც არავინ და არც არაფერი მინდო-და იმის მეტი, რომ ჩემს ბაგეთ შეესვენათ ყოველ-დღიურ ძალ-დატანებულ ლიმილისაგან და აგრეთვე მსურდა ჩემი თვალთა-მხედველობა გამესწორებინა, რაღანაც ჩემი ცხოვრება თან-და-თან ბუნდოვანდებოდა, ინისლებოდა და ცხოვრება აუტანელი გახდა ჩემთვის იმ წუთიდან, რა წუთიდანაც თქვენ გაჯრით.

— თქვენ! — გააწყვეტინა ლაპარაკი ყვედრებით.

— მე წავედი იქ, სადაც შემეძლო სრულიად ჩუმად ვყოფილიყვი და ცხოვრებისათვის ნაკლებად მეცქირნა. მართ-ლაც-და, ისე დიდხანს ვტრიალებდი თქვენს საზოგადოებაში, რომ მივეჩვივ მუდამ ჩემი თავისთვის მეთქვა, რასაც დავინა-ხავდი: ეს იმას უნდა ვუჩვენო მეთქი! თუ გავიგონებდი რას-მეს: ამას ვუამბობ იმას! თუ ცხოვრებაში რაიმე სიძნელე შეძ-ხვდებოდა, ვიტყოდი: ამას იმისთვის აღდასრულებ! თუ რაიმე სიამოქნება — იმას გავუნაწილებ მეთქი! რაც აზრი, ფიქრი მო-მადგებოდა, ვიტყოდი: ყველაფერს იმას გავუზიარებ! ყველა სიმღერაზე ვიტყოდი: იმას ვუმღერი მეთქი!.. ასე რომ, რო-დესაც თქვენ აღარ სჩანდით, აღარ ვიცოდი, რა მექნა, ვისთვის-ლა გამეზიარებინა ყოველივე ეს! თქვე უღმერთონო, რატომ არ მითხარით, რომ ეს მხილოდ გამოცდა იყო? მაშინ ჩემს

თავს აღარ ვეტყოდი: იმის მეტად აღარასოდეს მეთქი. ზოგჯერ კი დევაც გისაყველურებდი: აღამიანმა სხვის ცხოვრებაში ფეხი შესდგას, იქ ადგილი დაიჭიროს და მერე კი სამუდამოდ დაანებოს თავი! შინკუროს მთლიად ვისიმე ყურადღება, მისით იმედოვნებდეს და იგი სამუდამოდ დასტოვოს! ქვეყანაზედ იმის მეტი აღარავინ ეპიტავებოდეს, დაუახლოვდეს, დაუმეგობრდეს და მერე ხელი ჰკრას და უკუ აგდოს იგი?! ღმერთო ჩემო! განა არ ვიცი, რომ ამდენი არ უნდა ვილაპარაკო, მაგრამ ისეთ დიდხანს ვიყავ ხმა - ჩამენდილი, გაჩუმებული, გული ისე ბოლმით აივსო, რომ ეხლა, როდესაც ჩემთან დაბრუნდი, ჩემთან ხარ, ყოველისუერს ვიტყვი... შენ იყავ ჩემი თვალის სინათლე, გულის სიხარული, ბაგეთა ლიმილი, მთლიად ჩემი ცხოვრების გვირგვინი — დამაშვერებელი, ურომლისოდაც ცხოვრება ჩირადაც აღარ მიღირდა. ცხოვრებამ ფასი დაპარგა ჩემს თვალში.

შენ იყავ ჩემი მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაფოდნენ: ოცნება, ფიქრი და გონება, იყავ ძალა ჩემის სიმღერებისა, როდესაც ვმღეროდა! შენ იყავ სიხარულის სხივად, როდესაც გავიღებიძებდი და უკანასკნელ სურათ-ხატად, რომელიც აღიბეჭდებოდა ხოლმე ჩემს თვალებზედ ძილის წინ წუთში!.. უცბად... სადღაც გაჭქრით! თავი დამანებეთ! მე რა უნდა მექმნა ამ შემთხვევაში? თავი მომეკლა? შენ კარგად იცი, რომ მე ღვთის მოყვარე ვარ, მან მომანიჭა სიცოცხლე. ღმერთთან ბრძოლა არ შეიძლება... ამასთან დედა მყავს... დები... მაშა-სადამე, სიცოცხლე საჭირო იყო.

მხოლოდ იქ, სადაც შემეძლო ჩუმად ვყოფილიყავ, ძალატანებით არ მეღიმნა და რაც შეიძლებოდა ნაკლებად დამენახახ სიცოცხლე... მე წამოველ ყველასათვის უცნობ სამშობლო ქვეყანაში და იმით მაინც ვგრძნობდი ჩემს თავს ბეღნიერად, რომ შემეძლო თავისუფლად ამომესუნთქა, გული და გონება შემესვენებინა. იგი გული აღარაფერს აღარ გრძნობდა და ორს სიტყვას იმეორებდა: აღარ არის!.. თავი გამანება!.. ამ ღროს ქალმა საშინელი მწარე ქვითინი ამოუშვა, იგი კი განუსაზღვრელის სიხარულით ეუბნებოდა:

— ეხლა ხომ აქა ვარ? მე ხომ შენს ახლო ვარ! დაიმ-  
შვიდე გული, რომელიც არ ჩუმდება და სტირის. ეს ვანა  
შესაძლებელია? შესაძლებელია, რომ ასე განუსაზღვრელად  
გყვარებივარ, მე კი, სულელს, ფიქრადაც კი არ მომსვლია ეს!  
მე ვეჭვობდი!.. და კინალმ სრულიად არ დავკარგე იმედი...  
კინალმ ჩემმა ამპარტავნობამ არ იმსხვერპლა შენი უმანკოება  
და ჩვენი ბედნიერება?! ნაკურთხი იყოს ის წუთი, როდესაც  
მე შენს საძებნელად გამოვემართე!

— ნაკურთხი იყოს ყოველი ის წუთი, რომელიც ჩვენ  
გვაახლოვებდა ერთმანეთთან! შემდეგ ვაუკაცმა დაუწყოთხოვნა:

— აღსდეგ, სინათლეზედ გამოდი. შენ სრულიად დაჩრ-  
დილული ხარ და კარგად ვერ გხედავ. იქნება მთვარის შუქის  
ბრალია, რომ ასეთი გამხდარი და გამოცვლილი მეჩვენები?  
მე არასოდეს თავს აღარ დაგანებებ, ოლონდ კი ჩემი ყვავილი  
ნუ დაჭენება. რამდენა ხანია არ მინახავხარ და შენი სიმღე-  
რა არ გამიგონია. შენი სიმღერები — ეს ის ფრთებია, რომლის  
საშუალებითაც ავტორინდებოდი ხოლო ჩემს „მე“-ზედ მაღლა,  
ანკარა წყაროა, რომლის საშუალებით უფრო სპეციალურდა  
და მაღლდებოდა ჩემი გული და სული. იქნება რომელიმე  
სიმღერა იმღერო? განსოვს, შენ რომ გიყვარდა? იმღერე!

— კარგი, მიუგო მან.—მე ვგრძნობ გულში ზღვას ჰანგე-  
ბისას და მინდა მადლობა გადავუხადო ღმერთს, შენი თავი  
რომ დამიბრუნა იმისთვის და აგრეთვე შენ, რადგან არ დამა-  
ნებე თავი! ადგა მაშინვე, ხელი - ხელს გადახვის და მივიდა  
გაღებულ ფანჯარასთან, რომლილება მოჩანდა მოკაშკაშებული  
ცა. სწორედ ამ დროს მოესმა ხრინწიანი ხმა:

— იქნება გსურთ სამოგარი მოგართვათ?

შეშინებულმა თავი მაღლა აიღო და დაინახა დივანთან  
მდგომარე გიტლია მოკლე კაბაში და დაგლეჯილ ზედა-ტანით.  
გიტლიამ გაისწორა გძელი შავი თმა და გაიმეორა:

— იქნება გინდათ სამოგარი მოგართვათ?

იგი გრძნობდა, რომ გონება სრულიად ერეოდა და შე-  
შინებულმა წამოიყვირა:

— საჭირო არ არის, მაღლობელი ვარ! მე არაფერი მსურს.

გიტლია ოთახიდან გავიდა. ოთახში სრული სიჩუმე იყო. მას კი ეძინა და სიზმარს ჰედავდა... სინამდვილე კი ის იყო, რომ მან სრულიად დასტოვა...

ლამაზი, მოხდენილი, მაღალ საზოგადოებაში მიღებული და ამასთან, უეჭველია, მხიარული, იგი სცხოვრობს სადღაც, მხოლოდ კი არა ამისთვის, ამ ქალისათვის. ქვეყნიერობაზედ არსებობს არამც თუ მარტო ფიზიკური სიკედილი, არა-მედ სხვანაირიც. იგი სცხოვრობს სადღაც და, უეჭველია, ბეჭნიერად, ამისთვის კი იგი მკედარია. და ეხლა იმ ქვეყნიდან მოსული ძილში ელანდება და სთხოვს მას: „იმღერე“-ო. მას ამისი სიმღერა ძალიან უყვარდა და ეს იყო მიზეზი, რომ ისე ძლიერ შეიყვარა ეს არსება.

სიმღერა ამ ქალისათვის ულეველი განძი იყო, იგი თვით ღვთაებისაგან ანთებული ვარსკვლავი იყო, მის შუბლზედ გაბრწყინებული და ამასთან ფარი, რომელიც მის სუსტს გულს მუდიმ ჰყარავდა.

მაგრამ როდესაც იგი ამის ცხოვრებიდან განქრა, ამავე დროს განქრა მასში ის სულის აღფრთვანება, აღტაცება, რომელიც წინად ამკობდა. ამ დღიდან მისი მდიდარი ჰანგები, ხეგბიც განშორდნენ. დიდის მწუხარე ისაგან და უბედურობისაგან დაბნედილი გული სამარისებურ სიჩუმეს, სიკარისილეს-და წარმოადგენდა. სიმღერის სურვილიც კი მოუჩილუნგდა. იგი უცბად გამოეცხადა ძილში და სთხოვა: ემღერა! და მისმა სიზმარში მოჩვენებულმა თხოვნამაც-კი აღადგინა მასში ის, რაც უკვე დამარხული ჰქონდა.

ხშირად ღმერთი სამუდამოდ წაგვართმევს ხოლმე, რაც ჩვენთვის ძვირფასია და მხოლოდ ერთი წუთით სიზმარში მოჩვენებით-და დაგვიბრუნებს...

დადგა ფანჯარასთან, ცას და დედა-მიწას თვალი მიავლ-მოავლო, ჩამოშვებულ ხელების თითები ერთმანეთში მაგრად გადააწნა და მის გულიდან მსწრაფლ ამოჩქებდა სიმღე-

ჩათა ნაკადული — ხმების ზეირობები. როგორც წითელმა ცხე-ლმა სისხლმა, მისმა სიმღერამ ისე ამოიჩეფა მის გულის ტყი-ვილებიდან, რომელიც არც ერთს წუთს არ უცხრებოდა, რადგან არც ერთი წვეთი განმუშრნავი ნივთიერებისა არა ხვდებოდა მას.

იგი სიმღერა კი არა, არამედ გულიდან ამონაზეირო ხმა იყო, მხოლოდ კი გახვეული საუცხოვო მშენენიერების ფორმა-ში. ამ ხმათა ძალით იგი კაცობრიობას ამცნობდა ქვეყნიერების იმ სიმართლეს, ჰეშმარიტებას, რომელიც მწუხარებაშია დაფარული. ყველაფერი შეიძლება შეცდომად გვეჩვენებოდეს, მხოლოდ იგი (სიმართლე ჰეშმარიტება) არს სინამდვილე; ყველაფერმა შეიძლება გვერდი აგვიქციოს და მხოლოდ იგი არ მოგატყუებს, ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ იგი რჩება უცვლელად. მომღერალი ქალი დამღეროდა საზოგადოდ მწუხარებას და ამავე დროსვე თავისს საკუთარს მწუხარებასაც. იგი თავის ძლიერის და გამსჭვალავის ხმით ჰიტენდა მიღამოს ყოველ-დღიურს ვარამს ცხოვრებისას. ეს ხმა სავსე იყო საშინელის ტანჯვით. პირველად მაღლა ჰაერში დაწკრიალებდა, ხატავდა რა განუსაზღვრელ სასოწარკვეთილებას, შემდეგ დაეშვა ძირს და დედამიწას მოეფინა.

ამ დროს რობლია რიღასთვისაც დაფუსტუსობდა სახლში და თან ლანძღავდა თავის ქმარს. ცოტას ხანს შესდგა და წაიტურნა:

— ეს რას ნიშნავს?

მენდელ შაპირიც, რომელიც გარეთ გასვლის აპირებდა, შესდგა და გაიმეორა:

— ეს რას ნიშნავს?

ერთს წუთს ყურს უგდებდნენ, შემდეგ რობლიამ ჩუმათ უთხრა:

— გავიდეთ გარეთ, იქიდან უკეთ გავიგონებთ.

სწორედ სასწაული მოხდა! რობლია მშვიდად და წყნარად ელაპარაკებოდა თავის ქმარს. გამოვიდნენ გარეთ. როდესაც ბერებს დერეფანში გადიოდნენ, იმ დროს სწორედ მომღერალ

ქალის კარებთან დედამიწაზედ რაღაცა გაენთხა. ეს გიტლია იყო, მაგრამ მათ იგი ვერ შენიშნეს. გარეთ გავიღნენ და ზე-ზელა ყურს უგდებდნენ.

მენდელმა თავი გააქნია და სთქვა:

— ასე მშვენივრად ის ქალი მღერის.

— ძალიან კარგად მღერის, სთქვა როხლიამ და თან და-უშატა:

— აი ბედნიერი ეგ არის! ამოდენა ბრილიანტები და ამისთანა მშვენიერი ხმა!

ამავე დროს თვალები მაღლა აიღო და ჩასჩურჩულა ქმარს:

— ხედავ, მენდელო, რა მშვენიერი მთვარეა?

მენდელიც კარგად ჰქედავდა მთვარეს და იგი, ყოველთვის მმოძრავი, ეხლა გაქვავებული უძრავად იდგა, ზემოთ იყურებოდა და სიმღერას ყურს უგდებდა.

ამ დროს მეორე სახლში პატივუემულს ხაიმ ციგლერს და მის ცოლს მალკას თავი დაენებებინათ დავთრისათვის, აე-ლოთ მაღლა თავი და, რადგანაც მუდამ ერთმანეთის თანახმა ცოლ-ქმარნი იყვნენ, ერთხმად წამოიძახეს:

— ვიღაცა საუცხოვოდ მღერის!

უნდოდათ ანგარიში განეგრძოთ, მაგრამ რაღაცა უშლი-და მათ, ციფირებს რევლნენ და აზრები ეფანტებოდათ. ადგ-ნენ და გარეთ გამოვიდნენ. ერთის წუთის შემდეგ მალკამ უთხრა:

— ვიცი ვინცა მღერის; მე უკვე ვიკითხე. ეს ისეთი დი-დი ვინმე მომღერალია, რომელსაც სიმღერისათვის ბეერს ფუ-ლებს აძლევენ. ასე მშვენივრად მღერდეს და ამავე დროს დიდს ფულებსაც აძლევდნენ! აი, ბედნიერება თუ გინდა, ეს არის!

— თუ ბედნიერია, მაშ ასე მოწყვენილის, სევდიანის კილო-თი რად მღერის?

ჰკითხა ხაიმა. მალკამ ამოიოხრა:

— მაგისი ხმა მე შიგ გულში მხვდება.

— მე კი მგონია, რომ მისი ხმა ცამდის აღის. ხედავ, მალკა, რა შევენიერად ანათებს მთვარე?

სიმღერა უცბად შესწყდა. ორ ერთმა მსმენელთაგანმა არ იცოდა, თუ რად შესწყდა ასე მსწრაფლად სიმღერა. იგი ქვი- თინმა, მწარე ტირილმა შეაწყვეტინა. მომღერალმა ქალმა თავი ძირს დაჭარა და ხელები სახეზე მიიფარა. რამდენმამე წუთმა გაიარა. მერე ისევ მაღლა აიღო თავი, რომელიც ცრემლებით იყო მორწყული.

ის ტკივილი, რომელიც იქმომდე მომღერალ ქალის გულს აწვებოდა, როგორც ეტყობოდა, ამ ცრემლებში და ხმებ- ში განქარვებულიყო, ვინაიდან, როდესაც სიმღერა მეორედ გაისმა, მაშინ მომღერალის ხმაში ღრმა ტრაგიზმი აღარ იხა- ტებოდა. ეს შშვენიერი არტისტი-ქალი და მასთან უბედური დედაკაცი ცრემლთა-ფრქვევით მღეროდა თვის ბედის-წერაზე, ბედნიერებაზე, რომელიც ზეირთთა ჩეფას განეფანტა—თან წაეღო, ოცნებით აგებულს სასახლეზე, რომელიც ეხლა მტვრად ჰქცეოდა—დანგრეოდა. მღეროდა თავის გულზე, რომელიც ასე დიდხანს ქანაობდა აბლაბუდის ძაფზე, შემდეგ ჩამოწყდა იქიდან და ეხლა თვის სევდიანს სიმღერაში ემდურის და სჩი- ვის იშას, რომ ძაფი გამოდგა მხოლოდ აბლაბუდათ. იგი სიმ- ღერა ეხლა ამოყვირილს, ანგარიშ-მიუცემელს ხმას კი არ წარ- მოადგენდა, არამედ გრძელს მუსიკალურს ფრაზებს, ბულბუ- ლისებურ მიხლაკნილ-მოხლაკნილ სტკენა-სიმღერას; მასში იხა- ტებოდა მრავალი კოხვები, რომლოთაც იგი მიმართავდა ცას, და ოხერა, რომელსაც იგი მიზანოს უგზავნიდა. იგი სიმღერა დარღით და ვარმით ჩწყავდა, ვითარება მდინარე, იმ სოფლის სავაჭრო მოედანს...

მოედნის გარშემო სახლებიდან სანთლის სინათლე გამო- ციმციმებდა. მცხოვრებნი ბანებზე გამოსულიყვნენ სახლებიდან და ისე სულ-განაბულნი ყურს უგდებდნენ მის სიმღერას. რაღამაც დაარღვია მათი მყუდროება, მაგრად ჩაკეტილი კარები გააღვ- ბინა და გამორევა იგინი სუფთა ჰაერზე. ქუჩის ბოლოსაც თა- ვები მთვარისაკენ აეშვირათ ბაღჩის ნარგიზებს და გულ-დასმით

თითქოს იგინიც ყურს უგდებდნენ ამ სიმღერას. ბაღჩის წინაც რომ კაცი იჯდა უძრავად, იმანაც დაიწყო ყურის გდება, თუმცა დაწყებისათანავე არ გაუგონია სიმღერა, სმენად გადაიქცა. რამდენიმე წელის შემდეგ ხელები პირზე მიიფარა და საშინელი ქვითინი ამოუშვა გულიდან. ეს მისი პირველი ცრემლი იქნა, თავის შეილის გვამზე დაცვინული. ამავე დროს აიღო თავი მაღლა და დაინახა მაღლა აღმართული ჯვარცმა. იგი უცქეროდა ჯვარცმას და თანაც სიმღერას ყურს უგდებდა. იქვე ხეებთან ამოფარებულმა დედაკაცებმაც წაიტუტუნეს ერთმანერთში:

— მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! იტირა! კუკუ-დან აღარ შეიშლება!

ერთმა მათგანმა კი შენიშნა:

— ეს სიმღერის ბრალია! ვისაც ასეთი ხმა აქვს, იგი ხომ მეფეა, როგორც უნდა, ისე იმოქმედებს აღამიანზე. აი ბეღნიერება ეს არის! რა ხმით დაუჯილდოვებია ღმერთს!

პატარა ქოხში დაგლეჯილს ლოგინში მწოლარე დამბლა ქალის მეტის-მეტი სიცხისაგან დახრაჯული ტუჩებიც ამას იმეორებდნენ:

— ბეღნიერი!

ამანაც იცოდა, თუ რა ფასი ადევთ კარგს მომღერალს ქალებს, რომელთა გზა ია-ვარდითაა მოფენილი და ფერადის ნამითაა მორწყული. იცოდა, თუ რა აღტაცებით და ტაშის-კვრით ეგებება საზოგადოება ასეთს ადამიანს. ეტყობა, რომ ეს მომღერალიც ახალგაზდა ქალია, მისი ხმა ასეთი მდიდარი და მიმზიდველია. მდიდარიც უნდა იყოს!.. რა ბეღნიერია!.. მაგრამ ამავე დროს მისი სიმღერა რად არის ასეთი გულ-ჩამწყვეტი და სევდიანი? იგი დედის ნანასავით მოქმედობს აღამიანის დაწყლულებულს გულზე.

იგი თვალებს თან და-თან მაღლა-მაღლა იწევდა, წინად იგინი საესენი იყვნენ სასოწარკვეთილებით, ზიზღით, სიბრაზით და ბოლოს კი მისმა თვალებმა დაინახეს მაღლა ამართული ჯვარცმა და მთვარით მოსილი მისი ელვარება.

სიმღერა კვლავ შესწყდა. ვერცხლის ფრად მოსილს არე-  
მარეზე სრული მყუდროება დამყარდა. ყველა სახლის წინ გა-  
ჩუმებულები უძრავად იდგნენ ადამიანების ლანდები და სახლე-  
ბიდან გამომჰკვრეტი სანთლებიც თავისის ციმულით ამას იხვე-  
წებოდნენ:

— კიდევ იმღერე, იმღერე!

მომღერალი სდუმდა. უცბად მაღლა იხედა და ჯვარუშა  
დაინახა. ღიღხანს იდგა ასე გაჩუმებული და ფიქრობდა. მისი  
თვალები შორს, ძალიან მაღლა იცქირებოდნენ, იმ წერტი-  
ლამდე, რომლის იქით კაცის თვალისოფას ყოველივე მიუწდო-  
მელია. მისი მდიდარი და ამასთანავე დაჩაგრული გული შორს,  
მისი ტანჯვის გამოურკვეველ მიზეზისაკენ მიიღოდა.

როდესაც განაგრძო მან სიმღერა, მაშინ პაერში ისეთი  
განუსაზღვრელი მუდარება მოეფინა, რომ მან მთლად ცა და  
დედამიწა მოჰყინა...

ამ წუთს მან იგრძნო, რომ მის კაბას ვიღაცის ხელები  
ეხება და ვიღაცის თავი აწვება მას. დაიხედა ძირს და დაინახა  
თავის ფეხებ წინ პატარა არსება.

იგი გიტლია იყო, რომელიც ჩუმად შეიპარა ოთახში და  
როგორც მორცხვი ციცუნია, კედელ-კედელ მიიპარებოდა  
მასთან და ამოეკრა მისს მუხლებს. მომღერალმა დაპხედა და,  
თავისი ხელი დაადო მას თავზე. ბეჭდის ზურმუხტის თვალმა  
მწვანე ცეცხლივით აიელვარა პაერში და მისმა თეთრმა ხელმა  
გაანათა მის შავ ხუჭუჭიან თმის კულულებში. უფრო მხურ-  
ვალე ვედრება-მუდარება გაისმა პაერში; მუდარება, რომელ-  
საც დედამიწა უზავენიდა ცას: ყოველივე წყლულის განკურ-  
ნებაზე, ცოდვათა მოტევებაზე, სინათლის, სიბნელის გაფანტვა-  
ზე, სასოწარკვეთილთათვის იმედის მინიჭებაზე, დავრდომილ-  
თა და ჩაგრულთა მფარველობაზე და ბოლოს სიმღერისა და  
ცხოვრებისათვის ძალის მიცემაზე მათთვის, ვისი ბაგენიც მოლა-  
ლულნი და ნატკენნი არიან სიტყვებით და ძალდატანებით  
ღიმილით.

კარების წინ მდგომი როხლია ჩუმათ ამბობდა:

— მინდა, ჩემო მენდელო, შენ შეგირიგდე: ასეთი მშვენიერი ყოფილა ქვეყნიერობა და მასში თურმე ასე მშვენიერად მღერიან და განა ღირს-და ჩხუბი და დავიდარაბა!

მენდელმა, რომელსაც მთელი სახე უთრობდა მეტის მდელვარებით, შეხედა თავის ცოლს და განცვიფრდა, რომ ამ წუთს მისი თვალები ისეთივე ზეციურ მტრედის ფერნი იყვნენ, როგორც იმდროს, როდესაც იგი ოცის წლისა იყო.

იქვე მეორე სახლის წინ ხაიმ ციგლერი ეუბნებოდა თავის ცოლს:

— მალკა! მოდი და ობუხოვსკისას კვირა კი არა და ერთი თვე დავაცადოთ ვალის გადახდა?

— სჯობს, ხაიმო, ორი თვე დააცადო, — უპასუხა მალკამ და რადგანაც იგინი კეთილ განწყობილნი და თანახმა ცოლქმარნი იყვნენ, ამისათვის ერთსა და იმვე დროს აიხედეს მალლა ცისკენ და წაილაპარაკეს:

— დიდი არს უფალი!

მომღერალს ქალს ისე ეგონა რომ, მისი ხელი, რომელიც დადებული ჰქონდა გიტლიას თავზედ, მის გულის-ცემას გრძნობდა. თვალები ძირს დახარა. ეს ვინ არის? რა მოჩვენებაა? გიტლია ისევ მუხლ მოდრეკილი იდგა, წინ სინათლისაკენ წამოიწია სხეულით, გასწორდა და პირისახე კი მობრუნებული ჰქონდა მთვარისაკენ; გულზედ ხელებ დაკრებილი, სამოთხისებურ ნეტარებით აღსილი დიდი თვალები აღტაცებულის ღიმილით ალისფერ ტუჩებზედ — იგი საუცხოვო ლამაზ ქალად გარდაქმნილიყო, იგი ჰგავდა უზომო ლოცვით გატაცებულ და ექსტაზში შესულ ქმნილებას. მომღერალმა ქალმა ძლივს მოაშორა თვალი ამ თვისს მსმენელს და გარშემო მიმავლო თვალები.

მთვარის შუქედ ყოველ სახლის წინ იდგნენ უტყვი, უძრავი, ადამიანთა ლანდები და სახლების ფანჯარებიდან გამომკრთალნი სანთლები თავის ციმციმით თითქოს ემუდარებოდნენ მას:

— იმღერე, იმღერე!

იგი კვლავ მღეროდა. იგი შეიპყრო ადამიანთა გულის დამონავების იმ გრძნობამ, რომელიც ამ ჰანგთა და ხმათა მე-

ფეთ, უბედურობის დროს, მაღლა, ძალიან მაღლა აიყვანს ხოლმე. ამ უბედურს ადამიანში არტისტმა გაიღვიძა და უფრო მეტად გაუღვია მას სულის სიმაგრე, გამბედაობა. ხელოვნების ღმერთამ აიღო მისი დაკოდილ-დასერილი გული, შეასხა მას ფრთხი და აღიყვანა იგი მაღლა, ძალიან მაღლა მის ცრემლთა და ტანჯვათა მოშორებით, და იმ სიმძლლიდან ამ ადამიანთა სოროთა გროვას—სოფელს დამლეროდა სიმღერას ნუგეშისას, მნეობისა და ძალისას.

პატარა და ვიწრო უსუფთაო ქუჩაზედ ნუგეშის ღიმმა აუთამაშა პატარა ბავშვს სახე, რომელსაც ეს არის ეხლა მოეხსნა ზურგიდან კართოფილით სავსე მძიმე ტომარა და ეხლა ქაქანია, ტვირთისაგან შეწუხებული და მკვნესარე, იჯდა იქვე ხის გალავანთან და ხელში კი პურის ყუა ეჭირა. რამდენიმე წუთია, რაც პური პირთან ჰქონდა მიტანილი, მაგრამ კი არ სჭამდა, თუმცა ამავე დროს მშიერი იყო. რილათიც იყო იგი გაკვირვებული, თუმცა თვითონაც კი არ იცოდა—რითი. ასე მშვენივრად არის არე-მარე განათებული. ვიღაცა ასე ხმა მაღლა მღერის და ყველა სახლებზედ მაღლა კი მოსჩანს ჯვარ-ცმა, რომელიც ვერცხლის ფრად ელვარებს და ბრწყინავს. პატარამ,—სიმბოლომ კაცობრიობისამ, რომელსაც ერთის წუთით მოეხსნა ზურგიდან თვისი უზარ-მაზარი ტვირთი,—იგრძნო შეღავათი და ერთს წამს წელში ტკივილებს აღარ გრძნობდა, თვისი გამხმარი ზურგით მიჰყუდებოდა ხის გალავანს, თავი მაღლმა აელო, მის სახეს მთვარის სხივი შესთამაშებდა, ღიმილით მაღლა იცქირებოდა და ასე ყურს უგდებდა სიმღერას.

არტისტი ქალი კი მღეროდა.

აღ. სოლოდაშვილი.

## „ს ა მ ნ ი“\*)

მ. გორგისა.

თარგმნილი ივ. პოლუშორდვინივის მიერ

ახალ ბინაზედ ილიამ მშვიდათ დაიწყო ცხოვრება და  
 ახალ სახლი - პატრონებს როგორდაც მალე შეეწყო. დიასახ-  
 ლისს ტატიანა ვლასოვნას ეძახდნენ. ჩიტსავით მაღაზმა და და-  
 უღალავად მოკიკიყე მოლაპარაკე ტატიანამ მეორე-მესამე  
 დღესვე უამბო ილიას მთელი თავიანთი ცხოვრება.

დილით, როცა ილია თავისს ოთახში ჩაისა სვამდა, დია-  
 სახლისი ფართუკ აფარებული და მელავებამდის დაკარწახებული  
 ხელებით ცქრიალებდა სამზარეულოში, დრო გამოშვებით პირ  
 მომცინარი გამოჩნდებოდა მის კარებში და ეუბნებოდა:

— მე და ჩემ ქმარს სიმღიღრე გვაკლია, მაგრამ განათლე-  
 ბულნი და ინტელიგენტნი კი ვართ... მე პროგიმნაზიაში ვსწავ-  
 ლობდი და ჩემი ქმარი, ასე გასინჯეთ, კადეტების კორპუს-  
 შიაც კი სწავლობდა, თუმცა არ დაუმთავრებია სწავლა. ჩვენ  
 გამღიღრება გვინდა და გავმღიღრდებით კიდეც... შეიღები  
 არა გვყავს, — შვილებზედ ძალიან ბევრი ფული იხარჯება, საჭ-  
 მელებს მე თითონ ვაკეთებ, ბაზარში მე დავიარები, უსუფთაო  
 საქმეებისთვის კი გოგო მიჭირავს მანეთ ნახევრად თვეში, იმ  
 პირობით, რომ თავის სახლში იცხოვროს, იცით რა ყაირა-  
 თიანი ვარ და რამდენს განარჩუნებ თვეში? — გაჩერდე-

\*) იხ. „მოამბე“ 2-რე № რი.

ბოდა კარებში, შეირხევდა ხუჭუჭა თმას და თითებზედ ჩამოს-  
თვლიდა:

— სადილის გამკეთებელი დედაკაცი — სამი მანათი. ამა-  
ზედ იაფად ხომ ვერ დავიქერდი? ახლა შენახვაც შვილი...  
ათი!.. სამი მანათისას მოიპარავდა თვეში — ეს ცამეტი! იმის  
ოთახი თქვენ მოგაქირავეთ — ეს თქვენი თვრამეტი! აი რა და-  
მიჯდებოდა მზარეული!.. მერე: ყველაფერს, რაც საჭიროა  
ოჯახში, ბევრსა ვყიდულობ ერთად: ერბო — ნახევარი ფუთი,  
ფქვილი — ერთი ტომარა. შაქარი — ერთი თავი და სხ... ყველა  
ამაზედ ერთ თორმეტ მანეთს მანც ვიგებ თვეში... ეს — სამი  
თუმანი! საღმე, რომ მემსახურნა, — პოლიციაში, თუ ფოჩტაში  
მზარეულის სამყაფს თუ ვიშოვნიდი... ეხლა კი... მე არაფრად  
ვუზივარ ჩემ ქმარსა და თავიც მომაჯვს ამითი! აი როგორ უნ-  
და ცხოვრება, ყმაწვილო, გვიყურეთ და ისწავლეთ..

ქალი ეშმაკურად შეხედავდა ილიას თვისი მკირცხლი  
თვალებით და ვაუი დარცხვენით თავს დაიღებდა და გაიღი-  
მებდა. ილიას მოსწონდა კიდეც ქალი და თან პატივის ცემასაც  
ჰერძნობდა მისდამი. ღილით გამოიღვიძებდა თუ არა ილია,  
ქალი ბზრიალებდა კიდეც სამზარეულოში და თან პატარა, პირ-  
ნიყავილარი გოგოც ახლდა ხოლმე, რომელიც ყველაფერს  
შიშით და უსიცოცხლოთ უყურებდა. საღამოობით, შინ როცა  
დაბრუნდებოდა, კარებს ისევ ქალი გაუღებდა ხოლმე, მაგრამ  
ამ დროს კი სუფთათ და კონჭიათ იყო გამოწყობილი, სახეზედ  
ლიმი უკრთოდა და ირგვლივ სასიამო სუნს ავრცელებდა. თუ  
ქმარი შინ იყო, ის გიტარს დაუკრავდა და ცოლი წკრიალა  
ხმით დამღეროდა, ან არა და დურაჩქას თამაშობდნენ — კოცნა  
ზედ. ილიას ყოველი მათი ლაპარაკი და მიბრუნ-მობრუნებაც  
კი ესმოდა თავისს ოთახში. მის ყურა ხშირად სმენიათ სიმთა  
ულერა, ხან მხიარული, ხან მერძნობიერი, ქალალის რახა-რუხი,  
მაგი აზედ გაცხარებული რომ დაანარცხებდნენ და ხანგრძლივი  
პროშტიც. მათი ბინა ორი ოთახიდამ შესდგებოდა: ერთში  
იძინებდნენ და მეორე, რომელიც ილიას ოთახს ამოპვროდა  
გვერდში, მათი სასადილოც იყო, სასტუმროც და საღამოობით

იქ ისხდნენ და დროს ატარებდნენ... დილით ამ ოთახში ფრინ-ველების ჭიკვიკი გაისმოდა. ჭიკვავი და საყა ჩიტი ერთმანეთს აღარ აცლიდნენ და, თითქოს გაჯიბრებულანო, მხიარულად მღეროდნენ, გულწითელა ხნიერსავით მედიდურად ჰბუზლუნებდა და ქრაჭუნებდა განუწყვეტლივ. დრო გამოშვებით ამ საერთო ელიფლ-ხივილში ჭვინტას მშვიდი და დაფიქრებული სიმღერა გაისმოდა.

ტატიანას ქმარი, კირიკ ნიკოლაიმიჩ ავტონომოვი, ოცდა ხუთი, ექვსი წლის, მაღალი, სრული ტანისა, დიდ ცხვირა და კბილებ ჩაშვებული ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იყო. კეთილი და მუდამ მომცინარი სახე ფერიმქამლებით და მეტე-ჭებით ჰქონდა სავსე, მისი უფერული და უმარილო თვალები მუდამ მშვიდათ და აუღელვებლივ იყურებოდნენ. მოკლეთ შეკრეპილი წითელი ომა ეკლებსავით ჰქონდა მაღლა შეშვერილი და მთელს მის ვეებერთელა სხეულში რაღაც მოუხეშავი და სასაცილო გამოიხატებოდა. სიარულით ნელა და დინჯათ დადიოდა და პირველ შეხვედრის უმაღვე რიღაცისთვის დაეკითხა ილიას:

— შენ მომღერალი ჩიტები არ გიყვარან?  
 — მიყვარან...  
 — იქერ ხოლმე?  
 — არა...— მიუგო გაკვირვებულმა ილამ.— უბნის ზედა-მხედველმა კი ცხვირი აიწია და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ისევ დაეკითხა:

— არც წინათ იქერდი?  
 — არც წინათ ვიქერდი.  
 — არასოდეს?  
 — არასოდეს...

აქ კი კირიკ ავტონომოვმა მედიდურად ჩაიკინა და უთხრა:

— ალბათ, არა გყვარებიან, თუ არასოდეს არ გივლია იმათ კვალზედ და არ გიქერია. მე კი მიყვარან და კიდეც ვიქერდი ხოლმე ჩემ ჯელობაში; კორპუსიდანაც კი ამისთვის



გამომაგდეს.. ეხლაც დიდის სიამოვნებით ვსდევდი, მაგრამ მინდა უფროსებთან თავის შერტევენა. რაღაც ფრინვლების სიყვარული თუმცა საძრახისი არ არის, პირ-იქით, კეთილ ჟობილური გრძნობაცაა, მაგრამ მათი დევნა და მათ კვალზედ სირბილი კი დარბაისელ კაცს არ შეჰქერის... შენ ადგილის კი რომ ვყოფილიყავ, უსათუოდ ჭივვავებს დავიწყებდი დევნას. კარგი და მხიარული ჩიტია... ჭივჭავზედ ნათჭვამია ღვთის ჩიტია...

ავტონომოვი ლაპარაკობდა და ოცნებით შეჰქერებდა ილიას სახეში; ლუნევი კი რასაც მეტს უგდებდა მას ყურს, მეტსა და საძალად ჰერძნობდა თავსა. პლელავდა. ბოლოს უბრაო გაუელვა თავში: ფრინვლების დაქერაზედ რომ მელაპარაკება, სიტყვას ხომ არავერზედ მიკრავსო. მაშინ კი შეუკრთა ილიას გული და ყურები დასკევიტა, მაგრამ ავტონომოვის წყალ-წყალა თვალები რომ დაინახა, დაშვიდლა; მან პირველ შეხვედრის უმალვე გადასწყვიტა — უბნის ზედამხედველი უბრალო და კეთილი გულის კაცია და ეშმაკობა არა აქვს-რაო. ილიამ ზრდილობიანათ გაიღიმა და არა უთხრა-რა. კირიკ ავტონომოვს, როგორც შეეტყო, მოეწონა მდგმურის მორცევი სახე და სიმშვიდე, მან გაიღიმა და ხელახლად დაიწყო ლაპარაკი:

— როდისმე საღამოთი ჩაიზედ გვეწვიე... ჩვენ უზრალო ხალხი ვართ და მოურიდებლად შეგიძლიან მოსვლა... ქალალდა ვითამაშებთ — დურაჩასა... სტუმრები იშვიათად თუ გვეწვევიან ხოლმე და სულ მარტინი ვართ. სტუმრის მიღება სასიამოვნოა, მაგრამ სტუმრებს გამასპინძლება უნდათ და ეს კი ბევრი ვერა-ფერი სასაჩერებლოა, რადგან ამისთანა გამასპინძლება ყოველთის ძვირად ჯდება ხოლმე.

რაც უფრო მეტს უკვირდებოდა ილია მათ მშეიღს, ერთ-გვარ ცხოვრებას, მით უფრო მეტად მოსწონდა სახლი-პატრონ-ნიც და მათი ცხოვრებაც. ყველაფერი სუფთად, კოხტად და საღათ ჰქონდათ მოწყობილი, ყველაფერი მშეიღათ და უშმა-უროდ ჰკეთდებოდა და, როგორც ეტყობოდა, ცოლ-ქმარს ძალიან უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი. კოპწია და მოძრავი



ქალი მხიარულ ფრინველს წყალ-წყალის წააგავდა, მხოლოდ მისი  
ქმარი კი—მოუხეშავ და მუდამ მშვიდ, დარბაისელ გულ-წითე-  
ლას. საღამობით ქალაქიდან რომ დაბრუნდებოდა იღია, და-  
ჯდებოდა თავის ოთახში, ყურს უგდებდა ცოლ-ქმარის ლაპა-  
რაქს და თან ჰეიქრობდა:

— ი როგორ უნდა ცხოვრება...

და შურითა და ოხვრით მიეცემოდა იმ ოცნებებს, რომელ-  
ნიც ამისთან წუთებში უფრო გაუცხოვლდებოდნენ ხოლმე ...  
ოჲ, როდის იქნება გაეხსნა პატარა დუქანი, მის გვერდით პატარა,  
სუფთა ოთახი მოვირთო, გავიჩინო მომღერალი ფრინვლები და  
დავიწყო ჩემთვის დინჯი, მშვიდი და უშფოთვარი ცხოვრება...  
კედლის იქით კი ტატიანა ვლასოვნა ქმარს უშბობდა — რა ეყიდნა  
ბაზარში, რამდენი დაეხარჯნა და როგორ ეყიდათნა. ქმარი  
ყრუდ იცინოდა და აქებდა.

— ჩემო ჭკვიანო! ჩემო, კარგო იადონო... მოდი ერთი გა-  
კოცო...

მერმე ქმარი მოჰყებოდა რაც მოხდენილიყო იმ დღეს  
ქალაქში, სადა და რისთვის შეედგინა ოქმები, პოლიციებისტებს  
რა ეთქვა, როგორ დაეკრა თავი და სხვა... ხშირად იმის თათ-  
ბირსაც მიეცემოდნენ — თუ ვინიცობა მოლოდინი აგვისრულ-  
და და მართლა აღმატება მივიღე სამსახურში, სახლის გამოც-  
ვლა დაგვჭირდება თუ არაო.

ილია იატაკზედ წამოგორებული უგდებდა ყურსა და უც-  
ბათ მისთვისვე გაუგებარი სევდა მოაწებოდა გულზე, სუნთქვა  
შეეკვროდა და პატარა ცის-ფერი ოთახი ვიწროდ და სულის  
შემხუთად ეჩვენებოდა — მოუსვენარის თვალით დაუწყებდა მას  
თვალიერებას, თითქოს სულის შეკვრის მიზეზს ეძებსო, და რაცა  
ივრძნობდა, რომ ამ სიმძიმეს და სევდას ვეღარ მოვითავსებ  
გულშიო — ან ოლივიადასკენ გარბოდა ანა რა და ქუჩებში  
ხეტიალს მოჰყებოდა ხოლმე.

ოლიმპიადი, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტს თხოულობდა  
მისგან, იქვნეულობდა და უფრო მეტს ებუზღუნებოდა. დღითი-  
ღლე ხმებოდა, თვალები ჩაუცვივდნენ, ჩაუბნელდნენ და ხელები

დაუწვრილდნენ — რაც ილიას მეტად არ მოსწონდა, მაგრამ უკე-  
 ლაზე ძლიერ ილიას უფრო ის არ მოსწონდა, რომ ბოლოს დროს  
 ქალი სინიდისზე და ღმერთზე ბევრს ლაპარაკობდა და მონას-  
 ტერში მონოზნად ცხოვრებას ეპირებოდა. ილიას მისი მაღალი  
 აზრები და ლაპარაკი არ სჯეროდა, რადგან კარგათ იცოდა,  
 რომ ოლიმპიადა უვაკაცოდ ვერ გასძლებდა და მათ არშიყო-  
 ბასა და ალერსის სურვილს ვერ ჩიიკლავდა გულში.

— ჩემთვის ნუ ილოცავ, თუ ვინიცობაა აგისრულდეს  
 ნატვრა, — უთხრა ერთხელ ოლიმპიადას დაცინვის კილოთი, —  
 ჩემ ცოდვებს მე თითონ მოუვლი...

ქალმა შიშით და ნაღველით შეხედა...

— ილია, მაგეებით ხუმრობა არ ვარგა...

— მეც ეგრე მგონია...

— მაშ არა გჯერა, რომ ავასრულებ ჩემ სიტუაციასა?..

კარგი... ცოტა დამაცადე... და დაიჯერებ.

— მჯერა, რატომ არ დავიჯერებ? არიან ისეთი ადამიან-  
 ნიც, რომელთაც ჯიბრით მოლოზნათ შესვლაც კი შეუძლიათ...

ოლიმპიადა ძლიერ გაუჯავრდა ილიას ამაზე და ხუმრო-  
 ბა ვაშვებით, კაი ჩხუბი და კინკლაობა მოუვიდათ.

— რას ამაყობ, შე უბედურო, შენა? — პლრიალებდა ქალი  
 თვალების ბრიალით. — დაიცა... როგორც გინდა იქიმებოდე  
 შენია ამაყობით, დრო მოვა, მოიხრები. კავსავით მოიხრები! ან არა  
 და რითი მოგაქვს თავი? სილამაზით და ჯეელობით? ეგ სილა-  
 მაზეც და ჯეელობაც წარმოვალი გახლავთ, ჩემო კარგო, წარ-  
 მავალი... მალე გამოგეცლება ფეხ-ქვეშ ნიადავი და გველსავით  
 დაიწყებ მუცელზე ხოსიალს, მოწყალებასავით მოითხოვ ალერსს,  
 მაგრამ გამკითხი კი არ გეყოლება...

ქალი უსაყვედურებდა და თვალები ისრე გაემსნენ სისხ-  
 ლით, რომ კაცს ევონებოდა, აი საცაა ცრემლსავით გადმოს-  
 ჩქეფს მის თვალთაგან წმინდა და გახურებული სისხლით. ჩხუ-  
 ბისა და ლანძღვის დროს ოლიმპიადა არასოდეს არ მოაგო-  
 ნებდა ხოლმე პოლუეკტოვს, მაგრამ იმ დროს კი, როცა კაი  
 გუნებაზე იყო, — ძველებურად სულ იმას ურჩევდა — დაივიწყე



და ეცადე არ მოგაგონდეს ხოლმეო. ლუნევს აკვირვებდა ქალის ამისთანა თავდაჭრილობა და ერთხელ როგორლაც ჩვეულებრივ კინკლაობისა და ლანძლვის შემდეგ დაეკითხა:

— ლიპა! რისგან არის, რომ როცა იგინები და ილანძლები, ერთი სიტყვითაც კი არ მომაგონებ ხოლმე პოლუეკტოვსა?

ქალმა დაუფიქრებლივ მიუგო:

— იმიტომ, რომ ეგ არც ჩემი საქმეა და, თუ გინდა მართალი გაიგო, არც შენი. რახან ვერ დაგიჭირეს, — ალბად, რომ ეგრე ყოფილა საჭირო. შენ ამ საქმეში იარაღი, დამსჯელი ხელი იყავ და არა ძალა... იმის დახმიბა შენ თითონ არ გინდოდა, შენვე არ მითხარი? მაშასადამე, შენგნით, შენის ხელით დაუსჯია მხოლოდ ღმერთსა და შენ აქ არაფერ შუაში ხარ...

ილიმ დაუჯერებლად გაიცინა.

— რა იყო? — დაეკითხა ქალი.

— არაფერი... მე გავიფიქრე, თუ კაცი რეგვენი არ არის, უსათუოდ გალლეტილ-გაცვეოლი და გაიძერა უნდა იყოს. მეთქი... ხა, ხა, ხა! სუკველაფერს გაამართლებს... ოლონდ კი საჭირო იყოს ეს იმისთვის... გამტყუნებითაც ყველას გამტყუნებს...

— არ მესმის მე შენი ლაპარაკი, — მიუგო ოლიმპიადამ თავის-ქნევით.

— რა არის აქ გაუგებარი? — დაეკითხა ამოოხებრით ილია და მხრები შეიშმუშნა — პირიქით, უბრალო და ადვილი გასაგებია ყველასთვის. მე ი რას გეუბნები: მაჩვენე მე ისეთი რამ ცხოვრებაში, რასაც შეურყეველად და შეუდრეკლად შეეძლოს დგომა; დამისახელე ისეთი რამ, რის გინდა გამტყუნება, გინდა გამართლება არ შეეძლოს რომელიმე ჭკვიან აღამიანსა... აბა მიპოვნე მაგისთანა რამ! ვერ მოგაროვით... მაგისთანას ვერაფერს ვერ იპოვნი... სუკველაფერი ჭრელია... აღამიანის სულიც ჭრელია... დიალ!

— არ მესმის, — ცოტა სიჩუმის შემდეგ გაიმეორა ქალმა.

— მე კი ასრე მესმის, რომ სწორედ ამაში გახლავთ გამოხლართული კვანძი... და კიდევ ეს არის, რომ სულს გვინუთავს და ცხოვრებას გვითუჭებს...

ერთხელ როგორდაც, ერთს ჩხუბსა და კინ კლაობის შემდეგ, ილია ოთხი თუ ხუთი დღე აღარ წავიდა ოლიმპიადასთან და მეხუთე დღეს მოულოდნელად შემდეგი ბარათი მიიღო მისგან.

„მშვიდობით, ჩემო კარგო, ჩემო ტკბილო ილოჯან, მშვიდობით მეთქი გეუბნები და სამუდამოდ გეთხოვები. ტყუილად ძებნას ნუ დამიწყებ — სულ ერთია ვერ მიპოვნი. პირველ გემითვე წავალ ამ დაწყევლილ და დაკრულვილ ქალაქიდან: აქ იყო, რომ სული გავისრისე სამუდამოდ. მივდივარ შორს და არასოდეს აღარ დავბრუნდები, — ნურც იფიქრებ ჩემზე და ნურც მოლოდინი გვენება ჩემი. სიკეთისთვის მაღლობას გიხდი გულით და ავის დავიწყებას ვეცდები. ერთი კიდევ უნდა გითხრა რამე: სხვა არა გეგონოს-რა, ახალგაზდა ანანის მიესდევ, რამელიც დიდი ხანია მეტრშიყებოდა და მეუბნებოდა — დამლუპავ თუ არ გამომყენები და ჩემთან არ დაიწყებ ცხოვრებასაო. აგრე, როგორცა ჰქედავ, მეც დავსთანმხდი: სულ ერთია. ჩვენ ეხლაზღვისკენ მივდივართ იმ სოფელში, სადაც ანანის თევზთ ნადირობა, აქეს გამართული. საკოდავი ტუტუცია ცოტა. მეუნება, თუ გინდა, ჯვარიც გადავიწეროთო. მშვიდობით! ასე მგონია სიზმარში გხედავდი, გავიღვიძე და ყველაფერი გაჰქირდა მეთქი. შენც მაპატიო... რომ იკოდე, როგორ მიკვნესის გული..! გკოცნი, ერთად ერთო ადამიანო. ნუ იამაყებ ხალხის წინაშე: ჩვენ სუყველანი უბედურნი ვართ. მეც მოვიხარე, დავყუჩდი და თითქოს სახრჩობელაზედ მიჰყავთო, ისრე მიმძიმს გული. ოლიმპიადა შლიკოვისა. ფოშტით პატარა ამანათს გიგზავნი — შიგ ბეჭედია — ჩემ სანახსოვროდ ატარე, გეხვეწები. ოლ. უ.„

ილიამ წერილი წაიკითხა და ტუჩები მოიკვნიტა. მერმე მეორედ, მესამედ გადაიკითხა. რაც უფრო მეტს ჰქითხულობდა, უფრო მეტად მოსწონდა ეს ბარათი, — საწყენიც იყო და საამაყოც ამისთანა უბრალო სიტყვების კითხვა. ილია უწინ არც

კი დაპფიქრებია იმ კითხვას თუ რამდენად ძლიერად ვუყვარ-  
 ვარ ოლიმპიადასაც, მაგრამ ეხლა ჰქედავდა, რომ ქალს ძლიერ  
 და წრფელად ჰყვარებოდა და ამისთანა წერილის კითხვა ამაყურ  
 სიამოვნებას უბადავდა გულში. მაგრამ ეს სიამოვნება მის გულ-  
 ში რიღაცის დანაკლისის და მეგობრის დაკარგვის გრძნობას  
 უთმობდა ადგილს, და აგრე ეხლა დაპფიქრდა კიდევა სად უნდა  
 წავიდეს და ვის მიმართოს ხოლმე ეხლა იმ შავსა და ბნელს  
 წუთებში, როდესაც სევდა მოაწვება გულშედ და ქვეყნის ყურე-  
 ბაც კი მოსწყინდება? ოლიმპიადა ნათლად წარმოუდგა თვალ-  
 წინ, მოიგონა მისი გაშმაგებული ალერსი, მისი კვეიინი, დალაგე-  
 ბული ლაპარაკი, ხუმრობა და უფრო მოუკვდა გული, უფრო  
 მაგრად ჩაესო გულში სინანულის და დანაკლისის გრძნობა. ის  
 ეხლა ფანჯრის წინ იდგა და შებლ შექმუხენილი ბაღში გა-  
 დიყურებოდა, სადაც გამეფებულ სიბნელეში ჩუმად ირხეოდ-  
 ნენ ხე-ყრუის ბუჩქები და არყის კანაფსავით წვრილი ტოტე-  
 ბი ჰაერში ჰქანაობდენ. კედლის იქით გიტარის სიმნი ეღერ-  
 დნენ და ტატიანა ვლასოვნას მაღალი სიმღერა გაისმოდა.

„და ექებონ ძვირფასი თვლები,  
 ზურმუხტ-ლალები, იაგუნდები...“

ილიას ოლიმპიადასაგან მოსული წერილი ხელში ეჭირა  
 და ჰფიქრობდა:

— მეუბნებოდა ჯიუტი ვარო... და შენ გამაბედნიერეო,  
 მაგრამ, აგრე წავიდა... როგორც ეტყობა, დიდათ ვერ გამიბე-  
 დნიერებია...

თავს დამნაშავედ იგულებდა ილია, კაეშანი და სიბრა-  
 ლული სულს უხუთავდნენ და ყელში ეჩრებოდნენ.

„მე სხვა არ მინდა, ჩემი ბეჭედი  
 კინდ ზდევის ძირიდან მომიტანევი...“

გაისმოდა კედლის იქით. ბოლოს უბნის ზედამხედველმა  
 გულიანად გადიხარხარა და მომღერალმა სიცილ-კისკისით სამ-  
 ზარეულოში გამოირბინა, მაგრამ აქ კი უცბათ გაჩუმდა. ილია  
 ჰგრძნობდა, რომ დიასახლისი აქ სადღაც, ახლო, მის ზურგს

უკან უნდა მდგარიყო, მაგრამ უკან შემობრუნება და შემო-  
ხედვა არ უნდოდა, თუმცა კარგათ იცოდა, რომ კარი ყურამ-  
დის ლია იყო. მას ყური წაევდო თავის ფიქრებისთვის, იდგა  
უნძრევლივ, გარინდებული და ნათლიად ჰქედავდა მარტოობა  
როგორ იცვავდა და გული როგორ უყუჩდებოდა. ფანჯრის  
იქით ხეები ისვეისე ჰქანაობდნენ და ლუნევს ეგონა, დედამიწას  
მოვშორებივარ და ციისა და ბნელ ჰაერში მივცურავო.

— ილია იაკოვლევიჩ! ჩაის არ მიირთმევთ? — გამოეხმაურა  
დიასახლისა.

— არა...

ფანჯრის იქით ზარის მძლავრი გუგუნი გაისმა; მისი ხშირი  
ხმა რპილიად შეეხო სარკმლის შუშებს და ოდნავ შეაშფოთა  
იგინი... ილიამ პირჯვარი გადისახა, მოაგონდა, დიდი ხანია  
ლოცვაზე არა ვყოფილვარო და გაეხარდა, რომ წისასვლელი  
შემთხვევა იპოვნა...

— ლოცვაზე მინდა წავიდე, — მობრუნდა კარებისკენ და  
დაუმატა ილიამ. დიასახლისი შიგ შუა კარებში იყო გაჩერე-  
ბული, ხელებით კარების წირთხს ეყრდნობოდა და ცხადის  
ცნობის-მოყვარეობით უყურებდა ილიას სახეში. ილიამ, თით-  
ქოს შერცხვა მის დაშტერებითი ყურებისა და თითქოს ბო-  
დიშს იხდის ქალის წინაშეო, წაილაპარაკა:

„დიდი ხანია ეკკლესიაში აღარა ვყოფილვარ“...

— ჰო, კარგი! მაშ ცენა საათისთვის მოგიმზადება სამო-  
ვარს.

ეკკლესიაში მიმავალი ილია, ახალგაზდა ანანინზე ჰაფიქრობ-  
და, რომელსაც კარგად იცნობდა. ეს იყო მდიდარი თვეზით  
მოვაჭრეს სულ უმცროსი შვილი. — მისი ფერმქრთალი, გამხდა-  
რი სახე და ცისფერი თვალები ეხლაც თითქოს თვალწინ უდგა  
ილიას. ყმაწვილი დიდი ხანი არ იყო, რაც გაჩნდა ქალაქში და  
იმწუთშივე ქეითსა და დროს გატარებას შეუდგა.

ზაგერ თურმე როგორა სცხოვრობს ხალხი, — ჰაფიქრობდა  
ილია დანაღვლიანებული. — მიმინოსავით ჯერ ფრთებიც არ  
შეუსხავს და სულიკოს კი იჩენს...

ეკულესიაში იღია ბრაზმორეული და შევი ფიქრებისგან შეშვითებული შევიდა და იმ კუნძულში გაჩრდა, სადაც კანდელის ასანთებათ კიბე მიედგათ.

„უფალო შეგვიწყალე“, — ჰელობდა მარცხენა გუნდი. ვიღაცა ბიჭი ტყუილად სცდილობდა დიაკვნის ყრუ და ხრინწიანის ხმისთვის ხმის შეწყობას — მას ვერსავზით ვერ მოეხერხებინა ესა და მისი შეუხამებელი კივილი მსმენელს ყურს უჭრიდა. ეს საძაგელი გალობა უფრო ოჯავრებდა იღიას და ბიჭის გალახვის, დასჯის სურვილსა ჰევრიდა. კუნძულში გახურებული ფეხისაგან ცხელოდა და ნატისუსალი იდგა. იღიას ვიღაც ხნიერი, სალოფ წამოსხმული დედაკაცი მიუახლოვდა და ბურტყუნით წაელაპარაკა:

— თქვენი ადგილი არ დაგიჭერიათ, ყმაწვილო...

იღიამ გადახედა მის ძვირფას კვერნის წამოსასხამს და ხმა-ამოულებლივ დაუთმო ადგილი, მაგრამ გუნებაში კი წაბურტყუნა:

— „ვაჭრებს ეკულესიებშიაც კი საკუთარი ადგილები აქვთ“...

პოლუეკტოვის მოკვლის შემდე; ეს პირველი შემთხვევა იყო ეკულესიში წასვლისა და მოაგონდა თუ არა ესა, საოცრად შეაერიალა. ჩადენილ ცოდვაზე ფიქრმა სუსველაფერი დაავიწყა, და თუმცა არ შაშინა, გული კი მაინც დაუშიმა და დაულონა...

— უფალო! შემიწყალე... — წაიჩურჩულა იღიამ და პირჯვარი გადაისახა.

მგალობელთა გუნდმა მხიარულად და მწყობრისათ დაიწყო გალობა. დისკარტები საგალობლის სიტყვებს მკაფიოდ და აშკარად ამბობდნენ და მათი სუფთა, წკრიალა ხმები გუმბათის სილრმეში წაიჩულად და ტკბილად მოეღიარუნებდნენ; ალტნი დაჭიმულ სიმსავით ცახცახებდნენ და მათი განუწყვეტელი ხმის ბგერით დაბადებულ ფონზედ, რომელიც ჩანჩქარსავით მოსჩურჩუნებდა, დისკანტნი ჰერთოდნენ და მზის სხივებსავით ეთამაშებოდნენ მის სუფთა და ანკარა წყალს. ბანის ძლიერი და მქუხი

ნოტები დიდებულად ირჩეოდნენ ჰაერში და ბავშვთა გალობას მხარს აძლევდნენ; დრო-გამოშვებით ტენორის ძლიერი და ლამაზი ხმა გამოკრთებოდა, გამოიკრებოდა ხმათა საერთო დუღილიდან და ბავშვთა წკრიალი გალობა კვლავ შეითამაზებდა, კვლავ გაბრწყინდებოდა და გუმბათის სიბნელისაკენ აღიმართებოდა, საიდანაც შემოქმედი ხელებ-გაპყრობილი და დაფიქრებული მლოცველთა გუნდს დიადურად დაჭყურებდა; ხმათა ტალღანი და საკმევლის ბოლი მისისწრაფოდენ მისკენ და გარს ეხვეოდნენ—ის კი, კაცს ეგონებოდა, გუმბათის სივრცეში დასცურავს და მალლა, ჰაერის სილრმეში მისისწრაფვისო. აგრე გუნდის გალობა შეერთდა, ცალ-ცალკე გამოძახილი ხმები შესისხლხორცულნენ, შეკავშირდნენ და ერთად შედუღებულნი წითლად და ვარდისფრად გამომყურალ ღრუბლებს დაემსგავსნენ, რომელნიც მზის ჩავლისას მის უკანასკნელ სხივებში იწყიან და საკუთარის მშვენიერებით და სილამაზით დამტკბარნი სდნებიან ჰაერში...

როცა შესწყდა გალობა და მისგან გამოწვეული ხმები მიკვდნენ და გაძქარწყლდნენ ჰაერში, ილიას ღრმა, მაგრამ მსუბუქი ოხვრა ამოსქდა გულიდან. მან მეტად მსუბუქად იგრძნოთავი: ის ეხლა არც შიშა ჰერძნობდა, არც სინიდისის ქენჯნას და აღარც სულის იმ შშფოთვარ მდგომარეობას, რომელიც ეკლესიაში შეჰყვა თანა. ილია ეხლა სცდილობდა კიდეც, მაგრამ მაინც ვერ შეეჩერებინა ფიქრი თვის ცოდვაზე. გალობამ თითქოს შეუმსუბუქა სული, შეღავათი მისცა და გული გაუსპეტავა. ასეთი მოულოდნელი ცვლილება მას თითონ არა სჯეროდა, მაგრამ სინიდისის მუდმივ ქენჯნას ეძებდა და ვეღარ ჰპოულობდა თავის გულში.

„ერთიც ვნახოთ დიასახლისი შევიდეს ჩემს ოთახში და შემთხვევით ფულებს წაწყდეს?“

ილია ელვასავით გავარდა ეკლესიდან, ჩაჯდა პირველ შეხვედრილსავე ეტლში და შინისაკენ გასწია. გზაში ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

„წაწყდეს... მერე რა? ისინი ხომ არ დამაბეჭდებენ, მხოლოდ მიითვისებენ ჩემ ფულებს და ამით გათავდება საქმე“...

მაგრამ იმ აზრმა, რომ არ დამასმენენ და მხოლოდ მიითვისებენ ჩემ ფულებსაო, უფრო მეტად ააღელვა ილია. ის ჰერძნობდა, რომ თუ მართლა მოხდა ყველა ეს, ის ამ ეტლითვე წავიდოდა პოლიციაში და ყველაფერში გამოსტყდებოდა. არა, მას არც უნდა და არც შეუძლიან მუდმივ წოწიალში და უსუფთაო, მოუსვენარ ცხოვრებაში გაატაროს თავისი სიკოცხლე, იმ დროს, როცა სხვები მისივე საშინელი ცოდვით შეძენილ ფულით იფარფაშებენ და მშვიდობიანად, სუფთად მოაწყობენ თავიანთ ცხოვრებას. ამ აზრმა გააკოფა და გააშმაგა ილია. ეტლი რომ გაჩერდა, ჩამოხტა, მძლავრად ჩამორეკა ზარა და კრიჭა მოჭერილი მუშტებ მოკუმშული ელოდა, როდის გამიღებენ კარებსაო.

კარები ტატიანა ვლასოვნამ გაუდო.

— უჰ, რა ძალიან ჩამორეკეთ ზარა!.. რა დაგემართაჲ?— შესძახა შეშინებულმა ქალმა და თვალები დააშტერა.

ილიამ ხმა ამოულებლივ ხელი ჰქია ქალს და ტყვიასავით შევარდა თავისს ოთახში, მაგრამ შესვლისთანავე იგრძნო, რომ ტყუილად ეშინოდა და ტყუილად ჰლელავდა. ფულები ფანჯარასთან კედელში ჰქონდა დამალული და ზეიდან პატარა ბურტყლი ჰქონდა მიკრული. ასე რომ ვისმეს ხელიც კი რომ ეხლო იმ ადგილისთვის, ბურტყლი უსათუოდ უნდა ჩამოშორებოდა კედელს. ეხლა კი — აგვერ ცხადათა ჰხედავდა მიხაკის ფერ კედელზე პატარა თეთრ ლაქს.

— ავად ხომ არა ხართ? — ეკითხებოდა შეშფოთებული დიასახლისი კარებიდან.

— დიალ... ცოტა უქეიფოდა ვარ... მაპატიეთ: ხელი გკარით ჩვინი...

— ეჸ, რა უშავს... მოითშინეთ... მეეტლეს რამდენი უნდა იკვეცე?

— რამდენიმე... მიეცით, თუ ღმერთი გწამო...

ქალი ცქრიალით გავარდა კარში და ილია იმ წუთსვე კედელს ეცა, გამოიღო ფული, ხელში შეატყო, რომ სრულად იყო, ჯიბეში ჩაიღო და თავისუფლად ამოისუნთქა... ეხლა რცხვენოდა კიდეც თავისი შიშისა. ბურტყლი სასაცილოდ და სულელობად მიაჩნდა...

— ღვთის წყრობაა... — გაიფიქრა ილიამ და გულში ჩაი-ინა. კარებში ისევ გამოჩნდა ტატიანა ვლასოვნა.

— მეეტლეს აბაზი მივეცი, — დაიწყო აჩქარებით ქალმა. — რა დაგემართათ, თავ-ბრუ ხომ არ დაგეხვათ?

— ვიდექი ჩემთვის ეკვლესიაში... და უცბად...

— ლოგინზე მიწექით პატარა ხანს, — უთხრა ქალმა და შემოვიდა ოთახში. — წამოწექით, რას მერიდებით... მეც აქ დავჯდები... მარტოკა ვარ, — ქმარი სამსახურში წავიდა, კლუბ-ში...

ილია ლოგინზედ ჩამოჯდა და ქალი ოთახში ერთად ერთ სკამზედა.

— შეგაწუხეთ, — დარცხვენილი ღიმილით წარმოსთქვა ილიამ.

— არა უშავს-რა, — მიუგო ტატიანა ვლასოვნამ და მოური დებლად ჩააშტერდა სახეში. სიჩუმე ჩამოვარდა. ილიას ვერ მოეხერხებინა ლაპარაკი — არ იცოდა რაზედ ელაპარაკნა და ქალმა კი ხანგრძლივი თვალების ჩაშტერების შემდეგ საოცრად დაიწყო ღიმილი.

— რა იყო? — დაეკითხა ლუნევი და თავი ჩალუნა.

— ქსოვეა? — დაეკითხა ქილი...

— სოქვით...

— კაი მსახიობი ვერა ყოფილხართ, ყმაწვილო, აი რას გეტყვით!

ილია შექრთა და აღელვებულმა ქალს გადახედა.

— დიახ, ვერა ყოფილხართ კაი მსახიობი. რის ავადმყოფი, რის უქეიფობა, რას ამბობთ? თქვენ სრულიადაც არა ხართ ივად! ისა სოქვით, რომ დღეს უსიამოვნო წერილი მიიღეთ? მე თითონ დავინახე, მე...

— მართალია მიუიღე. .—ნელის ხმით, ფრთხილად მიუჟო ილიამ.

ფანჯრის იქით ფოთლებმა გაიშრიალეს. ქალმა გაახედა და ისევ მოუბრუნდა ილიას.

— ქარი იყო, ან ფრინველი იქნებოდა. გინდათ, ჩემო კარგო მდგმურო, გამიგონოთ რას გეტყვით? მე თუმცა ყმაწვილი ვარ, კუუა და გამოცდილება მაინც არ მაკლია....

— ბრძანეთ, რაც გნებავთ, — სოხოვა ლუნევმა და ცნობის-მოყვარეობით გადახედა ქალსა.

— აი რას გეტყვით, — დაიწყო დარბაისლურად დიასაბლისმა, — აიღეთ ის წერილი, გაფხრიწეთ და გადააგდეთ. ოუზარი შემოგითვალით, ჭკვიანი ყოფილა და კარგიც უქნია, დიალ, რაღროს თქვენი დაქორწინებაა? მატერიალურის მხრით თქვენ ჯერ ვერა ხართ უზრუნველყოფილი, და ვისაც მატერიალური ძალა არ მოსდევს, ჯვარიც არ უნდა დაიწეროს. თქვენ ჯანსალი ახალგაზდა ყმაწვილი ხართ და ბევრი მუშაობა შეგიძლიანთ, ამასთანაც თქვენ ლამაზი ხართ და შეგიყვარებენ... თქვენ კი თქვენი სიყვარულით მოიცადეთ ჯერა. იმუშავეთ, იშრომეთ, ივაჭრეთ, ფული მოაგროვეთ, ეცადეთ გააფართოვოთ თქვენი საქმე, დუქნი გაიღეთ და როცა პატარის გამაგრდებით წელში, მაშინ დაქორწინებაზედაც შეგიძლიანთ ფიქრი... ყველა ამის მოხერხება კი თქვენ არ გაგიჭირდებათ: მსმელი არა ხართ და მოქეთვე, თავშეკავებული ხართ და მარტოთ-მარტო ხართ, არავინ გავაჩიათ ..

ილია ყურს უგდებდა თავ-ჩალუნული და გულში იღიმებოდა. მას ხშა მაღლა და მხიარული ხარხარი უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა.

— თავს კი ნუ ჩამოჰქინდრავთ, — გამოცდილი კაცის კილოთი ეუბნებოდა ტატიანა ვლასოვნა. — გაივლის ცოტაოდენი დრო და ადვილად მიგავიწყდებათ ყველა! სიყვარული ადვილად მოსარჩენი სენია. აი მე თითონ გათხოვების წინ ისე ვიყავ სამჯერ შეყვარებული, რომ მეგონა თავს არ ვიცოცხლებ მეთქი, მაგრამ ავერ, როგორცა მხედავთ, ცოცხალიცა ვარ და

შევენივრადაცა ვგრძნობ თავსა. როცა დავინახე, რომ ხუმ-  
რობა გაშვებით გათხოვების დრო მოყიდა მეთქი, უსიყვარუ-  
ლოდაც კარგაზ გავთხოვდი...

ილიამ შეშინებულსავით უცბათ ასწია თავი და ქალს შე-  
ხედა.

— რა იყო? მერე შევიყვარე ჭმარი... ქალს, ხშირად მო-  
ხდება, რომ ჭმარიც შეუყვარდება ხოლმე...

— ე. ი როგორ? — თვალებ დაკუეტილი დაეკითხა ილია.  
ტატიანა ელასოვნამ მხიარულად გადიკისებისა.

— გაგეხუმრეთ... მაგრამ მართალს გეტყვით, შეიძლება  
საქმრო არ უყვარდეს ქალსა. მისთხოვდეს და მერმე შეუყვარ-  
დეს...

და ქალმა ისევ მორთო განუწყვეტელი ჭიკჭიკი და თვა-  
ლების ელვარება. ილია გულ-დადებით უგდებდა ყურსა, დი-  
დის ცნობის მოყვარეობით და პატივის ცემით ათვალიერებდა  
მის პატარა, მაგრამ კოპტია მოყვანილობას და უკვირდა რა  
პატარაა, ჭიკიანი, საიმედო და კაესავით მაგარიო...

„აი ამისთანა ცოლთან არ დაიკარგები“, — ჰუკერობდა  
ილია. მას ძალიან მოსწონდა, რომ მის წინ განათლებული,  
ჭმიანი სუფთა ქალი, და ნამდვილი ქალბატონი იჯდა და მას-  
თან არა თუ თავი არ მოქმენდა, „თქვენობითაც“ კი ელაპარა-  
კებოდა. ამ აზრმა მადლობა ქალისადმი აგრძნობინა და როცა  
დიასახლისი წამოდგა წასასულელად, ილიაც წამოხტა, თავი  
დაუკრა და უთხრა:

— დიდათა გმადლობთ, რომ თავი გამიყადრეთ და ოქვე-  
ნის მუსაიფით დამამშვიდეთ...

— დიგამშვიდეთ? ფრხილათ! — აქ ჩაიცინა ქალმა, ლოყები  
წიმოუწითლდა და ცოტა ხინს დაშტერებით უყურებდა ილიას.

— მშეიღობით.. დრომდის! — როგორლაც ეშმაკურად უთ-  
ხრა ქალმა და გაცქრიალდა ოთახიდან.

რაც დღე გადიოდა, უფრო მეტად მოსწონდა ილიას ავტო-  
ნომოვების მშვიდი ცხოვრება და დღითი-დღე შური ეზრდებოდა  
გულში. პოლიციელები მას არა თუ არ მოსწონდნენ, ეჯავრე-



ბოდნენ კიდეც, რადგან ბევრს ბოროტებას ჰქედავდა იმათვის  
ცხოვრებაში, მაგრამ კირიკი კი უბრალო, კეთილი და უეშმაკო  
მუშა კაცად მიაჩნდა. ის სხეული იყო და ტატიანა სული; ქმა-  
რი იშვიათად იყო ხოლმე სახლში და დიდი მნიშვნელობაც  
არა ჰქონდა ოჯახში. რაც დრო გადიოდა, ტატიანა ვლასოვ-  
ნა უფრო და უფრო გულს უსწორებდა ილიას და თავისუფ-  
ლად ასაქმებდა კიდეცა. ხან შემს დააპიპინებდა, ხან წყალს  
მოატანინებდა, ან წყლის გადაქცევას შესთხოვდა. ილია სია-  
მოვნებით უსრულებდა ყველა თხოვნას და შეუმნიველად ყვე-  
ლა ამის გაკეთება მის მოვალეობათ გადაიქცა. მაშინ დიასახ-  
ლისმა გოგო დაითხოვა და მარტო შაბათობით დაიბარებდა  
ხოლმე.

ხანდახან ავტონომოვებს სტუმრები ეწვეოდნენ ხოლმე,—  
ბოქაულის თანაშემწე კორსაკოვი, გამხდარი და გძელ ულვაშა  
კაცი, რომელიც შავ სათვალეებს ატარებდა, მსხვილ პაპირო-  
სებს ეწეოდა და კირიკითა სძაგლა მეეტლეები. კორსაკოვს დამ-  
შვიდებით არ შეეძლო მათზედ ლაპარაკი. მივიდოდა თუ არა  
ვისთანმე, დაიწყობდა:

— ისე არავინ არღვევს რიგსა და წეს-წყობილებას,  
როგორც მეეტლები, — ამბობდა ხოლმე კორსაკოვი. — იმათ-  
თანა თავხედი მხეცები ძნელათ თუ შეგხვდებიან სხვები. ფეხით  
მოსიარულეს ადვილად ჩაგონებ რიგისა და წყობილების პა-  
ტივის ცემას, ამისთვის საქმარისია მხოლოდ რომ პოლიცეის  
ტერმა გამოსცეს ბრძანება: „ქვეით მიმავალნი მარჯვენა მხრით  
უნდა მიდიოდნენ და ზეით მომავალნი მარცხენა მხრით“ საკმა-  
რისია! ამ დღის უკან ქუჩაში რიგიც იქნება და წყობილებაც.  
ჩაგრამ მეეტლე? შენ არ მომიკვდე, რომ ვერაფერი ბრძანებით  
ვერ შეაზფოთო.

მეეტლეებსედ მას მთელი დღე შეეძლო ლაპარაკი და  
ლუნევს მისი სხვა საგანზედ ლაპარაკი ჯერ არც კი გაეგონა. თავშესაფარის ზედმხედველი დაიარებოდა კიდევ — გრიზლოვი,  
ჩუმი და შავ-წვერა კაცი. მას ძალიან უყვარდა ბოხის ხმით  
მლერა და მისი ცოლი — სქელი და მოსული ტანის დედაკაცი,

სულ ერთიანად შეუჭამდა ხოლმე ტატიანა ვლასოვნას კანფეტებსა და სანუკვრებს, რისთვისაც ავტონომოვის მეუღლე პირს უკან ყოველთვის ლანძღავდა ხოლმე.

— ფელიცატა ეგოროვნა ჯიბრით მიშერება მე მაგ ოინსა! უსათუოდ უნდა გაანადგუროს თუ ტკბილ რასმეს მოჰკრა თვალი...

დაიარებოდა კიდევ ალექსანდრა ვიკტოროვნა ტრავკინისა, თავისი მეუღლით. ეს ქალი მაღალი, მაგრამ სუსტი ტანისა, დიდ-ცხვირა და მოკლე თმიანი დედაკაცი იყო. ჭყეტელა და მუდამ მყვირალი — ისე საოცრად იხოცავდა ცხვირსა, რომ ადამიანს ეგონებოდა, პირკალსა ჰქვევნო. ქმარი კი ჩურჩულით ლაპარაკობდა, — რადგან ყელი სტკიოდა, — მაგრამ შესვენება კი არ იცოდა ი მამაცხონებულმა და ხშირად მთელის საათობით განუწყვეტლივ სისინებდა. ის კარგათ შეძლებული კაცი იყო, აქციზში მსახურებდა და რაღაც საქველ-მოქმედო საზოგადოებაში წევრად ითვლებოდა კიდეც. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ისა და მისი ცოლი მუდამ ქველმოქმედებაზედ ლაპარაკობდნენ.

— ჩვენ საზოგადოებაში რა ამბავი მოხდა...

— მაშა, მაშა, — წამოიყვირებდა მისი მეუღლე.

— მოგვივიდა თხოვნა, რომელშიაც შემწეობას თხორულობდნენ...

— მე გეუბნებით ქველმოქმედობა მხოლოდ აფუჭებს და რყვნის ხალხსა...

— ცოლი იწერებოდა: ქმარი მომიკვდა, სამი წვრილი შილი დამრჩა და ლუქმა პური არა მაქვს, რომ მშიერი ბავშვები გავაჩუმოო...

— როგორც ყოველთვის...

— მისცეს სამი მანათი...

— მე არაფერი მწამს მაგ ქვრივებისა! — შესძინა მედიდურად ალექსანდრა ვიკტოროვნამ.

— ჰო და, ცოლი მეუბნება — მოდი, წავალ და ჩემის თვალით ვნახავ იმის გაჭირვებასაო.

— მერე რა აღმოჩნდა? ქმარი მოჰკვდომოდა ხუთი წლის წინად, ეს ერთი!

— შვილი სამი კი არა, ორი ჰუკვდა, ეს ორი.

— როგორ მოგწონთ, ჰა?

— გარდა ამისა თითონ ჯანსალია!

— აქ კი ვეცი. ხომ არა ვნებავს სასამართლოში წამობრძანდე ტყუილისთვის-მეთქი? ჩამივარდა ფეხთ ქვეშ...

— ხა ხა, ხა! — იცინოდა კირიკ ავტონომოვი.

ყველანი ალექსანდრა ვიკტორიოვნას, მის შორს გამჭვრე-ტელობას აქებდნენ და ლანძლავდნენ ლარიბებს, ამტყუნებდნენ მათ სიცრუეში, სიხარბესა და გაუმაძლრობას სწამებდნენ და უკვირდათ რისგან არის, რომ მაგისთანა ხალხი თვის კე-თილის მყოფლებს პატივს არა სცემს...

ლუნევი იჯდა თავის ოთახში და ყურადღებით ისმენდა მათ ლაპარაკს, რადგან უნდოდა გაეგო — რას იტყვიონ ცხოვრებაზედ და როგორ აზრებს წარმოსთვევამენო? მაგრამ ის, რაც ესმოდა, მისთვის სრულიად გაუგებარი იყო. კაცს ეგონებოდა ამ ხალხს ყველაფერზედ მოულაპარაკნია უკვე, ყველაფერი განუმარტავს, ცხოვრება შეუგნია და ყველას, ვანც კი ამათ-სავით არა სცხოვრობს, ჰკიცხავნენ და სდევნიანო. უფრო ხში-რად სხვა-და-სხვა ოჯახებში მომხდარ უსიამოვნებეებზედ, არქი-ელის წირვა-ლოცვაზედ და ნაცნობ ქალებისა და ვაჟების ცუდ ქცევაზედ ლაპარაკობდნენ. ილიას მოსწყინდებოდა ხოლმე მათი სმენა.

ხანდახან, საღამოობით, მდგმურსაც შეიძატიებებდნენ ხოლმე ჩაიზედ. ჩაის სმის დროს ტატიანა გლოსოვნა ხუმრობდა, იყი-ნოდა და ქმარი კი ოცნებობდა — რა კარგი იქნებოდა, რომ უცბად გავმდიდრებულიყავ — მეყიდნა სახლი და სამსახურში სიარული აღარ დამჭირებოდათ.

— გავიჩენდი ქათმებს... — თვალებ მიბუუტული ტკბილად მუნებობდა კირიკი. — სუყველანიარს: ბრამაპუტრას, კონ-ხინას, ციცარს, ინდოურებს... და ფარშავანგსაც! ჰო! კარგია, დასწყევლოს ეშმაკმა, იჯდე ფანჯარისთან ხალათში გამოწყო-

ბილი, მშვენიერ სუნნელოვან თუთუნსა სწევდე და იყურებოდე ეზოში, სადაც შენი საკუთარი ფარშავანგი ქოლგასავით გაშლილი ფრთხებით დასეირნობს ერთის კუთხიდან მეორეში! დაის, პოლიტმეისტერსავით გაბლინძული და ჰბურტყუნებს: ბრლიუ, ბრლიუ!

ტატიანა კლასოვნა ნელის, გემრიელის სიცილით იცინოდა, შეჰყურებდა ილას და ისიც ოცნებობდა:

— მე კი ზაფხულობით ყირიმსა და კავკასიაში ვიმოგზაურებდი და ზამთარში რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოების სხდომებში მივიღებდი მონაწილეობას. შევიკერავდი შავი მაუდის კაბას, სრულიად სადას, უზიზილ-პიპილოდ, და მხოლოდ ერთს დიდი ლალით მორთულ ბალთას გავიკეთებდი გულზედ და ყურში მარგალიტების საყურებებს გავიყრიდი. „ნივაში“ ერთი ლექსი წავიკითხე, სადაც ავტორი ამბობდა, ღარიბთა ცრემლი და სისხლი საიქიოს ლალად და მარგალიტებად იქცევიანო.— მერე ოდნავ ამოიოხრა და დაუმატა:

— ლალი შესანიშნავთ უხდება შავგვრემან ადამიანსა...

ილია გაწუმებული იყო და ყურს უგდებდა. ოთახში თბილოდა, ყოველი კუთხიდან სისუფთავე და სიფაქიზე გამოს-ჭვიოდა და გემრიელი ჩის სუნნლება ტრიალებდა ჰაერში. გალიებში ჩიტები მოკუნტულიყვნენ და ეძინათ, კედლებიდან ფერადი სურათები იყურებოდნენ. ფანჯრისა და ფანჯრის შუა პატარა კოხტა ეტაუერკა იყო მიღმული, რომელზედაც ლამაზი, წამლებისაგან დარჩომილი, კოლოფები, ფაიფურის ფრინვლები, სააღღვიმო შაქრისა და შუშის ფერად-ფერადი კვერცხები და სხვა წურილმანი რამები ელავა. სუყველა ეს ილიას ძალიან მოსწონდა და სულსა და გულს რაღაც სასიამოვნო ჭმუნვით უვსებდა.

მაგრამ ხანდახან კი,—მით უმეტესად მაშინ, როცა მარჯვე დღე ვერ შეხვდებოდა,—ეს ჭმუნვა რაღაც მოუსვენარ გრძნობად შეესცვლებოდა ხოლმე; ეს ფრინვლები, კვერცხები და კოლოფები ბრაზსა ჰევრიდნენ და აშმაგებდნენ; ამისთანა წუთებში მას უნდოდა მისულიყო, გადმოეყარა სუყველაფერი

ძირს და ფეხით გაენადგურებინა. ამისთანა გუნდებაზედ დადგომა კიდეც აკვირვებდა და კიდეც აშინებდა ილიას: მას ვერ გაეგო მისი მიზეზი და ეგონა, ეს გრძნობა ჩემი კი არა, სხვისია და მე ჩემად მეჩვენებაო. როცა მოუვლიდა ეს გრძნობა ერთს წერტილს დააშტერდებოდა და ისე დამუნჯდებოდა, რომ ერთ კრინტსაც კი არ დასრულდა, რადგან ეშინოდა არაფერი წამომცდეს და ამ ტკბილ და ზრდილობიან ხალხს არა ვაწყენინო რაო. მაგრამ ერთხელ კი, ქალალდის თანაშობის ღროს, თავი ვეღარ შეიავა და უკმეხად დაეკითხა კირიქს:

— ვაჭრის მკვლელის შესახებ აღარაფერი ისმის ნეტა?— დაეკითხა და რაღაც სიამოვნება იგრძნო გულში.

— პოლუეკტოვისა?— დაეკითხა ფიქრებში გართული და ქალალდებში ჩაწერებული კირიკი და იმ წუთშივე გაიმეორა:— პოლუეკტოვისა? ვვა, ვა, ვა... არა, მე ვერ ვიპოვნე პოლუეკტოვი— ვვა, ვა, ვა... ვერ ვიპოვნე, ჩემო მეგობარო... ესე იგი პოლუეკტოვი კი არა, ისა, ვინც პოლუეკტოვი მოჰქმდა. . მე არც მიძებნია და ვერც ვიპოვნე... და არც საქოროა ის ჩემთვის... მე მხოლოდ ის მინდა გავიგო— რომელს უჭირავს ეხლა ყვავის ქალი? ყვავი, ყვავი, ყვავი! შენ, ტანია, სამს მოხველი ჩემთან— ჯვრისა, აგურის ქალი და მესამე რაღა იყო?

— აგურის შვიდიანი... ჩქარა, ნუ კი დაგეძინა.

— ჩიყლაპა, რაღა ჩიყლიპა აღამიანი— აღარც გზა სიანს იმისი და აღარც კვალი!— სთქვა ილიამ და ტუჩებში ჩიყინა.

მაგრამ უბნის ზედამხედველი ყურადღებას არ აქცევდა მის ლაპარაქს, რადგან იმ ფიქრით იყო გატაცებული— რას მივიდე, რომ მივაღებინოვ.

— ჩიყლაპა,— გაიმეორა კირიკა.— ეგრე კი გააპარჭიკეს პოლუეკტოვი— ვვა, ვა, ვა...

— კირია, დაანებე, თუ ღმერთი გწამს, შენ „ვას“ თავი,— უთხრა ცოლმა.— მოდი ჩქარა, რაღას უყურებ?

— დამაცა, დამაცა!

— მარჯვე ყოფილა, როგორც ეტყობა, იმის მკვლელი!— მაინც არა სცხრებოდა ილია. ის, რომ მის სიტყვებს ყურად-

ლებას არ აქცევლნენ, უფრო აგულებდა და მკვლელობაზე ლაპარაკის სურვილს უღვიძებდა.

— მარჯვე? — გააგრძელა უბნის ზედამხედველმა. — ის კი არა, მარჯვე მე ვყოფილვარ! აბა მიიჩოვი!

სოქვა და ხუთი ქალალდი დაუნარცხა წინა. ილიამ ვერ გასჭრა და „დურაკი“ დარჩა. ცოლქმარნი დასცინოდნენ, რაც უფრო მეტად ახელებდა ილიას. ქილალდის დარიგების დროს, ჯიბრით, მინც იმ საგანზე განაცრძო ილიამ ლაპარაკი:

— კაციმა შუადღისას, დიდ ქუჩაზე რომ მოჰკვდის კაცი — ამისათვის დიდი ვაუკაცობა და გულადობაა საჭირო...

— ბედი და არა გულადობა, — გაუსწორა ტატიანა ვლა-სოვნამ.

ილიამ გადახედა ქალსაც, მის ქმარსაც, გაიცინა და დაე-კითხა:

— მოჰკვდა — ბედია?

— ჰო და რა! ესე იგი მოჰკვდა და ვერ დაგიჭირონ.

— ისევ მე მომარტყეს იგურის კიკო! — სოქვა კირიკმა.

— მე კი უფრო მომიხდებოდა! — სოქვა ილიამ უქუმრად.

— მოჰკალით ვინმე და მოგარომევენ! — დაპირდა ტატიანა ვლასოვნა და ქალალდებს ჩააჩერდა.

— დიალ! მოჰკალი და მოგარომევენ მაუდის კიკოსა, სანამ კი ქალალდისა იქმარე! — უთხრა კირიკმა და ხითხითითა და სიცილით წინ ორი ათიანი და ავურის კიკო დაუნარცხა.

ილიამ ერთი კიდევ გადახედა მათ კმაყოფილ, მხიარულ სახეს და მკვლელობაზე ლაპარაკის სურვილი სრულიად დაჰ-კარგა.

ამ ბედნიერ და კმაყოფილ ხალხის გვერდით, სუფთა და მშვიდ ცხოვრებისაგან მხოლოდ თხელი კედლით გაყოფილ ილიას უფრო-და უფრო ხშირად ეწვეოდა ხოლმე სევდა და გულს კმუნვით უცხებდა. ცივ წყალსავით ჩაესხმოდა ხოლმე სევდა გულში და ვერ გაეგო, საიდან მომდინარეობდა ეს ვერანი და ასე რად უწიმლავდა ცხოვრებას?

ამასთან ერთად ცხოვრების უგუნურობის და უსამართლო-ბის ფიქრის აწუხებდნენ და გაკვირვებული ეკითხებოდა თავის

თავს: რისგან არის, რომ ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ სუკველაფერს ჰქედავს და ყველაფერი იცის, მაინც არა სჯის დამნაშავეთ და ამდენხანს ითმენს... რაღას უცდის?

სევდისა და შავი ფიქრების გადასაყრელიად ილიამ ისევ კითხვას მიჰყო ხელი; დიასახლისს „ნივის“ რამდენიმე წიგნი და რაღაც დაშლილ-დაფხრეწილი წიგნები ჰქონდა სახლში.

ეხლაც ისევე, როგორც წინათ, სიყმაწვილეში, ილიას მხოლოდ ის მოთხრობები და ამბები მოსწონდა საკითხავად, რომლებშიც სხვისი, მისთვის უცხო და უცნობი ცხოვრება იხატებოდა და არა ისინი, რომლებშიც ის ნამდვილი და უსამართლო ცხოვრება იყო დასურათებული, რომლითაც თითონვე სცხოვრობდა. როცა ნამდვილი ცხოვრებიდან ამოღებული ამბავი შეხვდებოდა, მოთხრობაში მაღლ მოსწყინდებოდა ხოლმე მისი კითხვა, რადგან არა სჯეროდა, თუ მათში სიმართლე ყოფილიყო დაცული; ამისთანა მოთხრობანი ხან აცინებდნენ და ხან აფიქრებდნენ—ამ მოთხრობებს ვიღაც გაიძვერები თუ დასწერენ, რომ უფერულს და მძიმე ცხოვრებას შნო დი ლაზათი მისცენ და ცოტათი არის მაინც შეალამაზონო. თითონ კი ცხოვრებას უკვირდებოდა და, რაც დრო და უამი გადიოდა, უფრო კარგად იცნობდა, რასაკვირველია. ქუჩა-ქუჩა ხეტიალის დროს ის ხშირად წააწყდებოდა ხოლმე ბევრს ისეთ რამეს, რაც ჭრიტიკისა და გაკაცხვის გუნებაზე აყენებდა. მას, მერე მივიღოდა საავადმყოფოში და სიცილით ეტყოდა ხოლმე პავლეს:

— წეს-წყობილება!.. ამას წინად დურგლები მოღიოდნენ ფილაქინზე. უცბად პოლიციელი გადაელობა გზაში—ა, თქვე ასეთო და ისეთებოთ! და საწყლები ქვეით კი ჩარევა, მითომ იქ იარე, შაცა ცხენები დაიარებიან, თორებ ბატონებს გასერი შენი მოსვრილი ტანსაცმელითო... სახლი ამიშენე და მერე ნურც კი დამენახვებიო... ესე გამოდის რაღა? ხა, ხა, ხა...

პავლეც მაღლ აღიგზნებოდა და უფრო შეუკეთებდა ხოლმე ცეცხლსა. საცოდავი ისე იტანჯებოდა საავადმყოფოში, როგორც სატუსალოში, შავი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ და თვალები მუდამ ბრაზითა და ნაღვლით ჰქონდა აღგზნე-

ბული. იმის მუდმივი ფიქრი და დარღი,—სად არის ეხლა ვერა  
 და როგორა სცხოვრობსო—სანთელსავით აღნობდა საცოდავს.  
 იაკობ ფილიმონოვი როგორდაც არ მოსწონდა პავლეს და,  
 მიუხედავათ იმისა, რომ ხმის გამცემი სხვა არავინა ჰყავდა,  
 მაინც ერიდებოდა ამხანაგს.

—ეჭ, წავიდეს ერთი და! სულელია, მგონი... მიუგო ილიას,  
 როცა უკანასკნელი დაეკითხა: რატომ იაკობს არა წყალობო?

იაკობი კი, რომელსაც ორი ნეკნი გამოაჩნდა გატეხილი,  
 იწვა საავადმყოფოში და ქიოფობდა: ის თავის მეზობელ ავად-  
 მყოფს, ეკვლესის დარაჯს, დამეგობრებოდა, რომლისთვისაც  
 დიდი ხანი არ იყო, რაც ფეხი მოეჭრათ. ეს ტან-დაბაძი, სქელი  
 თავ-მოტვლებილი და გრძელი, მკერდისაც დევნილი შავ-წვერიანი  
 კაცი იყო. წარბებიც ულვაშებსავით ხშირი და დიდრონი ჰქონ-  
 და და ლაპარაკის დროს ისინიც წვერსა და ულვაშებსავით  
 ერხეოდნენ ხოლმე; ხმა-კი ისეთი სამარისებური ყრუ ჰქონდა,  
 რომ, როცა ლაპარაკობდა, კაცს ეგონებოდა ეს ხმა ავადმყოფის  
 მუცელში ისმისო. რამდენჯერაც მოვიდა ილია საავადმყოფოში,  
 იაკობს სულ იმ ავადმყოფთან ჰქონდავდა. ეკვლესის დარაჯი  
 იწვა და გაჩუმებული წარბებს არხევდა, იაკობი დარაჯსავით  
 უჯდა თავით და ნახევარის ხმით დაბადებას უკითხავდა.

„ამ დამით დანგრეულ და განადგურებულ იქნება არ-მოავი!  
 ამ დამით დანგრეულ და განადგურებულ იქნება კირ-მოავი!“

ბოლოს დროს იაკობს ხმა ისე დაუსუსტდა და დაუხრინწი-  
 ანდა, რომ ხერხის ჭრაჭუნს მოაგონებდა ადამიანს. კითხვის დროს  
 მარცხენა ხელს მაღლა იშვერდა, თითქოს უველი ავადმყოფებს  
 იწვევს—ისაიას წინასწარმეტყველებას უური უგდეთო. ცემისაგან  
 დარჩომილი ლურჯი ლაქები ჯერ არ გაჰქონდონენ სახეზედ  
 და მათში შავათ გამომყურალი, ოცნებით გატაცებული თვა-  
 ლები რაღაც საში შრად ჰქონდნენ მის სახეს. დაინახავდა თუ  
 არა მომავალ ილიას წიგნს, დააგდებდა და ყოველთვის ერთ  
 და იმავე კითხვას აძლევდა მოუსცენრად:

— მაშიკო ხმა არ გინახავს?

ილიას მაშო არ ენახა.

— ღმერთო! — შესძახებდა ხოლმე დალვრემილად იაკობი: — როგორ ყველაფერი ზღაპარსაცითა ჰქონდება! იყო, უცებ კუდი-ანმა ჩატყლაპა და ეხლა იღარა... გაჭრა...

— მამაშენი არ იყო? — დაეკითხებოდა ილია.

— იყო... კიდევ იყო...

იაკობს სახე შეუთამაშდებოდა და შეშინებული თვალები გაუელვებდნენ.

— ერთი გირვანქა კრენდილი და ჩიო-შაქარი მომიტანა. გეყოფა გორაობა, დროა გამოეწეროვო! მე კი ექიმს შევეხვეწე, ჯერ ნუ გამომწერთ, თუ ღმერთი გრწამო-მეთქი... რა კარგია აქ... სიჩუმე და სიმშვიდე... აგრე ნიკიტა ეგორის დაბადება აქს და ვკითხულობთ ერთად. თითონ შეკიდი წელიწადი უკი-თხნია, სულ მთლად ზეპირად იცის და წინასწარმეტყველების ახსნაც შეუძლიან... მოვრჩები და ნიკიტა ეგორისთან დავიწ-ყებ ცხოვრებას, მამას თავს დავანებებ! სამუშაო რაც ექნება, დავეხმარები და მარტენა კლიროსზედ ვიგალობებ ხოლმე...

ეკკლესიის მოსამსახურე წარბებს აიწევდა; მათ ქვეშ მსხ-ვილი, შავი თვალები შეინძრეოდნენ დინჯათ და მშვიდათ, უშფოთერათ დააცემერდებოდნენ ილიას. ილიას უნდოდა ამ დროს როგორმე ჩამოშორებოდა და მათი სხივი როგორმე აეცდინა თავიდან.

— ოჲ, რა კარგი წიგნია ეს დაბადება! — ყელში მობჯენილ სიამონებით შესძახებდა იაკობი და მაშოც, მამაც და თავისს ოცნებაც კი დაავიწყდებოდა ხოლმე იმ დროს: — რაები სწერია, რომ იცოდე, რა სიტყვებია!

მისი განიცრად დალებული თვალები ხან წიგნს დასცე-როდნენ, ხან ილიას და მეტის-მეტი სიხარულისა და სიამო-ნებისაგან იაკობი თრთოდა და ცაცცახებდა სულ მთლად.

— ისიც არის, — გახსოვს დუქანში სოჭვა ერთმა კაცმა მეთქი, რომ გეუბნებოდი: „მშვიდ არიან სახლნი მტაცებელისანნი. “ არის, ვიძოვნე! მაგაზე უარესებიც ბევრია!

და თვალებ დახუჭული, ხელ-მაღლა შეშვერილი შესძა-ხებდა საიდუმლოდ:

„განა ხშირადა ხდება, რომ ცოდვილს სანათი ჩაუქრეს და  
 ღვთისგან მოვლენილი რისხეა ეწყიოს?“ — გესმის? იტყვი:  
 ღმერთი ითმენს, რომ მის შეილებს მოუვლინოს დამსახურებული  
 საჯელიო, მოუვლინოს მასვე რომ გაიგოს...“

— ნუ თუ პირდაპირ იგრეა ნათქვამი? — დაუჯერებლივ  
 დაეკითხა ილია.

სწორედ ესრე!..

— ჩემის აზრით, ეგ... არ ვარგა და მაგისთანა სიტყვების  
 გაფონებაც კი ცოდვაა! — მიუგო ილიამ.

უფეხოს წვერი შეერხა და გარკვევით, ყრუ და რაღაც  
 საოცარი ხმით წარმოსთქვა: — კეშმარიტების და სიმართლის  
 ძიება არა არს ცოდვა, ვინაიდგან ღვთისგან მოიცემის.

ილია შეკრთა. უფეხომ კი ღრმად ამოიოხრა და უფრო  
 მკაფიოდ განაგრძო:

— კეშმარიტება ოვითონ იზიდავს ადამიანს თავისკენ და  
 ეუბნება — მეძიეო და ვინაიდგან კეშმარიტება არს ღმერთი, მისი  
 ძიება არც შეიძლება, რომ ცოდვა იყვეს.

ავალმყოფის ხშირი ბანლით მოსილი სახე და მისი მკაცრი  
 გამომეტყველება ილიას პატივისცემას და კრძალვას უნერგავდა  
 გულში: ამ სახეში რაღაც დიადი და მკაცრი იხატებოდა.

აგრე წარბები ისევ შეეშმუშლნენ ავალმყოფს და მსხვილი  
 ოვალები კერს მიებჯინნენ.

— იაშა, წაუკითხე მაგას იობის წიგნის მეათე თავის  
 დასაწყისი...

იაკობმა ხმა ამოულებლივ, აჩქარებით მიჰყო ხელი დაბა-  
 დების ფურცელის და წუთს შემდევ ნელის, მაგრამ აცახცახე-  
 ბულის ხმით წაიკითხა:

„შესძაგლა სულსა ჩემსა ცხოვრება ჩემი, მივეცემი ნაღველსა  
 ჩემსა და ვიტყვი სიმწარითა სულისა ჩემისათა შეპყრიბილი  
 ღვთისა მიმართ: ნუ მასწავებ მე წმიდებად და მითხარ რისათვის  
 დამსაჯე მე ესრეთ? განა კეთილ არს შენდა უკეთუ კიურეო  
 მართალი, და შეიძულო ქმნილი ხელთა შენთასა?..“\*)

\* ) სამღვრო სჯულიდგან მოყვანილი ადგილი ადგილი გასაგებად გადა-  
 ვაკეთეთ, თუმცა ქართული დაბადება ხელში გეჭონდა და შეგვეძლო პირდა-  
 პირ დაბადებიდგან მოვევევანა 2) იობის წიგნი X, 1—3. 1) — იობის წიგნი.

ილიამ კისერი წაიშა და თვალების ხამხამით წიგნში ჩაიხედა

— არა, არა გჯერა? — შესძახა იაკობმა: — სულელო!

— სულელი კი არა ფრთხალია და მშიშარა! — მშვიდათ წარმოსთქვა ავადმყოფმა — ვერა ჰედავ, ლვთისთვის თვალი ვერ გაუსწორებია? .

სთქვა, მძიმედ გადმოატრიალა თვალები და ისე მკაცრად გადახედა ილიას, რომ კაცს ეგონებოდა, თვისი ულმობელი და ცივი სიტყვებით გასრუსას უპირებს ცოდავსაო.

— მაგაზედ უარესებიც ბეჭრია — განაგრძო კვლავ ავალ მცოფმა. — მესამე მუხლი ოც და მეორე თავისია გვეუბნება: „რაში ეკითხება უფალს, უკეთუ შენ ჰყავ საქმენი შენნი უბიშო, ანუ სარგო? და განა სარგებელ არს მისდა რამეთუ ლიტონ ჰყავ გზანი შენნი?“ დიდი ფიჭრი და გულის ყურია საქირო, რომ კაცი არ დახლართოს ამისთანა სიტყვებში და გაიგოს მათი მნიშვნელობა.

— თქვენ კი გესმით? — ნელის ხმით დაეკითხა ლუნევი.

— მაგასა? — შესძახა იაკობმა: — ნიკიტა ეგორის სუყველაფერი ესმის!

მაგრამ ავადმყოფმა უფრო დაიმდაბლა ხმა და წარმოსთქვა:

— ჩემი ღრო წავიდა... მე ეხლა სიკვდილი უნდა მესმოდეს მხოლოდ... ფეხი მომჭრეს და აგრე სულ მთლად გსივდები... გულიც მისიეს... საკაა მოვკვდები...

მისი თვალები, თითქოს ჭახრაკს უჭრედნენ ილიას გულსაო, ისე ავიწროებდნენ და აწუხებდნენ მას, მაგრამ ავადმყოფი კი მშვიდათ და დალიაგებით განაგრძობდა:

— ჯერ კი არ მინდა სიკვდილი, ლვთის წინაშე... იმიტომ რომ ჩემი დღენი ტანჯვასა და ვაებაში გავატარე და მთელ ჩემ სიცოცხლეში ერთხელ არ მიგრძნია სიხარული; სიყმაწვილითვე მძიმე მუშაობასა და ლუკმა პურის ვაითა და ვაგლახით შოვნაში ჩავიკალ თავი და გარდა იმისა იაშასავით მამის ხელქვეით ვიყავი. მამა ლოთი და მხეცსავით შეუბრალებელი მყავდა... სამჯერ თავი გამიჩეხა და ერთხელ ადუღებული

წყლით ფეხები დამიფუფქა. დედა ორა მყავდა: მუცელს გადა-  
ჰყოლოდა. დავსახლკარიდა—ცოლი ისე ვეჯავრებოდი, რომ  
ძალა არ დაეტანებინათ, არც კი გამომყვებოდა... მაგრამ რა?  
მესამე დღეს კი მაინც თავი ჩამოიხრჩო. დიალ... სიძე მიყავდა  
და გამხარცვა, დამ კიდევ მომახალა, ცოლის უდროოდ სიკვდილი  
შენი ბრალიაო, შენ მიიყვანე იქმდინაო. სუყველნიც ეგრე  
ამბობდნენ, თუმცა ყველამ კარგათ იცოდა, რომ მე თითოც კი  
არ დამიკარებია მისთვის და ისევე ქალწული ჩაძალლდა, როგო-  
რიც ჯვრის-წერამდის იყო. „როგორც იყო, ცხრა წელიწადი  
გავატარე მას შემდეგ, მარტო-მარტომ. საშინელია მარტო-  
ობა!.. სულ სიხარულს მოველოდი, იმედი მქონდა კიდევ,  
მაგრამ აგრე ვკვდები ეხლა.—ავადმყოფმა თვალები დახუჭა და  
პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ დაეკითხა:

— აბა გამოიცანი—რისთვის ვიცხოვრე?..

ილია მის მძიმე და სევდიან ლაპარაქს ფერ წასული და  
გულ :ძერებული უგდებდა ყურსა. იაკობს სახე მოეღუშა და  
თვალებზედ ცრემლები უელავდნენ. ორთავენი სდუმდნენ.

— რისთვის ვიცხოვრე-მეთქი, გეკათხები?.. უსამართ  
ლოდ დამსაჯა ღმერთმა... მე არა ვთხოვ მას, რომ განმიგრძოს  
სიცოცხლე... მე მხოლოდ ის მინდა გავიგო, რისთვის ვიცხოვ-  
რედ-მეთქი?

ავადმყოფს ხმა ჩაუწყდა. იგი ისე უცებ შესწყდა, თით  
ქოს მღერიე რუ მოჩხრიალებდა, მაგრამ დედამიწამ პირი უყო  
მოულოდნელად და შთანთქვაო.

„ვინაითგან ვინც ცოცხალთა შორის იმყოფების, მას კი-  
დევ აქვს სასოება და იმედი, რამეთუ ძალი ცოცხალი უკუ-  
თეს არს უფროს ლომისა მკვდრისასა“,\*)—ავადმყოფმა სიჩუმე  
ველარ აიტანა და ისევ დაიწყო. წარბები და წვერი კვლავ  
შეერხნენ და კვლავ გაისმა მისი ყრუ, სამარისებური ხმა:

— იქვე, ეკკლეზიასტში, ნათქვაია:

\*) ეკკლეზია: ტი IX, 4.

„დღესა შინა კეთილობისა მისისა ცხონდი კეთილსა ნა, მხოლო დღესა ბოროტისასა იტყოდე — ყოველიმცა ეს ჰქმა უფალმან მისთვის, რათა არა პიონი კაცმან უკანით მისით არა რად...\*)...\*\*)...\*\*\*

მეტი კი ვეღარ შესძლო ილიამ. ის უბმაუროდ წამოდგა, ჩამოართვა იაკობს ხელი და ავადმყოფს ისეთი მდაბალი სალმი მისცა, როგორითაც მხოლოდ მომაკვდავს ესალმებიან ხოლმე. მას თითონ არ უნდოდა ესეთი სალმის მიცემა, მაგრამ როგორ-ლაც მოულოდნელად და შემთხვევით გამოუვიდა ასე.

ილია წავიდა, და თუმცა მოშორდა ამ საოცარ ავადმყოფს, თან მაინც რაღაც უცნაური და უცნობი გრძნობა გაჲყვა. ის მძიმე ლოდსავით დასწოლოდა გულზედ და სულს უხუთავდა. ავადმყოფის ლაპარაკმა არც ერთი ნათელი და აშერა აზრი არ ჩაუსახა გულში, მაგრამ მისი დაღვრემლი და წამებული სახე კი მგონი სამუდამოთ ჩაესახა და ჩაუჯდა ხსოვნაში. აგერ, ერთი კაცი კიდევ მიემატა ცხოვრებისაგან შევიწროებულთ და ნაწყენთ ადამიანთა ჯგუფსა, იმ ჯგუფს, რომელსაც ილია კარგად იცნობდა და დიდი ხანია თვალს ადევნებდა. ილიას ახსოვდა ავადმყოფის ყოველი სიტყვა და ბევრი აბრუნა, ბევრი ატრიალა, რომ როგორმე გუეგო მათი საიდუმლო აზრი. ისინი ცეცხლსავით სწვავდნენ მის აღგზნებულ გულს და რაღასაც უმღვრევდნენ სულის იმ სილრმეში, სადაც წმიდათა წმიდასეებრ ინახავდა ლვთის სამართლისა და ჰეშმარიტების რწმენას. და თუმცა ვერ გაეგო მათი აზრი და მნიშვნელობა, ისინი მაინც იმ მსუსხავ ფიქრებს უდვიძებდნენ, რომელნიც უკან, გამოვლილსა და ნანახ-გავრ-ნილისკენ ახედებდნენ და წარსულ ცხოვრებას ავონებდნენ.

ილიას ეგონა, ლვთის სამართლის რწმენა, რომელიც მუდამ ძლიერი იყო ჩემში ოდესლაც, ჩემთვისვე შეუმჩნევლად, შემ-რყევია და ეხლა მისი სისპერაჟე და ძალა სამუდამოთ გამჭრალან ჩემთვისო: ეს ძლიერი რწმენა რაღასაც გამოუხრიდს და შე-ჟემია იმ გვარათვე, როგორითაც უნგი სჭამს ხოლმე რკინისაო.

\* ) გეგლებისტი VII, 14.

ილია ცხადათა ჰერმობდა, რომ ეს ცვლილება მართლა მოხდა მის სულსა და გულში: ამის თავმდები ავადმყოფის სიტყვებით აფორიაქებული და ამღვრეული სული იყო. მის გულში რა- ლაც წყალსა და ცეცხლსავით შეუერთებელი და შეუტან- ხმებელი ჰპობოქროდა და ჰლეწავდა იქაურობას. მათ გავ- ლენის ქვეშ ილიას კვლავ დაებადა მთელის წარსულის, ხალ- ხის და ესრე უგვანოდ მოწყობილ ცხოვრების სიძულვილი.

ბრაზ-მორეული და გაშმაგებული ილია ჰფიქრობდა:

„ისე იდგამენ ფიქრნი ჩემ გულში ფეხსა, როგორც ფესვი დედამიწის გულში, მაგრამ ნაყოფი კი არსადა სხანს!..“

ილიას უნდოდა, რაც შეიძლებოდა, მალე ამოეგლიჯნა ყველა ეს თავის არსებიდან და შორს, შორს გაეტყორუნა, რომ დროზედ შესდგომოდა სუფთა, მშვიდ და განმარტოებით ცხოვ- რებას.

„უნდა ვეცადო, აღარ წავეჩირო ხოლმე ხალხში. ამისგან არც მე და არც იმათ ხეირი არ გვეყრება. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!..“

დიდი ხანი იარა კიდევ ქუჩებში და ბოლოს დაღალულ- დაქანცული და დაღვრემილი დაბრუნდა სახლში...

ავტონომოვები უფრო და უფრო ტკბილად და ალერსია- ნად ექცეოდნენ. კირიკი მამობრივ დაარტყამდა მხარზედ ხელ- სა, გამოეხუმრებოდა და ეტყოდა ხოლმე:

— წვრილმანს გამოსდეგომიხარ, ჩემო ძმაო, შენისთანა თავ-დაქერილი და კვეიინი კაცი უფრო დიდს და კი საქმეს უნდა იდგეს. რადგან კაცს თუ ბოქაულის ღირსებები აქვს— უბნის ზედამხედველად აღარ შეჰვერის ყოფნა.

ტატიანა ვლასოვნა კი დიდის ცნობის მოყვარეობით ეკი- თხებოდა—როგორ მიდის თქვენი ვაჭრობა და თვეში რამდენს იგებთო და ყოველთვის, მოუყვებოდა თუ არა ილია თავის ვა- ჭრობის ამბავს, ქალი დიდის ყურადღებით უსმენდა. ილია სია- მოვნებით ეუბნებოდა ყველაფერს და თან-და-თან უფრო მეტს ჰატივსა სცემდა მას, რადგან ჰხედავდა, რომ უბრალო და წვრილ-

მანის რამეებიდან მას ასეთი ტკბილი და სუფთა ცხოვრების  
შექმნა შეეძლო....

ერთ დღეს, ვარამ-შემოწოლილი რომ იჯდა ილია ფანჯა-  
რასთან და ოლიმპიადაზედ ჰიტირობდა, ტატიანა ვლასოვნა  
სამზარეულოში გამოვიდა და ჩაიზედ მიიწვია. ილია გაჰყვა, მა-  
გრამ უგულოდ კი: მას არ უნდოდა თვის ფიქრებს მოშორე-  
ბოდა და ლაპარაკიც ეზარებოდა. სახე მოღუშული და ხმა-ხა-  
კმენდილი მოუჯდა ილია მაგიდას და მასპინძლებს გადახედა.  
მათ სახე გაპირწინვებოდათ და, ეტყობოდა, რაღაც ფიქრებს  
გაეტაცნათ. მასპინძელნიც ხმა გაკმენდილნი ისხდნენ. სამოვა-  
რი ტკბილი ჩეუჩეუხებდა და რომელილაც, ახლად გამოვი-  
ძებული ჩიჭი, გალიაში ფრთხილიალებდა. კირიკი შეინძრა სკამ-  
ზედ, თითებით რაღაცა დაუკრა საინზედ და ნელის ხმით შეჰ-  
ლილინა:

— ტირ-რიმ, ტირ-რიმ, ტარ-რამ-რამ! ბუმ, ბუმ, ტრუ-  
ტუ-ტუ! ტრუ-ტუ-ტუ!..

— ილია იაკოვლევიჩ! — დინჯათ დაიწყო ქალმა: — მე და  
ჩემმა ქმარმა... ერთი რამე მოვიფიქრეთ... და გვინდა თქვენც  
მოგელაპარაკოთ...

— ხა, ხა, ხა! — უცბათ გადიხარხარა კირიქმა და ხელე-  
ბის სრესა დაიწყო. ილია შეკრთა და გაკვირვებულმა უბნის  
ზედამხედველს გადახედა.

— დამაცა, კირიკ! აბა სიცილის დრო რომ არ არის ეხ-  
ლა... .

— ჩვენ მოვიფიქრეთ! — ლიმილით შესძიხა უბნის ზედამხე-  
დველმა, ცოლზედ თვალი უყო ილიას და დაუმატა:

— გრიალური გოგრაა, სწორედ, ღმერთმანი!

— ჩვენ ცოტაოდენი ფული გვაქვს მოგროვილი, ილია  
იაკოვლევიჩ.

— ჩვენ მოვაგროვეთ! ხა, ხა, ხა! ჩემო ძეირ-ფასო!..

— კირიკ! გეყოფა! — მკაცრად შეუტია ტატიანა ვლასოვ-  
ნამ. მისმა სახემ უფრო ხმელი, უსიცოცხლო გამომეტყველება

მიიღო, რისგანაც ისედაც დაწევეტებული სახე უფრო დაუწევეტდა.

— ჩვენ ას თუმნამდის მოვაგროვეთ,—ნახევარის ხმით ამბობდა ქალი და თვალებ-ჩაშტერებით უყურებდა ილიას. ილია კი, თუმცა უნძრევლივ და მშეიდათ იჯდა, მაინც გულში რაღაც უფროთხიალებდა და მოუსცენრადა ჰერძნობდა თავსა.

— ეს ფული ბანკში გვაქს შენახული, რაშიაც თოხ პროცენტს გვაძლევენ...

— თოხი პროცენტი კი ცოტაა, ეშმაკმა წაიღოს იმათა თავი და კისერი!—შესძახა კირიკმა და ხელი დასცხო მაგიდას.— ჩვენ გვინდა...

ცოლმა შეაჩერა მკაცრის გადახდეთ.

— ჩვენთვის, რასაკვირველია, საქმარისია ეს პროცენტი, მაგრამ... ჩვენ გვინდა თქვენ დაგეხმაროთ და კაცად გამოგიყვანოთ... თქვენ ისეთი დინჯი და ჭირიანი კაცი ხართ, რომ...

აქ რამდენიმე კომპლიმენტი უთხრა ქალმა და განაგრძო:

— თქვენა სთქვით ერთხელ, სასამკაულო მიღაწია ოც პროცენტამდის მოგებას მისცემს კაცსა, თუ რიგიანად მოეწყო საქმეო. ჰო და ჩვენ შეგვიძლიან გასესხოთ საჭირო ფული, მხოლოდ ვექსილს ჩამოგართმევთ იმ პირობით, რომ პირველ თხოვნაზედვე გადაგვიხადოთ ეს ვალი და უსათუოდ ვაჭრობა კი დაიწყოთ ამ ფულითა. იგაჭრებთ ჩემის ზედამხედველობის ქვეშ და მოგებას კი შუაზედ ვავიყოთ. საქონელს ჩემ სახელზედ დავაზღვევთ და გარდა ამისა, ერთ პატარა ბარათსაც მომცემთ, რაც მხოლოდ ფორმალურ მხარედ უნდა ჩაითვალოს და რასაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. აი ესრუ... კარგათ მოისაზრეთ ყველაფერი და მითხარით: ჰო თუ არა?

ილია ყურს უგდებდა ქალის წერიალი, სუფთა ხმას და მაგრა ისრისავდა შუბლსა. ქალის ლაპარაკის დროს ილიამ რამდენჯერმე გადახედა იმ კუნძულს, რაღაც დაოქრული ხატი ბზინავდა და ორთავე მხრით ჯვრის წერის კელეპტრები ეწყო. მას არ უკვირდა, მაგრამ მაინც რაღაც მოუსცენრობას და თითქოს შიშაც კი ჰერძნობდა გულში. ამ წინადადებამ, რომე-

ლიც უცებ უხორციელებდა მას დიდი ხნის ოცნებებს, თვის მოულოდნელობით თან გამოაყრუა და თანაც გაახარა ყმაწვე-ილი. ის ეხლა დაფანტულად შეჰყურებდა პატარი ტანის ქალსა და ჰფიქრობდა:

„აი სად ამოჰყო თავი ბეღმა“...

ქალი კი დედობრივი კილოთი განაგრძობდა:

— კარგათ მოიფიქრეთ,—ნათქვამია, ცხრაჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერიო. შეგიძლიანთ და მოგწევთ თუ არა ამ საქმისთვის საჭირო ცოდნა და ღონევ? მერე ისიც გვითხარით— შრომის გარდა რა შეგიძლიანთ კიდევ შემოიტანოთ ამ საქმეში? მარტო ჩვენი ფული, რასაკვირველია, საკმარისი არ არის...

— მე. შეგიძლიან, — დაიწყო აუჩქარებლივ ილიამ,— ჩემ წილად ხუთასიოდე მანათი დავუმატო თქვენსას. ბიძა ჩემი მომცუქმს... ბიძა მყავს... მე გითხარით, მგონი... ის მომცუქმს! იქნება მეტიც მომცუქს...

— ურ-რა! — შექმრიალა კირიკ ავტონომოვმა.

— მაშასადამე, თანახმა ხართ? — დაეკითხა ტატიანა ვლა-სოვნა.

— მე... თანახმა ვარ! — ძლიერ წარმოსთქვა ლუნევმა.

— მე კი არ ვიცი! — შესძიხა უბნის ზედამხედველმა, ჩაიყო ჯიბეში ხელი და ხმა-იალლა, ალფროთვანებით დაიწყო. — მაშ ეხლა კი შამპანიურ ღვინოს დავლევთ! შამპანიური-მეთქი, ეშმაკმა წაიღოს ჩემი სული და ტანი! ილია, გაიქე და ემან-დედან შამპანიური მოგვირბენინე, გადავხუხოთ ერთი!.. აპა, ჩვენა გპატიებთ. დონის შამპანიური მოითხოვე, ოთხაბაზ-უზალთუნიანი და უთხარი ავტონომოვს უნდა თქო— მაშინ ცა-მეტ შაურად მოგცემენ... აბა გაიქე, ჩქარა!

ილიამ ღიმილით შეხედა ცოლ - ქმრის გაბრწყინვებულ სახეს და წავიდა.

მიდიოდა ილია და გზაში ჰფიქრობდა გატაცებული — აგერ ბეღმა დამჩაგრა, ბევრი მამტვრია, სისახაგლეც ჩამადენინა და ეხლა კი თითქოს ბოდიშს იხდის ჩემ წინ, მიღიმის და მააზიზებსო... ეხლა კი მის წინ სუფთა და მშვიდ ცხოვრე-

ბისაკენ გზა გასხნილია; ცოტა კიდევ და დაიწყებს კიდევ სანა-  
 ტრელს ცხოვრებას და დაკოდილს გულს დაისაღმუნებას. მან  
 თუ ერთს მოუსპო სიცოცხლე, ეხლა ბევრს უშველის, ბევრს  
 შეუმსუბუქებს ცხოვრების ტფირთს და ამით გაუსწორდება  
 ღმერთის. ღმერთი სასტიკათ არ დასჯის: მან ცველაფერი ცის.  
 ოლიმპიადა მართალს ამბობდა: „ამ მკვლელობაში შენ იარა-  
 ღი იყავი და არა ძალა“ და, როგორცა სჩანს, თითონ ღმერ-  
 თიც უმართავს მას ხელსა და აგერ, დიდი ხნის სურვილსაც  
 კი უსრულებს ასე ადვილად. ფიქრი საოცარ მხიარულ ფერ  
 ხულს უვლიდნენ მის გრძნობა - გუნებაში და მისთვისვე გაუ-  
 გებარის ღონით და მხიარულებით უვსებდნენ გულსა.

ილიამ ცამეტ შაურიანი ღვინის ნაცვლად ნამდვილი შვიდ-  
 მანათონი შამპანიური მოიტანა.

— აჟო! — შესძახა ავტონომოვმა. — ეს მშვენიერია, ჩემო  
 ძმაო?!. აი ეს მესმის, დიალ, მესმის!

ტატიანა ვლასოვნამ კი სულ სხვა ნაირად შეხედა ამ  
 საქმეს. მან ნიშნის მოგებით გააქნია თავი, შეათვალიერა ბო-  
 თლი და ნაწყენის კილოთი წარმოსთქვა:

— ეს კაი ხუთი მანათიც ელირება და?! აი, აი აი, ილია  
 იაკოვლევიჩ, ეს კა ბავშვური საქციელია და თქვენგან ამას  
 არ მოველოდი!

ლუნევი კი ბეღნიერი იდგა მის წინ და ილიმებოდა:

— ნამდვილია! — სთქვა მან მთლად სიხარულით გაუღენ-  
 თილმა. — მთელს ჩემს სიცოცხლეში პირველად დავლევ ნამდვილ  
 შამპანიურს! რა ცხოვრება მჭონდა აქამდინ! — თაღლითი... ჭუჭ-  
 ყიანი და ტლანქი, ცველგან და ყველაფერში სივიწროე... გა-  
 ცრუებული იმედები, შეურაცხება და გულის ყოველნაირი  
 ტანჯვე, სიმწარე... განა ეს ნამდვილია? განა შეიძლება აღა-  
 მიანმა ამითი იცხოვროს?

ილია გულის იარას შეეხო, მის სიტყვებში გესლი და  
 შხამი ჩაესხნენ და თვალები ბუნდით აეცნენ; მწარე და გუ-  
 ლის სიღრმიდან ამოხეთქილი ოხერით განავრძო:

— მე ბავშვობიდანვე ნამდვილს ვეძებდი, მაგრამ როგორ  
 ვცხოვრობდი?.. როგორც ნაფოტი მდინარეში... ხან რას მივე-

ხეთქებოდი და ხან რასა... ყველაფერი, რაც კი მეხეჩებოდა გზაზედ, მღვრიე, მოსვრილი და მოუსვენარი იყო. ვერსად შევჩერდი... ირგვლივ დარჩს, უსამართლობას, ცარცუა - გლეჯას და ათასს სხვა სისაძგლეს... უცებ თქვენკენ ვადმომტყორცნა ბედმა. ჩემ სიცოცხლეში პირველად აქა ვნახე ჩუმი, მშვიდი და სიყვარულით შეზავებული ცხოვრება...

აქ გადახედა ნათელის ლიმილით და დაბალი სალამი მისცა ცოლ-ქმარს.

— გმადლობთ, დიდათა გმადლობთ! მე თქვენთან ვპოვე მხოლოდ შვება; თქვენთან ამოვისუნთქე თავისუფლიდ! თქვენ ხელს მიმართავთ და უეხზედ მაყენებთ! ეხლა კი წავალ სწორე გზით! ეხლა კი ვიცი, როგორც უნდა ცხოვრება! ჩემი საქმეც კარგათ წავა და არც სხვანი წააგებენ ჭკუასა... რამდენი უბედური ადამიანია ქვეყანაზედ! რამდენი იღუპება უსამართლოდ... ყველა ეს მე ჩემის თვალით მინახავს და კარგათ ვიცი...

ტატიანა ვლასოვნა ისე უყურებდა ილიას, როგორც სიმღერით გატაცებულ ჩიტს კატა შეჲყურებს ხოლმე. თვალებში რაღაც მწვანე ცეცხლი უკრთოდა და ტუჩები უცახახებდნენ. კირიქს კი ბოთლი ლაჯებში დაეჭირა და საცობს ებლაუჭებოდა. კისერი დასწითლებოდა, ყურები ენძრეოდნენ...

— ამხანაგებო... მე ორი ამხანაგი მყავს... ერთი გოგუცა...

ბოთლმა იქექა. საცობი ჭერს მიეხალა და მაგიდაზედ დაეცა. მისებან შერხეულმა და შეშფოთებულმა ჭიქმ წკრიალი მორთო...

კირიქმა ტუჩების ცმაცუნით დაამსო ჭიქები და დაიყვირა:

— აიღეთ!

როცა მისმა ცოლმა და ლუნევმა აიღს ჭიქები, იმანაც დაავლო მესამე ჭიქის ხელი, ასწია მაღლა და დაიყვირა:

— გაუმარჯოს ახალ ფირმას! „ტატიანა ავტონომოვა და ლუნევი“ — ურრა!

(შემდეგი იქნება)

# ხ ე ნ ი ტ ი \*)

რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის  
დროის ისტორიული რომანი

რ ა ც ც ი ს პ

(თარგმანი სომხურიდან)

(დასასრული)

XXXVIII

„განმანათლებელის ნიაგმა“ დაუბერა და იმ დღის ჯო-  
ჯოშეთური სიცხე საღამოს სიგრილეზე შესცვალა. ეს მწყა-  
ლობელი ნიავი არა მარტო ვაღარშაპატისა, არამედ არარატის  
მთელი ოლქის ცხოველ-მყოფელი სულია; ზაფხულობით ყო-  
ველ საღამოს დასისინებს და სიცხისაგან შეწუხებულ ქვეყა-  
ნას ლამაზათ აგრილებს. ტყუილათ-კი არ ამბობს ხალხის თქმუ-  
ლება, რომ ჩევნმა განმანათლებელმა მამამ თავის სამწყროს ეს  
ნიავი უწყალობა, რომ ჭირ სატკიფრები აეშორებინათ.

ნასაღილევის მომასვენებელ ძილის შემდეგ მონასტრის  
ბერებს თავიანთი ოთახები მიეტოვებინათ და წყვილ-წყვილათ  
დასეირნობდნენ ნერსესის ტბის გარშემო მყოფ ლამაზ ხევა-  
ნარში, რომელსაც დაბურული ხეები ჩრდილავდნენ. ერთი შე-  
ხედითვე შეატყობდით, რომ მოსეირნე სულიერი მამები სუ-  
ლიერათ შეერთებულ გუნდებს არ შეადგენდნენ, არამედ ყვე-  
ლანი განცალკევებულიყვნენ და წყვილებათ ანუ სათითაოთ  
დადიოდნენ. იგრინი იმ არსებათ ემსგავსებოდნენ, რომელნიც

\*) იხ. „მოამბის“ გვ-2 №-ზი 1903 წ.

ამხანაგურ ცხოვრებას შორს გაუტბიან მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთის სიახლოებისა ეშინიანთ. ეჭვისა, უთანხმოებისა და ერთურთის უნდობლობისა გამო განცალკევებულ ცხოვრებას წარმოადგენდნენ; — მაინც კიდევ გაიძახიან — მონასტრის ძმობაო!..

ტბა ერთ ხელოვნურათ ამაღლებულ ბექურზე იყო დაგუბებული; ბექური მთლათ თლი იღი ქვით იყო მოჭედილი. ამ ბექურიდან მოკიდებული ვიდრე წმ. გაიძნეს მონასტრამდინ სასაფლაო გადაწოლილიყო. რამდენსამე ადგილს საფლავსა სთხრიდნენ, ზოგგან-ეს მიცვალებულები საფლავში ჩაქვევნებინათ და მიწას აყრიდნენ. ერთი სიტყვით, წერაქვებისა და ნიჩბების ხმარება გაჩაღებულიყო. მღვდელი ლუღლუღითა და ლოცვების კითხვით, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ — ტყუილი დუდუნით ერთი საფლავიდან მეორისკენ გარბოდა და დამარხვის წესს ასრულებდა. განსვენებულებს არც მეგობრის ტირილი, არც მახლობლის ცრემლი არ აცილებდა საუკუნო სადგურამდე, თითქო ყველას გახარებია, რომ საბრალონი ტანჯვა-ვაებით სავსე ცხოვრებას მოშორებიან და განსვენება სამარეში უნდა ჰპოვონო. — ალაშკერტიდან გარდმოხვეწილთა მარხავდნენ.

— რა ძალიან ბევრი იხოცება! უთხრა ერთმა ბერმა გვერდით მყოფ ბერსავე.

— სულ ერთია, — მიუგო ამხანაგმა გულგრილათ, — იქ ქურთებსა და ოსმალოთ უნდა გაეყლიტათ, აქ თავისით მაინც იხოცებიან. — მაგრამ ჩვენ საუბრის საგანს გარდავხდით, განაგრძო გაწყვეტილი სიტყვა, — გიმეორებ, პე-ი სანდო კაცი არ არის. მოდის ჩვენთან, ერთგულ მეგობრათ გვეჩვენება, ვითომ თანაგრძნობასაც გვიცხადებს და ათას გვარ თინბაზობასა — ხმარობს; მაგრამ, იცოდე, ყველაფერი თალღითია, პირფერობითა სავსე; მარტო იმას ცდილობს, რომ ჩვენი საიდუმლო შეიტყოს და სადაც საჭიროა, დაგვასმინოს. ნამდვილი, ზედ გამოჭრილი ჯაშუშია. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ „მაღალსა იერუსალიმსა შინა“ ისეა მიღებული. ადვილათ შესაძლებელია იმედი აუცხადდეს, ჩქარა ეპისკოპოსიც შეიქმნეს და რომელიმე მდიდარი თემი (ეპარქია) მოიგდოს ხელში.

— ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ორს უკანასკნელ გარემოებას მაინც ვერ ეღირსება. „მეოთხე“ დაპირებაში ძლიერ ხელ გაშლილია, აღსრულებაში კი ღმერთმა შეინახოს! ვიდრე საჭაროა, მაგ საცოდავს ყველაფერს აფქვენებენ, შემდეგ კი კუდს მოაჭრიან, პანლურს ამოჰკრავენ და მაგის თანამდებობას თავიანთვის უფრო ხელისაყრელ პირს ჩააბარებენ.— შეხედე, ორი ახალი მიცვალებული კიდევ მოიტანეს...

— თუ ღმერთი გწამს, მიცვალებულებზე ლაპარაკს თავი გაანებე!— მაგრამ არც ის არის ნაკლები მელია, რომ მაგრე ადვილათ მოტყუვდეს.

— „პეტრიანი მელა ხშირათ ხაფანგში ორივე ფეხით ებმი. სო“— ნათქვამია.

— ჩუმათ, დევ ჯერ გაიარონ.

ხეივნარში მათს პირდა-პირ ორი სხვა ბერი მოდიოდა. პირველთ რომ დაუახლოვდნენ, იმათაც საუბარი შესწყვიტეს. ორნივ სინოდის წყვრები იყვნენ. ცოტა რომ გაშორდნენ, პირველებმა ლაპარაკი განაგრძეს.

— ვაჭრობა (ტორგი) ახლავე უნდა დავანიშნინოთ, ამაზე უკეთესს დროს ვეღარ ვიხელთებთ.

— რათა?

— იმათა, რომ კარგათ ვიცით სამონასტრო მამულებს იჯარით ვინც იღებს ხოლმე. ხომ იცი, რომ ამ მამულების მოიჯარადრეთ მუდამ ბ. ბ. ნ... მ... და ხ... ყოფილან? ამ უამათ ერთი მათვანი სხვა და სხვა საქმეზე აღექსანდროპოლ. შია, მეორე იგდირშია და მესამე კი ეშმაკმა უწყის, სად ჯან. დაბას წასულია. მათის აქ არ ყოფნით უეჭველათ უნდა ვისარგელოთ. თუ ვაჭრობა ახლავე დავანიშნინეთ, ცხადია, სათაელიანს დარჩება, რომელიც იჯარას თავის სახელით აიღებს და ჩვენთან კი საიდუმლო ამხანაგობა ექნება.

— მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ბ. სათაელიანს ამ ხელით იმდენი ნაღდი ფული არა აქვს, რომ გირაო ანუ საწინდე ფული წარადგინოს.

— ეგ მეც კარგათ ვიცი, მაგრამ ამ გარემოებამ ხელი არ უნდა შეგვიშლოს: საწინდე ფულს ჩვენ მიცემთ და იგი თავის სახელით წარადგენს.

— ნაღდათ გაქვს რამე?

— სარგებლიანი ქაღალდები მაქვს.

— სულ ერთია. მაში ხვალ კრებაზე ვაჭრობის შესახები ლაპარაკი უნდა აღვძრათ. მაგრამ მე უფრო იმისი მეშინია, რომ საქმე „მაღლიდან“ არ ჩაშალონ.

— ვერაფერსაც ვერ იყენება. განა ეგ „ჰოსტოსები“<sup>\*)</sup> ისევე არ იქცევიან, როგორც ჩვენა ვფიქრობთ? და თუ, ვინიც კობა, ის „პატარა ქაჯი“ საქმეში ხელს გაურევს, მაშინ ყურ. ში ერთ რასმე ვეტყვი და მაშინვე ჩაჩიმდება.

ამ გვარათ ეს სულიერი მამები „მმობაში“ არსებულ ხრიკიანობაზე ლაპარაკობდნენ, ზოგი თავიანთ ფარულ „სპეცულიაციებზე“, მაგრამ იმასკი ყურადღებას არავინ აქცივდა, გარშემო რა ჰქონდებოდა; არც ერთს ფიქრათ არ მოსდიოდა, თუ სამშობლო ქვეყანას მოწყვეტილი ალაპერტელები უცხო მხარეს უპატრიონოთ, ყველასაგან მიტოვებული როგორ ბუზებივით იქლიოტებოდნენ! არც არა იმ გარემოებისთვის მიუქცივია ვისმე ყურადღება, თუ ამ უბედურთა გადმოსახლება რამ გამოიწვია, ან ამ უცხო და უცნობ ქვეყანაში იმათი ბოლო რა უნდა ყოფილიყო?

ტყეში, ხეების ქვეშ, ზაფხულის ყოველ საღამოს ჩვეულებისამებრ რამდენსამე ბერს შშევნიერი ხლიხები გაეშალა, ზედ დამსხდარიყო და ჩაის შეექცეოდა. იქვე, ცოტა მოშორებით ყმაწვილი დიახოები ჩაის სამზადისს აწესრიგებდნენ; თან ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, იცინოდნენ და ლაზლანდარაობდნენ. სულიერ მამებს არც ნაღები, კარაქი, თეთრი პური, რომი და სხვა ჩაის შესაქცევარი სურსათი დავიწყებოდათ, საღამოს სიგრილისა და ტყის სუფთა ჰაერის წყალობით მაღა გადვიძებოდათ და გემრიელით შეექცეოდნენ. სვამდნენ, სქამდნენ, მხიარულებდნენ და იმაზე-კი სრულიად არას ფიქრობ-

<sup>\*)</sup> „ჰოსტოსს“ იმას უწოდებენ, რომელიც საზოგადო საქმეს უდგათავში, მოღვაწის სახელს ატარებს და ნამდვილათ-კი მხოლოდ პირად ანგარიშებს ემსახურება. რაღაც შესაფერი ქართული სიტყვა ვერ გამოვუნახეთ, ამიტომ ისევ სომხური დავტოვეთ. მთარგმნელი

დნენ, რომ იქვე ტყეში სწორეთ იმავე დროს გარდმოხვეწილთა მრავალი მშეირ-ტიტველი და ავაღმყოფობისაგან მისუსტებული ოჯახი იყო მიწაზე დაყრილი...

— რა კარგი რომია და თან რა მშვენიერი სუნი აქვა! მამაო, საიდანა გაქვთ მიღებული? ჰკითხა ერთმა ბერმა მეორეს და თან რომ-შერეცულ ჩაის აღტაცებით სმა დაუწყო.

— საიდანა მაქვს მიღებული?.. გაიმეორა წმინდა მამამ რომლის სენაკიდანაც იყო მოტანილი სენებული სურნელოვანი სასმელი,—არ იცი, რომ ჩემი სენაკი იმ სალოცავ ადგილ-თავანია, სადაც ზეარაკი თავის ფეხით მიდის ხოლმე?..\*)

— მესმის... კარგია, ვისაც მაგგარი მიმზადველობის ძალა აქვს.

მზე უკვე ჩასულიყო. ტყეს თან-და-თან ბინდი ეპარებოდა, ოქროს ფერი ღრუბლები მზის უკანასკნელ სხივებზე ჯერაც კიდევ ლაპლაპებდა. „განმანათლებელის ნიავი“ ცოტა მიწყნარებულიყო, ხის ტოტებს ოდნავ-ლა არხევდა და რაღაც მომჯა-დოებელი ჩუმი სისინი გაჭქონდა. ტყეში სიჩუმე გამეფებულიყო, მყუდროებას დრო გამოშვებით მარტო უბედურთა ოხერა გმინვალა არღვევდა. ლამე თან-და-თან უფრო თავის ძალაში შედიოდა. მწარე წარსულის გახსენებას სიბნელე უფრო ხელს უწყობს ხოლმე. აგორამაც შიშველ-ტიტველი, მშეირი, საფარისა და საგებს მოკლებული ილაშვერტელი ძლიერს უკვირდებოდა თავის მწარე ხევდრას და მდგომარეობას, თითქო საშინელ სიზმარილან ახლათ გამორკვეულაო. აგონდებოდა, რომ ოდეს-ლაც სარჩო-საბადებელი, საცხოვრებელი გააჩნდა, ეხლა-კი იძუ-ლებული იყო, მათხოვრობით ერჩინა თავი; აგონდებოდა, რომ სახლ-კარი, თავშესაფერი ბინა ჰქონილა, ეხლა-კი ცას ქვეშ იყო დარჩენილი; აგონდებოდა აგრეთვე, რომ შვილი, ცოლი ჰყოლოდა, ეხლა-კი აღარსად ჩანდნენ! რა იქნენ, სად დაი-

\*) უდაბხოსა და ხალხისაგან მივიწყებულ ადგილებში მყოფ საყდარ-მონასტრების ნანგრევების ზესახე ხალხში თქმულება დაზერნილი, რომ მათი დღეობის დღეს გარეული პირუტყვები მიდიან, კარებთან ჩერდებიან, რათა შეუდაბნოეთ დაგირონ და მსხვერპლათ ზესწირონ. ავტორი

კარგნენ, ან ვინ მოიტაცა?—თითონაც არ იცოდა. ყველაფერი რი რაღაც გამოურკვეველმა არეულობამ შთანთქა, როდესაც დედას შვილი დავიწყებოდა, ძმას—და, როდესაც ქმარს ცოლი დაპარგოდა,— ერთი სიტყვით, იმ დროს, როდესაც თსმალოსა და ქურთის ხმლისა და თოფისაგან გაწვალებულს მარტო თავის თავი-ღა ახსოვდა და სიკვდილს გაურბოდა. ყოველ მათგანის გული უკურნებელით იყო დაჭრილი, ყოველი მათგანს ისეთი რამ დაპარგოდა, რომელიც ქვეყნად ყველაფერს ერჩივნა და რომლის ბადალსაც ველარსად იბოვნიდა. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ხსენებულ ღამეს მთელი ვალარშაპატი გადმოხვეწილთა ოხვრა-გმინვისაგან ზანზარებდა, ირყეოდა; ყველა საერთო გლოვას მისცემოდა, იმ საერთო გლოვას, რომელსაც ნუვეში არსაიდან უჩანდა....

იმ დროს ტყეში ერთი წარმოსადეგი ტანის ახალგაზდა კაცი გამალებული დადიოდა და გადმოხვეწილთ გაფაციცებით ათვალიერებდა. ყოველ მათგანს გააჩერებდა, გამოკითხვას დაუწყებდა და შემდეგ ისევ თავის გზას განაგრძობდა. მისი დაძმარებული, აღელვებული სახე, ვაჟკაცური გამომეტყველება და თავისუფალი, უშიშარი მიხვრა-მოხვრა ძალა-უნებურათ ყურადღებას იქცევდა. ბოლოს ტყიდან გამოვიდა, გთანეს მონასტრისკენ გაიარა და სასაფლაოზე გაჩერდა. მუშაობა ჯერაც არ შეწყვეტილიყო... ისევ მიცვალებულთა დაკრძალვაში იყვნენ გართულნი...

უცებ სიმღერის ხმა შემოესმა:

„ქმუნვით მოსილი ტურფა ბუღბული

ბაღში ვარდს ექებს აღტყინებული“...

— ი, გასწყდით, აპა!.. სოქვა გუნებაში უცნობმა ახალგაზდამ და გზა განაგრძო.

სიმღერის ხმა ტყიდან მოისმოდა, საღაც მაგარ რომის-გან აღფრთოვანებული ბერები ღამის რაინდობას მისცემოდნენ...

უცნობი ტბას მიუახლოვდა. აქაც რამდენიმე ბერი შავ აჩრდილსავით ჯერაც ისევ დასეირნობდა. ერთი მათგანი - კი

განმარტოებულიყო და ისე უძრავათ იჯდა, თითქმ მძიმე მგლოგიარება და ნუგეშს მხოლოთ იმ გვარ მდგომარეობაში ჰპოვებს, როდესაც არავინ აწუხებს და არც არა მისი გულის იარებს ეხება ვინმეო. მზისგან დამწვარი, დაღვრემილი სახე და გახუნებული სამოსელი უმტკიცებდა, რომ ეს ბერი შორიდან გადმოხვეწილი ღარიბი ვინმე უნდა ყოფილიყო. მონასტრის კოპტიათ მოკან კლულ ძმობის ბერთაგან ახლოს არავინ ეკარებოდა, თითქმ ეშინია, მისი გახუნებული ტანისამოსის სიახლოვით არ წავიბილწოვო... თუმცა იმ სადა, უბრალო მწყემსურ სამოსელში ისეთი გვამი იყო გახვეული, რომელიც ბევრ კარგს თვისებას შეიცავდა. ახალგაზდა კაცმა იმ სიბნე უში ძლიერს შენიშნა უცნობი ბერი და მიუახლოვდა.

— ოჭ, მამა იოვანე, თქვენა ხართ?

— ოჭ, ვარდა? წამოიძახი ბერმა და გულში ჩიკრა.

ეს ბერი ერთსა და იმავე დროს მწ. იოვანეს მონასტრის წინამძღვარიც იყო და ალაშკერტის თემის წინამძღოლის (არქიელი) თანამდებობასაც ასრულებდა. ეხლაც, თავის სამწყსოს რომ არ დაშორებოდა, გადმოსახლებულთ თან გამოჰყოლოდა.

მამა არქიმანდრიტი და ვარდანი იქვე ტბის მახლობლიათ ერთს ქვაზე ჩამოსხდნენ, რომელიც სკამის მაგიერობას ეწეოდა.

— როდის მოსულხარ? ჰყითხა არქიმანდრიტმა.

— ეს არის ამ საათში მოველი, მიუგო ვარდანმა და თან აქეთ-იქით მიიხედა—ყურს ხომ არავინ გვიგდებსო.

— არავინ გინახავს?

— ჯერ არავინაც არ მინახავს.—ამოდენა არეულ ხალხში ვის იპოვნი? მელიქ-მანსურის ნახვა მინდოდა გულით, ამბობენ, რომ ისიც გადმოხვეწილთა შორის არისო.

— მელიქ-მანსური აქა ვნახე ამ ორი დღის წინათ,—მიუგო არქიმანდრიტმა,—ეხლა უნდა ერევანში იყოს. იქ რამდენსამე პირს უნდა მოჰკარაკებოდა, რომელნიც გადმოსახლებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კომიტეტის დაარსებას ფიქრობენ. ამ გვარი კომიტეტი ტფილისში უკვე დაუარსებიათ და ეხლა ერევანში მისი განყოფილება იქნება.

— აქ როგორ-და მიღის საქმე?

— ძალიან ცუდათ, — მიუგო ნაღვლიანათ არქიმანდრიტმა, — შეელი კვირაა აქა ვეღივარ, ყაზარაპატის ერთს კუნცულში მომცეს ადგილი. ზედაც არავინ მიყურებს, ფიქრათაც არა ვის მოსდის მკითხვის, თუ აქ რა მწარე გარემოებამ მოვგიყვანა. დამპირდნენ, კათალიკოსთან წაგიყვანთ და იქ კველაფერს გამოგეითხავთო. მაგრამ, სამწუხაროთ, მთელი დღეები გადის და დაპირებისა არა ისმის-რა. იძულებული ვიყავი უბედურ ხალხის გაღმოსახლების ამმავი ძალით წარმედგინა, რადგან იმედი მქონდა, ამის შემდეგ მაინც მიმიწვევდნენ და სიტყიერ განმარტებას მომთხოვდნენ. მაგრამ ამ ცდამაც უქმათ ჩამიარა. ნუ თუ ასეთი გულგრილობა და შეუბრალებლობაც შესაძლებელი ყოფილა? სია ხელთა მაქეს, საიდანაც ჩანს, რომ 3000 ოჯახიდან დღევანდლამდინ 1500 სული მოკვდარა ზოგი ავად-მყობისაგან, ზოგიც სიმშილისაგან. თუ მათი მდგომარეობა კი-დევ ასე გაგრძელდა, უკველია დანარჩენებიც გასწყდებიან.

თუმცა ეს უკანასკნელი ცნობები ძლიერ სამწუხარო იყო, მაგრამ ვარდანზე რამე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია, კველა ამას ჩვეულებირივ, ბუნებრივ მოვლენათა სთვლიდა და წინათვე იცოდა, ამ გვარ გადმოსახლებას რა სამწუხარო შედეგიც მოჰყებოდა.

— გადმოსახლებულები სულ აქ, ვაღარშაპატში არიან? — ჰკითხა ვარდანშა.

— არა, ჯერ იგდირში მოვიდნენ, იქიდან აქ გადმოვიდნენ და აქედან კი ყოველ მხარეს იბნევიან. სურმალოს მაზრიდან მოკიდებული ვიდრე ახალ-ბაიაზეთსა და ძველ ნახიჩევანში. დინ სულ გადმოსახლებულებითაა გავსებული: საითაც უნდა გაიარო, ყველგან შეხვდები მათ.

— გარდმოხვეწილ მოძმეთ ხალხი როგორ და ეპურობა?

— ხალხი მეტად დამიანურადა და კაცო-მოყვარულია და კურევა; არაფერს იშურებს: არც თავშესაფარს, არც საქმელ-სასმელს და არც ტანსაცმელს, ერთი სიტყვით, რითაც კი შეუძლიან, ეხმარება. მართალი რომ ვთქვათ, აქაურებიც ძალიან

გაჭირვებაში არიან, რადგან ომის წყალობით ყველაფერი გაძვი-  
რებულა. გარნა გაღმოსახლებულთათვის პურზე მეტად უფრო  
სამკურნალო დახმარებაა საჭირო; სხვა-და-სხვა სენი შეუბრა-  
ლებლივ ავლებს მუსრს.

მონასტრის მიდამო მთლიად ლამის სიბნელით იყო მოცუ-  
ლი. ბერებს სეირნობა შეეწყვიტათ და თავიანთ სენაკებს შექმა-  
რებოდნენ. მაგრამ წელანდელი სიმღერის ხმა-კი ტყიდან კვა-  
ლიად მოისმოდა:

ჭმუნვით მოსილი ტურთა ბუღბუღი  
„ბაღში ვარდს ექის აღტეინებუღი“..

— ახლა სად უნდა წახვიდე? — ჰკითხა არქიმანდრიტმა და  
ფეხზე წამოდგა.

— თითონაც არ ვიცი...

— ჩემთან წამოდი.

— ვაი თუ ვინმემ შემნიშნოს.

— ახლა მონასტერში ვერავინ გიცნობს.

### \* \* \* \*

მამა იოვანეს სადგომად ყაზარაპატის მაღლა სართულში  
ერთი ოთახი ჰქონდა მიცემული. ვარდანმა რომ მონასტრის  
ზღრუალს ხელმეორედ გადაბიჯა, ტანში რაღაც ციფრა ურუან-  
ტელმა დაუარა. ათ წელიწადზე მეტი იქნებოდა, რაც იქაუ-  
რობას გაშორებოდა და ფიქრათაც არ მოსვლია, რომ ოდესმე  
კიდევ ინახულებდა. მაგრამ მწარე გარემოებას კვალიდ გაეხსე-  
ნებინა ეს ადგილი. გარნა რა მიზეზი იყო, რომ ქვეყნიურ  
ცხოვრებას მოწყვეტილთა და ლოცვა-გარსულობისთვის თავშე-  
წირულთა ადგილმა უბედურ ახალგაზდაზე ასეთი უგემური  
შთაბეჭდილება მოახდინა? გაახსენდა თავისი ბავშვობა, სულე-  
ლური და სიცალიერით სავსე ბავშვობა, რომელიც მონასტერ-  
ში გაეტარებინა; გაახსენდა ის ბნელი წარსული, რომლის ერთი  
გახსენებაც კი ზიზღა და ურუანტელსა ჰგვრიდა...

ვარდანის ასეთი უცები და უნებური დასევდიანება მამა  
იოგანემ შენიშვნა და თანაგრძნობით შეეკითხა:

— რა ამბავია, ასე რად გაჩუმდი?  
— არაფერი, ხან-და-ხან რაღაც უადგილო სევდა მომია-  
ხავს ხოლმე...

თოახში ერთი უბრალო ტახტი იდგა, მიციდნენ და იმ  
ტახტზე ჩამოსხდნენ. ტახტის გვერდზე ერთი უბრალო ფიცრის  
მაგიდა იდგა; მაგიდაზე კი პატარა სამოვარი ლამაზად ჩუქუ-  
ხებდა. მამა არქიმანდრიტი სამოვართან მივიდა, ორი ჭიქა ჩია  
დაასხა, ერთი ვარდანს გაიწოდა და მეორე კი თითონ დაიჭი-  
რა ხელში. თბილმა სასმელმა ახალგაზდა კაცს ცოტა არა ნერ-  
ვები დაუმშვიდა.

კარგა ხანს მოსაწყენი სიჩუმე იყო გამეფებული. ლაპა-  
რაკი არ ცხოველდებოდა, ვიდრე იმ საგანს არ შეეხნენ, რო-  
მელიც თრივესთვის თანაბრად ძვირფასი იყო.

— „საქმეს“ აქ რა თვალით უყურებენ? — ჰკითხა ვარდანმა.  
— აბა როგორ აფიხსნა? ყველაფერს ერთი მოკლე ამბი-  
დან შეიტყობ, — მიუგო მამა არქიმანდრიტმა. — თსმალეთიდან  
აქ ერთი არქიმანდრიტი იყო მოსული ეპისკოპოსად საკურთხებ-  
ლად (ჯერაც აქ არის, იქნება კიდეც შეხვდე). პირველში,  
როცა ჯერ ისევ ახლად იყო მოსული, თსმალეთის სომხების  
მდგომარეობას საშინელი სურათებითა ჰხატავდა. ქურთების  
მტარვალობას, თსმალების მიერ გამოწვეულ ძარცვა-რბევას  
ყველას უამბობდა და ათასი მაგალითი მოჰყავდა იმის დასამ-  
ტკიცებლად, თუ სომხეთში რა საშინელი ძალ-მომრეობა და  
უსამართლობა იყო გამეფებული. შეუძლებელი იყო მისი სიტ-  
ყვები სარწმუნოდ არ მიგელო, რადგან ყველაფერს შეურყევი-  
ლი საბუთებით ამტკიცებდა. მაგრამ ნახა თუ არა აქაური  
„ჰოსოსები“, მაშინვე ლაპარაკის კილო შესცვალა. იმ დღიდან  
თსმალთა კაცთ-მოყვარეობის ქება-დიდებასა და სამართლიანო-  
ბის დაცვას შეუდგა და თან ვითომ მათის კეთილშობილობითა  
და დიდსულოვნობით აღტაცებაში მოდიოდა. მაშ რა ექნა  
საბრალოს? სხვაფრივ რომ მოქცეულიყო, თავისი რწმენისა და

სვინიდისის წინააღმდეგ რომ არ შეექო ის, რაც ნამდვილად სხვადა და ეზიზლებოდა, იქნება სასურველ ეპისკოპოსობას ვერა ჰლირსებოდა. აი კიდევ ერთი მაგალითიც: მფარველობის სათხოვნელად ოსმალეთიდან აქ ერთი სხვა არქიმანდრიტიც იყო მოსული, რომლის მონასტერი ქურთებს გაეძარვათ. ხალხის ტანჯვა-ვაებას ის საცოდავი უფრო საშინაოდ ასურათებდა, იმ ტანჯვა-ვაებას, რომელიც გამოეწვიათ როგორც მთავრობის მოხელეთ, აგრეთვე ქურთების უფროსებსაც. მისმა ლაპარაკმა რომ „ჰოსოსებამდინ“ მიაღწია, მის თხოვნა-ვედრებას არა თუ ყურადღება არ მიაქციეს, არამედ მსახურო უბრძანეს, რომ მონასტრიდან გაეპანლურებინათ. საბრალობელი იძლებული გახდა ლაპარაკის კილო შეეცვალა. იმ დღიდან კარგი პატივით ეპყრობიან... თავისი გაძარცვული მონასტერი, დარბეული ხალხი-კი მთლიად გადაავიწყდა და ქურთებისაგან მიყენებული ძარცვა-გლეჯა ერთხელაც იღია გახსენებია! უფრო მეტს ვიტყვი: იმ არქიმანდრიტმა, რომ „ჰოსოსებს“ რათიმე აამოს, ერთ დღესასწაულის სადილზე სულთანის სადღეგრძელოც კი დალია და დალია ხწორედ იმ დროს, როდესაც ბაიაზეთსა და ალაშეკრტში ოსმალები სომხებს მუსრს ავლებდნენ!.. — ეხლა კი, ვკონებ, მიხვდები, „საქმეს“ აქ რა თვალით უკქერიან.

ვარდანი ყურებს არ უჯერებდა, ეგონა ყველაფერი სიზ-მარში მესმისო. წარმოდგენითაც-კი ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იქნებოდა იმ გვარი გულევაობა, რომელიც ნამდვილ მოლალატეობას უფრო ემსგავსებოდა. ერთს საშინელ კრიზისის დროს, როდესაც მისი სიცოცხლე, მისი მომავალი ბეწვზე-ლა ეკიდა, იმ ბეწვზე, რომელიც ადვილათ შეიძლებოდა გაწყვეტილიყო და საუკუნო უფსკრულში ჩაეგდო; იმის თანა საშინელ წუთებში, როდესაც მთელი ერთს ხსნის თვალი არარატისკენ იყო მიპყრობილი, — ეს ერთ მშობლის გულგრილობას ხვდებოდა და ჰქედავდა, რომ მშობელი თავისი მკვლელის, თავის მტრის მხარეს იყო გადახრილი!..

— ყველა მაგ შეხედულობისა? ჰკითხა ვარდანმა გულ-დაწყვეტით.

— არა, მარტო „ჰოსოსები“ იქცევიან ასე. ოსმალეთის მთავრობის ყოველგვარი მოქმედება კანონიერათა და სამართლიანად მიაჩნიათ, და თუ სომხები ძალ-მომრეობის წინააღმდეგ რაიმე უკავყაფილებას განაცხადებენ, ყველაფერს ცილის წამებათა და სიმართლეს მოკლებულათა სოვლიან.

— აშეარაა, ეგენიც ერთგარი თომას-ეფენდები ყოფილან: ოსმალეთში მომხდარი უწესოებანი თომას-ეფენდებისთვის ყოველთვის ხელსაყრელია. მაგრამ მაგალითი ნერსეს პატრიარქისა, ხრიმითანისა და ნარბეგისგან მაინც აიღონ, რომელნიც სომხეთის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭირენ.

— მეგობარო, შენ ძალიან გულ-უბრყვილოთა სჯი,— მიუგო არქიმანდრიტმა,— გარწმუნებ, რომ შეეძლოთ, ნერსესის ყოველ მოღვაწეობას დღესვე გაანაცარმტვერებდნენ... ვინ უწყის, იქნება კიდევა ცდილობენ!.. აქა ცდილობენ ყველა დაარწმუნონ, რომ ნერსესი და მისი თანამოაზრენი გაიძეერა მატყუარები არიან, სომხის ერს თვალ უბამენ, ატყუებენ, და არცა-რა მისი ფიქრი აქვთ (საფიქტებელიც არა სპირს-რაო); ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლთა ხელში მხოლოდ საზიზღარ იარაღათ გარდაქცეულან და მათი საპოლიტიკო სარგებლობისთვის იღწვიან, რომ საბრალო ოსმალეთს უფრო ბევრი ცოდვა მოახვიონო. აქ სიცილათაც არ ყოფნით იმათი გუდუბრეულობა, რომელნიც ნერსესის ვითომდა „შეულერობისგან“ რასმე გამოელიან. გაიძახიან, ოსმალეთისგან რაიმე ახალი უფლების გამოთხვენა სომხების მხრივ ნამდვილი უსირ ცხვილობა იქნება, რადგან, რაც საჭირო იყო, ოსმალეთმა ყველაფერი მისცა და მეტის ლირსნი არც-კი არიანო. და თუ რამე დაპკლებიათ, გაიძახიან, ოსმალეთი იმდენათ გულ-კეთილია, რომ ყველაფერს თითონვე შეუცხებს, — მაშასადამე, მოწყალე მთავრობის შეწუხება რაღა საჭიროა?

— ნუ თუ მთელი ძმობა მაგ სამწუხარო აზრისაა! — წამოიძახა ჭაბუქმა სიბრაზით.

არქიმანდრიტმა მაშინვე არ გასცა პასუხი, ოთახიდან გარეთ გამოვიდა, ბნელაში თვალი მიავლ-მოავლო, შემდეგ ისევ



შინ შებრუნდა, წინანდელსავე აღგილზე ჩიმოჯდა და წყნარობას ხმით წარმოსთქვა:

— ძალიან გაუფრთხილებლათ ვიქცევით: აქაურ კედლებ-საც-კი ყურები ასხია. მონასტრის სტუმართ უხუცესი აქვე, მახლობლათა სცხოვრობს; სწორეთ ეშმაკის ყნოსების პატრიონია და, თუ რასმე მოჰკრა ყური, მაშინვე ამბავს წაიღებს...

— მე საზოგადოთ ძმობის მიმართულებაზე გეკითხებოდით, გაიმეორა ვარდანმა ისე, რომ არქიმანდრიტის უკანას-კნელ სიტუცებისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

— ამ მიმართულებისა შარტო „ჰოსოსები არიან, თორემ მთელი ძმობა ყიზილბაშის მოტრფიალე არ არის. მათშიაც არიან პატრიოსანნი, კეთილ სურვილებით გამსჭვალულნი და იქნება ოსმალეთის სომხების ცრემლის მოსაწმენდათ არაეითა-რი მსხვერპლიც არ დაიშურონ, თუ-კი...

— თუ-კი „ჰოსოსები“ ნებას მისცემენ, არა? სიტუა გა-აწყვეტინა ვარდანმა.

— სწორეთ. რა ჰქნან საბრალოებმა? ხელ-ფეხი ისე აქვთ შებოჭილი, რომ მოქმედებას ვინ ჩივის, ლაპარაკის ნებაც-კი არა აქვთ! აქ ერთი „ჰოსოსია“, გვარად მანკუნი, ნამდეილი ქაჯრა, ყველას მუხრუქს უჭირებს და მიწასთან ასწორებს.

— მე მაინც ვერაფერი გამიგია! ეს რა ჯოჯოსხეთური პოლიტიკაა, რომ ოსმალეთის ძალ-მომრეობისგან მთელი ერი მიწასთან სწორდება და მაინც ოსმალეთს იცავენ!?

— მე თითონაც ვერა გამიგია-რა, ჩემთვისაც ნამდეილი გამოცანაა, მიუგო დაბნევით არქიმანდრიტმა.

— ალაშკერტელების გადმოხვეწასა და ბაიზეთის სომხე-ბის გაელეტას რილათი ხსნიან? ან ვანის გადაბუგვას რა თვა-ლით უცეკრიან?

— ოსმალეთის გასამართლებლათ ამათ ყოველთვის მზათა აქვთ ერთხელ გაზეპირებული სიტყვები. ყოველ ბრალს სომხებს ახვევენ თავზე და გაიძიხიან — სომხობა მოუსვენარი, დაუნახავი და უმაღლური ხალხიაო. „მგელი რა შუაშია, როდესაც ბატყანი აჯავრებსო“... ალაშკერტელების გადმოსახლების მი-



ზეზათ ოსმალოსა და ქურთის მახეილს-კი არ თვლიან, იმ შემცირებულ  
ვილს, რამაც იმოდენა ხალხს სამშობლო მიატოვებინა,—არა-  
მედ ცდილობენ აღმოაჩინონ რაიმე ფარული მძლავრი ძალა,  
რომ საბრალო ხალხის სამშობლოს მოწყვეტის მიზეზი იმას  
მიაწერონ. ამ გვარი შეხედულების სიყალბე და სიცრუე ხომ  
შენც კარგად იცი, ვარდან, რადგან იმ თავითვე სულ ამ „საქ-  
მეში“ იყავი ჩამბული...

— ყველა ამის შემდეგ, მამაო, მაინც ვერ გამიგია, რო-  
მელი იმედით-და რჩები აქა? ერთი ეს მითხარი, ამათგან რო-  
მელი მფარველობისა და დახმარების იმედი გაქვს?

— არც რომელის. მე თითონაც დარწმუნებული ვარ, რომ  
ამათგან არაფერს უნდა მოველოდე, მაგრამ მეტი რა ღონე  
მაქვს? ვის მიემართო? ისე ვარ გზა-კვალ არეული, რომ თი-  
თონაც არ ვიცი, სად წავიდე?

— სადა და თვით სომხის საზოგადოებას მიჰმართეთ.

მამა არქიმანდრიტმა არაფერი უპასუხა, და წუთიერი სიჩუმის  
შემდეგ ისე წარმოსთქვა, თითქო თავის თავს ელაპარაკება:

— ამ ემათ ძნელია ყველაფრის გამორკვევა... მაგრამ ის  
დღეც ჩერა მოვა, როდესაც ამ საზიზღარ სინამდვილეს თვით  
ყოვლად შემძლე დრო-ემი გამოამჟღავნება...

საბრალო ბერი ისე იყო იმედ-გარდაწყვეტილი, გაბრაზე-  
ბული, რომ გულში დაგუბებული აზრები ველარ შეიკავა და  
უკანასკნელი სიტყვები ისეთნაირათ წარმოსთქვა, თითქო გუ-  
ლიდან სისხლს ამოაყოლაო. ან და რაღა საჭირო იყო ვარ-  
დანისთვის რამე დაემალნა? ვარდანი უცხო პირათ არ მიაჩნდა,  
რადგან იმ თავითვე სულ ერთად ემოქმედნათ და ერთადვე  
მრავალ ბჭობა-თათბირში მიეღოთ მონაწილეობა.

ლაპარაკი კვლავ გარდმოხვეწილთა შესახებ ჩამოვარდა.  
ალაშეკრტელების წინამდლვარი თავის სამწყსოს უედურებას  
მოსთქვამდა, მათს ტანჯვა-ვაებას წინ უყენებდა და თან იმ  
საშუალებას ასახელებდა, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო  
უბედური ხალხის სრული მოსპობისაგან გადარჩენა.

— մալուն մոյզինկ, հռմ ցաթմռսաթլցծոլոտա Շուրուս մայդանապատճեանան, — Տուրպա ցաթլցունան ցահանմա, — հռցուրը Շենո անցարութիւնա և հանս, նաեւզարնց մերո դաազալցծոլո պողոլու. և արուս մոնչեն?

— ցաթմռսաթլցծուն սամոնցու ամեցնու հռմ ճաթվրուլցծուն մուսմոնու, ցանցութրալցծու, հռմ ցը սածրալունո չեր կուց պութլցծու արուն! օյ հալու սակարպալցծուն, նամցուլու սասթա- լուն սնդա ուղու! մացրամ հռմելու յրտո ցութերա? արու ոմքենո ցոնցեա Շեմրիենու ճա տիւ լուածարուս սնարու, հռմ պալութերո ցութեա. մը մեռլուն համցենսամց յըրու բնուցն ցաթմռցպար.

— Շեմցա ծառնեցուն ալոցու Շեմրիենումուս, հռմռուն ճաթ- ցրուլցծուն ամեցնու Շենը յարգագ ուրո, ցըներալու Ծրու-լույա- սուցու ոմքուլցծուն ցաթեա, հոյսուն մեցըրուն սնանց ցաթուց- հռնցենուն. ամ յամատ ման որու ըուզու ցմուրուն մումույմեցա. յրտուն մերու տացուն մըուրու հանցեցուն սնրուեցու մերուն չարու սնդա մոյցյրեցնուն, մյուրու մերուց-կո ալու Շյանցըրուսա ճա ծառնեցուն սոմեռուն ուսմալցնուն եռլուց-յլցունուսացան ցաթայրինուն. յև որու ցարյմոցեա սամեցըրու եղլուցնուն ըուզու ումուցուլցնուն ոտեռցուն ճա ցենցիրալմաց ըուզու սնարու ցաթունուն. ուսմալուն չարուն սամոնցու մռնցացցուն ոմքեն եանս Շյանցըրու, ցութը սոմ- եռուն ցաթմռսաթլցնուն մուսթիրեցնուն. մացրամ ճրու մանը մը մույր պուրու ուցու, եալու-կո ցաթմռսաթլցնուսատցուն սնուլ առ ուցու մոմթաւցէնուն. սնուք եմա ցազարդա, հռմ հոյսուն չարու սնանց մուզուն, ցաթասաթլունու, ցաթուրունու օյայրանուն, տուրյմ ուսմա- լուն ցացնե ճասթրունուն, ամուրու պոյմանու ճա ճանենեա ալուր Շյունցնուն — սապարյըրու սամշոնալու սնդա մոյցըրունուն. ցը Շյեմունուն օյութըրու ուս սամոնցու լամց, հռցըսաւ ոմու- ցնուն եալու տացուն սաթլ-յարսա ճա մամյուլ-քըւուլս յութուց- ծուն. եալու սամոնցուն Շյեմունուն ծառամուլու ճա յրուամյուլո ցասմուն. ցարյմոցեա ուցու ուցու, հռմ սնուք պալու յրտու ճամուն ցանմաց- լունուն սնդա մոյցըրունուն օյայրանու. Շոնայրու սայոնցուն

თითქმის სულ მინდობრში დარჩა, რაღაც პატრიონებს გამოიწვია  
კის დრო აღარა ჰქონდათ. მამა სხვაგან მყოფ შვილს აღარ  
უცდიდა, ძმას ძმა ავიწყდებოდა: ავეჯსა და სხვა მძიმე ნივ-  
თეულობასან იქვე სტოვებლენენ, ან კიდევ ცეცხლს უკიდებ-  
დნენ და სწვამდნენ. ძეძუთა ბავშვებს დედები იყიდებდნენ,  
საჭირო ნივთებით დაბარგებული მამები-კი უფრო მოზრდი-  
ლებს ხელსა ჰქიდებდნენ და სოფლებს ისე სტოვებდნენ. ურ-  
მები ძლიერ მცირე ნაწილსა ჰქონდა, რაღაც მეტი წილი სამ-  
ხედრო ბარგი-ბარხანის საზიდლათ წაეღოთ. ლოდინის დრო  
აღარ იყო, მტერი უკან მოსდევდა. ვინც-კი გადმოსახლება  
ვერ მოასწრო, ყველა მტარევალთა შეუბრალებლობის მსხვერ-  
პლი შეიქნა. ვინც გამოასწო, ჰგონებდა, რომ თავს უშველი-  
და! მაგრამ აქაც სხვა ახალი უბედურება დაატყდა თავს, უბე-  
დურება, რომელიც ქურთ-ოსმალოზე უფრო შეუბრალებელი  
გამოდგა,—სიმშილი და ავადმყოფობა.

— ეს ავადმყოფობა იმ ტანჯვა-ვაების შედეგი შეიქნა,  
რომელიც ხალხმა გადმოსახლების დროს გზაში გამოიარა,—  
განაგრძო მამა არქიმანდრიტმა.—რამდენიმე კვირის სავალი სულ  
რაღაც ორიოდე დღეში უნდა გაევლო და ისიც იგრე, რომ  
არც შეესვენა და არც სადმე გაჩერებულიყო. დედაკაცი, ქალი.  
შეილი, ყმაწვილი თუ მოხუცი — ყველა ფეხით მოდიოდა,  
რაღაც რამდენი ჩასაჯდომი სულ უმცირესობას თუ გააჩნდა.  
ბევრმა ვერ შესძლო, დასუსტდა, მოიქანცა და შეა გზაზე  
დავარდა. ნათეასე, მეგობარს, თვით საყვარელ შვილსაც-კი  
ყურადღებას არავინ აქცევდა. ყველა საერთო შიშა და მღელ-  
ვარებას მოეცვა; ყოველ მათგანს გული, სიბრალულის გრძ-  
ნობა სადღაც გაპერობოდა და თავის მეტი აღარა ახსოვდა-რა.  
ყველა ამას დაუმატეთ სიმშილ-წყურული და უცხო ქვეყნის  
შეუჩევეველი ჰავა და მაშინ ავადმყოფობას ბუნებრივ მოვლე-  
ნათ დასახავთ. რომ მტერს არ შევხეჩებოდით, ისეთის დაწყევ-  
ლილ და მთიანის გზით გვატარებდნენ, რომ ქალებსა და ბავ-  
შეებს სიარული ძალიან უძნელდებოდათ. სწორეთ ეს იყო  
მიზეზი, რომ გადმოსახლებულთა მეოთხედი გზაში დავარდა

და, მთლათ გაიქლიტა. რაღა გავაგრძელო, იმდენი ვაი-ვაგლაბი გამოვიარეთ, რომ შეპ აბასის მიერ ისპაპანში ტყვეთ წაყვანი-ლი სომხების ისტორია, რომელსაც ჩვენი მემატიანენი ისეთი საშინელი ამბებით გვიხატავენ, ამ გადმოსახლების ამბავთან შედარებით სულ უბრალო შემთხვევად უნდა ჩაეთვალოთ.

მამა ორქიმანდრიტი რომ ამ სამწუხარო ამბავს მოსთქვამ-და, ვარდანის გონება სულ სხვა აზრით იყო შეპყრობილი, ასე რომ მისი ლაპარაკი თითქმის ორც-კი ესმოდა და მხოლოდ თავის სათაყვანებელ ლალაზე ფიქრობდა. არა რომ იგიც ამ გადმოსახლებულთა შორის უნდა ყოფილიყო, — ფიქრობდა ვარდანი, მაშასადამე ყველა ზემოსხენებული ტანჯვა-ვაება ორც იმას ასცდებოდაო? მართალია, ჯავოსაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ფათთაბ-ბეგის ცოლის, ხურშიდის განკარგულებით ლალა რუსის სამფლობელოში უნდა ყოფილიყო გადმოყვაილი, მაგრამ ბეგის მსახურნი ხომ რუსის საზღვარს ვერ გადმოსც-დებოდნენ, რადგან მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ქვეშვერდობი ქურთები იყვნენ. მაშასადამე, ლალა და მისი ძმის ცოლი, სარა, გადმოსახლებულთა გუნდისთვის უნდა შეერთებინათ. მაგრამ როგორ უნდა ეპოვნა? რა იცოდა, კიდევ ცოცხლები იყვნენ, თუ მრავალთა მწარე ხვედრი რგებოდათ წილათ? ეს კითხვები უბედურ ჭაბუქს მოსვენებას არ აძლევდა.

— მამაო, მოხუცი ხაჩოს ოჯახისა ხომ ორაცერი იცი? — ჰკითხა მან, — ჩემი აზრით, ისინიც გადმოსახლებულთა შორის უნდა იყვნენ. ახლა სად იქნებიან?

— მათი პოენა ცოტა არა გაგიძნელდებათ, რადგან გადმოხვეწილნი სხვა და სხვა მხარეს არიან გაბნეულნი. მაგრამ მათთან ერთათ მათი მამასახლისები და მღვდლებიც არიან მოსულნი; ამ უკანასკნელთათვის - კი დავალებული მაქს, რომ დაწერილებითი ცნობები შეკრიბონ, თუ სად რამდენია დასახლებული, რათა დაწმარების აღმოჩენა უფრო გააღვილდეს. ამ ცნობების წყალობით ადვილათ შევიტყობთ, მოხუცი ხაჩოს სახლობა გადმოსახლებულთა რომელ გუნდშია მოქცეული.

— სიებს როდის გადმოგცემენ?

— ხვალ, ანუ ზეგ, —დანამდვილებით არ ვიცი.

საბრალო ვარდანისთვის ეს „ხვალ“ და „ზეგ“ მთელ საუკუნეს წარმოადგენდა, ამიტომ მთელი ღმე ძალიან მოუსვენრათ გაატარო.

XXXX

მონასტრის ზარების წყნარმა ხმაშ ხალხს გათენება ამცნო. ბედისაგან გალალებული ბერები ჯერაც აჩხეინათ განისცენებდნენ რბილ საწოლებზე; უფრო უბედურნი-კი ტაძარში მიე-შურებოდნენ სალოცავათ.

ამ დილით მამა იოვანეს ძალიან ადრე გაელვიდა, მძინარე ვარდანი ოთახში დასტოვა და გარეთ გამოვიდა. მაგრამ მამა იოვანე დილის ლოცვაზე არ მიდიოდა, ჩვეულებათ ჰქონდა ყოველ დილით დაქედნა ვალარშაპატში მყოფ გადმოსახლებულთათვის, რომ შეეტყო საბრალონი რა მდგომარეობაში იყვნენ. ამ ხელათ გადმოსახლებულთა შორის ისეთი საცოდაობა დახვდა, რომ გული საშინლათ დაეკოდა და ვეღარ შესძლო ყველასათვის მიეხედნა. ყოველ ნაბიჯზე საშინელ სურათს აწყდებოდა, ავადმყოფობით შეპყრობილი მთელი ოჯახი უწმინდურობით სავსე ამა თუ იმ ბოსელში დაყრილიყო უშერდ, უნუგეშოთ; მათში არც ერთი კარგა მყოფი არ იყო, რომ დანარჩენთათვის ეზრუნა.

მწარე უიმედობით შეპყრობილი მამა იოვანე თავშალუნელი მონასტერშივე ბრუნდებოდა და თან გუნებაში ფიქრობდა: რა საშუალებითაც უნდა იყოს, დღეს უეჭველათ საკათალიკოზოში უნდა შევიდე და მომაკვდავი ხალხისთვის სწრაფი დახმარება გამოვთხოვო. ამ დროს მის მახლობლათ ეტლმა გაიგრიალა, შიგ მჯდომარე რომ არქიმანდრიტი დაინახა, ეტლი გააჩერებინა.

— მიხარებია, უთხრა მან, როცა არქიმანდრიტი მიუახლოვდა, გადმოსახლებულთა დამხმარე კომიტეტი ერევნის გუბერნატორმა დამტკიცა, წევრებათ საკმაოდ სანდო პირები

არიან არჩეული. ტფილისიდანაც სასიხარულო ამბები მოღის, იქაური კომიტეტი ენერგიულათ მოქმედებს: გვპირდებიან, რომ ფულსა და საექიმო მასალას ჩქარა მოვაწვდით.

— ძლიერ სასიხარულოა, — მიუგო ბერმა. — აქედანაც აპი-რებენ ბრძანების მიწერას სასულიერო მთავრობის წარმომად-გენლებთან, რომ ყველგან შეწირულება შეკრიბონ.

— საიდან უნდა მისწერონ?

ბერმა ხელი მონასტერზე მიუშვირა. ახალგაზდა კაცმა ჩაიცინა და მოუგო:

— მაგ ბრძანებას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან მათი შეგროვილი ფული ალაშკერტელების ცარიელ კუჭამდის ვერ მიაღწევს...

ეტლში მჯდომი მელიქ მანსური იყო.

— შენ ხომ მაგ ამბით გამახარე, უთხრა ბერმა, — მეც მინდა გახარო რამე.

— რა უნდა მახარო?

— გარდანი აქ არის, ჩემ თთახში.

— მართლა? საიდან გაჩენილა ეგ ეშმაკი? არ მეგონა, თუ საიქიოდანაც ბრუნდებიან. — წავიდეთ.

ორნივენი მონასტრისკენ გაემართნენ.

გზაში მელიქ-მანსური შეეკითხა:

— გარდანს შენ კარგათ იცნობ?

— ხუთ წელიწადზე მეტია, რაც ვიცნობ. ჩვენში იგი ცნობილია, როგორც მარჯვე და უშიშარი კანდრაბანდისტი. მავრამ კარგა ხანს ვერავინ მიხვდა, რომ მის ხელობას სარჩუ-ლად ფულის მოვება არ უდევს. იგი მხოლოდ იარაღს ატარებდა და გლეხთა შორის ხშირად უფასოდაც კი არიგებდა. და თუ ხან სავაჭრო საქონელიც დაპირდა, ამასაც მხოლოდ თვალის ასაბმელად შვრებოდა. დიალაც რომ მიზანი პატივსა-ცემი იყო, მაგრამ წყეული გარემოებისა გამო ყველაფერმა იმაოდ ჩაიარა...

— მე მხოლოდ სულ რამდენჯერმე შევხვდი, — მიუგო მელიქ-მანსურმა, — მაგრამ ჩემი თანაგრძნობა დღევანდლამდინ



ასე არავის გამოუწვევია, როგორც მაგ ენერგიულმა ახალგაზ-დამ გამოიწვია. კარგად ვიცი, რომ რამდენადაც სისხლის ღვრის საქმეში გმირი და შეუბრალებელია, იმდენადვე მეგობრობის საქმეში პატიოსანი, კეთილი და ერთგულია.

— მავის გარდა, ვარდანი თავისი ეშმაკური ქუცითაცაა შესანიშნავი. თავის ხან-მოკლე სიცოცხლეში იმდენი რამ გაუ-კეთებია, რასაც ერთი კარგი მოღვაწე ასი წლის განმავლობა-ში ვერ გააკეთებდა. ამასთანავე ძლიერ ჩუმი და თავდაბალი ხასიათისა და სულ იმას ცდილობს, რომ ჩვეულებრივი მომა-კვდავის ქურქში იყოს გახვეული.

ვარდანმა გამოიღვიძა, იქეთ-იქით მიიხედა და ნახა, რომ ოთახში მეტი არავინ იყო. მზის სხივები სენაკის ვიწრო სარკმ-ლებში უხვად შეპარულიყო და იქაურობას ძალზე აჭახქახებ-და. გიმთბარი დაგუბებული ჰაერი აუტანელი და სულის შემ-ხუთავი იყო. წამოდგა ვარდანი, ერთს ფანჯარას მიუხაროვდა და გააღო. სუფთა და გრილმა ჰაერმა ვარდანის ანთებულ სა-ხეს რაღაც სიამოვნება აგრძნობინა. მაგრამ, მაინც გულს რა-ღაც უმძიმებდა, სულს უხუთავდა. უნდოდა იქაურობას ჩქირა გაშორებოდა, რომ თავისუფლად ამოესუნთქა. თან კი მასპინძ-ლის დაბრუნებას უცდიდა. მაგრამ მასპინძელი იგვიანებდა. ვარდანი მოუთმენლობამ შეიპყრო, ოთახში დადგომა ვეღარ შესძლო და გარედ გამოვიდა. მაგრამ რადგან არ უნდოდა, რომ მონასტრიდან ვისმე დაენახა, ამის გამოთ ეზოს უკანა კარებიდან გამოვიდა და ტბისკენ გასწია. ტბის მახლობლად ერთ მოხუც ეპისკოპოსს შეხვდა, რომელიც მაშინვე იცნო. — ეს ეპისკოპოსი მონასტრის ერთ შესანიშნავ სიძველეთაგანს წარმოადგენდა.

— ვამარჯობა, პაპავ.

ამ ეპისკოპოსს მოელი ძმობა „პაპას“ ეძახდა. პაპა ზაფხუ-ლის მზის თბილ მყუდროზე მიმჯდარიყო და გაციებულ ძვლებს ითბობდა. იგი ინდოეთის იმ ფაკირს (მისანი) მოგაგონებდათ, რომელიც არც პირს იბანს, არც თავს იგარცხნის, არც ფრჩი-

ლებს იქრის და ოც რიგიანად იცვამს, რაღგან ყველა ეს დიდ ცოდვად მიაჩნია. პაპამ რომ ჭაბუკის ხმა გაიგონა, ხელი შუბლზე მიიღო, რომ თვალებისთვის მზის პირდაპირი სხივები აეშორებინა, და უფხრა:

— ხმა-კი მეცნობა, შვილო, მაგრამ თვალები აღარ მიქრის, რომ დაგინახო, ვინცა ხარ.

— მე ვარ, ვარდანი.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, შვილო! მოდი ახლოს, რომ გულში ჩაგიქრა,—ოჲ, რამოდენა გამხდარხარ, შვილო! ვარდანი მიუხალოვდა; მოხუცმა გულში ჩაიქრა.

— აქ დაჯექ, შვილო!—ჰოო, ემაგრე. —რა კარგი ბიჭი დამდგარხარ, შვილო!—გახსოვს, ჩემ სენაკში რომ კატასავით შემოიპარებოდი ხოლმე ხილის მოსაპარად? მაშინ სულ პატარა, ძალიან პატარა იყვით.

— მახსოვს, პაპა, მიუგო ვარდანმა და თან ღრმად ამოიოხრა; — ქურულბა აქ ვისწავლე...

— ეჲ, შვილო, ეხლა ვიღა არ იპარავს? ყველანი ქურდობენ. სიმართლე მერცხლის რძედ გარდაქცულა, ვეღარსად შეხვდები... ორი დღე არც-კია, რაც იმ წყეულ-შეჩვენებულებმა სენაკიდან რამდენიმე ასი მანეთი მომპარეს. ზევი დღის-თვის ვინახავდი, შვილო. ნეტა როგორ იპოვნეს? ეხლაც კი ვერ მივმევდარვარ: თვით ეშმაკიც კი ვერ მიაგნებდა! ქერის ფიცრებში. მქონდა დამბლული. — ეშმაკებმა მაგათგან უნდა აიღონ გაკვეთილი... ოჲ, შეჩვენებულნო, შეჩვენებულნო!..

პაპას ოთახიდან ფულის მოპარვა იმ თავითვე იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ვარდანს ყურადღება არც კი მიუქცევია. ასი წლის მოხუცი პაპა თავის სიცოცხლეში არა-ფერს ხარჯავდა; რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა, გროვი-გროვს ადებდა და ინახავდა. როდესაც მისი ფულის ჯამი რამდენიმე ასს ანუ ათასს მანეთს მიაღწევდა, უცებ ვიღაცის ფარული ხელი გაჩნდებოდა და ააცოცებდა ხოლმე. შემდეგში ამ გვარმა გასშირებულმა ქურდობამ პაპას მეტი გამოცდილება შეძინა. ოთახში ასობითა ჰქონდა საკუჭნაო ნახვრეტი და ყოველ მათ-

განში ფულს ნაწილ-ნაწილად ინახავდა. ამიტომაც იყო, რომ ვერასოდეს მთელ ფულს ვერ მოჰპარავდნენ, თუმცა თითონ კი ჩვეულებათ ჰქონდა ყველა ფიცით დაერწმუნებინა—რაცა მქონდა, სულ მომპარესო.

ვარდანი პაპას პატარაობიდანვე იცნობდა; იგი ერთი სა შინელი ტიპიური ძუნწთაგანი იყო, ასე რომ მის სიძუნწეს ძმობის წევრთა შორის ზღაპრული ხასიათი მიეღო. პაპა მდიდარ ბერთა რიცხვში ითვლებოდა, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ სხვებს თავისი სიმდიდრე უფრო ფარული გზებითა ჰქონდათ მოხვეჭილი, პაპას კი მარტო წრეს გადასული დაზოგვით შეეძინა.

— ფული ძალიან გიყვარს, პაპა, რათ გინდა მაგდენი ფული?

— ეჭ, შვილო! „მგელს მგლობა ერქვა, მელამ ქვეყანა ამოაგდოვო,“ ნათქვამია.—ფული ეხლა ვიღას არ უყვარს? ეხლიანდელ დროში მხოლოდ ფულსა აქვს გასავალი, ყველა ფულისთვის შრომობს.

ესა სთქვა და აკან კალებული ხელით უბიდან ბურნუთის კოლოფი ამოიღო, გააღო და ნახა, რომ ცარიელი იყო. ის უბედური კოლოფი იმტლეს ბარე ასჯერა ჰქონდა გალებული და ყოველთვის რწმუნდებოდა, რომ შიგ არა იყო-რა, მაგრამ მაინც თვალებს არ უჯერებდა და ფიქრობდა, იქნება რაიმე სასწაულით გავსილიყოსო.

— წყეულიმც იყოს სიმონა მასწავლებელი!—შენ ხომ იცნობ იმას?—იმ დღეს ერთი აბაზი მივეცი, თანაც თუნუქის ყუთი მივეცი, რომ ერევანში ბურნუთი ეყიდნა და შიგ ჩაეყრნა; იმ წყეულმა წაიღო, ჰამ ფული შექამა, ჰამაც ყუთი შეიტყაპუნა.—ვარდან, ბურნუთს ხომ არ ეწევი?

— არა, პაპა, მე ბურნუთს არა ვწევ.

პაპას საბედნიეროდ იქვე მახლობლად პაპიროსის ნამწვი ეგდო. დაინახა თუ არა მოხუცმა, წამოდგა, მივიდა და ნამწვი აიღო; შემდეგ ქალალდი შემოახია, გაშავებული თუთუნი ხელის გულზე დაიყარა, აკან კალებული თითებით დაფხვნა და ხარბად წევა დაუწყო.

— ნუ თუ, პაპა, ემაგრე გინახავენ, რომ ბურნუთის ფულ-  
საც კი არ გაძლევენ?

— ეჭ, შვილო, დროება გამოიცვალა! სად არის ნეტარ-  
ხსენებული ნერსეს კათალიკოზის დრო? მაშინ სიყვარულიც  
იყო, ერთობაც, დიდიცა და პატარაც. ეხლა კი ყველაფერი  
გადაბრუნდა. ვინც სიცრუეში უფრო დახელოვნებულია, ვინც  
ხალხს უფრო მოხერხებით ატყუებს, დაწინაურებულიც ის არის.  
ჩვენ მსგავსთა ფინაჩებს ვიღა აქცევს ყურადღებას? ეხლა, შვი-  
ლო, აახალი ქათმები მოსულან და რკინის კვერცხებსა სდე-  
ბენ!...

პაპა ნერსესის პირველ თაყვანისმცემელთაგანი იყო, ნეტარ-  
ხსენებული კათალიკოზის სახელს მის თვალში წმინდანის შენიშვ-  
ნელობა მიეღო. როდესაც კი მმათა შორის რაიმე უწესოებას  
შენიშვნავდა და გული სევდით აევსებოდა, მაშინ ნერსესის  
დროს გაიხსენებდა ხოლო, ნერსესის დროს, რომელიც ეჩმია-  
ძინის ისტორიაში ოქროს ხანათ მიიჩნდა.

ეს ოქროს ხანა პაპამ ახლაც რაღაც განსაკუთრებულ  
აღფრთოვანებით გაიხსენა. ვარდანს უთითებდა შშვენიერ ტბა-  
ზე, თანაც უხსნიდა რა აზრითაც გაეკეთებინა ტბა იმ დიდებუ-  
ნებოდან ადამიანს. უჩვენებდა ტბის მახლობლად ერთს ნანგ-  
რევებს, რომელშიაც ქალალდის ქარხანის გამართვის პირებდა,  
რომ მონასტერს ქალალდი სხვაგნიდან არ მოეტანა; ახლა - კი  
ეს ადგილი მონასტრის გლეხთა ვირების დასაბმელ ადგილათ  
გარდაქცეულიყო! უჩვენებდა აგრეთვე ტბის გასწვრივ ერთ  
სხვა ნანგრევებსაც, საღაც აბრეშუმის სახვევი ქარხანა უნდა  
მოთავსებულიყო; ამ აზრით უუწმინდეს მამას თუთის ხეების  
უშველებელი ტყე გაეშენებინა. ტყის გახსენებაზე პაპამ ცრემ-  
ლი ვეღარ შეიკავა და ვარდანს გულ დაწყვეტით მოუყავა:  
ნერსეს თავისი გაშენებული ხეები ისე უყვარდა, როგორც  
მშობელ მამას თავისი ღვიძლი შვილები. ტყეში რომ შე-  
დიოდა, თან ყოველთვის პატარა მაკრატელი დაჭრონდა და  
ხეებსა სხლავდა. ყოველ ხეს იცნობდა და დანამდვილებით  
იცოდა, წლის განმავლობაში ყოველ მათგანი რამდენად იზრ-

დებოდა. ამეგბის ცეკვით ნერსესი სტკებებოდა, ხარობდა, როგორც მამას უხარიან, როდესაც შვილის ჩქარ ზრდას უცემრისო და სხ...

ვარდანმა ნახა, რომ ამ ამბების თხრობა ძალიან აგვიანებდა და ამიტომ წასელა დააპირა.

— ყური ახლოს მოიტა, შვილო, უთხრა პაპამ.

ვარდანმა ყური მიუშვირა და შემდეგი სიტყვები გაიგონა:

— „აქაურობას ჩქარა გაერიდე, ვარდან, თორემ სხვა ნაირი თვალით გიცევერიან“.

— არა, პაპა, ჯერ სულ არავის ვუნახვივარ.

— საქმაოა, შვილო, რომ ერთს უნახვიხარ.— შენ შესახებ ცოტა ცუდს ამბებს მოვკარი ყური.

— პაპა, შეტ ხომ ყურთა სმენა გაკლია, ყური როგორ-ლა მოჰკარი?

— არა, შვილო! პაპას ყურები მხოლოდ მაშინ ჩლუნგ-დება, როდესაც ნათქვამი ხელ საყრელი არ არის, საჭირო სიტყვა არ გამოეპარება....

ვარდანმა ჩაიცინა და გამობრუნდა.

პაპამ უკანიდან მიაძხა:

— გამიგონე, ვარდან! თუ ერევანში მიღიოდე, ეგება ცოტა ბურნუთი მიყიდო. ხომ ნახე, რომ კოლოფი სავსეთა?

ამ დროს მელიქ-მანსურმა და მამა იოვანემ გამოიარეს.

— პაპას რას ელაპარაკებოდი? ჰკითხა არქიმანდრიოტმა.

— არაფერს, ამათში (ხელი ეჩმიაწინისკენ გაიშვირა) მხოლოდ ეგ არის პატიოსანი, რომელთანაც შეიძლება ლაპარაკი, მიუგო ვარდანმა და თან მელიქ-მანსურს მიუბრუნდა:

— თქვენთან ცალკე მოლაპარაკება მინდა, აქ ვინმე ნაცნობის სახლი ხომ არ გეგულებათ?

— როგორ არა.

პაპას გამაფრთხილებელი სიტყვები არ იყო მიზეზი, რომ ვარდანი წასელას ეშურებოდა, საზოგადოთ იგი მონასტერს შორს გაურბოდა... ვარდა ამისა ლალას ფიქრი აწუხებდა, უნდოდა როგორმე ეპოვნა, ან მის შესახები რამ შეეტყო.

მამა ოფიციალურად და სთხოვა, თუ მღვდლებისაგან რა-  
იმე ცნობა მიიღოთ, შემატყობინეთო.

— ეხლა შევიტყე, რომ მღვდლები შუადღემდინ ექ გაჩნ-  
დებიან და სიებსაც მოიტანენ, მიუგო მამა არქიმანდრიტმა,—  
უცკვლიად გაცნობებ

— ჩვენი ბინა ხომ იცით? ჰკითხა არქიანდრიტს მელიქ  
მანსურმა.

— ვიცი.

მაშ წიგიდეთ, ვარდან.

ამ დროს მოედანზე ხალხის პატარა გუნდი გამოჩნდა,  
რომელიც მძიმე ნაბიჯით სასაფლაოსკენ მიემართებოდა; რამ-  
დენიმე ალაშკერტელს მიცვალებულის კუბო მიჰქონდა. მიცვა-  
ლებულს წინ მღვდელი არ უძლოდა, შემოსილი მღვდელი  
სასაფლაოზე ელოდდა. სახოგადოთ იმ უამათ მღვდელი თით-  
ქმის სასაფლაოს არ შორდებოდა, რადგან კარგად იცოდა,  
რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა ახალი მიცვალებული მიეს-  
ვენებინათ. მიცვალებულს ერთის მეტი ჭირისუფალი არ უჩინ-  
და; იგი ერთი ავადმყოფი დედაკაცი იყო, მხარში ორი სხვა  
დედაკაცი შედგომოდა და ძლიერ-ძლიერობით იძყვდათ. საბრა-  
ლო არა ტიროდა და არც თუ თვალებში ცრემლი უჩნდა. იმ  
უამათ იგი იმ გვარ უგრი ნობლობით იყო შეპყრობილი, რომე-  
ლიც ადამიანს მაშინ მონახავს, როდესაც ყოველი გრძნობა  
ერთ რაიმე მოულოდნელ უბედურების სიმძიმის ქვეშ იმსხვ-  
რევა ხოლმე. როგორც ეტყობოდა, მიცვალებულის ახლო  
ნათესავი უნდა ყოფილიყო. უბედურს კაბის კალთებზე ორი  
ბავშვი მოსჭიდრებოდა და ტირილით უკან მისდევდნენ. ვალია-  
შპატელთაგანი არავინ სხანდა, გარდა ჩვენი ნაცნობი ექიმისა,  
რომელიც იმ ნახევრად შიშველ ადამიანთაგან თვალსაჩინოდ  
განირჩეოდა.

ეს სამწუხარო პროცესია ვარდანმა და მელიქ-მანსურმაც  
შენიშვნეს, მაგრამ ყურადღებაც არ მიაქციეს, რადგან ყოველ  
დღე, ყოველ წუთს ამ გვარ სანახავებს ხედავდნენ და ამის  
გამო ჩვეულებრივ მოვლენათ გარდაქცეოდათ.

\*\*\*\*\*

ვარდანმა რომ მელიქ-მანსური ნახა, ერთხანად თთქმა მთლათ გადაავიწყდა დარღი და მწუხარება, რომელიც საშინაო უღრღნიდა გულს. გარდა ამისა, არქიმანდრიტის მიერ მიცემული იმედი, რომ ხალხთან ერთათ ლტოლვილ მღვდლობისა და მამასახლისებისაგან შეეძლო შეეტყო მოხუცი ხაჩოს ოჯახის ხვედრი და ის ადგილი, საღაც იმ ემათ იქნებოდა—გულს უმშვიდებდა. თან გუნებაში ფიქრობდა: იმ ცნობათა მიხედვით შემიძლია ლალა ვიპოვნო და რაც ლტოლველების დროს ტანჯვა-ვაება და სიდუბჭურე გამოუვლია, სიყვარულის ცხოველმყოფელი სხივით შევუმსუბუქოვო.

მაგრამ ეს მხოლოდ წყლულების იმ გვარი დაღუნება იყო, როდესაც დარღი და ვარამი ყუჩდება და გულის ჭრილობანი წუთიერათ დასკრება ხოლმე.

მელიქ-მანსურს რომ ვარდანი მიჰყვანდა, ის სახლი ვალარ-შაპატის ერთ ძეველ ქუჩაზე იყო. მართალია, სახლები პატარები იყო და ღარიბათაც გამოიყურებოდა, მაგრამ, როგორც სახოგადოთ ვალარ-შაპატის სახლებს სჩევენიათ,—ეზოები დიდ-რონი ჰქონდა და ხილის ხეებში იყო ჩამალული.

— რომ იცოდე, სად მიგყვარ, ძალიანაც არ გესიამოვნებოდა, უთხრა გზაში მელიქ-მანსურმა.

— ჩემთვის სულ ერთია, — მიუგო ვარდანმა გულ-გრილად, — მე მხოლოდ ის მინდა, რომ ბ. სალმანის ამბავი შევიტყო. იმ სახლში ხელს ხომ არავინ შეგვიშლის?

— არავინ.

ერთი პატარა სახლის კარებთან გაჩერდნენ და დააკაკუნეს; ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც ბებერმა დედაკაცმა კარები გააღო. სახლში რომ შევიდნენ, ბებერმა მაშინვე კარები ისევ ჩაკეტა.

— აი, დედი, ერთი ახალი სტუმარი კიდევ მოგიყვანე, უთხრა ბებერს მელიქ-მანსურმა.

ბებერმა ვარდანს თვალი ეშმაკურათ გადაავლო და მიუგო:

— შენ პირს შაქარი...

— აბა, დედი, ჩქარი ერთი ბოთლი ღვინო მოვვიტა,  
 საშინლათა გვწყურიან, უთხრა მელიქ - მანსურმა, თან მიუხა-  
 ლოვდა და ჩუმათ დაუმატა: — სულს ამოგართმევ, თუ სხვა  
 ვინმე შემოგიშვია!

ბებერმა ეშმაკურათ გაიღიმა, თავი დაუკრა და გამობრუნდა.

ახალგაზდები შევიღნენ ერთ სანაცვეროთ ევროპიულათა  
 და აზიურათ მოწყობილ პატარა სუფთა ოთახში და პატარა  
 ტაბლას შემოუსხდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში წყა-  
 რის ნაბიჯით ერთი ახალგაზდა მანდილოსანი შევიდა, ხმის ამო-  
 ულებლივ ტაბლაზე ერთი ბოთლი ღვინო და ორი ჭიქა დაა-  
 წყო და ხმის ამოულებლივევე გარეთ გამოვიდა. თავზე სომხუ-  
 რი მანდილი ისე შემოეხვინა, რომ პირისახე თითქმის მთლიათ  
 დაჭფაროდა და მარტო ოდენ მაყვალივით შევი თვალები უჩან-  
 და. მაგრამ რაც უჩანდა, მისა სილამაზის დასაფასებლათ ისიც  
 კმაროდა.

მელიქ-მანსურმა ჭიქები ღვინით ააქსო, ერთი თითონ გა-  
 დაჰკრა, მეორე ვარდანს მიაწოდა და უთხრა:

— მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ ჩეენი მონასტრების  
 მეტი წილი ხალხის საცხოვრებელ აღვილებისთვის დაუშორე-  
 ბიათ და მოებზე, ხეობებშია და უდაბნოებში აუგიათ. ახალ-  
 გაზდობა არსად ისე გარყვნილი და ზნე-დაცუმული არ არის,  
 როგორც აქ, ვალარშაპატაში; ამდენი სუბუქი ყოფა-ქცევის  
 ქალებიც არსად მოიპოვება. წელანდელი ლამაზი მანდილოსანი  
 ხომ ნახე, ისეთი სიდინჯითა და მორცხვობით შემოვიდა, თი-  
 თქო განხორციელებული სათნოებათ, ნამდვილათ კი ერთი  
 ბერის საყვარელია. მეგონა, მონასტრის სიახლოევ სარწმუნოე-  
 ბის სიყვარულს მაინც დაიფარავდა, მიგრამ აქ, პირიქით, ყვე-  
 ლა ურწმუნოა. ბერების ცუდი ყოფა-ქცევა ხალხში უზნეო-  
 ბასა და სარწმუნოებისადმი გულგრილობისა ჰპადებს. ლოთრან-  
 გობას (პროტესტანტობა) აქ ფესვი უკვე ღრმადა აქვს გადგმუ-  
 ლი. პაზარზე რომ მოვდიოდით, უკვე ლი კოხტა ხახლებს შე-

ნიშნავდი; რომ იყითხო ვისია ის სახლებიო, გიპასუხებების; ამა  
და ამ ბერის შორეულ თუ მახლობელ ნათესავს ეკუთვნისო,  
იმ ნათესავს, რომელიც ძალზე ღარიბი ყოფილა, მაგრამ შემ-  
დეგში მონასტრის წყალობით გამდიდრებულა. სწორე გითხრა,  
გული მიკვდება, როდესაც ვხედავ, რომ აქ ტყუილ-უბრალოთ  
ასი ათასობით იხარჯება, მაშინ როცა ყოველი გროში ჩვენთვის  
ძირიათა ღირს. ათასი საჭიროება გვაძვს, ყველაფერს ფული  
ეჭირება; კონსტანტინეპოლის საერო საღარიში თავები და-  
ხტიან. პატრიარქს გროში არ მოეპოვება, რომ თვით უსაჭი-  
როესი მოთხოვნილება მაინც დაავმაყოფილოს. ზედაც იმ გვა-  
რი საქმეები დაატყდა თავს, რომელთა გადადება და დახანება  
ჩვენი ერის საუკუნო დაღუპვათ უნდა ჩაითვალოს. მიუხედავთ  
ყველა ამისა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა და ეჩმიაწი-  
ნის მთავრობის შორის მე მაინც საერთოს ვერას ვხედავ. რა-  
ღაც კონსილიტების მოსაშორებლათ მანუნიმ კონსტანტინე  
პოლში ოცდა ხუთი ათასი მანეთი ჩაღუპა და, როგორც ისმის,  
ამ დღეებში ოცდა ათი ათასი კიდევ გაუგზავნიათ, ვინ უწყის,  
რა ჯოჯოხეთური მიზნის მისაღწევათ! გარნა სომხის პატრი-  
არქს, ამ ერთათ-ერთს ნამდვილ მოღვაწეს-კი გროში არა აქვს!..

— ეს ღვინო ცოტა მოჰკავებულა, სიტყვა გააწყვეტინა  
ვარდანმა.

— როგორ, განა ყურს არ მიგდებდი?! წამოიძახა გაჯავ-  
რებულმა მელიქ-მანსურმა

— როგორ არა, — პატრიარქს გროში არა აქვსო...

— მაგრე ლაპარაკი არ იქნება.. .

— რიღას ლაპარაკი? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ რომელ  
ერსაც მომავლის იმედი სამღვდელოებაზე დაუმყარებია, ის ერი  
დაღუპვის უფსკრულისკენ მიექანება.

ახალგაზდა მანდილოსანი კვალად ოთახში შევიდა, წყნა-  
რი ნაბიჯისვე ტაბლას მიუახლოვდა და ზედ საუზმით სავსე  
სინი დაღო. ამ ხელით პირსაკრავი ცოტა ძირს ჩამოეშო და,  
წინათ რომ მარტო თვალ-წარბი უჩანდა, ეხლა ვარდივით წი-  
თელი ნაზი ტუჩებიც გამოსჩენოდა.

— յորու ծոռալո լցոնո կոდցա մոցցուրա, մեռլողա ամօ-  
սո յո առ ոյս, յոտերա մելոյի-մանսուրմա.

մանճոլուսնո հիշմատցը զամոնձրունդա.

— մլոյիր մոյզորիս, ասցու ծինա համ մոցանահցոնա? Ֆյուտեա  
ցարժանմա.

— ու հոմելոմից ծերուս հոցօնու ցաբունքա ցինդա, չյր  
մուս սապարյալս լինդա ցաշմեցածրուց... Տուրուուտ մուշցո մելոյի-  
մանսուրմա.— ցարժա ամօսա, օյ յրտցարու սահոցածոցի ոյրոնցի,  
հոմելուց սապուրածոցի լինուցի մաֆցուս եռլում.

— հասազուրցուլուս, ցց լինուցի լիմտացրեսատ մոնասերուս  
Շյեսաեցի օյնեմ, գայուրուու ցարժանմա ուրոնուլուտ. — մացրամ  
չյր եռոնիտ մոնասերուս տացու ցազանցեցու և հիցն սավեչը ցո-  
լուաձարյուտ. ցուլուտ մոնդա Շյցուրպու, ծ. սալմանուս սավեչը հո-  
տու դածոլոցւց, ան հիմն ոյ արյուղնուս լորուս հա ամիցի մո-  
նդա? Ցյ չյր առաջերու ցուրու; մարտալուս, մամա ուղամցի ծեցրու  
համ մումիու, մացրամ հապւ հիմտցուս սավորուս, ոմուս Շյեսաեցի տո-  
տոնաց առա ուրուս-հա.

ցարժանուս սուրպցումից մելոյի-մանսուրիս լորոցիտ մոցուրպց-  
ծուլու սամիշեարու Շահսելու ցասեսենա, ամուս սաենչը Շացու  
լուրցուլու ցալցուահա և ցալուրչցեցնու ուրիցի այտուուուլուց.  
Ռուն մջցում սացես կոյսա եւլու գուցու, սահյարուտ ցալաշյուր  
և եցուօնատ մուշցու:

— ցումիու, Շյեն լինդա պայլացյուրու ուրուց, տումցա սա-  
սոխարյուլուս ցյրուս ցաոցի. — ծ. սալմանու լամյ դայրուսալցեցունատ,  
մյ մեռլուց մյուրու գուլուս հոյրացնչը Շյցուրպու. լամեցնուրցեցուլուս  
սավեչը ույց մոցուրպու, հոմ ուցուտ սակուս հաւրուն ցլցեսաց-յո  
ւըրա ցացու-հա. Մյու մեռլուց մուս յրու նալունացիսցան Շյցու-  
րպու, հոմելուսաց Շյցույունու ծ. սալմանու Շյտեցցուտ յնածա.  
հիմու հորցուլու սահրունացու ու-լու ոյս, հոմ հիմ ունամունիցուտ  
Շորուս համցենումյ ցեցնուսանու Շյմեյրունա և լիյան գուցու Շայցանատ և հիցն-  
կուուտ. մացրամ ուրումյ սուլ սեցա ցնուտ Շայցանատ և հիցն-  
կու, սայնցուրուուտ, ահացյերու ցուրուուտ. ուն ուրիշ մյուրու մեց-  
արու մյցանդա և պայլու Շյմտեցցուտցուս միսա ոյս ուցու ցաց-



წირა. ბევრი კვლევა ძიების შემდეგ მხოლოდ იმ სამაზროს ქალაქს მივაგენ, სადაც იმ დროს სამხედრო საქმეთა ის მწარ-მოებელი ფაშა ბინადრობდა, რომელთანაც უბედური ახალ-გაზდა წაეყვანათ. ძლიერ ძლიერით შევიტყე, რომ მიყვანის უმაღვე ჩამოქარხოთ, უბედურის გვამიც-კი ვერსად ვიპოვნე. როგორც მის გვამს მოქუცეოდნენ, ვგონებ, მხეცებიც-კი არ მოიქცეოდნენ. ამ საზიზღარმა ბოროტ მოქმედებამ გული სა-მაგიეროს მიწყვის გრძნობით ამიერ და ის აღთქმა, რომელიც ჩვენ დავდეთ, ბ. სალმანის სისხლის დანთხვევით უფრო განმ-ტკიცდა.

— შენც ხომ კარგად აცი, განაგრძო მელიქ-მანსურმა, ბ. სალმანის შემდეგ მოხუცი ხაჩი და მისი ორი შვილიც—ჰაირაპეტა და აპო—დაატუსალეს. მართალია, სიცოცხლე მა-შინვე არ მოუსცეს, მაგრამ ციხეში-კი ძალიან მცარიად ეპუ-ყრობოდნენ. როგორც გამოირკვა, თურმე სულ იმას ცდი-ლობდნენ, რომ მდიდარი მამასახლისის შენახული სიმდიდრე ხელში ჩაეგდოთ და შემდეგ ისე დაეხოცნათ. მაგრამ მამა-შვილთ აუტანელ ტანჯვა-ვაებას ვეღარ გაუძლეს და ციხეში დაიხოც-ნენ.

— ამ ამბების შემდეგ ნათლათ ვხედავდი სოფელ ო...ს რა ბედიც მოელოდდა, ამიტომ პირდაპირ ისმაილ ფაშას მივმართე, რომელსაც ბაიაზეთის ჯარების უფროსობა ჰქონდა ჩაბარებუ-ლი. იგი საკმაოდ ჭკვიანი კაცია და იმედი მქონდა, რომ თხოვნა უქმათ არ ჩამივლიდა. არაფერი დაუშამალე, თვით ისიც კი შე-ვატყობინე, მე და ჩემ ამხანაგებს რა სამზადისიცა გვქონდა. გამოვუცხადე: ხალხში დიალაც ბევრი იარაღია დარიგებული, მაგრამ ამ სამზადისს მიზნად აჯანყება კი არა აქვს, როგორც შეცდომით თქვენთვის ჩაუკონებიათ, არამედ თავის დაცვა. მაჲმაჲიანობის ამ წრეს გადასულ ფანატიკოსობის დროს, რო-მელიც სამლენელოებამ გამოიწვია, ვუთხარი, — ქრისტიანობა შეიძლება მთლად გაიქლიტოს, თუ კი თავის დაცვის საშუა-ლება არ ექნება მეთქი. მის გამო,—დაუშამატე, —თვით მთავრო-ბამვე წინათვე ზომები უნდა მიიღოს, თუ არ უნდა ბოლგა-



հուս ու սամփշեարու ամեցի օյնալ գանմեղորդց, հռմելմալ ու ումականականութեան  
լույտու մտացրոնք լուզո პասլենումցեցնոնք քաարեցա. մանա-  
գամց, մտացրոնք թագլուցելու պ պնդա ուղու ուղու, հռմ թհրոմա գա-  
զուացուլցու: հու գայուցին մուցալու ուուոն ուղու, իցը գա-  
զուցու, յիւսւունց եցլու ուրալու մուցուու, հռմ մակմա-  
գուանտա մրարցալունուցան ուցու ուուուցան մետյո.

— ցանցերա ուանամ, — ցանացրու չելույժ-մանսուրմա, — լուզո  
տանացրմենոնք ցամոմութեալ ու լամբուրդա, հռմ ուուոնալ պ պայ-  
լու սամփշալցնոնք ուեմարցնոնք, հատա սումենոնք հումեց ցեցնու առ  
մուսպրեմութատ; տանալ პուրոնք մումցա, մատու սուպութելուս ու  
յինցնոնք սամփշալց-սապութեալ պուցը զարու սապուրու նումեցն  
ունցնու մուցեցնուու. ոմ գորու հուսու չարցնու պայնա ծրացնուց-  
ծութա. ხալութու եմա ուղու դացարցնուու, հռմ սումենոնք պյելան  
ուրցնու ու ումատուա յրտաւ ցագասակելցնոնք ապուրցնուու. ուանամ  
մումենթա, ხալութ-լամբութելուցան, հռմ ալցուուուն առ ճամփու-  
լուու... ցա մոնթունունոնք լուզու սուսարուլուու մուցուու, հալ-  
ցան մեցունա, դանանուրցնու յեսարուլցնոնք. մացրամ ցամոմուստրում  
հա ույ առա, ույրմէ սուդումլու ծրմանցնու մուսպա ուատուա-ծեցն,  
հռմելու պ մանունց սուուլու ո...ս պյելուուտա ու մաեցուուու  
յեցսու, մուլու սուուլու ցագածուց ու մւեռուրցնուտա մումերու-  
ծուլ նախուն մուսիրո ցացլու. ամ ամեցամ մույլ մանուս ուաշնարո  
ճասպա ու ցագոմուսակելցնոնքալ պ պուրու եցլու յեցնուու. իցմա ու  
իցմ տանամուանուց մեցագունունք, հռմ մանուսացան ճամփուրտեալու  
ხալու սամշունու մունչանց ցացուցացնուոն, սուլ պյեմալ հաօրա.  
ան յու հռոգու պնդա ցացամբույնուու, հռուցսալ մացալուու ուցալ-  
նունա չյիւնութա? լուգանալ հռմ անցցելուսու եմա ցացունատ, մա-  
նունալ յու զեր ճաաչչերցնուու, հռմ սուուլ ո...ս եցելու ուցուու  
պնդուս առ ճաարուցնուու.

— ցերացու ուանու մութպուցնու պ պուրու ճամունիւու յրտ-  
եցլու յեցցենուու անհու, հռմ ուսմալու մուելունու յիւսւուն-  
ունոնք մուսկունուս ու սումեցտու սումեցնոնք ցամունցաս պիս-  
ճատ ույ ուարուլու եցլու պնդուու. իցմա ու իցմ տանամուան-  
ուցտա լուգան սամշունու մունչանց մեռուու յրտու նախուն յեց-



კავა, ისიც ძალიან მცირე ნაწილი. ისმაილ ფაშამ დაუყოფ-ნებლივ ნება მისცა ქურთებს, რომ რუსეთისკენ ლტოლვილი სომხების ჯავრი დარჩენილებზე ამოყეარათ. ქურთებმაც თა-ვიანთი ჩვეულებრივი შეუბრალებლობა და ძალ-მომრეობა სავ-სებით გამოიჩინეს და ამ გვარად შრავალ ადგილას ხალხის სა-შინელი ულეტა გაჩაღდა...

— დღევანდლამდინაც კი დარწმუნებული ვარ, — განაგრძო ისევ მელიქ-მანსურმა, — რომ თუ ხალხი ადგილიდან არ დაძრუ-ლიყო, თავის დაცვის ადგილად შეიძლება. რასაკვარეველია, ოსმალეთის კანონიერი ჯარი მუდამ მორჩილსა და მშვიდო-ბიან ხალხს არ დაეცემოდა. ადგილობრივი მთავრობა ამგვარ აშკარა მტარვალობას ვერ ჩაიდენდა, მით უფრო, რომ იმ დროს ალაშკერტისა და ბაიაზეთის მხარე ინგლისის აგნტებითა და ევროპის გაზეთების კორესპონდენტებით იყო საჭავ. ადგილობ-რივი მთავრობა მხოლოდ იმას ჩაიდენდა, რაც უკვე ჩაიდინა, ესე იგი ფარულად ქურთებს სომხებზე აამხედრებდა და თითონ კი შორიდან ყურების დაუწყებდა. მარტო ქურთებს კი სომ-ხები ადვილად გაუმკლავდებოდნენ. ერთი მცირე, მაგრამ შე-სანიშნავი მაგალითი დაგიმტკიცებს, რომ ჩემი აზრი შემცდა-რი არ არის. ყური დამიგდე, ყველაფერს მოკლეთ გიამბობ.

— სომხების აყრის შემდეგ, როცა რუსის ჯარმა ალაშ-კერტისა და ბაიაზეთის მაზრები დასტოვა, ესე იგი, როცა სევ-ნებული მაზრები ხელიხლად ოსმალეთს ჩაუვარდა ხელში, — იმ დროს, როგორც გითხარი, ქურთებმა დანარჩენი სომხების ძარცვა-გლეჯასა და ულეტას მიჰყვეს ხელი. იმ არეულობის დროს რამდენმამე ასმა სომხის იჯამშა დასტოვა თავისი ბინა და მთას შეაფარა თავი. წარმოიდგინე, ორი-სამი კვირის გან-მავლობაში რამდენიმე ათასი ქურთი ებრძოდა იმ ერთი მუქა გმირებს, რომელნიც არა თუ არ დანებდნენ, არამედ რამდენ-ჯერმე მტერს მამაცად შეებნენ, დაამარცხეს და მდიდარი დავ-ლა თუ სხვა საომარი სამზადისი წაართვეს. ის დაუციწყარი დღეები რომ მაგონდება, გული უსაზღვრო სიხარულით მევ-სება და უნებურად რაღაც ოცნების სამთავროში შევცურდები



ხოლმე... მარტო ახალგაზღვები კი არა, თვით მოხუცები და დედაკაცებიც კი იძრძოდნენ. ეხლა კი დავრჩმუნდი, რომ მოუნისას არ ძალუქს შთანთქას ის გმირობა, რომელიც წინაპარო ერის ძარღვებში ჩაუწვეთებით. მონობას შეუძლია გმირობა მხოლოდ დროებით დააყუჩოს, დაადუნოს, მაგრამ სამუდამოთ გაქრობას კი ვერასოდეს შეიძლებს. დაპკრავს თუ არა მარჯვე წამი, მაშინვე ხელახლა გაიჩინება და უფრო მეტის ძალონით იფეთქებს. ამის მაგალითი ჩემი საკუთარი თვალით ვიხილე. და ის ერთათ-ერთი სასიხარულო სხივიც, რომელსაც შეუძლია ამ აუარებელ უბედურობის დროს ადამიანი ანუგე-შოს,— სწორეთ ეს შემთხვევა.

დალვრემილი სახე ვარდანს ცოტა გაუნათლდა და მა შინვე თვალები ჭრს მიაცყრო, თითქო ლოცულობს და გან-გებას მაღლობას სწირავსო... .

— მაინც, საქმე რითი დაბოლოვდა? — ჰკითხა მან.

— მიუდგომელ მთებში დიდხანს თავის შეფარება თუმცა ძალიან საძნელო იყო, მაგრამ მაინც შევიძლებდით, მარტო ქურთებთან რომ გვქონდა საქმე. მაგრამ გარს ჩქარა ოსმა? ლოს კანონიერი ჯარიც შემოგვერტყა. ამ უკანასკნელსაც, როგორც იქნებოდა, გავუმკლავდებოდით, რადგან ჩვენ მხირეს იყო ის უძლეველი ძალა — სომხეთის მიუდგომელი მთები, რომა? ლებიც მუდამ მშობლიური მზრუნველობით იფარავს ყველას, ვინც კი მიმართავს ხოლმე. მაგრამ წყეული სურსათის ნაკლებულება ისე დაგვატყდა თავს, როგორც უძლეველი მტერი. მართალია, ჩვენიანები ღამით სტოვებდნენ მთებს, მახლობელ ქურთის სოფლებს იყლებდნენ და სურსათს გვაწვდიდნენ, მაგრამ გაჭირვებიდან არც თუ ეს საშუალება გვიხსნიდა ყოველი. თვის, უფრო კი იმიტომ, რომ ქურთის სოფლებში აღარავინ დარჩენილიყო, მცხოვრებლებს თავიანთი საქონელი გაერექნათ და შორეულ იალალებს შემტენოდნენ. რაღა თქმა უნდა, ჩვენი ამ გვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა, რადგან ჩვენ გარშემო ერთი სომხის სოფელიც კი არ დარჩენილიყო აუკლებელი, რომ სხვაფრივ თუ არა, სურსათით მაინც დაგვხმა?

რებოდა. მტრი კი თან-და-თან უფრო გვიახლოედებოდა. მა-დროს ჩვენებმა ერთი საოცარი გმირობა ჩაიდინეს: ერთ ღა-მეს შემორტყმული ალყა გაარღვიეს და ურიცხვი მტრის ბა-ნაკი განვლეს. წარმოიდგინე, ამ გვარი გამბედაობის. ჩამდენი მარტო მებრძოლი მამაკაცნი არ იყვნენ: თანვე ჰყვანდათ მთე-ლი ოჯახობა, ცოლი, შვილი, ქალიშვილი და ბავშვები.

— მერე საით წავიდნენ? — ჰკითხა ვარდანმა მოუთმენლ-ობით.

— როგორც იყო, დასძლიეს სხვა და-სხვა მწარე დაბრკო-ლება, ოსმალეთის საზღვარი განვლეს და სპარსეთში გავიდნენ.

— მაშ, როგორცა ჩანს, სპარსეთიდან მოსულხარ?

— დიალ, სპარსეთიდან.

— ახლა აქ რა განზრახვითა ხარ მოსული? — ჰკითხა ვარ-დანმა.

— მე მხოლოდ ერთი რამა მაქეს აზრათ და, იმედია, შენც დამეთანებები, მიუგო მელიქ-მანსურმა და უფრო სერი-ოზული გამომეტყველება მიიღო: — უნდა ვეცალეთ ლტოლ-ვილთა სიცოცხლე როგორმე დავიცვათ, რომ სიმშილისა და ავადმყოფობის მსხვერპლნი არ შეიქნენ. დარწმუნებული ვარ, რუსები ძალის მოიკრებენ და ერთხელ დაპყრობილ ქვეყნებს კვალად ხელში ჩაიგდებენ. მაშინ იქ მშვიდობიანობა დამყარ-დება, მაშასადამე უნდა ვეცალეთ, რომ ალაშკერტელები და ბაიაზეთელები სამშობლოშივე დავაბრუნოთ. წინააღმდეგ შემ-თხვევაში სომხეთის მომავლისთვის დიდი უბედურება იქნება, თუ ალაშკერტისა, ბაიაზეთისა და მათს მოსაზღვრე მაზრებში სომხები გამოილევიან და იმათს ადგილს ველური ქურთები დაიკერენ.

— მერე გვონია, ის მაზრები სამუდამოთ რუსეთის ხელში დარჩება?..

— შეიძლება ომის შემდეგ, შერიგება რომ ჩამოვარდება, ისევ ოსმალეთს დაუბრუნდეს, მაგრამ მაშინ იქაური ცხოვრება ძირებულათ შეიცვლება და აშ არსებული უწეს - რიგობა და უსამართლობა ველარ განმეორდება... დამარცხებული ოსმა-

ლეთი ჭყუას მოიკრებს... ჯერ ხნობით მე ერთი სხვა იმედიც  
მაქვს...

ამ დროს ოთახში ბებერი დედაკაცი შევიდა და უთხრა  
შათ, ვიღაც უცნობი მღვდელია და თქვენს ნახვას ნდომუ-  
ლობსო. ვარდანს ეგონა, მამა არქიმანდრიტის ნათქვამი მღვდელ-  
თავინი იქნებოდა, ამიტომ უბრანა, რომ შემოეშოთ.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შევიდა სოფელ ო...ს მღვ-  
დელი, ტერ-შარუქა.



მღვდელი რომ ოთახში შევიდა, მელიქ-მანსურსა და ვარ-  
დანს საუზმე უკვე გაეთავებინათ და ზედაც რამდენიმე ბოთლი  
ღვინო დაელიათ. ვარდანს ძლიერ სამძიმოთ მიაჩნდა ხელ-ახლა  
შეხვედროდა იმ აღამიანს, რომელსაც მისა და მის მეგობარ  
პ. სალმანისთვის იმდენი უსიამოვნება და დაფი-დარაბა მიეყე-  
ნებინა. მაგრამ გარემოება უნებურათ თვით მტრებსაც-კი და-  
მეგობრებს ხოლმე. მღვდლის შესაბრალისმა მღვომარეობამ,  
ვამხდარმა სახემ და გაცვეთილ-დაბლერძილმა სამოსელმა, რო-  
მელშიაც იგი მათხოვარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ღვთის სახ-  
ლის მსახურს, — დიალ ამ საბრალო აღამიანის საკოდაობაშ  
ვარდანს ძველი ჯავრი მთლათ გადაავიწყა. ვარდა ამისა იმედი  
ჰქონდა მის ბავეთავან იმ ოჯახის შესახები ამბავი მოესმინა,  
რომლის ხვედრის შეტყობას ისეთის გულის ფანცქალით ელო-  
დდა.

— მამა იოვანემ გამოგვზარნათ? ჰყითხა ვარდანმა და თან  
სთხოვა, რომ დამჯდარიყო.

— დიალ, მამა იოვანემ... მიუგო მღვდელმა და მიუჯდა  
ტაბლის, რომელზედაც ერთი ბოთლი ღვინო კიდევ დარჩე-  
ნილიყო.

ვარდანმა ჭიქა აავსო და მიაწოდა; მღვდელმა ჩამოართვა,  
დაილოცა და დალია. მაგარმა სასმელმა საბრალო მღვდელზე  
ისე იმოქმედა, თითქო სიცხისაგან შეწუხებულ მცნარეს ყოვ-

ლად შეძლებელი ნამი დაეცაო. მიმქრალი, გაციებული სხვე  
როგორდაც გაუცოცხლდა და იმედით გაუბრწყინდა. მელიქ  
მანსურმა რომ ეს შენიშნა, ჰკითხა:

— საჭმელი არა გნებავთ-რა?

— გუშინდელს აქეთ არა მიქამია-რა, უპასუხა მან ისეთი  
საცოდავი ხმით, რომ შეუძლებელი იყო არ შეგბრალებოდათ.

მელიქ-მანსურმა მაშინვე ბებერს გასძახა, რომ მღვდლის-  
თვის საუზმე მოეტანა.

ვარდანს უნდოდა გამოკითხვის იმ წამსვე შესდგომოდა,  
მაგრამ ეძნელებოდა. იმ დროს მისი მდგომარეობა სწორეთ ივ  
უბედურის მდგომარეობას მოგავონებდათ, რომელსაც შინ არ  
ყოფნის დროს სახლში ქურდები შესცვივნიან და, რაც მამა  
ჰქონია, ყველაფერი წაუღიათ. შინ რომ დაბრუნებულა, სახლი  
ცარიელი დახვედრია. გარნა თავისი ძეგლთასი განძი სახლის  
საკუჭნაოში ჰქონია დამალული, ამიტომ იმედოვნებს, რომ  
ქურდები ვერ მიაგნებდნენ. აგერ იმ მრავალ მნიშვნელოვან  
საკუჭნაოს უახლოვდება, გულის ფანცქალით ჩერდება და ვა-  
ლება, გაშინჯვა ვერ გაუბედნია. წინათვე რაღაც შიში, რა-  
ღაც საშინელება იპყრობს და თან ჰფიქრობს: საგანძე რომ  
ცარიელი დამიხვდეს, მაშინ ჩემი მდგომარეობა როგორი უნდა  
იყოს? უკანასკნელი იმედი და ერთათ-ერთი ნუგეში ხომ მთლათ  
გამიცრუვდებათ.

ვარდანიც სწორეთ ამ გვარ ყოფილში იყო. ჯერ კიდევ  
იმედოვნებდა, რომ ლალას იპოვნიდა. მისი ბედნიერება თუ  
საუკუნი უბედურება მღვდლის ერთ სიტყვაზე იყო დამოკი-  
დებული. მაგრამ ღვდელს რომ სამწუხარო ამბავი შეეტყობი-  
ნებინა, იმდენი ძალ-ღონე და გულის სიმაგრე კიდევ გააჩნდა,  
რომ ყველაფერი აეტანა? მისი სული და გული თავზარ დამ-  
ცემ წინათ-გრძნობებით იყო შეპყრობილი და, თუმცა ყვე-  
ლაფრის გამოკითხვა გულით უნდოდა, მაგრამ მაინც ვერაფე-  
რი ჰკითხა.

მელიქ-მანსურმა ვარდანისა და ლალას სიყვარულის ამბა-  
ვისა არაფერი იცოდა, მოხუცი ხაჩოს ოჯახის ცნობაც-კი არა

ჰქონდა. მაგრამ ვარდანს რომ რაღაც მოუსვენრობა შეატყო,  
ჰკითხა:

— მღვდელთან, ვგონებ, რაღაც სალაპარაკო გქონდა?  
იქნება მე...

— არა, შენთან დასამალი არა მაქვს რა, — უპასუხა ვარ-  
დანმა და თან მღვდელს მიმართა:

— მამაო, შენი მრევლის სია მამა იოვანეს გარდაეცი? —  
ჩემთვისაც ძლიერ საყურადღებო ვიცოდე, გადმოხვეწილთა  
შორის სოფელ ო...დან რამდენი კომლია, ან ამ ეამათ სად  
არიან?

— შე დალოცვილო, ჩემი მჩევლისგან ვიღა დარჩა, რომ  
სია შემედგინა! მიუგო მღვდელმა იმ გვარი კილოთი, თითქო  
ლაპარაკი ქათმებს შეეხებაო. — თითებზედაც-კი შემიძლია ჩამოვ-  
თვალო ვინც გადარჩა და ან სად არის.

ვარდანი მთლიან კანკალმა აიტანა.

— ნუ თუ ყველა გასწყვიტეს? — ჰკითხა ფერ გადაკრულმა  
ვარდანმა მოუთმენლობით.

— რომ არა ვთქვა ყველანი მეთქი, ის მაინც უნდა ით-  
ქვს, რომ კაცი აღარ გადარჩენილა. მე თითონაც არ ვიცი,  
რა მოუკიდათ ან რა იქნენ? ღმერთმა ნურა ქრისტიანს ნუ  
მიაყენოს ის უბედურება, რაც სოფ. ო...ს მიაღდა! ყველაფერი  
ჩენი ცოდვების ბრალია. თითქო სოდომი და გომორიაო,  
ციდან ცეცხლი და გოგირდი მოვიდა და ყველაფერი წალექა.  
ვინც რომ ცეცხლს გადურჩა, ჭურთებმა ზოგი ტყვეთ წაიყ-  
ვანეს და ზოგიც გასწყვიტეს. ყველაფერი მხოლოდ ერთი ღამის  
განმავლობაში მოხდა. მეორე დილით მთელი სოფელი ჩამქ-  
რალ კოცონს მოგაგონებდათ — წავიდა, დაიკარგა ჩემი ნისი-  
ები!.. რისამე მიღების იმედი აღარ არის!.. თომას - ეფენდი  
(ღმერთმა სულით განათლოს!) შემპირდა, ნისიებს შეგიკრე-  
ბინებო, მაგრამ იმანაც თქეენი ჭირი წაილო... დავრჩი ასე  
უმწეოდ, უსახლკაროდ!.. ხომ ხედავთ, რა მდგომარეობა შიაცა  
ვარ?.. ესა თქვა და თავის დაბლერძილ ტანისამოსს დაცემრდა.

საპრალო მღვდელმა ცრემლი ველარ შეიკავა და გულამის-კვნილი ქვითინი ამოუშვ. რა აქვითინებდა? უკვალოთ დაკარგული თავისი რძალი ზულო და მისი ანგელოსის მსგავსი ბავშვები ხომ არ გაასენდა? იქნება თვალწინ წარმოუდგა თავისი ერთათ ერთი ქალი და სიძე, სიმონა დიდიკვანი, რომელნიც საერთო არეულობის დროს სადღაც ჩაყლაპულიყვნენ? ან იქნება თავისი სამწყ-სოს მწარე ხვედრი სტანჯავდა, იმ სამწყსოსი, რომლის დაღუპვის ამბავს იქ მყოფ ისე გულ-გრილათ მოუთხრობდა? არა, მღვდ-ლის ცრემლის მიზეზი არც ერთი მათგანი არ იყო! მას მხოლოთ თავისი ნისიები აგონდებოდა, ის ნისიები, რომელიც უიმი-სოთაც გატყავებულ მრევლზე დარჩენილიყო; ეხლა ეს მრევლი აღარსად იყო, მოლათ გამწყდარიყო, მაშასადამე, ნისიებს ვე-ლარ მიიღებდა!.. მაგრამ ვარდანმა არაფერი იცოდა იმ ნისი-ებისა, რომელსაც მღვდლისთვის იმდენი მწუხარება მიეყინებინა; ამიტომაც იყო, რომ ვანსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია.

გამოკითხვის განგრძობას ველარ ბედავდა, ერთი მხრივ მოხარულიც იყო, რომ „ნისიების“ წყალობით მვდელი უმ-თავრეს საგანს შორდებოდა. მაგრამ იმავე დროს გული ნაღვ-ლით ევსებოდა და, რომ რითიმე გაექარევებინა, წინ მდგომ ლვინით სავსე ჭიქას ხელი დაავლო და გადაჰკრა. მაგრამ დამ-წვარი გულის ტანჯვას ლვინო უფრო უღელვებდა, უცხოვე-ლებდა, სწორეთ ისე, როგორც ცეცხლზე დასხმული ნავთი.

ამ გვარი საშინელი მდგომარეობიდან ვარდანი მელიქ-მანსურმა გამოიყვანა. მოხუცი ხაჩის ოჯახის შესახებ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი, იმ საუცხოვო ოჯახის უფროსისა და მისი ორი შვილის სამწუხარო სიკვდილის ამბავიც კარგად იცოდა, მაგრამ დანარჩენ წევრთა შესახებ კი არაფერი სმე-ნოდა.

— მოხუცის ოჯახის წევრთაგან ვინ გადარჩა? — ჰქითხა მღვდელს.

— არავინ, — მიუგო მღვდელმა გულ-გრილათ, — თვით მოხუცი და მისი ორი შვილი ციხეში დაიხოუნენ (ეს თქვენც

კარგათ უნდა იცოდეთ). დანარჩენი ვაჟიშვილები დახოცეს, რძლები და ქალიშვილები-კი ტყვეთ წაიყვანეს...

— ყველანი?.. წამოიძახა თავზარდაცემულმა ვარდანმა.

მღვდელმა რომ ჭავჭავაძის აღელვებული სახე შენიშნა, შეკრთა და ძლივს მიხვდა, რა მოუფიქრებელიც იყო მისი პასუხი. ამიტომ საჩქაროთ დაატანა:

— სარა აქ არის, თანაც ორი ბავშვი და ლალა ჰყავს.

ვარდანის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იმ ებათ იგი იმ ადამიანს ემსგავსებოდა, რომელიც ზღვის საშინელ ფრთონის დროს ტალღებს აქეთ-იქით უხეთქებია, მიღეული ძალონე ვეღარას შველის, ხელი ვეღარ გაუქნევია და უიმედოთ თვალებსა ხუჭავს, რომ ზღვის უფსკრულში გაახილოს. მაგრამ უცებ რწმუნდება, რომ მშრალზეა. გაოცებული აქეთ-იქით იცემორება და არ იცის, როგორ გაჩნდა იქ? თურმე მძლავრ ტალღას ნაპირზე გამოუგდია.

— ლალა... სარა აქ არის?.. მაშ კვლავ ვიხილავ მათ?.. — დიდება შენდა, უფალო! წამოიძახა ვარდანმა და უეხზე წა- მოხტა — წავიდეთ, მამაო, მათი ბინა ხომ იცით? შენც წამოდი, მეგობარო! სთქვა და მელიქ-მანსურს ხელი მოჰკიდა.

სამივენი ქუჩაში გამოვიდნენ. ვარდანი ჩქარობდა, უნდო- და მალე დამტკბარიყო ლალას ხილვით, მაგრამ საბრალომ რა იცოდა, რომ მისი სიხარული ხან-მოკლე გამოდგებოდა! ლვდელ- მა ჯერ არაფერი იცოდა იმ უპედურობისა, რომელიც ხსენე- ბულ<sup>4</sup> ლტოლვილთ დასტუდომდათ თავს.

დილით, მონასტრიდან გამოსვლის დროს, ვარდანს რომ სასიფლაოსენ მიმავალი სამგლოვიარო პროცესია ახლოდან ენახა, მაშინ მწარე სინამდვილე თვალ წინ დაუდგებოდა და შველაფერს მიხვდებოდა. მაგრამ სხანს, ბედის წერას მისი უფრო მეტათ დასჯა სდომინა, რომ საყვარელს არსებას ვეღარა- სოდეს შეხვედროდა...

სარა და ლალა რომ მონასტრიდან კეთილ ექიმის მიერ დაქირავებულ სადგომში გადიყვანეს, მძიმე ავაღმყოფები იყვნენ. გულ-კეთილმა დიასახლისმა, რომელსაც ჰქონდა მინდობილი

ხსენებულ ავადმყოფთა მზრუნველობა, — განსაკუთრებული სიბრალულით მიიღო, მეტადრე, როდესაც შეიტყო, რომ მდიდარი და ყოველ მხრივ პედნიერი, მაგრამ უკანასკნელ მწარე შემთხვევათა გამო გაუბედურებული ოჯახის წევრნი ყოფილიყვნენ.

ზნეობრივათ დატანჯული, ფიზიკურათ მიხრწნილი და, საზოგადოთ, მთლიათ მასუსტებული ლალას გადასვლის პირველ ღამესვე საშინლიათ გააცხელა. დიასახლისმა მაშინვე ექიმს აცნობა. ექიმმა საჩქაროთ მიირბინა და ნახა, რომ ავადმყოფი საშიშ მდგომარეობაში იყო. „მორჩენის იმედი არ არის“<sup>ო</sup>, გამოუცხადა დიასახლისს და დიდხანს ავადმყოფს არ შორდებოდა, რომ როგორმე მორჩენის გზაზე დაეყენებინა. შუალამე გადასულიყო, ავადმყოფმა მოიხედა და ცოტა არა კიდევც დამშვიდდა, ასე რომ ლაპარაკიც-კი დაიწყო და გვერდით მჯდომ დიასახლისს ათასს რასმეს უმშობდა. ექიმმა რომ ეს ნახა, ცოტა იმედი მიეცა, დიასახლისს სხვა-და-სხვა საჭირო დარიგება მისცა და შინ წავიდა.

მაგრამ მეორე დილით რომ სანახავათ მივიდა, ლალა უკვე გარდაცვლილიყო. თუმცა სარა იმავე ოთახში იწვა, მაინც ჯერ არაფერი იცოდა. მაგრამ როცა დურგლის ჩაქუჩის ხმამ გამოარცვია და კუბოსაც თვალი მოჰკრა, მაშინ-კი ყველაფერს მიხვდა. საბრალო დედაყაცს ტირილიც-კი არ დაუწყვია. და არც თუ თავი ჰქონდა ტირილისა. ცრემლისთვისაც თუმცე ჯანმრთელობა ყოფილა საჭირო. ისეთ ნაირათ გამოიყურებოდა, თითქო უხარისანო, რომ ლალა მომკვდარიყო, მოესვენა და მოშორებოდა ამ ქვეყანას, სადაც კარგი აღარა დარჩენდა-რა...

კუბო რომ გარეთ გამოპერნდათ, სარამ ითხოვა, ნება მომეცით, რომ დასაფლავებას დავესწროვო. მიუხედავათ ექიმის წინააღმდეგობისა—უფრო დასუსტდები და შენს ჯანმრთელობასაც ავნებსო — მაინც უკან ვერაფრით შეაყენეს. ისე მხნეთა გრძნობდა და სრულს ცნობიერებაში იყო, თითქო ამ უადგილო სურვილს ძალონე დაუბრუნებიაო. როდესაც კუბო

სამარეში ჩაუშვეს და მიწას აყრიდნენ, გამშრალი თვალები კუბოს დაშტერა და ნაღვლიანათ წარმოსთქვა: „საყვარელო ლალავ, ნეტა მეც შენთან დავმარხულიყავი!“ო... კიდევ რა-ლაც უნდა ეთქვა, მაგრამ თავის ორ ბავშს მოჰკრა თვალი და ხმა ჩაუწყდა...

სასაფლაოდან სარა შინ გულ-შელონებული წაიყვანეს, და სწორეთ იმ ღროს, როდესაც ექიმი აბრუნებდა, სახლის კარები ვიღაცამ დააკაკუნა. მსახურმა გახედა და ნახა, რომ კარებთან ორი ახალგაზდა კაცი და მღვდელი იდგნენ.

— ვინა გნებავთ? — ჰკითხა მსახურმა.

— ჩვენ გვითხრეს, რომ აქ ორი ალაშკერტელი — მანდი-ლოსანი და ქალიშვილი-ცხოვრებსო, მიუგო ვარდანმა.

— მართალია, მაგრამ ქალი...

— მაგრამ რა? სიტყვა გააწყვეტინა ელდა ნაკრავმა ვარ-დანმა.

— გარდაიცვალა...

ვარდანი მეხ-დაცემულ ხესავით გადიზნიქა და მელიქ-მან-სურს მიესვენა.

### \* \* \* \* \*

ბნელი კუმეტი ლამე იყო. ნისლითა და ბულით გაედენ-თილი ზაფხულის ცხელი ჰაერი აღამიანს გულს უმძიმებდა. არავითარი ხმაურობა, არავითარი ჩამი ჩუმი-არ ისმოდა, თით-ქო ცველაფერს სიკვდილის დაღი დასდებით. მარტო ოდენ გაიანეს მონასტრის სასაფლაოს ერთი კუთხიდან მოისმოდა რაღაც ყრუ თხვრა-გმინვა. ერთი ახალგაზდა კაცი ჯერაც ისევ სველ საფლავზე დამხობილიყო და მწარეთ ქვითინებდა. მწუ-ხარე თვალთაგან ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდა და იგრეც ნამიან საფლავს უფრო ასველებდა. ღრო გამოშვებით პატარა საფლავს ბლუჯავდა, გულში იკრავდა და თან გატაცებით ეამ-ბორებოდა; ხან-კი ანთებულ პირისახეს გრილ საფლავის ზე-დაპირს უხახუნებდა, თითქო თავის სახის სითბო შიგ მდებარე

უსულო გვამსაც უნდა გარდასცესო. „ლალა... უბედურო ლა-  
ლა”... ეს სიტყვები მის ბაგეთაგან ისე ნაღვლიანთ გამოკრ-  
თოდა, თითქო სული და გული თან ამისდევესო.

ეს ახალგაზდა კაცი ვარდანი იყო. ბევრი ხეტიალისა და  
უგზო-უკლოდ სიარულის შემდევ თავის საყვარელის არსების  
მარტო ციფი სამარჯ-და იპოვნა. ამ ქვეყნად სხვა რაღა დარჩე-  
ნოდა? შეუბრალებელ ცხოვრების ტალღებისა და ათას გაჭირ-  
ვება - დაბრკოლების წინააღმდევე ბრძოლის დროს მხოლოდ  
ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი გააჩნდა, რომლისკენაც იყო  
მიმართული მისი თვალი და ხსნის ნაეთსაღვურისაკენაც მხო-  
ლოდ იგი მიუძღვოდა. ეხლა-კი ეს ვარსკვლავიც ჩაქრობოდა!  
მართლაც და სხვა რაღა დარჩენოდა? — დარჩენოდა მხოლოდ  
ერთი დაჭრილი და დაავადებული გული, რომლის ჭრილობა-  
თა დასამებლად თვით ყოვლად შემძლე ნექტარიც-კი არა ჰქმა-  
როდა. დააკარგი ისე მძიმე იყო, რომ ვერაფრით შეიცვებდა.  
ვარდანს სიყვარული არასოდეს არ გამოეცადნა და არც არა  
იცოდა-რა ამ გრძნობისა. გულქვა და გულ-გრილ ახალგაზდას  
ნაზი გრძნობებისა არა ეცხო-რა. მაგრამ ლალის სიყვარულს-კი ვე-  
ლიარ გაუძლო მისმა კოპიტმა ხასიერთმა და წმინდა სანთელივით  
დადნა; მისმა სიყვარულმა მთლიან მოაჯადოვა. ვარნა სად იყო  
ეხლა ის მანუგე შებელი ანგელოსი? — სწორეთ იმ საფლავის  
ქვეშ იყო მდებარე, რომელზედაც იყო დამხობილი და რო-  
მელსაც ცხარე ცრემლებით ნამავდა. — იმავე საფლავში იყო  
ჩამარხული უბედური ჭაბუკის გულიც.

დიდხანს იტანჯებოდა ასე, ნალველი გულს ულრნიდა  
და თან უკურნებელ სევდას ებრძოდა, ვიდრე ერთგვარმა გა-  
ბრუებამ არ შეიცყრო. ეს გაბრუება არც ძილსა ჰგავდა, არც  
ლვიძილს. გახურებული თავი საფლავზე დაყრდნო და თვა-  
ლები მიელულა.

მის აბობქრებულსა და გავარვარებულ თავში ერთმანე-  
თში არეული სხვა და სხვა სიზმარი და წარმოდგენა დაფარ-  
ფატებდა. რა გინდათ რომ არ დასიზმრებოდა? ხან საშინელი  
ჯოჯოხეთის სანახავები ელანდებოდა და შიშის ზარსა სცემდა;

ხან-კი თვალწინ შშვენიერი, მანუგეშებელი სურათები ეხატე-ბოდა და გულს სიამით უვსებდა. თითქო რამდენსამე საუკუნეებ-განვლო და სომხეთს, ნანგრევებათა და უდაბნოთ გარდა ქცეულ სომხეთს, მთლათ გამოცვლილს, მთლათ განახლებულს უცქე-როდა. ნეტა ეს რა საოცარი ცვლილება მომხდარიყო? ნუ თუ ამ ქვეყანას დაკარგული სამოთხე ხელახლა დაპირულებოდა? ნუ თუ კვლავ ის ოქროს ხანა დამყარებულიყო, როდესაც ბორიტებასა და უსამართლობას ღვთის უმან კო ქვეყანა ჯერ არ წაერყვნა?.. მაგრამ არა! გარდანის ნანახი ის სამოთხე არ იყო, რომელიც იელოვას სომხეთის ოთხ მდინარის შესართავთან დაეფუძნებინა და რომელშიაც კაცობრიობის პირველი წყვი-ლი სრულს უმანკოებასა და უვიკობაში ცხოვრებდა; ეს ის სამოთხე არ იყო, რომელშიაც ადამიანი არ შრომობდა, არ ირჯებოდა, არავითარ წარმოებას არ მისდევდა, არამედ ხეთა და მცენარეთა ნაყოფით საზრდოობდა და უფლის იმ უხვი სუ-ფრით იკვებებოდა, რომელიც საოცარ ბუნებას მის წინ გადა-ეშალა.

არა, ის სულ სხვა სამოთხე იყო, ისეთი სამოთხე, რომელ-საც თვით ადამიანი ჰქმნის თავის საკუთარი შრომითა და ალა-ლი მონაცრით. უვიკობისა და უცოდველობის ნაცვლათ გო-ნიერი ცნობიერება გამეფუძულიყო და უდარდელი, სადა მამა-მთავრულ ცხოვრების ნაცვლათ-კი განვითარებული კულტურა, ჰქმდარიტერი განათლება დამყარებულიყო.

\* თითქო ეხლა ცხადებულიყო ის სიტყვების სიბრძნე, რო-მელიც შემოქმედმა უთხრა პირველ ქმნილ ადამიანს: „ოფლი-თა შენითა მორცვე პური შენიო“. ახლა იდამიანი არა თუ შრომობდა, არამედ იქამდინ განვითარებულიყო, რომ შრო-მაც-კი გაეადვილებინა და მიტომ არც იმდენ ოფლის ღვრიდა. გარნა შრომობდა თავის საკეთილ დღეოთ: მისი ნაშრომ ნაღვაწი უგულო წურბელასა და მყვლეფავს აღარ მიჰქონ-და...

აგერ ვარდანი ხედავს ერთ სოფელს და სახტათა რჩება. ნუთუ ეს ალა? კერტის მაზრის სოფელ ო... არ იყო? სოფლის



მიდამო ეცნობოდა — იგივე მოები, იგივ ბორცვები, იგივ შდინარე, იგივე ამწვანებული ველ-მინდორი, — ერთი სიტყვით, ყველაფერი იგივე იყო, რაც ოდესმე ენახა. საუკუნეთა მიმდინარეობას ძირეულათ არაფერი შეეცვალა, მხოლოდ გარეგნულათ შეცვლილიყო. გარნა სოფელი რამდენათ გამოცვლილიყო! ველარხსად ნახავდით წინანდელ საცოდავ მიწურ ქოხებს, რომლებიც მხეცა ბუნავს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანთა საცხოვრებელს; შენობები მთლათ თლილი ქვითა და კირით იყო ნაგები და ოთვლის ფრათ გალესილი სახლები მშვენიერ წალკოტებში იყო გადაჭიმული. ფართო და სწორე ქუჩებს უკენობი ხეები ჰქონდა ჩარიგებული, ხეებს ქვეშ-კი კამკამა ნაკადულები მოჩუხეჩუხებდა.

დილა იყო.

სახლებიდან სოფლის ჯანსაღი, მხიარული და სუფთათ ჩაცმული ბავშვები გუნდ გუნდათ გამოცქრიალდნენ. ერთმანეთში არეულ ქალთა და ვაჟთ წიგნები იღლიაში ამოედოთ და სასწავლებლისკენ მიეჩარებოდნენ. ვარდანი გასცეკოდა ამ სანახაობას და გული სიამით ევსებოდა. ოჟ, ის ლამაზი ბავშვები რა კარგად იყვნენ მოვლილ-აღზრდილნი! სახე რა მხიარულათ უღიმოდათ! ეტყობოდათ, რომ სკოლა და მასწავლებელი აღარ აშინებდათ და ტანჯვის ბუდეთ აღარ მიაჩნდათ... ნუთუ იგინი ის ნახევრათ შიშველი და სუსტი ბავშვები იყვნენ, რომელნიც ვარდანს ენახა?!

მარტოთ-მარტო ვარდანი ქუჩაზე გაჩერებულიყო, გაოცებული აქეთ-იქით იცქირებოდა და არ იცოდა, საით წასულიყო. უცებ ერთი ნაზი ხმა შემოესმა, ეს ხმა საყდრის ზარის ხმა იყო. ეტყობოდა, დილის ლოცვა ჯერ არ გამოსულიყო. იმ დღიდან მოკიდებული, რა დღესაც მონასტერი მიატოვა და ბერების ძმობას გაშორდა, ეს პირველიც იყო, რომ ლვთის სახლის მიწვევის ხმა ასე ტკბილ-ხმოვანათ ეყურებოდა. გაქვავებული გული რაღაც წმინდა სათნოებით აღვესო და მიქმართა ეკლესიას, რომლის ზორუბლისაც ათ წელზე მეტი იყო, მისი ფეხი არ მიჰკარებოდა.

გაოცებული დარჩა. ღმერთო ჩემთ, რა უბრალოდ მორთული და სადა ეკლესია იყო! არსად სჩანდა არც საკურთხეველი, არც მორთულ-მოკაზმულობა, არც ოქრო-ვერცხლში ჩასმული ხატები, არც ვერცხლის ჯვრები და არცარა ძირფასი სამკაულები. სომხის ეკლესის მორთულ-მოკაზმულობისა არა ეცხო-რა. მთავარი, მთავარ-დიაკონი და დიაკვნებიც კი არსად ჩანდნენ. ვარდანმა მხოლოდ ორი ხატი შენიშნა, ორივე უბრალო ხის შავ ჩარჩოებში იყო ჩასმული: ერთი იქსო ქრისტესი იყო და მეორე — წმინდა გრიგოლ განმანათლებელისა.

სქესის განურჩევლად ხალხი გრძელ საჯდომებზე ჩამომსხდარიყო. ყოველ მათგანს ხელში პატარა-პატარა საგალობრელი წიგნი ეჭირა. მღვდელი ტრაპეზზე გადმომდგარიყო, წინ წმინდა სახარება გაეშალა და ქადაგებდა. მღვდელსაც ისეთივე ტანისამოსი ეცვა, როგორც მრევლს. მისი ქადაგება იმდენად სადა, იმდენად გასაგები იყო, რომ ვარდანს ყველაფერი ეს-მოდა. როგორც ჩხრიალა და ანკარა წყაროდან გადმომჩენეფი ნაკადული, მის ბაგეთაგან ღვთის სიტყვა ისე გადმოსჩენეფდა. ხალხს სამღთო წერილის იმ ადგილს უხსნიდა, სადაც ნათქვა-მია: „ოფულითა შენითა მოიპოვე პური შენიო“. მღვდლის განმარტება ვარდანს აკვირვებდა, რაღვან ამ სიტყვის სიბრძნეს დღევანდლამდინ ყველა წყევლის მნიშვნელობით უხსნიდა, იმ წყევლისა, რომელიც ღმერთმა პირველ ქმნილ ადამიანს ვითომ შუბლზე დაწერა და მას აქეთ შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადადისო. ეხლა კი ესმოდა, რომ ეს მცნება წყევა კი არა, დარიგება იყო, რომელიც ადამიანს სიზარმაცეს ართმევდა და სანაცვლოთ შრომის მოყვარე მოქმედებას აყვარებდა.

ქადაგება გათავდა. უცებ ხალხის სიმრავლიდან ერთი უბრალო გლეხი გამოვიდა და „ლოცვანიდან“ ქადაგების აზრის შესაფერი ლოცვა დაიწყო. იგი სთხოვდა უფალს, ჯანმრთელობა, ქკუა და სიმხნე მოგვეცი, რომ შენ მიერ შექმნილ სიკეთით სავსე დედა-მიწის დამუშავება შევიძლოთო.

— „ეს როგორი ლოცვაა? — ჰფიქრობდა ვარდანი, — ეს რა ანგარიშის მოყვარე ხალხია? სულისითვის არაფერს ითხოვს; ნუ

თუ საიქიოს არას მოელის და მხოლოდ იმას ითხოვს, რასაც სხეული საჭიროებს და რასაც ამ ქვეყნიური ცხოვრების სინამდვილე მოითხოვს?—ო...“

ლოცვაც გათავდა. მთელმა ხალხმა, კაცმა თუ დედაკაცმა, მოხუცმა თუ ყმაწვილმა, ერთხმად საგალობელის გალობა დაიწყო. საგალობელის შინაარსი ფსალმუნის შემდეგი სტრიქონებიდან იყო აღებული: „ბევრნი იტყოდენ: ვინ არს, რომ გვიჩვენოს სიკეთე უფლისაო? შენი სახის სინათლე მოგვეფინა და გულთა ჩვენთა სიამე მოევლინა. ხორბლისა, ლვინისა და ზეთის ხილის სიუხვით აღვიტსენით ჩვენა“-ო.

— „კიდევ იგივ ნიკოერი მისწრაფება...—ფიქრობდა ვარდანი, — სულისთვის მაინც არაფერს ზრუნავენ... მუშა კაცი დამღერის ქვეყნის მოსავლის სიუხვეს, რომელიც ლვთის ბოძებული მარჯვენით მოუყვანია. საკირველია, საჩრდინოების განყენებული ოვისება და ცხოვრების ნამდვილი მოთხოვნილება რა საუცხოვოთ შეუთანხმებიათ!“-ო...

რა შშენიერი რამ იყო საკრავის სამური ხმებით ხმაშეწყობილი საგალობელი! ურიცხვ ადამიანთა ბაგეთაგან რა ტკბილი, რა საუცხოვო ჰანგებით გამოყროთოდა! ვარდანს ეგონა, კაცთა ხმა ურიცხვ სერაბიმთა მელოდიებს შეერთებია და ამ გვარად უფლის დაუბოლოვებელ საბრძანებლისკენ მიემართება. იმ გვარი სიწმინდით აღსავს მუსიკა ვარდანს თავის დღეში არ მოესმინა.

გათავდა აგრეთვე გალობაც. ხალხმა ეკკლესიიდან გარეთ გამოსვლა დაიწყო. იმ ტრაპეზზე, საიდანაც მღვდელი ქადაგებდა, ახლა მასწავლებელი ავიდა; იმ სასტომებზე კი, რომლებზედაც მშობლები ლოცვებსა და საგალობლებს ამბობდნენ, ახლა მათი შვილები ჩამომწკრივდნენ. მასწავლებელი გაკვეთილს აძლევდა, ორივე სქესის ბავშვები კი გაფაციცებით ისმენდნენ.—„ნუ თუ ეს სასწავლებელია?—ფიქრობდა ვარდანი, — ნუ თუ ეკკლესია და სასწავლებელი შეუერთებიათ? ოა, ეს რა დამზოგველი ხალხი ყოფილა? სასწავლებელიც ეკკლესიაში

მოუთავსებიათ, რომ ცალკე შენობაზე ხარჯი არ მოსვლოდათ! აქაც იმავ ნივთიერი ანგარიშით უხელმძღვანელიათ”-ო.

ვარდანს მასწავლებლის სახე ძალიან ეცნობოდა.—„განა ეს სოფელ ო...ს მღვდელი, ტერ-მარუქა არ არის?“-ო. გაივლო გუნებაში. სახის მოყვანილობა, წლოვანობა და თვით ხმაც კი სულ იმისი ჰქონდა. სწორეთ ის იყო, თუმცა იმ ეამად საერთო სამოსელში იყო გამოწყობილი. ვარდანი თვალებს არ უჯერებდა.—„ნუ თუ ეს ის ტერ-მარუქაა, რომელსაც სასწავლებელი ჰირივით ეჯავრებოდა და რომელმაც სასწავლებელის დამაარსებელ ბ. სალმანს იმდენი დავი-დარაბა აუტეხა? ეხლა კი სასწავლებელს თითონვე უდგა სათავეში! ნუთუ ეს ის მღვდელია, რომელიც საეკკლესიო წესებს ფულზედა ჰყიდდა და დღე მუდამ სულ თავის „ნისიებზე“ ფიქრობდათ?“ ამგვარმა თუკოფობამ ვარდანი ისე გაიტაცა, რომ ცნობის-მოყვარეობა ვეღარ შეიკავა, მიუახლოვდა და ჰქითხა:

— მამაო, თქვენი ნისიების საქმე რა ჰქინით?

მღვდელმა უცნობი ახალგაზდა სულელად დასახა, ძალიან ცივად შეხედა და პასუხი არ გასცა; მხოლოდ შეასმინა, რომ ჩქარა ზარი დაირკეკება და გაკვეთილი გათავდებაო. მისი გაკვე-თილი მთლად ბუნების მეტყველების მეცნიერებას შეეხებოდა. ნაკლებად არც თუ ამ გარემოებამ გააკვირვა ვარდანი. წარ-შოიდებინეთ მღვდელი, ესე იგი ღვთის მეტყველი და იმავე დროს ბუნების მეტყველი!—რაღა თქმა უნდა, საკვირველი იქნებოდა.

ვარდანმა გაკვეთილის დასასრულს აღარ მოუცადა და შეკლესიდან გარეთ გამოვიდა, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ— სასწავლებლის ეზოში გამოვიდა. ეზოში ვერც ერთ საფლავს ვერ შეხვდა, როგორც ჩვეულებრივ საესეა ხოლმე სომხის შეკლესიების ეზოები. სამაგიეროთ იშვიათი ხეებითა და ძვირ-ჭასი ყვავილებით იყო შემული. გაშტერებული ვარდანი დიდ-ხანს იდგა და ხეივნარების სიმშვერიერითა სტკბებოდა. იქნება კოდევ ღიღხანს უოფილიყო იმ მდგომარეობაში, ერთ გლეხთა-



განს რომ ყურადღება არ მიექცია. იმ გლეხმა შენიშნა, რომ უცხოელი იყო და სახლში მიიწვია საუზებეზე.

გლეხის სახლი ერთი იმ სადა სახლთაგანი იყო, რომელიც თუმცა პატარაა ხოლმე, მაგრამ ისე მოხერხებულათ არის აგებული, რომ პატრიონის ბეჭედს საჭირო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მთელი სახლი დაბურულ ხეებში იყო ჩამალული. სახლს ცხოვრების სხვა და-სხვა მოთხოვნილებასთან შეხამებული რამდენიმე ოთახი ჰქონდა, რომლებიც შესაფერი მოწყობილობით იყო მორთული. გლეხს თივისი ყმაწვილი ქალიშვილი გამოევება და თან რაღაც სიმღერას ისე ტკბილათ ლილინებდა, თითქო იმ მშენიერი არსების გულს დარდი, ნაღველი და ცხოვრების სიმუხტლე არასოდეს არ მიჰყარებიათ. სომხის ქალთა ჩვეულებრივი უადგილო სირცხვილი და მორიდება სულ არ ეტყობოდა, პირ-იქით, ვარდანს ისე მხიარულათ ელაპარაკებოდა, ისე ბუნებრივათ უცინოდა, თითქო დიდი ხნის მეგობარიათ. მაგრამ რა საშინლათა ჰგავდა ლალას! ამ საოცარმა მსგავსებამ ვარდანი ისე გაიტაცა, რომ კინალამ გადაეხვია და არ უთხრა: „ძლიერ არ გიპოვნე!“... .

საუზებე უკვე ტაბლაზე იყო გამზადებული. დიასახლისმა ჭიქები ყავით გაავსო და სქელ ნაღებთან ერთათ სტუმარს და თავის მეულლეს წინ დაუწყო. ყმაწვილმა ქალმა-კი იმ დილის გაზეთი შემოაჩეინა და მამას ერთ წერილზე მიუთითა, თან ქმაყოფილებით იღიმებოდა.

— „ოჟას, ლალა! შენი წერილი დაუბეჭდიათ?“... — წამოიძახა მამამ, სათვალეები გაიკეთა და გაზეთი ახლოს მიითრია.

— „ლალა!“ აღშფოთება ველარ შეიკავა და წამოიძახა ვარდანმა.

— „ეს სახელი, მიუგო მასპინძელმა,—ჩვენ შთამომავლობაში ხშირათ იხსენება“.

ვარდანი ცოტა დამშეიდდა, მაგრამ იმ აზრს მაინც ვერ შერიგებოდა, რომ იქ მყოფი ქალი ნამდვილი ლალა არ იყო. ლალა თუ არა, უეჭველათ მისი აღდგენილი ჩვენება, აჩრდილი

მაინც უნდა იყოსო. რასაკირველია, ფიქრობდა ვარდანი, — აღდგენის შემდეგ აღმიანები იცვლებიან, სულ სსვა განათლებასა და ხასიათს დებულობენ, მაგრამ სახით-კი შეუცვლელი რჩქიანო.

ლამაზი ქალიშვილის გარდა, ვარდანის ყურადღებას იპყრობდა იგრევე იმ ოჯახის მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება. პირველში ეგონა, რომ ყველანი ღამე და დღეს ასწორებენ, სულ შრომობენ და შრომობენ. ეხლა - კი რწმუნდებოდა, რომ საღა და კმაყოფილებით სახსე ცხოვრება ჰქონდათ.

— „გლეხის ბედნიერება, სთქვა მასპინძელმა, — იმდენათ მიმე და ხანგრძლივ შრომაზე არ არის დამოკიდებული, რამდენადც ცოდნასა და შრომის გაადვილების საშუალებაზე. ბუნება ურიცხვ სიმღიღრეს შეიცავს, რომელიც ღმერთს ჩვენთვის უბოძებია, მხოლოდ მისი გაცნობა და შესწავლაა საჭირო; თუ აღამიანშა როგორ უნდა ისარგებლოს ამ უხვი სიმღიღრით“.

— „ეგ მართალია, — მიუგო ვარდანმა, — მაგრამ ქურთებს რომ გლეხის მონაგარი არ ეტაცნათ და გლეხის ხელშივე დაეტოვებინათ, ჩემი აზრით, ყოველთვის ბედნიერი იქნებოდა“..

— „ვინ ქურთებს?“ — ჰკითხა გაოცებულმა მასპინძელმა.

— „ვინა და სწორეთ იმ ქურთებს, რომელნიც ყოველ დღე გარბევენ“.

— „ჰომ, ქურთები... ზოუგო მასპინძელმა იმ გვარი კი-ლოში, თითქმ დიდი წნის ამბავს ეხლა ძლიერ იხსენებსო. — ჩვენ რენის საუკუნეთა ისტორიაში ქურთების შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს; სრული კეშარილებაა, ჩვენ მამა-პაპათ არ-ბევდნენ, სძარცვავდნენ, თითქმის ხოცავდნენ კიდევ. მაგრამ სადღა არიან ის ბარბაროსება? მთლათ მოისპნენ, აღარ არიან... იმ გვარ ცხოვრებას მიმდევარი ტომი განათლების სინათლეს ვერ-გაუძლებდა, ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომაც დაიტოვა და გადაგვარდა. ჯერ ისევ წარსული საუკუნის დასაწყისშივე ჩვენი საჩრდები მიიღეს, ჩვენ სასწავლებლებში დაიწყეს სწავლის მიღება, ასე რომ თანდა-თანობით შემოგვერივნენ და ბოლოს, როგორც ცალკე ტომი, კიდეც მოისპნენ“.

ვარდანმა რომ ეს სიტყვები გაიგო, ყურებს არ უჯერებდა, ყველაფერი სიზმარი ეგონა, თუმცა ნამდვილით სიზმარში იყო და ყველაფერსაც სიზმარში ხედავდა და ისმენდა. — მას-პინძელმა განაგრძო:

— „ჩვენი შთამომავლობის ოღწერილობაში ქურთების შესახებ ბევრი ისეთი რამ სწერია, თითქო სისხლით დაუწერიათო. ჩვენ მამამთავარს, რომლის შემდეგაც ჩვენი გვარი ცნობილი შეიქმნა, სახელით ხახო ერქვა და სწორეთ იმავე სოფლის მამსახლისი იყო. ქურთებმა მთელი მისი ოჯახი გაწყვიტეს, თითონ მოხუცი და მისი ორი შვილი ციხეში დაიხოცნენ. მისი უფროსი შვილი, ჰაირაპეტასაგან მხოლოდ ერთი ვაჟი-ღა დარჩა“...

— „ალაშკერტელთა გადასახლების დროს რომ თავის დედა-სარისთან ერთათ ვალარშაპატში იყო, ისა?“ გააწყვეტინა ვარდანმა.

— „დიალ, — სწორეთ იმ ბიჭისგან წარმოდგა ჩვენი შტო“...

— „სახელითაც იოკიმე ერქვა, ერთი დაცა ჰყვანდა, რომელსაც სახელით ნაზლუს უხმობდნენ და რომელიც დედასთან ერთათ გადიცვალა. ობლათ დარჩენილი იოკიმე ერთმა ექვემდებარება და თავისთან აღზარდა, ასე არ იყო?“ ალარ დააკალა ვარდანმა.

— „ეგ ყველაფერი სად წაგიკითხავს? — ჰყითხა მასპინძელმა გაკვირვებით, რომ სტუმარმა მათი შთამომავლობის ისტორია ასე დაწვრილებით იცოდა.

— „არ-კი წამიკითხავს, ყველაფერი ჩემი საკუთარი თვალით მინახავს, მიუგო ვარდანმა — ყველა ეს მაშინ მოხდა, როდესაც ეს სოფელი და ამსთან მთელი ალაშკერტის მაზრა ქურთებმა გაანცარმტვერეს“.

— „ჰოდა ყველა ეგ ორასი წლის ამბავია, თქვენ-კი საკმაოდ ახალგაზდა ჩანხართ. მათუსალას ხნისა ხომ არა ხართ, რომ ყველაფერი თქვენი თვალით გენახოთ? — მიუგო მასპინძელმა და თან გულკეთილათ გაიღიმა.

ვარდანმა პასუხი ვერ მოახერხა, თითონაც რწმუნდებოდა, რომ იმ შემთხვევათა შემდეგ მთელ საუკუნოებს განევლო.

იმ ოთახის ფანჯრებიდან, რომელშიაც მასპინძლის მხიად აული თვალით გარშემორტყმული ვარდანი იჯდა, ლამაზად ამწვანებული, წალკოტს დამსგავსებული ხეობა მოსჩანდა; ხეობის თავში-კი ხშირი ტყეებით დაბურული მთები ამართულიყო და გარემოს უფრო მეტ სიღამაზეს აძლევდა. მაროლაც რომ ის მთები მშვენიერი სანახვი იყო, უზარმაზარი ხეები ცის ლურჯათ მოკამკამე კამარას შეერთებოდა და საუცხოვო სურათს წარმოადგენდა. დილის მზეს იქაურობა ოქროს ფერი სხივებით მოეფინა, მის ელგარე სინათლეზე ვერცხლის გველივით დაკლაკული სხვა და სხვა გიუმაჟი ნაკადული ბრწყინვით ჩამოჩხოალებდა და, ქაფათა და წვიმათ ქცეული, უფრო დაწყნარებულ მდინარეს უერთდებოდა. ამ მშვენიერ სანახაეს ვარდანი თვალს ვეღარ აშორებდა. გარეულსა და დაუმუშავებელ ბუნებას ადამიანის შრომის მოყვარე მარჯვენის წყალობით სწორეთ ისეთი მშვენიერი სანახაობა მიეღო, როგორც უბრალო ტილოს ნაკერი ძარატვრის შემოქმედებითი კალმის ძალით მიიღებს ხოლმე.

— „თქვენ ქურთებისა და ოსმალების დროის სამწუხარო ამბებზე მელაპარაკებოდით, განაგრძო მასპინძელმა განსაკუთრებული მხიარულებით,— მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. აგერ იმ მშვენიერ მთებს ხომ ხედავთ? ამ ას ორმოცდა ათი წლის წინათ ისე საკოდავათ იყო გატიტვლებული, რომ ერთ უბრალო ჯავახაც-კი ვერსად შეხვდებოდით. იმ დროს მტარვა ლის ხელი ხებსაც ისევე შეუბრალებლად ივლებდა მუსხს, როგორც ადამიანებს. ყველაფერი გამოლეული იყო; შეშის ნაცვლათ ხალხი წივასა ხმარობდა, ორც თუ შენობებისთვის იშვებოდა ტყის მასალა; ამიტომ იძულებული იყვნენ ნამიან მიწურებში ეცხოვრათ. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ-კი გაოხრებული სოფლები მცხოვრებლებით აიგსო და გლეხ-თა შრომის მოყვარე იარჯვენის წყალობით მთებიც ტყეებით შეიმოსა. ამ მწვანით მოსილ ხეობას ხომ უყურებთ? წინათ უწყლოობისაგან გადამხმარ უდაბნოს წარმოადგენდა, შეაში მარტო ერთი პატარა მდინარე ჩამოუდიოდა და ისიც ზაფხულის

ჰაპანაქება სიცხის დროს მთლათ შრებოდა; ნიაღვრების დროს-კი მოდიდდებოდა, არემარე თან მოჰქმნდა და ააქურობას-აოხრებდა ხოლმე. იმ დღიდანკი, როდესაც მთები ტყეებით შეიმოსა, ჩვენ ხეობას წყალი უზვათ მიეცა და ნიაღვრების დროსაც ისე აღარ გვაწუხებს. ამ უამათ ეს ხეობა ჩვენი ოლქის უუმდიდრესია და უნაყოფიერეს კუთხეს წარმოადგენს. დიალ, ბევრი რამ შეიცვალა... წინათ აქ უბრალო გზებიც-კი არ იყო, რომ მისვლა-მოსვლა ყოფილიყო შესაძლებელი; ეხლა-კი ყველგან სარკესავით დარაკრაკებულ გზა-ტკეცილებს-შეხვდებით, რომლებიც ჩვენ ქალაქებს ერთმანეთთან აერთებს. ამ გზებზე ეტლების მიმსვლა გახალებულია, მხოლოდ პირ-უტყვთა წყალობით-კი არა, არამედ ორთქლისა და ელექტ-რონის დახმარებით. ამ გზებისავე წყალობით ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ ნაწარმოებს შორს ქვეყნებში ვაგზავნით და სანაცვლოთ იმას ვდებულობთ, რაც გვჭირია.“

იმ ლაპარაკს ვარდანი გაოცებული ისმენდა. მაგრამ როდესაც თვალი მშვენიერ ლალის გადაავლო, თითონაც არ იცოდა, რა მიზეზითა ჰქითა:

— „თქვენ ქალს სწავლა-განათლება სადა აქვს მიღებული?“

— „სულ ერთი კვირაა, რაც ახალ ვალარშაპეტის აკადე-მია დაამთავრა, ეხლა-კი უნივერსიტეტში შესასვლელად ემზა-დება, რომ საექიმო მეცნიერება შეისწავლოს. ჯან მრთელობის მხრივ ცოტა მოისუსტებს, ამიტომ მინდოდა, რომ რამდე-ნიმე თვე სოფელში გაეტარებინა, ვიდრე კარგად დაისვენებდა, მაგრამ ვერაფრით დამიყოლიებია.“

— „რამდენი შვილი გყავთ?“

— „ჩვენი შთამომავლობა ყოველთვის მრავალ რიცხვოვანი ყოფილია; ჩვენი მამამთავარი ხაჩის ოჯახი ორმოცდა ათი სულისგან შესდგებოდა. მე-კი მხოლოდ ხუთი შვილი მყავს-ლალი ჩემი ერთია ერთი ქალიშვილია, დანარჩენი ვაჟებია.“

— „რა ხელობას მისდევენ?“

— „ერთი მათგანი, აგერ რომ მოსჩანს, იმ ტყეების უფროსი მცველია, მეორე კარინის უნივერსიტეტის პროფესორია,

მესამე ვანის დივიზიის სარდალია, მეოთხე-კი ჯერ ისევ სწავ-ლობს ახალ ბაგრევანდის სამეურნეო სასწავლებელში.“

უკანასკნელი ქალაქის სახელი ვარდანს როგორლაც ეუ-ცხოვა და ამიტომ შეეკითხა:

— „ჩვენში მაგ სახელწოდების ქალაქი არა მახსოვს-რა?“

— „ამ ქალაქს ძველათ ბაიაზეთი ეწოდებოდა, მაგრამ შემ-დეგში სხვა და სხვა მიზეზისა გამო შეუცვალეს. ჩვენი მაზრე-ბისა, ქალაქებისა და სოფლების ომეტებულ წილს სახელები გამოცვლილი აქვს, რამდენიმე მათგანს ისევ ძველი ისტორუ-ლი სახელი შერჩენია და ზოგს-კი სულ ახალი სახელები ჰქ-ვიან.“

მასპინძელმა კვლავ გაზეთი აიღო ხელში და ერთ წერილს დაუწყო კითხვა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ძალიან აღელვებდა. ვარდანი ცნობის-მოყვარეობამ შეიპყრო და ჰკი-თხა:

— „ახალი ამბავი არის რამე?“

— „საიმისო არაფერია... ხეალ ქალაქში წარმომადგენელ-თა (დეპუტატთა) საზოგადო კრებაა დანიშნული... რამდენიმე საბაასო საგნები უნდა განისაჯოს... არ ვიცი, რითი დაბოლოვ-დება... დასები (პარტიები) ძალიან ღელვენ“...

— „თქვენც დაესწრებით?“

— „არ შემიძლია არ დავესწრო.“

ლოპარაკიდან გამოირკვა, რომ ვარდანის მასპინძელი იმ ხერობის გლეხთა წარმომადგენელი ყოფილიყო.

საუზე გაათავეს; ვარდანი წამოდგა, მადლობა გადაუხა-და და წასევლა დაპირა.

— „თუ ჩვენი სოფლის საზოგადო დაწესებულებათა და-თვალიერებას ისურვებთ, უთხრა მასპინძელმა,— დიდი სიამოვ-ნებით გამოგყვებით.“

— „გმადლობთ, ჩემო ბატონო“, მიუგო ვარდანმა.

— „თუ ჩვენ სოფელზე გამოვლა კიდევ მოგიხდეთ, ჩვე-ნი სახლის კარები თქვენთვის მუდამ ლი იქნება“, უთხრა დია-სახლისმა.

— „მადლობას მოგახსენებთ, დიასახლისო,“ მიუგო ვარდანშა თავის დაკვრით.

— „და ვგონებ ჩვენი ოჯახი არ მოგაწყენთ“ დაუმატა გულწრფელი ღიმილით მასპინძლის მშვენიერმა ასულმა.

— „დიდათ გმადლობთ, ქალბატონო,“ მიუგო ვარდანშა და თავი უფრო მძიმეთ დაკვრა.

ვარდანი რომ ქუჩაზე გამოვიდა, მხოლოდ მაშინ იგრძნო რა უხერხულ მდგომარეობაში იყო გლეხის ოჯახში. თავის თავს იმ განუვითარებელ იდამინათა სთვლიდა, რომელიც განათლებულ საზოგადოებაში ყოფნის დრის იტანჯება, სწუხს, გაუნათლებელი და მოუხეშავი რათა ვარ, რატომ არ შემიძლია ისე ვილაპარაკო, ისე ვსჯიდე და ისე მეჭიროს თავი, როგორც სხვებსაო? ეს რა საოცრება მომხდარიყო? მამასახლის ხარს შთამომავლობას საუკუნეთა დარჯაკში გაევლო, დაწმენდილიყო, გაფაქიზებულიყო, აღორძინებულიყო და მით სულ ახალი და კეთილშობილი თაობა შეექმნა.

ვარდანი და მასპინძლი ქუჩაზე ერთათ მიდიოდნენ. წინა ხედებოდათ სუფთათა და სადათ ჩატარებული მანდილოსნები, ყოველ მათგანს ხელში რაიმე საგანი ეჭირა და გაჩქარებული მიდიოდა. წინა ხედებოდათ აგრეთვე მომუშავისა და საზოგადოდ მოსაქმის ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცები. როგორც ეტყობოდა, უსაქმოთ არავინ იყო, ყველა რაიმე საქმეში იყო გართული. ვარდანი გაოცებული იყო, როდესაც ხედავდა, ცხოვრებას რამდენა ცვლილება და რა სასიამოვნო სახე მიეღლო. წინანდელი გაუთლევლობა და უკმეხობა აღარსაღ ჩანდა, ყველგან განათლების სული ტრიალებდა. ერთი რამ დარჩენილიყო მხოლოდ შეუცვლელი, ეს ერთი რამ იყო სომხური სიტყვა-ენა. მაგრამ ეს ენა რამდენად შემუშავებულ, რამდენად მოქნილიყო! თავისი ლამაზი მიმოხვრით რა ტკბილხმოვნად გამოისმოდა სომხის ბაგეთაგან!...

ვარდანი და მისი მასპინძლი უკვე სოფლის გარეთ გასულიყვნენ. საითაც გაეგეხდნათ, ყველგან მდიდარ ფერმებს, მშვენიერ ბალებს, ჩინებულიდ შემუშავებულ მინდვრებსა და მდიდარ საძოვრებს შეხვდებოდით.

ამასინბაში ერთი სახერხი ქარხანის გვერდზე გაიარეს. ქარხანა სხვა-და-სხვა მანქანებსა და ორთქლს მოჰყავდა მოძრაობაში. მასპინძელმა აუხსნა:

— „ეს ქარხანა სხვა-და-სხვა სახისა და ზომის ფიცრებს ამზადებს და მთელი მაზრის სოფლებსა და ქალაქს აწვდის“.

— „ვის ეკუთვნის?“ — ჰკითხა ვარდანმა.

— „იცოდეთ, ჩვენ სოფელში რომელ ქარხანასა და სახელოსნოსაც შეხვდე, ყველა სოფლის საზოგადოებას ეკუთვნის, არც ერთი მათგანი კერძო საკუთრებას არ შეადგენს. რაღა საკვირველია, რომ ყოველი გლეხიც მონაწილეა. მორები მახლობელ ტყეებიდან მოდის, ის ტყეებიც გლეხთა საკუთრებას შეადგენენ“, — მიუგო მასპინძელმა.

სახერხ ქარხანას გასცდნენ.

— „აი, ამ დიდ შენობას ხომ ხედავთ? — მიუთითა მასპინძელმა ერთ დიდ შენობაზე, — ყველის საკეთები ქარხანაა; მთელ მაზრაში ყველაზე საუკეთესო ყველს ამ ქარხანაში ამზადებენ. ესეც სოფლის საზოგადოების საკუთრებაა. ყოველი გლეხი მოვალეა თავისი რე ქარხანას აძლიოს, როცა გაყოფის დრო მოდის, საკუთვნო ფულში ან ნალდს იღებს, ან კიდევ საღირალ ყველს“.

ამ ლაპარაკში ვარდანი და მისი მასპინძელი მინდვრად გავიდნენ. პურეულობა შემოსულიყო და მკა იყო გაჩაღებული; მაგრამ მკაში ნამგლები და ცელები კი არ იხმარებოდა, არამედ ყოველ საქმეს მანქანა ასრულებდა. თვითეული მანქანა ასი კაცის საქმეს აკეთებდა. ეხლა კი მიხვდა ვარდანი, რასაც ნიშნავდა შრომის გაადვილება.

ერთ დიდ შენობისკენ გაიარეს, რომელშიაც წისქვილი იყო მოთავსებული. იქაც შრომა ისევე გაეადვილებინათ და წყლის ნაცვლად ორთქლით მოჰყავდათ მოძრაობაში. ურიცხვ სოფლების ხორბალს სულ იმ წისქვილში ფქვავდნენ და თოვლივით თეთრ ფქვილს გასასყიდათ უცხო ქვეყნებში ჰეზაენიდნენ. ეს წისქვილიც სოფლის საზოგადოებას ეკუთვნოდა.

მაგრამ გარდანს უფრო ერთი რამ აკვირებდა, სახელ-დობრ ისა, რომ ყოველ მუშას, სადაც უნდა შეხვედროდით, რაღაც გამბედაობა, თავისი თავის იმედი და ვაჟაპური უში-შობა ემჩნეოდა, თითქო სრულს თავისუფლებაში დაბადებულან და აღზრდილან, თითქო ოსმალოს მუჯლუგუნი და ქურ-თის შების სიმწარე არასოდესაც არ უგრძნიათ. ვარდანი ხედავდა, რომ იმ მშრომელ ხალხს შეეძლო საჭიროების დროს გუთანი და ბარი მიეტოვებინა, ხელში მახვილი აეღო და მის ხმარებაშიაც ისეთივე უნარი გამოეჩინა, როგორსაც სამეურ-ნეო იარაღების ხმარებაში იჩენდა.

— „ომის დროს ყოველი მამაკაცი ჯარში გადის,—სთქვა მასპინძელმა,—მაშინ ყოველგვარი მუშაობა თითქმის მოლად ჩერდება, ამიტომაც არის, რომ ომს ყოველთვის დამლუპველი შედეგი მოსდევს, თუმცა ერთგვარი სარგებლობაც მოაქვს ხოლმე...“

მინდვრები რომ მოიარეს, ისევ სოფელში შებრუნდნენ. ახლა ერთ სხვა დაწესებულებას მიადგნენ, რომლის შენობებიც სამაგალითო ფერმების შენობებს ემსგავსებოდა.

— „ეს ჩვენი სამეურნეო სასწავლებელია, სთქვა მასპინძელმა.—დილას რომ ნახეთ, ის კი პირველ დაწყებითი სკო-ლაა.“

მაგრამ ეს როგორი სასწავლებელი იყო? ამ გვარი სასწავ-ლებელი ვარდანს თავის დღეში არ ენახა, თუმცა ერთს დროს თითონაც მასწავლებლობდა. იგი ყველა იმ მოწყობილობას შეიცავდა, რაც კი სოფლის მეურნეობას შეეხებოდა. მის უშვე-ლებელ შენობის წინ გაშენებული იყო ფართო ბაღი, რომე-ლიც რამდენიმე განყოფილებით იყოფებოდა და რომელსაც ორივე სქესის შეგირდები იმუშავებდნენ. იქვე ნახავდით მოე-ლი ქვეყნის მცნარეთა, ყვავილთა და ხეთა ნიმუშებს. მოს-წავლეებს წიგნითა და მჩატე ასოებით ალარ უბნელებდნენ გონებას; ყველაფერს ბუნების საოცარი წიგნის დახმარებით ასწავლიდნენ... თავისუფალ დროს მოსწავლენი გიმნასტიურია და იარალის ვარჯიშობაში იყვნენ გართულნი. „აი სწორედ

ამგვარი სასწავლებელი მოამზადებს ნამდვილ მუშაკსა და ჯარის „კუსაო“, — ფიქრობდა ვარდანი.

ბოლოს ვარდანი თვის მასპინძელს გამოემშვიდობა, დიდი მადლობა გადაუხადა და გამობრუნდა, მაგრამ თითონაც არ იცოდა, საღ წასულიყო. ამ ყოყმანში რომ იყო, უცებ თვალი მოჰკრა ერთგვარ საზოგადო ეტლს, რომლის ორივე მხარე ხალხით იყო სავსე. როდესაც შეიტყო, რომ ეტლი რკინის გზის სადგურისკენ მიემართობოდა, თითონაც შიგ ჩაჯდა.

რკინის გზის სადგურზე აუარებელი ხალხი შეგროვილიყო და მატარებლის მოსელის ელოდდა.

უცებ ვიღაცის ნაცნობი ხმა შემოესმა:

— „ვარდან!“...

ვარდანმა უკან მიიხედა და ბ. სალმანს კი შეხეჩა. ძველი მეგობრები ერთმანეთს აღტაცებით გადაეხვივნენ.

— „გაშ ასე, ჩემო მეგობარო, — მიმართა ბ. სალმანმა და თან ხელს მაგრად უჭერდა, — ორასი წლის შემდეგ კიდევ შევხდით ერთმანეთსა. საკმაოდ დიდი ხანია გასული... მაინც შენ ისევ ისეთი ხარ, ვარდან, არაფრით გამოცვლილხარ... ჩეენ ქვეყანაში კი ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა... გახსოვს, ვარდან, ერთხელ რომ გეუბნებოდი: სომხეთი კაცობრიობის ბავშვობის აკვანი, მისი უმანკოების დროის სამოთხე ყოფილა, — ერთ დროში მისი განვითარების, მისი დავაუკაცების სამოთხეც შეიქმნება მეთქი? ეხლა ყველა ეს აცხადდა. ამ ეძათ სომხის სიცოცხლე თავის სამშობლო ქვეყანაში უზრუნველ ყოფილი, მეტათ მხიარული და მშეიდობიანია. მაგრამ რომ იცოდე, ვარდან, ვიღრე ამ მდგომარეობამდის მოვიდოდით, რამდენი ვიშრომეთ!.. ბევრი, ძალიან ბევრი ვიშრომეთ! ამ ორი საუკუნის განმავლობაში ვინ მოსთვლის რამდენი განსაცლელი გადაგვხვდა! . დღევანდელი მშვიდობიანი ცხოვრების მოსაპოვებლათ ბევრი სისხლისა და ოფლის ოვარი გვდენია“...

— „ახლა სად მიხვალ?“ ჰკითხა ვარდანმა.

— „ქალაქში, წარმომადგენელთა კრებაა დანიშნული, მეკი ჩეენი მაზრის წარმომადგენელი ვარ.— წავიდეთ, ვარდან,

სიტყვა უნდა წარმოვსთქვა. ვინ იცის, იქნება ჩვენი სჯა-თა-  
თბირი საყურადღებოთ გეჩვენოს“.

მატარებელმა წასულისა გაჰკივლა და ვარდანი და ბ. სალ-  
მანიც ვაგონში შევიდნენ. ღამე იყო, ჯერ სწორეთ არც-კი  
გათენებულიყო, რომ ქალაქში მივიდნენ. ლამაზი, ხმაურობიანი  
ქალაქი ჯერაც ისევ ძილს ეძლეოდა. ქუჩებში მარტო მუშა ხალ-  
ხი ირეოდა, ეტყობოდა, ქარხნებში მიეშურებოდა სამუშაოდ.

— „ნოეს მტრედის“ სასტუმროში წაგვიყვა“, უთხრა მეე-  
ტლეს ბ. სალმანშა.

ეტლი სწორე და დარაკრაკებულ ქუჩებზე მისრიალებდა. ქუჩების ორივე მხარეს სხვა და სხვა ფრათ გალესილი უზარ-  
მაზარი შენობები იყო ამართული, ვარდანს-კი ეგონა, რომ  
სამეფო პალატებიაო. ბ. სალმანი შესანიშნავ აღვილებსა და  
დაწესებულებათ აჩვენებდა: — „ეს უნივერსიტეტია“ — „ეს სამე-  
ცნიერო აკადემია“ — „ეს ქალაქის შესანიშნავ თეატრთაგანია“  
— „ეს საავადმყოფოა“ — „ეს იმ გმირთა ძეგლებია, რომელთაც  
უკანასკნელ რევოლუციის დროს სახელი გაითქვეს“ — „ეს რე-  
დაქციაა ერთი გაზეთისა, რომელიც 150,000 ცალით იბეჭ-  
დება“ — „ეს...“

— „უაზარმები არა გაქვთ?“ სიტყვა გააწყვეტინა ვარდანმა.

— „არა, აქ ყოველი მოქალაქე ჯარის კაცია.“

— „რა კარგი ქალაქია... რა მშვენიერი ქალაქია!.. მე-  
ტრის აღლაცებით წამოიძახა ვარდანმა.

ეტლი „ნოეს მტრედის“ სასტუმროსთან გაჩერდა. ბ. სალ-  
მანი და ვარდანი შევიდნენ ერთს პატარა ოთახში, რომელიც  
საზოგადო დარბაზსა საზღვრავდა. ოთახში დახვდათ თომას-  
ეფენდი და მელიქ-მანსური, რომელიც გაცხარებულ მსჯე-  
ლობაში იყვნენ გართულნი.

— „ეგ სწორეთ ვირის სიბრძნესა ჰგავს“, ეუბნებოდა  
თომას-ეფენდი.

— „ჩემი აზრით, თუ გვინდა სასურველ მიზანს მივაღწი-  
ოთ, ამაზე უკეთეს გზას ვეღარ გიპოვნით“ პასუხს აძლევდა გა-  
ცხარებული მელიქ-მანსური.

— „ეგ გზა ძალიან შორს წავიყვანს და სასურველ მიზანსაც მხოლოდ ვირის აღდომას ვეღირსებით“ სიცილით გაიძოხა ეფენდი.

— „აგერ სალმანიც მოვიდა, მაგის აჩრიც შევიტყოთ“, წამოიძახეს ერთათ და ლაპარაკი შესწყვიტეს.

ვარდანი რომ დაინახეს, საშინლათ გაოცდნენ, ასე ეგონათ მიწიდან ამომძერალაო.

— „აქ საიდან გაჩნდი?“ ჰკიოთხა თომას-ეფენდიმ თავისი ჩვეულებრივი ირონიული ღიმილით.

— „ჩვენი შეხვედრა მეც სწორეთ მაგრევე მაოცებს, მიუგო ვარდანმა და ხელი ჩამოართვა ორივეს; — შენი დაჩეჩქვილდამსხვერეული გვამი შე ალაშქერტის მთების ძირში ვიპოვნე, შემდეგ ქურთების სასაფლაოზე დაგმარხე და ეხლა-კი...“

— „ეხლა-კი კვალად აღვსდექი, გააწყვეტინა ეფენდიმ სიცილით. — ნუთუ სულთა გარდაქმნის მოძღვრება არა გწამს? ჩემმა საცოდავმა სულმა ვინ მოსთვლის რამდენი უწმინდური ცხოველის სხეული გამოიარა: — რამდენიმე ათეული წელიწადი მგლის სხეულში ვწვალობდი, ვმტაცებლობდი, ნადირობითა ვცხოვრობდი... რამდენიმე ათეული წელიწადი ძალის სხეულში ვიყენებოდი, დავსუნსულებდი და იმ ადამიანთ ველა-ქუცებოდი, რომელნიც ერთ ლუქმა პურს გადმომიგდებდნენ ხოლმე... რამდენიმე ათეული წელიწადი გველის სხეულში დავსისინებდი და საჭიროებისა და გვარად ვიკინებოდი... რამდენიმე წელიწადი ვირის სხეულში ვყროყინებდი, მაგრამ ის წყეული გრძელი ყურები იმდენი მიწიეს, იმდენი, რომ თავში კუუ აღარ შემარჩინეს... ბოლოს, ბევრი ტანტალისა და წვალების შემდეგ, საბრალო ჩემი სული ლომის სხეულში დაბინავდა, მაშინ-კი საქმაოთ გასუფთავდა და გაფაქიზდა. — ამ ცვალებადობას ჩემი სული სულ რაღაც ორასი წელიწადი მოუნდა. ეგვიპტის მუმიები ათასი წლობით აწყვია პირამიდებში და სულის დაბრუნებას მოუთმენლათ მოელის, მაგრამ ჯერაც არსადა სჩანს... ჩემმა სულმა-კი ეს გზა სულ ადვილათ გიარა“...

— „და მეც შემთხვევა მომეცა, კვალად ვიზილო გზანან-ლებული თომას-ეფენდი“... სიტყვა გააწყვეტინა ვარდანმა.

— „მართალია. თქვენი ნაცნობი წინანდელი თომას-ეფენ-დი იმავე საუკუნის ლვიძლი შვილი იყო, მაგრამ ყოვლად შემ-ძლე დროთა ბრუნვამ გარდაჭმნა. ამ უამათ იგი ახალთაობის რიგიანი წარმომადგენელთაგანია. მაგრამ უნდა იცოდე, ძირ-ფასო ვარდან, რომ ახალ თაობას დიდი; ძალიან დიდი, ნაბიჯი აქვს გადადგმული! ხომ გახსოვს, ერთ დროში მელიქ-მანსური რომ ალაშკერტის მაზრის სოფლებს ქსელავდა და „კარგი ნემსები“ო გაიძახოდა? დრონი იცვალნენ, ახლა იგი ერთ ერთი დივიზიის გენერალია.“

ვარდანი მელიქ-მანსურს მიუბრუნდა და პატივისცემით ხელი ჩამოართვა.

— „ბატონებო, ვგვიან დებით, საცაა სხდომა დაიწყება“, აჩქარებდა ბ. სალმანი.

— „ჩვენი დასის, ე. ი. თავისუფალ მოაზრეთა მეთაურია, —ყურში წასჩურჩულა თომას-ეფენდიმ და ბ. სალმანზე მიუ-თითა. — დღევანდელ სხდომისთვის შესანიშნავი სიტყვა აქვს დამზადებული. ოჯ, რომ იცოდე, ვარდან, რა კარგად ლაპა-რაკობს!..“

— „ბატონებო მეც წამიუვანეთ!.. მეც მინდა მოვისმინო...“ წამოიძახა ალტაცებულმა ვარდანმა.

— „წავიდეთ!..“ გაისმა მახლობოად ვიღაცის ხმა.

ვარდანმა თვალები გააჭირა, ცოტა ხანს დაფიქრდა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო. მის გარ-შემო წყვდიადი გამეფებულიყო და ისევ საბრალო ლალის სა-ფულავზე იყო დამხობილი. მაგრამ ის ვისი ხმა იყო, რომ გა-მოაფხიზლა? ვინ იყო, რომ ხმა შალლა დაიძახა — „წავიდეთ!“ო?

უცებ ოთხმა მძლავრმა ხელმა შექმნა ვარდანი და... ყველაფერი ლამის წყვდიადში შთაინოქა...“

ბ. ეგანგულოვი.

## ქართველთა გატიანე

ბ. გუჯრები, სიგლები, წეალობის ბარათები და სხ.

სიგელ-გუჯრებისა, წყალობისა და შეწირულობის ბარათებს უბოძებდნენ მეფენი, კათალიკოზნი და მთავარნი ეკლესიებს, თავად-აზნაურებს და სხვათ. იგინი იწერებოდნენ—ძველს დროს, დაახლოვებით მე-XIV—XV საუკუნეების—ტყავზედ, და შემდეგ კი—ქალალდზედ. უწყალობებდნენ მათ „ძალითა“ ღვთისათა, მსოფლიო და საქართველოს ეკლესიის უმთავრეს წმიდანთა, დედაქალაქის მცხეთისა და უფლის კვართისა; შემდეგ ამისა მათში იწერებოდა, ვის რა ეწყალობებოდა ანუ ეძლეოდა, ხშირად იხსენიებდნენ წყალობის მიზეზსაც („ერთგულს სამსახურს“, „მამულისთვის თავდადებას“, „ტყვეთა გამოსყიდვას“, „ტაძრის აგებას“, „სკოლათა გამართვას“, „წიგნების გადაწერის“ და სხ.), მერმე იწერებოდა კრულვა, თუ ვინმე დაარღვევდა შეწურულობას და წყალობის წიგნის სიმტკიცეს და ბოლოს მწყალობელნი და შემწირველნი ამ გვარს წიგნებს ხელს აწერდნენ და ხანდახან ბეჭედსაც ასომდნენ (მეფენი, ამას გარდა, იხსენიებდნენ იმასაც, თუ სადამდის უწვდებოდა მათი თვით-მცყრობელობა).

ამგვარ ნაშთთა რიცხვი ფრიად დიდია, რამდენიმე ათასი და უმეტესიც. მათს შესწავლის, რასაკვირველია არა ყველასი, მოპებმარდა დიდი შრომა; შათ იძიებდნენ ბროსე, იოსელიანი,

<sup>\*</sup>) იხ. «მთამზე» № 2, 1901 წლისა.



ბაქრაძე, ფურცელაძე და ღლესაც იძიებენ ცაგარელი, ხახინა-შვილი, მარრი, უორდანია, თაყაიშვილი და სხ.

მ. თაყაიშვილმა გამოსცა დიდი კრებული სიგელგუჯრებისა და წყალობისა და შეწურულობის ქალალდებისა (ტფილისი, გვ. 529).

მ. ხახინაშვილმა თავის კრებულში (ქუთაისი, 1891, გვ. 178) შეიტანა ფრიად საყურადღებო სიგელ-გუჯარნი.

მ. უორდანიამ დიდალი შესანიშნავი ისტორიული სიგელ-გუჯრები და ქალალდები ზოგი შემოკლებულად, ზოგი სრულად შეიტანა თავის წიგნებში, (ქრონიკები, ნაწილი I და II, „შიომღვიმის მონასტრის დოკუმენტები“ და სხ).

დ. ბაქრაძემ გურიის მთავრების სიგლები, გუჯრები და ბარათები დაბეჭდა თავის შრომაში არქეოლ. მუზ. იური ადცარშ.

დ. ფურცელაძემ საეკლესიო, სათავად-აზნაურო და გლეხთა სიგელ-გუჯარნი და ბარათები შემოკლებულად გამოსცა რუსულად.

მრავალი ამგვარივე საბუთები გამოქვეყნებულ იქმნა სხვა-და-სხვა პირთაგან სხვა-და-სხვა დროს. ბევრი დაგენტდეთ იგრეთვე ჩვენც და სხვათაც „ივერიაში“, „მოამბეში“, „მწყემსში“ და „კვალში“

ჩვენ გადმოვიდეთ კიდევ ასიოდე ფრიად საყურადღებო სიგელ-გუჯრის პირი: იგინი შეეხებიან ისტორიას კათოლიკოზობისას და სხ.

დიდალი სიგელ-გუჯარი ჯერ გამოუქვეყნებელია. იგინი შენახულია ქუთაისისა და ობილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების უწყებაში, საეკლესიო მუზეუმში, წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოტეკაში, აგრეთვე მოსკოვს, პეტერბურგს, ათონს, კერძო პირთა ხელში და ეკლესია-მონასტრებში.

ამ საბუთებითა და ქალალდებით ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ მემატიანენი, ისტორიკოსნი, სჯულმდებელნი, ქვეყ-

ნის მზომელნი და ოღწერელნი გლეხთა, აზნაურთა, თავადთა, სამღვდელოთა, მთავართა მამულებისა\*).

შართლის ცხოვრება გუჯრებით სარგებლობს ძველად-განვე, მე-VII საუკუნიდან. ჯუანშერ ჯუანშერიანის მატიანის სხვა-და-სხვა ადგილას ვკითხულობთ:

...შეიტანეს უფლისა საგანძურისა გუჯარნი, და რა გუჯარნი დაწერნეს, აღწერეს ნათესავნი თვისნი და ქვეყანად, და დადგეს... (ქ. ცხ., 1, 171).

...არჩილ ჰრეკა მიჰტს:.. გუჯარნი იგი ტეავისანი მარტოდ დავს-ხენ (იქვე, 175),

...ეკისარმან წარმოსცა თრი გვირგვინი და გუჯარი\*\*) მიჰტსა და არჩილს (იქვე, 177).

...ესე მოგვითხრობს ჩეენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარმინტებულნი ტამებით და სოფლებით მათთ (იქვე, 178).

\* ) ამგვარი აღწერა, საესე მრავ-ლის საყურადღებო ცონბებით, სხვათაშორის, დაგვიტოვა ერეკლე ქ. მაც. აი ამ აღწერილობის სათაური: „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიც აღწერილ არიან ძევლად შეფეხვანცა და უკანასკნელ მეფისა მიერ ირაკლისაგანცა, ვითარცა არს მოხსენებულ ტრაკტატსა შინა დადებულსა, იდესცა შეკვრა მის დიდებულებას იმპერატრიცა ეკატარინასა წელსა 1783.“ („ივერია“, 1884, №№ IV, V, VI, VII, IX, XI).

\*\*) „გუჯრად“, რასაკვირველია, იგულისხმება აქ „ბულლა“. ბიშან-ტის იმპერატორები, როგორც ამ შემთხვევაში, დასდებლნებ რა ხელ-შეკრულობას ქართველ მეფიებთან, ეს ხელშეკრულობანი შექვინდათ „ოქროს ბელლაში“. ასე, როდესაც მპერ. ლეონ ძოწიომოსილმა (886—912) თავის ჯარს უბრძანა დაეჭირათ ცეცუში, ციხე არზრუმის ახლოს, ქართველთ მეფე ადარნასემ (881—923) უკანასკნება გამოუცხადა და მიუთითა „ბულლებზე“, რომელნიც ამტკიცებლნენ მის უფლებას ცეცუ-შმხედ და ამ მაზნით კოსტანტინეპოლს გაგზავნა თავისი პროტოსფათარი (მეტერპოლეთ უხუცესი) ჩოხჩანელი და გაატანა პირი „ოქროს ბულლა-ბისა“, რომელთაგან ერთი მცს შეირაც ხელმოწერილი იყო (Addit. 1851, გვ. 138—152; გან, II, 27—28).

აქ აღვნიშნავ ზოგიერთ უფრო საყურადღებო სიგენტ-გუჯრებს.

1. მტრატზედ ნაწერი გუჯარი შიომღვიმის მონასტრისა (№ 1 ეკლ. მუხ.), დამტკიცებული მეფეების ფალლესაგან († 893), კვირიკესაგან († 913), კოსტანტინესაგან († 908) და ბაგრატისაგან. მასში ცნობა შესახებ „სალარებთან“ ბრძოლისა. ამ სალარებს დაეპყრათო ბარდავი (განჯა) და ადარბადაგანი (ქ. ცხ., 197). ვუჯარი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში მოიპოვება ძველი სახელები ზომათა, ფულოთა, ილნიშნულია ფასები სხვა-და-სხვა საგნებისა და სხ.

„სალარი“ (არაბულად) ვაჭარი (იხ. გორგიჯანიძის ლექ-სიკონი).

ნამდვილი პირი ამ გუჯრისა შენახული მე-XIII საუკ. ტყავზე ნაწერ გუჯრის უკანა მხარეს, საიდგანაც იგი უმეტნაკლებოდ გადმოუწერია თ. უორდანისა და დაუბეჭდია (Докум. Шіомгв., 1—3).

2. მერაბქიული დადგნილება და მირინის შემზადების წესრიგი. ეს ძეგლი, დამტკიცებული არჩილისაგან († 718), დაშთენილი ნაგვიანევს ნუსხებში (ქრონიკები, 1, 45—46). ქ. ცხოვრებაში იგი შეტანილია მოკლედ 680 წლის ქვეშე (გვ. 172): „... ხოლო ოდესუა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა... მრავალნი მრავალგზის ამათ პირთათვის გვკითხვიდეს და დაებრკოლდებოდით ჩვენ უმეტრებით. და ეს მცირედნი სიტყვანი, ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესულნი, წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ ჯერჩინებითა შენითა, კაცო ლეთისათ.“.

3. მცხეთის გუჯარი 1040 წ. დაბეჭდილია პროფ. ჩუბინაშვილის მიერ (ქრისტომ., 203 — 208) და თ. უორდანია-საგან (ქრ., 1, 181—188). მისი ზოგი ადგილები იგივეა, რაც ქ. ცხოვრებაშია (ნახე. გვ. 212—213, 218, 221—222). მასში მცხეთისთვის შეწირულ წიგნთ შორის ნახსენებია:

მატიანენი საშინაო  
და საადაპტნი,

ვეცხლით მოჭედილნი  
და მატიანენი სათვეონა,  
ვეცხლით მოცურვილნი.

შუჯარი შეიცავს მდიდარს მასალას შესახებ საქართველოს მე XI საუკ. ისტორიისა და განსაკუთრებით კი საპატრიარქო საყდრისა.

4. ტყავზე ნაწერი გუჯარი მე XI ს. მასში ბაგრატ IV არჩევს მიჯნაძორელთა და ოპიზართა დავას. მიჯნაძორელნი თავის უფლებას სადაც იგარაკზე ამყარებდნენ სიგელებზე ერისთავორისთვის გურგენისა († 968), მეფეთ მეფის გურგენისა († 1008), ბაგრატ III -ისა († 1014) და გიორგი I-ისა († 1027), გარნა ოპიზარნი—ბაგრატ მამფალის († 883) სიგელზე. დავის გასარჩევად მეფეს მიეწვია კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავერისთავნი, ერისთავნი, ხევისბერნი ზემონი და ქვემონი.

მს გუჯარი დაბეჭდილია ბაქრაძია, ფურცელაძისა და სხვა-თაგან.

5. მტრატზე ნაწერი სიგელი, ბაგრატ IV -ისაგან ნაბო-ძები 1058 წელს.

მს ძვირფასი ნაშთი უკვე დაიბეჭდა საფუძვლიანის შენი-შვნებით თაყაიშვილის მიერ („Сигель Баграта IV“) და თ. უორ-დანიისა („ქვე მათერიალამ ისტორია საქართველო XI—XII საუკა“).

6. ტყავზედ ნაწერი გუჯარი, მიცემული შიომღვიმისა-თვის გიორგი II-ის მიერ 1073 წელს.

7. შიოს მონასტრის წინამძღვარ მიქელმა გვთხოვა გან-ვუახლოთ სიგელები, მიცემული მონასტრისთვის მამა - პაპათა ჩემთაგან, მთავართა და აზნაურთაგან, და ჩვენც შევიწყნარეთ მისი თხოვნა, განვუახლეთ ძველი სიგელები და დავუმტკიცეთ ლავრას ყველა მისი მამულები (Докум. Шიომგв., 9—11).

7. ტყავზე ნაწერი გუჯარი, იმავე მეფის მიერ იმავე მო-ნასტრისთვის ბოძებული 1082 წელს.

„სახელითა და და თისათა. ესე ბრძანება ჩემი არს, გითოვგი ბაგრა-  
 ტონანისა, ნებითა და თისათა მეფისა აფხაზთა და ქართველთა, რათა,  
 გახთა და საშეხოთა, შარგნშე და შანშთა და უფლისა აღმისაფლე-  
 თისა და დასაფლეთისა თვითმშერებულის“ (იქვე, 12—14).

8. ტყავზე ნაწერი სიგელი, მიცემული შიომღვიმისთვის  
 დავით აღმაშენებლის მიერ 1123 წელს.

...შიომღვიმის მამებმა კარგა გვემსახურეს მაშინ, ოდეს  
 ჭინააღვიდგა ძაგამი თავის უდვოთო შვილით მოდისტოსით. ამის-  
 თანა ერთგულებისათვის ბერს არსენის უზბრძანეთ ააგოს შიო  
 მღვიმელის უდაბნოში ეკლესია კ'დ წმიდისა..., ამას გარდა  
 მონასტერს განვუახლე უველა მისი სიგლები, ძველნი და ძვე-  
 ლის ძველნი ნასყიდობანი: ნუ ვინ გაბედავს ამ მონასტერს  
 გამოახეას ჩემ მიერ შეწირული ბროლისა, ბაზიჯისა და მინის  
 კანდელნი, სასანთლენი, ჭურჭელნი და 30 ლიტრა ვერცხლი.  
 სანთელი მას უნდა მოუტანონ ვაჭრებმა. პური უნდა მიეცეს  
 სამარდისოდ 500 დრაპენისა ყოველწლივ, ღვინო თითო კერა-  
 საული... ვწირავ მონასტერს 30 ჯორს, 2000 ცხვარს. ამას-  
 თან მონასტერს ჰყავს კიდევ 3000 ცხვარი. ამ დიდს ფარის  
 (5000 ცხვრიანს) უბაეთ ეთმობა საზამთრო და საზაფხულო  
 საბალახე... თვალსა და მარგალიტს და ორს ბროლის სასან-  
 თლეს ვწირავ ჩემს ხატს, 100 დრაპენს ვუნიშნავ მღვდელსა  
 და მგალობლებს; ნუ ვინ იყადრებს მოუსპოს ამათ ეს ულუფა.

შეს სიგელი, რომლის შინაარსი მოკლედ მოკიყვანეთ, სი-  
 გელი კი არა, უფრო ქრონიკა, მატიანე. იგი სრულდება თვით  
 დიდის მეფის აღმაშენებლის ამგვარ ხელმოწერით: სიმტკიცეო  
 ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე.

9. ტყავზედ დაწერილი სიგელი მანდატურთ-ხუცესის და  
 ამირსპასალარის ქიაბერისა, მიცემული შიომღვიმისათვის

„...ჩემსა უინოვნისა ქუნებასა შინა ვჰყადრე და მოვახსე-  
 ნე ლუთისა სწორსა მეფეთ მეფესა თამარს და მათ მიერ  
 ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ, წმიდასა  
 შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვი-  
 მესა ...მეხითარაისძენი ოქროი და მახარი, ბრაჟი და იოანე

მათითა სახლითა და მამულითა, ნასყიდითა და უსყიდულითა, რომელი მიიღებდნენ ყოველთა წელიწადსა შინა ცუინსა თხუთმეტსა ლიტრასა... გიბელნიერენ ღმერთმან მიუკუნისამდე ენინოვნით მიხითარისძენი მათითა სახლითა და მა მულითა კელ-მოსხლეტით და მოუდევრად მომიხსენებიან და შეუვალად ყოვლისა შესავლისაგან და არა ზედა-აც ბეგარაი. ვითა სადაცა სხუაგან შემოწირულნი ვაჭარნი იქვენნი ყოვლისა მავნებელი-საგან შეუვალნი და ნებიერნი სხენანა, ეგრეთვე ესენი სხლნენ... ამ დიდ მნიშვნელოვანს სიგელს ხელს აწერენ შეფე (თა-მარი?), თვით ჭიაბერი,, კათალიკოზი თეოდორე, შოთაი, რო-მელიც თავის ეინოვნის მამულსაც შიო მღვიმელს უმტკიცებს, ავაგ ოჩბელი, იოანე უზბელი. (დაწვრილებით იხ. ჩვენს წი-გნში Царица Тамара, გვ. 122—125).

მს სიგელი ემოწმება ქართლ. ცხოვრებას, როდესაც ჭია-ბერის ეინოვნის მამულზე ლაპარაკობს. მემატიანე ამბობს: „ჭიაბერს, მანდატურთ-უხუცესს, მოუმატეს და უბოძეს ეინ-ვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მოეულითა“ (გვ. 297).

10. ტყავზე ნაწერი სიგელი, მიცემული თამარ მეფის მიერ 1202 წელს და მის მიერვე ხელმოწერილი.

სიგელი დაბეჭდილია თ. ქორდანის დოკუ. შიომგვიმ-კაგი მოასტერია-ში (გვ. 25—28), ხოლო ხელმოწერა თამა-რისა ჩვენს პალეოგრაფიულს ტაბულაში (Царица Тамара, გვ. 120).

11. ტყავზე ნაწერი სიგელები 1200 წლისა და სხვა წლე-ბისა, რომელი შეიცავენ საგულისხმო ცნობებს შესახებ ქარ-თველების გალაშქრებისა მცირე აზიას მონგოლების ყაენებთან ერთად (იხ. ქრონიკები, ნ. II, დოკუმენტი, კრებულები ხახა-ნაშვილისა, თაყაიშვილისა და სხ.).

აღარ განვითარობ სიგელ - გუჯართა აღნუსხვას. ვიტუვი მხოლოდ, რომ ასრეთი საბუთები კიდევ მრავალია, სიგელ-გუჯარნი ბარათაშვილებისა, თუმანიშვილებისა, უურულინთი, მეფის ალექსანდრესი († 1442), მეფის ლუარსაბისი († 1558),

როსტომისა († 1658), მრავალძალისა, ზევდგინიძეთა და სხ. უაღრეს მნიშვნელოვანნი არიან, როგორც ისტორიულნი წყარონი. ამათ შორის ფრიად საგულისხმოა ლუარსაბ მეფის გუჯარი, რომელშიაც მოხსენებულია წიგნი ქართლის ცხოვრება.

ამ თვით ამ ლუარსაბ მეფის გუჯრის მოკლე შინაარსი:

... 1546 წელს მე, მეფე ლუარსაბმა და კათადიგზზ - პატრიარქმა შევადგინეთ მცხეთის საედრის ქონების ნუსა და აღმოჩნდა: მაცხოვრის ხატი, შემკული 501 თვალ მარგალიორით... ერთი ცალი ქართლის ცხოვრება, ერთი ცალი საპართლის წიგნი, ვერცხლი ერთნახევარი დატრა, ფულად ვერცხლი  $2\frac{1}{4}$  დატრა, მეფის შემთწირული ფული  $1\frac{1}{4}$  დატრა ტფილისის საწევავთ, ფული ვერცხლისა 3 დატრა...

ეს სიგელი ჩვენ სრულად დავბეჭდეთ „ივერიაში“ (1899, № 39) და ამავე სიგელის ნუსხის მიხედვით საპატრიარქო ტაძრის ქონება მილიონად შევაფასეთ.

ხახანაშვილმა დაბეჭდა კიდევ ერთი გუჯარი, რომელიც შეიცავს ცნობებს შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა კავკასიის მთიულებში (იხ. გუჯრები, გვ. 60).

ზევით შევნიშნეთ, რომ სიგელ-გუჯრებით მემატიანებიც სარგებლობდნენთ. ასრე: ვახუშტი მოიყანს-რა ზევდგინიძეთა ისტორიას, ამბობს: „ესრე წერილ არს გუჯარსა მათსა“ (საქ. ისტ., გვ. 307). იგივე მემატიანე ამბობს: „მცხეთის აღმაშენებლის ალექსანდრეს ქორონიკონთ ემოწმებიან მრავალნი სიგელ-გუჯარნით“ (ქ. ცხოვ., 2, გვ. 6) ვახუშტისვე თავის გეოგრაფიაში თავად-აზნაურთა სიები მოჰყავს ამ თავად-აზნაურთა სიგელ-გუჯრების თანახმად.

და ხშირად თვით მოთხრობასაც ამყარებენ სიგელ-გუჯრებზე. მაგალ. დავით ლაშაძის და დავით რუსულანიძის ისტორიის დამწერი ამბობს: „მრავალი სიგელი იპოების და მეცა მინახავს, რომელ სიგელისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიანი, ნებითა ლუთისათა, დავით და დავით“. და ხელიც თა-

ვესი ჰრთავს: „ჩემ დავითისაგან მტკიცეა“ და „ჩემ დავითისა-  
განცა მტკიცეა“ (ქ. ცხ., I, გვ. 382).

## დ. ხელნაწერები ისტორიულის მინაწერებითა და წარწერებით.

თითქმის ყოველს ქართულს ხელნაწერში არის რამე  
საყურადღებო ისტორიული მინაწერი, წარწერა, შენიშვნა, აღაპი  
და სხ. იგინი უჩვენებენ, სად, ვინ და როდის დასწერა ანუ  
თარგმნა ხელნაწერი, ვინ და სად შეამზადა სამისო ეტრატი,  
მელანი, ვინ შეკაზმა, დახატა ასომთავრულები, ვინ გამოის-  
ყიდა ტყვეობიდამ და რამდენად,—რა მიზეზით ჩავარდა ტყვეო-  
ბაში ხელნაწერი და სხ.

შართული ხელნაწერები გადაწერილია ტყავზე (ეტრატზე),  
ქალალდზე. ყველა ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია,  
ჯერხნობით რამდენიმე ათას ცალიდ ითვლება. იგინი ინახებიან  
წერა-კითხვის საზოგ. ბიბლიოტეკაში, საეკლ. მუზეუმში, აგრე-  
თვე გელათის, სხვა და სხვა ეკლესიაში, კერძო ოჯახებში,  
მოსკოვს, პეტერბურგს, ლონდონს, პარიჟს, ვენას, რომს, ათონს,  
პალესტინას, სინაზე და სხ. მათგან, დაახლოვებით, 2000-მდე  
ხელნაწერი დაწერილია ეტრატზე მხოლოდ ტფილისში ჩვენ შე-  
ვისწავლეთ რავდენიმე ასი ტყავზე ნაწერი წიგნი. ამაზედ უფრო  
მომეტებულ ხელნაწერების აღწერა წარმოადგინეს ა. ა. ცაგა-  
რელმა, დ. ჭ. ბაქრაძემ, ა. ს. ხახანაშვილმა, ნ. ი. მარმა, ე.  
ს. თაყაიშვილმა, თ. დ. ეროდანიამ, პლ. იოსელიანმა, მ. ბროსემ,  
გ. ე. წერეთელმა და სხ.

მომყავს მოკლე ცნობები ზოგიერთ უფრო საყურადღებო  
ხელნაწერების შესახებ.

1. ურბნისის ტყავზედ ნაწერი ოთხთავი, დახატულის იდეო-  
გრაფიულის ასომთავრულებით შემკული და გადაწერილი იო-  
ვანე ტატანელის წარჩინებულის ხელით. ბაქრაძის აზრით, ეს  
სახარება გადაწერილია მე-IV საუკ. დამდეგს (ქორონიკონი  
წაბლალული აქცს).



სახარების თარგმნას აღრევე იხსენიებს ქართლის ცალკეულება. ჯუანშერ ჯუანშერიანი ამტკიცებს (ქ. ცხ., გვ. 110), რომ ვახტანგის († 537) დედამ სანდუხტმა, რანის ერისთვის ბარზაბოდის ასულმა, ქრისტიანობა მიიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც სახარება უთარგმნესო. შიომ „ცხოვრებაში“ ნათქვამია (სამოთხე, 237), რომ მეფე ფარსმანმა (მე-VII საუკ.) შიომ-ლვიმის მონასტერს, საცა სამოლვაწეოდ შევიდა ევაგრე, მეფის მოადგილედ ყოფილი, შესწირა 30 ლიტრა ოქრო, ოქროს ბარძიმი, ვერცხლის ჭურქელნი, ოქროს დიდი ჯვარი და შვენიერად მოკაზმული სახარება ვახტანგ გორგასლისამ (ევაგრეს შესახებ იხ. ქართ. ცხოვრება, გვ. 154, 159).

ამ წიგნის გადამწერის ტატანელის გვარი ჩვენ არსად სხვაგან არ შეგვხვდებია. ნიმუში მისი ხელისა და აგრეთვე იდეოგრაფიულ ასომთავრულებისა ჩავურთეთ ჩვენს წიგნში „ცარიცა თამარა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მე VII საუკუნისად მიჩნეულ სახარების ტექსტი გადაწერილია ასომთავრულით, ხოლო სახარებათა საკითხავები ნუსხურით. და ორთავეს შემსრულებელი, როგორც ვთქვით, ყოფილა იოვანე ტატანელი. ან ეს სახარება არ უნდა ჩავთვალოთ მე VII საუკ. ძეგლად და ან არ უნდა ვამტკიცოთ ბაქრაძესავით, რომ, ვითომ, ნუსხური განვითარდა მთავრულისაგან მე XI საუკუნიებშით!

2. შამის-წირვა იაკობისა, ძმისა უფლისა, ეტრატზე დაწერილი (№ 86, გვ. 168).

მნა წიგნისა, წერის ხელი და სხვა ნიშნები საბუთს გვაძლევენ, ეს ხელნაწერი მივიჩნიოთ 786 წელს გადაწერილ ძეგლად (იხ. ჩვენი „ქართული მწერლობა“, გვ. 84).

მთელი წიგნი გადაწერილია ასომთავრულით, მხოლოდ უკანასკნელი ორი გვერდი (დანაშთენი დაკარგულა) გადაწერილია კათალიკოზის სვიმონის მიერ ნუსხურით. გადამწერი წიგნისა თუ თვითონ კათალიკოზი სვიმონ არ ყოფილა, მისი თანამედროვე იქნებოდა, რაიც სჩანს ამგვარ აღვილებით (გვ. 98):

ძლიერებითა ცხოველს შეოფელისა ჸატიასნისა ჭუარისა მცხოთ-სამთა. ბრძანებითა და გამორჩევითა და პედდასხმითა დირსისა მა-

შისა ჩუმინისა ქრისტეს მიერ სჯმონ ქართლისა კათალიკოზისამთა...  
იყურთხების ძმამ ჩუმინი...

3. ჯრუჭის ტყავზე ნაწერი ნახატებიანი სახარება 936  
წლისა, რომლის შესახებ ბროსუ სწერს: „Nous avons ... un  
bel Evangile, au couvent de Djroudch, copié en 256—  
936, 6540 du monde, suivant le système chronologique  
géorgien“ (Hist., გვ. 281).

მეთე საუკუნემდის დაწერილი თარიღიანი სახარება ჯე-  
რეთ ითვლება მხოლოდ ოთხი:<sup>\*)</sup> ჯრუჭისა (936 წლ.), ათო-  
ნისა (913 წ.), პარხალისა (973 წ.) და გრუჭინსკისა (955 წ.).

4. ტყავზედ ნაწერი კრებული, რომელშიაც შეტანილია  
მოძღვრებანი ბასილი დიდისა, მარკოზისა, ეფრემისა, მაკარისა  
და სხ., გადაწერილი 924 წელს (ბაქრაძე, საქართველოს ის-  
ტორია, გვ. 235).

5. ტყავზედ ნაწერი კრებული, გადაწერილი ცოდვილის  
ითანეს მიერ საბას ლავრაში 941 წელს (იქვე, გვ. 236). პას  
ხალიონს გარდა მასში ჩართულია სახალხო თქმულება იმის  
შესახებ, როგორი იქნება წელიწადი, ბედნიერი თუ უბედური,  
როდესაც პირველი იანვარი მოვა ორშაბათს, სამშაბათს და სხ.

6. მეტაფრისი 861 წლისა, ტყავზედ დაწერილი. ხელნა-  
წერი შეიცავს გრიგოლის ცხოვრებას, აგრეთვე ხანძოეთის და  
შატბერდის აღმაშენებელთა ცხოვრებას და სხ.

...ცხოვრება ესე დაიწერს ქმნა 861, დასამითგან 655 1, შატ-  
რიარქებასა იერუსალიმს აკათონისა, კათალიკოზებასა შიქედისა, მე-  
ფიქებასა ქართლს აშოტისა, ძისა ადარნასესსა, მეფიქებასა აფხაზეთს გი-  
ორგისსა, კოსტანტინეს ძისა, ერისთაობასა სუმბატისა, ადარნასეს ძისა,  
მაგისტრის ბაგრატ მაგისტრის ძისა, ძისა ადარნასესისა, მაგი-  
სტრის ბაგრატ მამივლისა, ადარნასეს ძისა, ერისთაობასა დავით  
მამივლისა, სუმბატის ძისა, ღრაჟა მას, ღდეს ანჩას მამადმთავრობდა  
მაკარი, ღდეს ნერარის გრიგოლის მიერ ადშენებულს მონასტრებში  
მამასას სდისთბულება აზნაურთა ძენი—სანდოეთს— მამა თეოდორე, ღის

<sup>\*)</sup> Н. Кондаковъ. Опись памятниковъ древности, გვ. 153.



წული ცხვედასი, და შატბერდს — მაშა გრიგოლი ლიპარიტი მანებელის წინაშძლვარმა, მისმა ქემ ითანებმ და ამ წიგნის გადამ-წერმა გიორგიმ იგულის მთდგინეს და შეადგინეს ცხოვრება წერარის გრიგოლისა. სანძეულის მკვიდრი მოძღვარი გამროვლ ბასილის შესა-ხებ გვიამბობდა, რომ ეს დირსი კაცი თავის მრავალ-წლოვან წინაშ-ძლვარისას დროს გარეშე სატრაპეზოისა საქმეებს არ იგემებდა.

სანძოეთი, შატბერდი, ანჩა, ოპიზა, ტბეთი, პარხალი— ეს იყო უმთავრესი ადგილები, საკუ ქართველი მოზარდობა ილებდა განათლებას მე X-ე საუკუნეში. უშესანიშნავე! ი ხელ-ნაწერები, რომელთაც კა მოაღწიეს ჩვენამდე მე X—XI საუ-კუნიდგან, ანუ დაწერილნია აქ, ანუ გადაწერილნია აქაურ დედნებით, ანუ დაწერილნია აქაურ სკოლებში ნასწავლთაგან. ამ მონასტრების მამები ხანდისხან სახელმწიფო საქმეებშიაც ერეოდნენ, იარაღს ისხამდნენ და მამაურად იბრძოდნენ სამ-შობლოს თავისუფლებისათვის (იხ. ქვემო).

## 7. ბარხალის ტეატრი ნაწერი სახარება 943 წ.

...დირს ვიქშენ შე გლასხევი ითვანე, ნართაულად ბერად, ადს-რულებად წმიდასა ამას სახარებასა, თოხთავსა, მოდგაწეობითა სულისა წმდისახთა და შეწევნითა ღმერთ შემწისილთა ჭაცთავთა... საჭაც-ველად შეფეხა ჩვენთათვის: ღვთივ ღიღებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტრისისა, სუმბატ ერისთავეთ ერისთავისა და ღვთივ მონიშვეგულთა ქეთა მათთათვის. ღამწერა ქ'ნს 973... შე ითვანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავსწერე და შარხალს შევწირე საჭაცველად ელველთა ძმათა შატბერდელთა\*).

8. ტეატრი ნაწერი წიგნი — სამოხხე, გადაწერილი 977 წელს მრავალის ისტორიულის მინაწერებით. (ქრონიკები, 1, 83 108).

...შე ითვანე თორნიკ უფლისმან და ძმამან ჩემშან ითვანე ვარა-ზეანე, ქეთა სულკურთხევულისა ჩორდვანელისამან მოვიგეთ წმიდა ესე

\* ) სრული გამოკვლევა ამ წიგნის შესახებ იხ. თაყაიშვილის გამო-ცემაში „სამი ქრონიკა“, ფე. XLV—LVII.

წიგნი... სალოცველად და სადიღებლად ძლიერისა და დვოის შას-  
ხერისა შეფისა და უფლისა ადმისაუდეტისა კუროპალატისა დავი-  
თისათვის..., რმეულ მართლმადიდებლობისა თვალი არ და მსგავ-  
სად შემოქმედისა თვისისა სიმძაბლისა წესის შინა დაუკლებელად იქ-  
ცვევის... და მათის შემდგომად სალოცველად თავთა ჩვენთა: პირვე-  
ლად ითვანე თორნიკ უფლისათვის და აწ წმიდათა შეფეთა მიერ  
ითვანე სვინგელზისათვის... (ამან) მსწავლი შეიცვალა ხატი ერის-  
კაცობისად და შეიმოსა სახე შეუდაბნელთა... რაჯაში ადმინისტრა საბერ-  
ძნეთს კაცი განდაღებული (სკლერთის) და მხდომად აღუდგა შეფეთა,  
ამან ისწავლა და მოიწია ძლიერისა და უფლებ კერძოვე უძლეველისა  
დავით კურატებაზრისა და ბრძანებითა ამათითა დაამსგა განზრახეა  
შისი და განამტკიცა შეფენი... და შერშე ითვანე გარაზეაჩესთვის და  
შეუდლისა მისისა და შეილთა მისთა მიქაელისა და ჩორდგანელ—  
ზორეარისა, ჩორთლოჭედისათვის და თორნიკისათვის და ძმისწელთა  
ჩემთა ჩორდგანელ პატრიკისათვის და ბაგრატ პატრიკისათვის და სა-  
ლოცველად სულისა ბაგრატ შაგისტროსისა და შშობელთა ჩემთა ჩორ-  
დგანელისათვის და შარიამისათვის და ძმისთა ჩემთა ბაგრატისათვის და  
არშეშისათვის და აბუჭაბისათვის და შამის ძმისა აბუდჭაბისათვის...  
ესე ანდერძნი მე უდინისმან დავით, დისწელმან ღმერთ შემთხილისა  
შიქელ მთდრეკილისამან დავსწერ.

9. ტყავზე ნაწერი ბიბლია (დაბადება) 978-წლ. (ქარ-  
თული მწერლობა, გვ. 125—126).

მეფეთა წიგნის ბოლოს:... „მე იოანე თორნიკ ყოფილმან  
ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან მოვიგე წმიდა ესე  
უწიგნი მეფეთა“... კურთხეულის მწერალი, კურთხეულ არს  
მკითხველი, მადლი მსმენელთა. დაიწერა წმიდა ესე წიგნი  
კელითა სამთა მწერალთამთა: მიქელისითა, გაორგისითა, და  
სტეფანესითა.... ოდეს ნანდვილი ესე ბიბლია დაწერილა,  
ქორონიკონიყოფილა რეტ“ (= 978).

შინაწერები ორ უკანასკნელ წიგნებისა (8, 9) ემოწმებიან  
ქართ. ცხოვრების და სხ. მოთხრობათა შესახებ ამ დროის

ქართულ ისტორიისა, დავით კურატპალატისა, მის სპასლაშვილის თორნიკისა და ჩორდვანელის გვარშთამომავლობისა.

მს დავით კურატპალატი, „თვალი მართლმადიდებლობისა“ და „სახე სიმდაბლისა“ ასოლიკის თქმითაც (გვ. 135, 179) „თვისის სიწყნარითა და უციდობის-მყოფელობით იღება ტებოდა ყველა თანა შედროვე მეფეთ. მისის წყალობით მშეიდობა და კეთილ-დღეობა დამყარდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მეტადრე არმენიასა და ივერიაში. მან მოსპო ყოველ მხრივ ატებილნი ომნი, აჯობა ყველა მეზობელ ხალხებს და ყველა ხელმწიფენი თა-ვის ნებითვე დაემორჩილნენ მას“.

ჩვენამდე მოაღწია ამ დიდებულის მეფის ვერცხლის დიდ ჯვარშა, რომელზედაც აწერია:

ა-ჯ	ქ-ე	ი-ეს-ო	ქ-რის-ტ-ე
ქ-ე	დ-თ	ქ-რის-ტ-ე	დავით
ა-დ	კ-ო	ა-დიდე	კურა-
დ-ე	პ-ა		პალა-
დ-ლ	ლ-ა	დღეგრ-	ტი
ე-გ	ტ-ი	ძელობით	ა-მინ.
რ-ძ-ე	ა-ნ		
ბ-ით			

მს ჯვარი ეკუთვნის საეკლესიო მუზეუმს. დავით კურატ-პალატი გარდაიცვალა 1001 წელს.

---

ჩორდვანელები სახელგანთქმულ იყნენ მე X—XI საუკ. ამათ გვარს ეკუთვნოდნენ დიდებულნი მოხელენი, ჩინებულნი სპასალარნი, სწავლულნი კაცნი, მთარგმნელნი, მწერალნი, მხატ-ვარნი.

სენებული ხელნაწერების მინაწერების შემწეობით შეგვიძლიან აღვაღინოთ შთამომავლობის ხე ჩორდვანელებისა, გარ-ნა ვიდრე მოვიყვანდეთ ამ „ხეს“, ჯერ უნდა განვიხილოთ გიორ-გი მთაწმინდელის მიერ მეთორმეტე საუკ. მეორე მეოთხედს თარგმნილი სეინაქსარი.

10. ტყავზე ნაწერი სვინაქსარი, XI საუკ. (№ 222 საქკლ. მუხ.). ამ წიგნში მოყვანილია მოკლე ცნობები შესახებ მსოფლიო წმიდანებისა 1-ლ ენკრისტოვიდგან დაწყებული მეორე წლის 31 აგვისტომდე.

სვინაქსარში შეტანილია ქართველ წმიდანების ცხოვრებაც, სახელდობრ ილარიონ-ქართველისა (გვ. 86), იოანესი (გვ. 359), ეფთვიმისა (319—326).

მფთვიმეს ცხოვრება საკმაოდ ვრცლად მოთხრობილია.


...ნეტარი მამა ჩვენი ეფთვიმე ტაოდგან იყო. მამა მისი იყო სახელოვანი მხედარი. მან მოიძულა მსოფლიო ცხოვრება, ჩოხა შეიმოსა და ათონს მივიდა. ეფთვიმე დაშთა დედისა და პაპის ხელში. პაპმ იგი წაიყვანა კოსტანტინეპოლის და წარუდგინა იმპერატორს ნიკიფორეს († 966). იქვე ათონიდგან მივიდა მამა მისი იოანე და მოითხოვა, რომ მისცენ შვილი მისი, გარნა პაპმ არ ისურვა დაეთმო შვილის შვილი. მაშინ ნიკიფორემ დააყენა ყმაწვილი ეფთვიმე თავისთან ახლოს, ხოლო მისი პაპა და მამა მოშორებით, ცალკ-ცალკე და უბრძანა მათ: „ამ ყმაწვილს მე განვუტევებ და თქვენგან რომელთანაც მოვა, მან აღზარდოსო“. იგინი დათანხმდნენ. ეფთვიმემ მიიჩნია მამასთან, რომელმანც ათონს წაიყვანა.

სვინაქსრის ცნობით (გვ. 359) ეფთვიმეს მამის საერო სახელი იყო აბულჰერი, „ათონის კრებულით“ (გვ. 7) ხემორებელნებული პაპა ეფთვიმესი იყო სიმამრი აბულჰერისა, ე. ი. დედის ძამა ეფთვიმესი, და აბულარბი ერქვა.

შთამომავლაბის ხე ჩირდგანედებისა. ზემორე აღნიშნულ ხელნაწერების (8, 9, 10) მინაწერებიდამ სჩანს, რომ ა) თორნიკი, იოვანე ვარაზვაჩე, ბაგრატ, არშუშა და აბულარბი ღვიძლი ძმები იყვნენ, შვილნი ჩორდვანელისა და მარიამის; ბ) მათი მამისძმანი (ბიძები) იყვნენ აბულარბი და არშუშა; გ) იოვანე ვარაზვაჩეს ჰყანება და ძენი მიქელ, ჩორდვანელი-ზორვარ, ჩოროლი და თორნიკი და დ) ქრისტიანის ძმისწულები იყვნენ ჩორდვანელი პატრიკი და ბაგრატ-პატრიკი.

თორნიკი, აბიას ქმარი, იყო ძე პროტოსფათარის ჩორ-დვანელისა—Zourvaneli-სა, რომელიც ერთ აწეწილ საქმის შე-სახებ მოსალაპარაკებლად წარგზავნილიყო წინაშე იმპერატო-რის რომანოზისა (919—945) (Addit; გვ. 146).

ჩორდვანელი ოშოტი { თანამედროვე რომანოზ ლაკაპენისა  
Zourvanesi Azates (919—945)



სხვა წყაროებით: ა) იოვანე=აბულჰერი არის „თვისი“ თორ-ნიკი I-ის (ათონის კრებ., გვ. 8), ბ) სულიერი და ხორციელი ძმა (ბაქრაძე, საქართ. ისტ., 245); გ) მეუღლე იოანე=აბულ-ჰერისა, ეფთვიმეს მამისა, იყო აბულარბის ასული (ათონის კრებ., გვ. 7); დ) ეფთვიმე მიიყვანეს წინაშე ნიკიფორესი (+ 966 16 ავგის.).

X (ტაოს მთავარი).

აბულჰერი (იოანე), აბულარბ I-ის ასულის ქმარი.  
ეფთვიმე თარგმანი (+ 1028 წ.)

\*). თ. ეორდანია და ზოგი ერთნი სხვანი ამას თორნიკ 1-ად სთვ-ლიან (ქრ., 1, გვ. 109).

ბაქრაძის ცნობა, რომ ეფთვიმეს მამა ოოვანე თორნიკი I-ის ძმა იყო, შეცდომად მიგვაჩნია. იგი, როგორც გად-მოვცემს ათონის კრებული, უნდა ყოფილიყო მისი სულიერი ძმა და ნათე ავი, რადგან იოანე=აბულჰერს ცოლად ჰყვან-და თორნიკის ბიძის აბულარბ I-ის ასული. ამას გარდა, თუ იოანე აბულჰერი თორნიკი I-ის ძმა ყოფილიყო, თავის მამის ძმისწულს როგორლა შეირთავდა!

## 11. ტეხაზე ნაწერი დაგითხება.

პლ. ანტ. ცაგარელმა გვაუწყა ცნობები შესახებ მე VII—VIII, VIII—IX და IX—X საუკუნოების დავითნებისა. დღეს ჩვენ ხელო გვაქვს მეცნიერულად გამოცემული ხელნაწერი და-ვითნი 974 წლისა (№ 38 საეკლ. მუზ.). მრავალის მინაწე-რებით, პასხალიონით, ამა თუ იმ ფსალმუნთა ავტორების აღ-ნიშვნით და სხ.

მს დავითნი დაყოფილია თავებად, თავები მუხლებად. მუ-ხლნი ითვლებიან ყოველს ფსალმუნში ცალკე და მთელს და-ვითნში ერთად და „ყოვლად შეკრებით ფსალმუნი არიან 150 და მუხლნი 2900“

ბოლოში ჩართულია გალობანი მოსე წინასწარმეტყვე-ლის დის მარიამისა, სამოელის დედის ანნასი, წინასწარმე-ტყველის ამბაკუმისა, იონასი, სამთა ყრმათა, კ დ წმდის მარია-მისა და სხვ.

მთელი დავითნი გადაწერილია მეტად შვენიერის და ფრიად ხელონურის ხელით.

პასხალიონში მოყვანილია სრული სწავლა შესახებ წელი-წადისა, მთვარის მოქცევისა და სხ. ავტორის სიტყვით, გაზა-ფხული იწყება 20 მარტს, შეიცავს 91 დღე-ლამეს; ზაფხული იწყება 19 ივნისს და შეიცავს 91 დღე-ლამეს; შემოდგომა იწ-ყება 18 სეკდენბერს და შეიცავს 92 დღე ლამეს; ზამთარი იწ-ყება 18 დეკემბერს და შეიცავს 92 დღე ლამეს.



შელიწადში 12 თვეა, 365 დღე-ლამე, დღეთა უმნიშვნელიწადში არის 4,380 და ლამეთა იგრეთვე 4,380 და სულ 8760.

ნაკიანს შელიწადს თებერვალში 29 დღეა და მარტივში 28.

20 მარტსა და 18 სეკდენბერს დღე-ლამე თორმეტ-თორმეტი უამია; 19 ოვნისს დღე 15 უამია, ლამე—9; 18 დეკემბერს დღე 9 უამია, ლამე—15.

აცტორი წიგნში ურთავს ქართულს ხუთასწლოვანს კვინკლოსსაც და ასრულებს მას აგრედ წოდებულ არაბულ ციფირების ჩამომწყრივებით, ამრიგად: 9. 8. 7. 6. 5. 4. 3. 2. 1. †

სრული აღწერა ამ შესანიშნავ წიგნისა მოვიყვანეთ ჩვენს გამოცემაში „ქართული მწერლობა“ (გვ. 139—190), გარნა აქ დავურთავთ კიდევ ორიოდ სიტყვას არაბულ ციფირების შესახებ.

ცნობილმა დუბუა დე-მონპერემ ქუთაისის ბაგრატის ტაძრის „არაბულის“ ციფირებით აღნიშნული თარიღი 223 (=1003) გადაიღო და წარუდგინა პარიეს „აზის საზოგადოებას“. ამ საზოგადოების წევრთ, შეჰერიბეს-რა ცნობები შესახებ „არაბულ“ ციფირების შემოლების დროისა, განაცხადეს, რომ თვით არაბთ ციფირების წერა შირველად შემოიღეს 1166 წლითვანო, თუმცა ეს ციფირები ინდოეთში მე IX საუკუნეშიაც იხმარებოდათ და იქნედან შემოვიდოდათ საქართველოში\*). ნეტა რას იტყოდნენ „აზის საზოგადოების“ წევრნი, თუ მაშინ სცოდნოდათ არსებობა 974 წელს გადაწერილ ქართულ დავითნისა, რომელშიაც უკველა „არაბული“ ციფირი მეტად შნოიანად გამოსახულია!

12. ფსალმუნთა თარგმანი (განმარტება), ტყავზე დაწერილი (№ 135 საეკლ. მუზ.). წიგნი ბერძნულითვან გადმოუთარებნია ეფთვიმეს († 1028) და გადაწერილია 1035 წელს.

\*). М. Баратаевъ. Нумизмат. факты Грузинскаго царства, 83. 15—16

ზაღამშერის შენიშვნა (გვ. 508 და სხ.): კაცის პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს. მზე და მთვარე კორცა ჩუენთა საკმარიად დაპირის ლმერთმან, ხოლო წიგნის სულთა ჩუენთა განმანათლებელად მოგუმადლნა.

ამისთვისცა მე, დავით ჯიბისძემან, ტკრობმიმემან ცოდვითა და უდებმან სინანულითა დაეწერ ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამად მთავრისა შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისამთა. დაწერ ეკლითა სულიერთა ძმათა ჩემთამთა საბახსითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე კელითა შეკლისა ჩემისა ივანესითა. და შევმოსე ულირსითა კელითა ჩემითა და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს... სადიდებელად ეზრა მამად მთავრისა და მამისა ეფრემისთვეს და მიცვალებულა პირველთა მოძღვართათვეს და სვემონისთვეს და მშობელთა ჩემთა ივანესთვეს და შუშანისთვეს; სულიერთა ძმათა და ჩემთანა აღსარებულთა ყოველთათვეს კორციელთა და ძმათა ჩემთა გაბრიელის და მარიემისთვეს შატბერდისა და ხანძთისა ცოცხალთა და მიცვალებულთა და ყოველთა თვესთა ჩემთათვეს... აწ გვევადრები ყოველთა, რომელი მოხუალთ გამოსაცდელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალისა ცხოვრებისა: რაეამს მოგეცეს ფლობაი ყოფად ხილულსა ამას მზესა ქვეშე და ჩუენ მტვერ და ნაცარ ქნილ ვიყვნეთ, მოგვიხსენენით... მოვლენან ქამნი დაუსრულებელნი და ჩუენ აღარა კელვე წიფებოდის აღმოკითხვად, ვითარცა ჩუენსა პირველთა წასრულთა მამათა და ძმათა... ამის წიგნისა ეტრატი კახაისა საფასოეთა ვიყიდე... დაიწერა ქნსა: სნგ (=1035).

წიგნში არის დიდად საგულისხმო სწავლა—მოძღვრება შესახებ სესხის აღებისა, რომელიც მთლად დაიბეჭდა „ქართულს მწერლობაში“.

აქ მოხსენებული მამად მთავარი ეზრა და მტბევარი საბა 1026 წელს მომხდარ ამბითაც ცნობილნია.

ამ წელს ბერძენი იმპერატორს გაუორგულდა ნიკიფორე კომნიანისი, ვასპურაკანის მმართველი. მას მიემხრო ბაგრატ მეფე. ეს არ მოეწონათ ბევრს მთავრებს, რომელთაც დატ-



ოვეს ბაგრატი და კოსტანტინეპოლეს წავიდნენ. იქიდგან მცდელება დაბრუნდნენ დიდის ლაშქრით, ნიკიფორე მოჰკლეს, გააოხრეს საქართველოს დასავლეთი სათემოები და ტბეთის შემოქმედება მეფის ერთგულთ—ეპისკ. საბამ, ეპისკ. ეზრამ და მრავალ აზნაურთ ტბეთში ააშენეს სიმაგრედ სვეტი, განმტკიცდნენ გულით და სახელოვანად დაიცვეს მამულისა და სამეფოს თავისუფლება (ქართლ. ცხ. გვ. 217; სკაბალან. გვ. 8).

ამავე ხანს ამბოხება მოჰქდა იმპერიის დასავლეთ მხარესაც. მეამბოხეთა მოთავედ იყო კოსტანტინე დიოგენი, რომლის მომხრედ ბერძნები სთვლილნენ ქართველს გიორგი ვარაზ ვაჩესაც, ნათესავს პატრიკის თევდატისა და ბერის ზაქარიასი. ბერძნულ წყაროების ჩვენებით, ეს გიორგი ვარაზვაჩე გაწკეპლეს, ხალხის წინაშე გაატარეს და გააცილეს დასამწყვდევად სკაბალან., გვ. 21)

ამ ამბავს აღნიშნავს გიორგი მთაწმინდელიც. იგი სწერს (ათონის კრებ., გვ. 60): „დიდად საკუთარ და წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და მერმე, თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის, განდგომილებად და ორგულობად დასწამეს დიოგენისა ვისთვისმე, რომლისათვის თქვეს, თუ მისი უნდაო მეფობად გიორგის. და ამის მიზეზისათვის ექსორია იქმნა გიორგი მონოვატს და მუნ აღესრულა ექსორიობასა შინა და მონასტერი (ათონისა) და ჩვენ ყოველნი მას უამსა დიდა დელვასა და მიმოტაცებასა შთავცივენით და რაიცა დრისტი ტურფად იყო, მამათა ჩვენთა მოგებული, ყოველი იყარ იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში. და ვინაითგან ბერძნენთა ესე ვითარი უამი პოვეს, კელუველს ყოველით ღონისძიებითა, რათამცა ქართველნი ამას მონასტრისაგან აღმოჰქმეურნეს...

უეჭველია, ბერძნები ათონის ქართველებზე ჯავრს ყრილობდნენ იმიტომ, რომ ბაგრატ მეფე მიემხრო იმპერატორის ორგულს ნიკიფორეს და ბერძნები, ალბად, ჰუიქრობდნენ, ათონის ქართველთა ლავრაც თანაგინმზრახია ბაგრატისაო.

13. სწავლითი და მოძღვრებანი, ტყავზე დაწერილი 1030 წ. (№ 1 საეკლ. მუზ., გვ. 908). თარგმანი ეკუთვნის — ნაწილი ეფთვიმებს და ნაწილი დავით ტბელს. გადაწერილია ბასილის მიერ დავალებით ზაქარიასი, ბანის ეპისკოპოზისა (ბანა-ოლთისის მხარეს იყო, აწ ჰქვიან ფენაკ, ფანასკეტი). მინაწერების ავტორი ჰქმობს ათაბაგს მზე კაბუქს, რომელმაც, ქართლის ცხოვრების თქმითც, საქართველოს მიაყენა დიდი უბედურება. მოსახლეობის დაწერილს წარწერებში მოყვანილია 200-მდე ქართული სახელები და გვარები. ერთს ამ გვარს წარწერაში სწერია: „მე ოეოდორე დიაკვანმა მხედრული ვისწავლე სხვათა დაუხმარებლად, ხუცური კი მასწავლა ჩემმა მოძღვარმა, რომელსა მოიხსენებდეთ“ (გვ. 455).

14. დასურათებული თვევნი, ტყავზე დაწერილი მე-XI-ს. (№ 460 საეკლ. მუზ.). წიგნი გამოცემულია ქართველ ეპისკ. ზაქარია ვალაშკერტელის (ვალაშკერტი=ალაშკერტი) მოღვაწეობით, იმ ზაქარიასი, რომელიც მონაწილეობას იღებდა გორგი I-ისა († 1027) და იმპერატ. ბასილის († 1025) შორის სამშვიდობო ზავის ჩამოგდების საქმეში. ამ მაკურთხევლის სახელი იხსენიება ალაშკერტის ტაძრის დანგრეულ კედლების წარწერებშიაც. ეს წარწერები ჩვენ უკვე დაგბეჭდეთ (ივერია, 1899, №№ 24, 95, 105).

ამ წიგნის შესახებ კონდაკოვი სწერს (Описъ, Спб., 1890, გვ. 166): „ხელნაწერი მდიდრად დახატულია მინიატურებით... ყველანი უუმჯობესის ხელით ნახელოვნებია...“

### 15. ტყავზე ნაწერი ფურცელი

მს ფურცელი და ზემოაღწერილი სეინაქსარი (14) „სპირსთა ტყვეობიდგან“ გამოუსყიდნიათ და სიონისთვის შეუწირავთ. ეს ფურცელი ფრიად შესანიშნავის წიგნის ნაშთია ამ გადაჩენილის ფურცელზედ სწერია:

...და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედი-სა ჩემისა დავით ქართველთა კურატპალატისა († 1001 წ.), რომლისამცა სული ბრწყინავს სასუფეველსა ცათასა.

და საკუნძულო სულსა მოძღვართა და მშობელთა ჩემთა არსენი მამად მთავრისა, ბაკურისა და თეკლასა, პატრიაქისა ასათისა, დავითისა და დაფანჩულისა.

და მეცა უხმარი შვილი მათი და არა ლირსი წყალობისად ხსენებულმყავთ წმიდათა ლოცვათა თქვენთა, რათა ერთობით ლირს ვიქმნეთ ადგილსა მას საწადელსა მართალთა საყოფელსა და საუკუნოდ წარუვალსა.

დაწერა ქალაქსა შინა დღისა კოსტანტინეპოლის ახალსა ჰრომსა დასაბამიუგან წელთა ვითარ ბერძენი ითვალვენ ხფლ ინდიკტიონსა 13, ქართველთა ქნ-სა სნ, მეფობასა ჰრომანიზისა, პატრიაქობასა აღექსისა და ჩემსა მწირობასა პილურისა მონასტერსა, კელითა შვილისა ჩემისა ბასილი ეტრატასირთა. ქრისტემან სასყიდელი შრომისა მისისად მიანიჭენ. ამინ.

შენი სნ უდრის 1030 წელს. ეს ბასილი ეტრატაშ უნდა იყოს ის ბასილი ეტრატაშ მალუშისძე, რომელმან 1031 წელს ათონის მამის გრიგოლის ბრძანებით გადაწერა მცირე რჯულის წიგნი, თარგმნილი ეფთვიმეს მიერ (№ 96 საეკლ. მუზ.; ივერია“, 1897, № 91, 42).

სახელოვანი მალუშიძეები ანუ მარუშიძეები ქართ. ცხოვრებითაც ცნობილ არიან. ქართლის ერისთავის ოფიციან მარუშიძის თაოსნობით ქართლი და აფხაზეთი შეერთდა 985 წელს და ბაგრატ III შეიქმნა გაერთიანებულ და გაძლიერებულ საქართველო-აფხაზეთის თვით მპყრობელ ხელმწიფედ.

16. ძრებული, ტყავზედ დაწერილი 1059 წ. (№ 455 საეკლ. მუზ., გვ. 326). მასშია: ოთხთავი, ისტორიული მოთხრობა ხელთუქმნელს ხატზე, შენიშვნები და მინაწერები გადამწერთა, კაცის მამულების სია, ხელმოწერილი მეფეთა მეფის ბაგრატის მიერ.

წიგნის თავში ჩართულია უუშვენიერესად დახატული კამარები, ჯვარი და სხ. ბოლოში თვალწარმტაცად გამოსახულია ედესის მეფე ავგაროზი, ხელთ უქმნელი ხატი და სხ.

შინაწერები და შენიშვნანი დიდის ფასისანი არიან, და გვაძლევენ ცნობებს ლიპარიტ ორბელიანისა, მის ძის იოვანესი და სხვათა შესახებ.

შველა მინაწერები და შენიშვნები, აგრეთვე მოთხრობა ხელო უქმნელ ხატის შესახებ სრულად გაღმოწერილი გვაქვს.

17. ტყავზე დაწერილი წიგნი 1066 წ. (№ 134, გვ. 680). მინაწერებში ცნობებია შესახებ ბაგრატის ქალის მითხოვებისა რძლად იმპერატორისა.

ბაგრატის ასული მართა—მარიამი ჯერ ყრმობაშივე წაიყვანეს კოსტანტინეპოლის 1056 წელს, საცა მივიდა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც გარდაიცვალა დედუფალი თეოდორი და გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც მაშინ იქვე, კოსტანტინეპოლის, იყო, იწინასწარმეტყველა<sup>\*)</sup>): „დღეს იმპერატორიცა მობრძანდა და დედუფალი წაბრძანდათ“. მართლაც მისი სიტყვა აღსრულდა. ბაგრატის ასული მართა (მარიამი) ბიზანტიაში გახელმწიფდა, შეირთო-რა იმპერატორი მიქელი (1071—1078).

ეს მართა (მარიამ) დედუფალი დიდად მფარველობდა ათონის ლავრაში მოღვაწე ქართველებს, რომელთაც აღაპი დაუწესეს მას.

„თუესა ნოემბერსა კა აღაპი არს დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა ყოფილისაც და ძისა მათისა კოსტანტინე პორფიროგენისაც დიდთა და მრავალთა ქველის მოქმედებათა მათთა-თვს, რომელ აჩუენნეს ჩუენზედა...“ (ათონ. კრებ.. გვ. 250, აღაპი 138).

ბერძნულ წყაროებით, მაგალ, ნიკიფორე ბრიენით, იმავე წელიწადს (1071), რა წელიწადსაც მართა მისთხოვდა მიქელს, იმპერატორ ალექსის (1081—1118) ძმამ ისაკ კომნენტი შეირთო აღაპნთა ქალი ირინე, ბიძაშვილი მართასი (მარიამისა). ქართლის ცხოვრებით (გვ. 233) ამ მართას მამას მეფე ბაგრატ IV-ს ცოლად ჰყვანდა ოსეთის მეფის დურღულელის ასული ბორენა. აქედაგან ცხადად სჩანს, რომ ბერძნები აღანებად უწოდებდნენ ოსებს.

<sup>\*)</sup> ათონის კრებული, გვ. 306.

ადანთა ოსობა მტკიცდება კიდევ უძმდევის საბუთით.

ზევე გიორგი I მეორე გზობის შეეულლა ისეითის შეფის ასულს, რომლისაგან მიეცა დემეტრე (ქ. ცხ.; გვ. 221). ზოგიერთ აზნაურებს ამის გამეფება უნდოდათ, გარნა ბაგრატ IV-მ და დედა მისმა ხელი შეუშალეს. მაშინ დემეტრემ აილო ანაკობია (1033 წელს) და იმპერიატორს მიემხრო (Hist., I, 315; ვსევ. / Миллеръ-Осетинскіе Эпіоды, III, 41).

მსეთის მეფის ასულს, რომლის სახელი ქართლის ცხოვრებამ არ იცის, კედრინი იხსენიებს ადდა ადანთა: „რომანოზ III-ე“ (1067—1070) მაგისტროსობა უბოძა დიმიტრის, გიორგი აბასგისა და ალდა ალანელის ძესთ“ (Скабалановичъ. Византійское государство и церковь въ XI в., გვ. 153).

ამას გარდა, კიბერტის რუკებში დარიალის სივიწროვე იწოდება ალანთ კარად. ამ კარს ქართლის ცხოვრება სხვა-დასხვა ნაირად იხსენიებს, სახელდობრ, დარღ-ალანად, დარიალანთ-კარად, დარუბალად, დარღ-ალად (ქ. ცხ., გვ. 34, 51; მარიამის ვარიანტი, გვ. 129). დარდ ისური სიტყვაა და ნიშნავს გრძელს (შეადარე დარღ-ხოხ=გრძელი მთა). მაშინადამე, დარდ-ადანთ-კარა ასრე უნდა ითარგმნოს: გრძელი ალანთა (ოსთა) კარი (ალანთა გრძელი კარი).

შართლის-ცხოვრების ამ ცნობას ემოწმება აგრეთვე ხალხური ლექსი ისეთის მეფების შესახებ, რომელთაც უეპირათო ქვეყნის ოთხივ კუთხის ვიწრო კარი“.

ამას გარდა, ბერძენ-რომაელთა მწერლები ამბობენ, რომ ალანებს წინად მასსაგაცემა ერქვათო. ეს სიტყვა უნდა წარმომდგარიყოს ან ძეველის ქართულის (სვან.) მასავ-იდამ (მასავ=ოსი) (მასავეთი=მასავეთი) ან და ისურისავე სიტყვით მასსივ—კოშკი (მასსავ-ეთი). ასრევე ისურის სიტყვიდამ ხაზარ—სახლი წარმოსდგა სახელწოდება ქვეყნისა ხაზარ-ეთი.

18. მტრატხე დაწერილი სამოციქულო 1083 წლ. (№ 335 საეკლ. მუხ.). წიგნის გადამწერი გიორგი მთაწმინდელის მოწაფე, გიორგივე, შენიშნავს (გვ. 229), ამ წიგნს ვწერდიო მაშინ, როდესაც საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედუ-

რება, როდესაც თურქებმა აიკლესო მთელი მესხეთი. თურქების შემოსევას აღნიშნავს ქართ. ცხოვრებაც და ზოგიერთ-გან, თითქმის, ერთ და იგივე სიტყვით გიორგის მოთხრობასთან.

### 1083 წლის მოთხრობით

სრულიად თყურდა სამცხე,  
თვინიერ ჩაძე ნეშტისა,  
რომელნი სიმაგრეთა შინა  
დაშთეს, გინა სალმობიერნი  
და ურვეულნი (გვ. 229).

19. ტყავზე დაწერილი სახარება გიორგი მთაწმინდელის  
დედნით (№ 257).

...სახარებას მართალსა და მზისად უფროს ბრწყინვალესა,  
ახლად განწმენდილსა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი  
მთაწმიდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასო მრუდი,  
გინა ნაკლული და არცა მეტი (გვ. 264).

20. დავითნი, გადაწერილი ტყავზედ ამბროსის მიერ 1494  
წელს (№ 351). დავითნის მინაწერებში მრავალი ისტორიული  
ცნობებია შესახებ სამცხის მფლობელების მზეჭაბუკისა, დე-  
დისიმედისა, ბაადურისა და სხ. აქ მოყვანილი ცნობები შეა-  
ვსებენ ქართ. ცხოვრების მოთხრობას ამავე პირთა შესახებ (იხ.  
„ივერიაში“ 1898, № 229, 230).

აქვე მოხსენებულნი პირნი და მათ შესახებ საყურადღებო  
ცნობები შეტანილია, იმავე ამბროსის ხელით, ათონის კრებულ-  
ში (გვ. 265—267) (იხ. ზემო „ათონის კრებული“).

21. ტბეთის სახარება, ტყავზე დაწერილი 1161 წ. („ივე-  
რია“, 1900, № 229).

გვ. 639—640: ჩემმა აღმზრდელმა გვირგვინოსანმა მეფე  
დიმიტრიმ ლირსმყო მე, ულირსი პავლე ტბეთის ეპისკოპოსად  
კურთხევისა. ლმერიამან ლირსჲყოს იგი დაჯდომად მარჯვენით  
ქრისტესა და მის ძეს გიორგის, ლომთა უმხნევესს და არწივსა

### ქართლის-ცხოვრებით:

მოოქრდა ქუცყანა...  
თუ საღმე ვინ დარჩომი-  
ლიყო კლდეთა, ღელეთა,  
ქვაბთა და კურელთა... ზამთრისა  
სიფიცხითა, უსახლობითა და შიმ-  
შილითა ეგრეცა მოისრა (გვ. 237).

უმაღლეს აღსულს, მიანიჭოს უფალმა მრავალნი გამარჯვებანი და ძლევანი... მეტუთე წელს თვისის მეფობისა მან აიღო ანისი, ტყვეპყო ანუ აღწყვიტა 36,000 აგარიანი, წაართვა მათ უუარებელნი სიმდიდრენი, კარაენი, ცხენნი და სხ. ძლივს გადარჩნენ და გადაიხვეშნენ მოწყლული სოფ-ქამანისძენი... ტბეთში წიგნები ბევრი იყო და გულანი კი არა. დავაწერინე ეს წიგნი სალოცველად ჩემის აღმზრდელის დიმიტრისთვის და მისის ძის გიორგისა და მოსახსენებელად ჩემთა მშობელთა—მიქელისა და მარიამისა, ძმებისა გიორგისა, თეოდორესი, კვირიკესი და დებისა გურანდუხტის და ნონასი, დისწულთა მთავარების კოპოსის არსენი ქუთათელისა, მთავარების კოპოსის იოანე ანჩელისა, მთავარების კოპოსის ანტონი ოპიზელისა, დიმიტრი მეფის მოძღვრის არსენისა...

ანისი აიღო მეტუთე წელს თვისის მეფობისაო. მეტუთე წელი გიორგის მეფობისა უდრის 1161-ს (1156+5).

მართლ. ცხოვრების გარდა, გიორგის მიერ ანისის აღების შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე ვარდან დიდი, სტეფანე სიუნელი და მაჰმადიანთ მწერლები და ყველა ესენი, ვითარცა ზემომოყვანილი წარწერაც, ანისის აღების წლად სოელიან 1161 წელს (Addit., 253—254). გიორგი მეფის დაბრუნების შემდეგ შაჰირმენმა ისევ აიღო ანისი. გიორგიმ ხელახლა გაილაშქრა და აიღო ეს დიდებული ქალაქი 13 ივნისს 1163 წელს. „მეფის ლაშქარი შესღებოდა მხოლოდ 7,000 მეომრით,— სწერს სამუილ ანელი,— შაჰირმენისა კი 30,000-ით, გარნა მეფემ დაამარცხა იგი; ჩენ თვითონ ვნახეთ, რომ ქართველებმა ტყვედ შეაპყრეს 23,000 მეომარი .. 21 აგვისტოს 1164 წ. მეფე გიორგიმ დაანგრია დოვინი (=დვინი) და ტყვედ წაასხა 60,000 კაცი. ამავე ცნობებს გადმოგვცემენ იბნ-ალათირი და მიქაელ სირიელი (გახუშტი. საქართ. ისტ., გვ. შენიშ. 2).

22. ლარგვისის ხელნაწერი, ავგაროზ ბანდაისძის მიერ ტყავზე გადაწერილი 1348 წ. (№ 557).

გვ. 310—311: წიგნისა ამის წერა ვიწყე უამსა ღელვისასა, უბედურებათა, ძვირობისა, იმ წელს, როდესაც უამი მძვინვა-

რებდა და ქ'ნი იყო 1348... ბევრი ვიშრომე, ვინაითან, ვიცოდი, რომ შრომა დაშთება და მშრომელი წარგალს. ღმერთმან უწყის, რომ სიჭაბუკისას დავიწყე წერა და მოხუ- ცებულმა გავასრულე 1365 წელს.

„წყალობითა ღვთისათა მე ვიცოდი:

- ۱ კელი: სწავად ხუცობისად
- ۲ კელი: მწიგნობრობისად
- ۳ კელი: წერად ხუცურისად
- ۴ კელი: შექმნად ეტრატისად
- ۵ კელი: შეკრეად წიგნისად
- ۶ კელი: მხატვრობისად
- ۷ კელი: მკერვლობისად
- ۸ კელი: ტყავის კერვისად
- ۹ კელი: ხუროვნობისად
- ۱0 კელი: ყოვლისავე მსოფლიოსა მუშაობისად.

ზადამწერი ამბობს, რომ ეს წიგნი თათრის ტყვეობას გა- დარჩინა ნაზირმა გიორგიმა (გვ. 13).

23. დიდი კრებული, რომელიც შეიცავს, თითქმის, ყვე- ლა საეკლესიო წიგნებს და მაპმალის გამოჩენის ამბავს (იხ. „მოაშე“, 1961, № VI, გვ. 36—90). კრებულში იმდენი ცნობებია შესახებ იმერეთის გამგებლის გ. აბაშიძისა, რომ ქართლის-ცხოვრებასაც თუ არა გადმოეცა რა მის შესახებ, მაინც აბაშიძის გამგების ხანას ამ ხელნაწერითაც საკმაოდ შე- ვისწავლიდით.

აქ ვათავებთ ხელნაწერების განხილვას და შევნიშნავთ, რომ მესე ნაწილიც არ მოვიხსენიეთ იმ ხელნაწერებისა, რომელნიც ჩვენ შეგვისწავლია და რომელთა შესახებ ძეირფასი ცნობები მოიპოვება ცაგარლისა, ბაქრაძისა, ხახანაშენლისა, მარრისა ბროსესი, თაყაიშეილის, ფორდანიასი და სხვ. გამო- ცემებში.

**მ. წარწერანი შენთბებზე, მატურებსა და  
ფულებზე და სხ.**

წარწერები ქართველთ ტაძრებისა და, საზოგადოდ, ყველა სხვა ნაშთებისა იგივე მატიანება, იგივე ქართლის - ცხოვრება, ხოლო დაწერილი არა ქაღალდზე, არამედ ქვებზე, ფულზე, ჭურპელზე... წარწერათა შინაარსი თითქმის არაფრით განხსნვადება მატიანის ცნობებისაგან შესახებ სხვა და სხვა პირთა და მათ მოქმედებათა. მომყავს მხოლოდ რავდენიმე წარწერათა შინაარსი.

1. პტენის სიონის კედელზე დ. ზ. ბაქრაძემ შეამჩნია ფრიად შესანიშნავი წარწერა, რომელიც მოვარდის იმასვე, რასაც ქართ. ცხოვრება და სხვა წყაროები.

ატენის წარწერა:<sup>\*)</sup> ქ.-ცხოვ. (გვ. 190) ცხოვრება ქასტან-  
ნცინესი <sup>\*\*)</sup>

აგოვსტოსა ე-სა,  
დღესა შაბათსა,  
ქ' კნსა ოგ-სა ზ' ა  
წელსა სარკინოზთ-  
ასა ა... ტფილისი  
დატყუუ ბუღა და  
შეიპურა და მოკლა  
ამირად საჟაკ და მა-  
სვე თვესა აგოვსტ-  
ოსა კვ-სა დღესა  
შაბათსა ვეზირა  
შეიპურა კახამ და  
ე მისი თარხოვ...

მაჟმალის გამოჩინე-  
ბითან 219 წელს  
მოვიდა ბუღა დი-  
დის ლაშქრით. აღ-  
ოხრა მთელი სომ-  
ხეთი, შეიპურა მისი  
მთავრები, მთადგა  
ტფილის, რომელი  
მას ეწინააღმდეგებო-  
და, მოკლა ამირა საჟაკ,  
აღაოხრა და გადასწვა  
ტფილისი და გაანად-  
გურა მისი არემარე...

...შეიპურეს კოს-  
ტანტინე და მიჰ-  
გვარეს ტფილისს  
ბუღას, რომელმან  
წარუგზავნა იგი  
ჯაფარს და ამან  
აწამა და მოჰკ-  
ლა 10 ნოემბ-  
ერს, პარასკევს,  
დასაბამითგან  
ხუნზ წელს.

ბუღას მოსვლა ტფილისს ატენის წარწერით და კოსტან-  
ტინეს ცხოვრებით ყოფილა 853 წელს ( $780 + 73 = 853$ ;

<sup>\*)</sup> ბაქრაძე. საქართ. ის., გვ. 214

<sup>\*\*) სამოთხე, გვ. 368.</sup>

6457—(5508+96)=853), გარნა ბუღას მოსვლა სომხეთს ქართ. ცხოვრებით ხვდება 851 წელს: მაშმაღი+632 წ.; 632 +219=851. და ტფილისს მოწევნამდე სომხეთიდგან გავიღოდა 1—2 წელიწადი მაინც.

2. ზარზმის გუმბათის წარწერა:.. მე, ივანე სულაიძემ აღვაშენე ეს ეკვდერი მაშინ, როდესაც სკლეროსი განდგა და კურატპალატ დავითმა,—აღიდენ ღმერთმან იგი,—უშველა წმიდა იმპერატორებს და ჩვენ ყველანი წარგვეზავნა შველად მათდა. სკლეროსი უკუვაქციეთ. დავითმა აღაშენა ეს ტრაპეზი.

ბმასვე გაღმოგვცემს ქართ.-ცხოვრება სკლეროსთან ბრძოლის შესახებ (იხ. ზემო, გვ.).

3. ლოდისყანის ტაძრის წარწერა: ქრისტე, აღიდე მეცე ჩვენი სუმბატ.

ამ სუმბატის (923—258) შესახებ ცნობებს გვაძლევენ, ქართლის ცხოვრებას გარდა, არაბთა მწერალი მასსუდი, ჯრუჭის სახარება 936 წლისა, მის მიერ მოჭრილი ფული და სხ.

ლოდისყანის ეკლესიის წინაპირზე გამოსახულია მზას საათი.

4. გუმურდოს წარწერა: „შეწევნითა ღვთისაითა იოანნე ებისკოპოზმან დადვა საძირკველი ამას ეკლესიასა კელითა ჩემ ცოდვილისა სკარისთა ლეონ მეფისა ზე—აღიდენ ღმერთმან—ქნს რბდ (=964 წ.) თუესა მაისსა ღლესა შაბათსა ა მთარისსა, ერისთვობასა ზვასსა ესე ბალაკარი მუნ დაიდვა. ქრისტე შეწიენ მონასა შენსა. ამინ.“

ლეონი მამის სიცოცხლეშივე ჰმართავდა ქართლს, მერმე გამეფდა აფხაზეთს (ქ. ცხ. გვ. 202). სპასალარი ზეია ანუ ზეიდი სპასალარია ბაგრატ III-ისა (980—1014).

წარწერანი: ა) ნიკორწმინდისა: ქეო ღვთისო, აღიდენ შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ, მეფე აფხაზთა და რანთა და ქართლისა კურაბალატი და ოლზარდენ ქე მისი გიორგი; ბ) კაცხისა: წმიდაო სამებაო, აღიდენ შენ მიერ დამყარებული ბაგრატ, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და დიდი კურატპალატი ყოვლისა აღმოსავლეთისა, გ) ატენისა: ატენის ციხისთავმა გურგენ აღაშენა ატენს სასახლე და ქალაქი სალოცველად მე-



ფეფ შეფის ბაგრატ სევასტოსისა და ძისა მისისა გიორგი დემიტრი  
რატპალატისა.

ამნაირადვე იხსენიება ბაგრატ მეფე მატიანესა და სხვა  
ისტორიულ წყაროებში.

6. ჭარწერა ბედის ბარძიმზედ: კუდ წმიდაო ბედის ღვთის  
მშობელო, მეობ ეყავ ძისა შენისა წინაშე ბაგრატს, მეფესა  
აფხაზთა, და დედასა მისსა გურანდუხტს, ამ ბარძიმის შემომ-  
წირველთა, ტრაპეზისა ამის გამმშვენებელთა და ტაძრისა ამის  
მაშენებელთა. (ვახუშტი, გვ. 1119, შენიშვ. ბაქრაძისა).

7. ჭარწერა ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა:\*)

მ. ჭ შეუფეო მფლობელო ყოველთა მეფეთაო ოკმეტე-  
სად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურატპალატი აფხაზთა მეფე მამით  
დედით დედოფლით და ძით მათით ამინ.

შეწენითა ღუთისაითა ბაგრატ წყალობითა ღვთისათა აფხა-  
ზთა და ქართველთა მეფე... გურანდუხტ დედოფლისა აღაშე-  
ნა წმიდა შტოი საყდართა...

ქ. ღდეს განიმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223  
(=1003 წ.) (იხ. ქ. ცხ., გვ. 211—212; ზემო, გვ.).

8. ჭარწერა დავით აღმაშენებლის ბეჭდისა, რომელიც,  
ალბად, მემკვიდრეობით მიიღო თავის მამისაგან: წმიდაო გი-  
ორგი, შენდა მონდობილი ვძლევ მტერსა (ნ. კონდაკოვი.  
ოუის, გვ. 41).

#### 9. თამარ მეფის ჯგარი

ძელო კეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითშ წინაწარ-  
ძლომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დე-  
დოფალსა თამარს. (იქვე, გვ. 90; ქრონიკები, გვ. 269).

\*) Баратаева Нумизмат. факты, გვ. 41.

## 10. თამარ მეფის სახსენებელი (ტიტული)

უკუდესი

სიგელ-გუბენი

დედოფალი მაღალხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა თამარ, ასული გოორგიისა

შემდეგი მესსიისა ლერთმან ადიდოს ძლევანი მისნი

სახელითა ღუთისაითა. თამარისაგან ბაგრატიონიანისა ნებითა ღუთისათა მეცე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფალთ დედოფლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყროველისა.

11. ქართლის ცხოვრება და სხვა წყაროები აღნიშნავენ ქართველთა კულტურის მოფენას დაღისტანს, დიდო-საჩეჩნოს, ოსეთს. ლეკეთისა (ხუნდაბის) და დიდო-თუშეთის მმართველებს ძველს დროს ამწესებდნენ ქართველი მიფებით, ქართლ. ცხოვრებასთან ერთად ამბობენ ვახუშტიცა და ანტონი 1 კათალიკუსიც; აწინდელი ოსეთი ხომ ქართლის სამეფოს ნაწილი იყო. ყველა ამ ცნობებს ამოწმებს იმ ქვეყნებში დღევანდლამდე დაშობენილი ქვალი ქართველებისა. საჩეჩნოს, მდ. ასსაზე, შენახული ძველი ტაძრი ქართულის წარწერებით 830 წლისა. ეს წარწერები იხსენიებენ ეპისკოპოზ გიორგის და ასსის ერისთავს დავითს (Материалы по арх. Кавказа, вып. 1. Москва. 1888); დაღისტანს, სოფელ დათუნას ახლოს, უდაბურს ღელეში არის საყდარი. ალიხანოვ-ავარსკი ამბობს, რომ ეს ქართული ტაძრი უნდა იყოს აგებული არა უადრეს VIII საუკუნისა და უგვიანეს X საუკუნისათ („Кавказъ“, 1896, № 254). ამ ტაძრის ძველი ასომთავრულით გამოყვანილი წარწერა, სამწუხაროდ, დაზიანებული, ამბობს: „...სამთა აღვშ...ნთ ესე ეკლესიად ოვადდ ინ წთა კზმან და ..“ (ე. თაყაიშვილის მოხსენებიდამ არქეოლ. საზოგ. 2 მარტს 1902 წ.). ფრანგმა ლიონენმა გადმოქვცა წარწერა, რომელიც გადმოუხარავს ბელაქანში: „ქ.

ღო შნ სულსა ბირთლსსა: ესე ქვად (თუ ჯვარი!) მისი არს.“  
 საჩეჩნოსა და ინგუშებში კვირის დღეები ქართულიად იწოდება:  
 ორშუთ (ორშებათი), კირინდე (კვირა) და სხვ. ღვდელს ჰქვიან  
 მოძღვრ (=მოძღვარი). ღმერთის სახელიც ერთნაირია: ქარ-  
 თულად ღუთა, ოსურად ხუცაუ, ლეკურად (თავასარანულად)  
 ღუცარ, ჩერქეზულად ღთა (ღ=ხ: ღწევა-ხწევა, ღვთის-ხთის;  
 თ=ც: თიკანი-ციკანი).

ამგვარი, ქართლის-ცხოვრების შემავსებელი და მის ცნო-  
 ბათა დამამტკიცებელი, წყაროები ბევრია, გარნა სიმოკლი-  
 სათვის ჩვენ აღარ ვიხსენიებთ.

პ. ჯანაშვილი

(შემდევი იქნება)

## უცხოეთის მიმოხილვა

1. კლერიკალისმი და დემოკრეტია.—2. ინგლისის საქმეები.—3. ბალკანეთი.—4. ოპორტუნისმი.

საფრანგეთის რესპუბლიკის ეხლანდელი პოლიტიკური ცხოვრება დღესაც გაცხარებული ბრძოლაა კლერიკალისმთან. ეს შეხუთე წელიწადია რესპუბლიკის მთავრობა და პარლამენტი თავგამოდებით მხოლოდ კათოლიკე პარტიის ბრძოლას უნდება და ბევრი არსებითი მხარე სახელმწიფოს ცხოვრებისა უნდებლივ პრაკტიკულ პოლიტიკის გარედ ჩება.

რა არის ეს კლერიკალისმი? რას არის მოწადინებული კათოლიკე პარტია? რატომ არის, რომ დემოკრატია ასე თავ-გამოდებით, ასე გაცხარებით ებრძვის კლერიკალისმს?

კლერიკალისმი იდეით, დედა-აზრით, იგივეა, რაც საშუალო საუკუნეებში იყო\*): ყოველი ადამიანი მოვალეა ემორჩილებოდეს ორ მთავრობას; საერო მთავრობა მართავს ადამიანის ხორციელ მხარეს, სასულიერო მთავრობა—სულიერ მხარეს. სულის მართველს უნდა ჰქონდეს მატერიალური ძალაც, რომ ურჩი დამორჩილოს; ამიტომაც იყო, რომ კათოლიკე ეკლესია თხოულობდა მონაშილეობას საერო მართველობაშიაც.

თავის ღვთაებრივ დანიშნულების შესრულებისათვის ეკლესია უთუოდ სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს—მას უნდა ჰყავდეს უაღრესი მმრბანებელი პაპი, თავისი მოხელეები (იერარქიული სამღვდელოება), უნდა ჰქონდეს თავისი კანონები.

\* ) Seignobos, histoire de l'Europe, pp 650—680.

ბი, რომელსაც თვითონვე სცემს, თვისი სასამართლოები, სატუსაღოები, მამულები, გადასახადები და სხვა.

ყოველი ერის კაცი წევრია ეკლესიისა და მისი ქვეშევრდომი სარწმუნოებრივ საქმეებში. სამღვდელოებაა სარწმუნოებისა და ზნეობის საქმეებში წეს - რიგის მომცემი; რასაც სამღვდელოება ბრძანებს, ის უნდა იწამოს და ასრულოს ერის კაცმა; ქორწინება მხოლოდ ეკლესიის საქმეა; სკოლა და სწავლება, საავათმყოფო და საქველმოქმედო დაწესებულებანიც აგრეთვე; აზროვნება და მწერლობა ეკლესიის ცენტურის ექვემდებარება. სარწმუნოების წესების ასრულება ყველასათვის სავალდებულოა და თუ ვინმე ურჩი გამოჩნდა, ძალით უნდა ასრულებინონ. მაგრამ რადგან ეკლესიის არა აქვს ფიზიკური ძალა, რომ ძალ-დატანება შესძლოს, სახელმწიფოა მოვალე დაეხმაროს. მთავრობამ უნდა იძულოს ყველა დაემორჩილოს სამღვდელოებას, ასრულოს სარწმუნოების ყველა — იაროს წირვა-ლოცვაზე, იმარხულოს, აღსარება სოქვას, ეკლესიაში ჯვარი დაიწეროს, ეკლესიის წესით დასაფლავდეს, ბავშვები საეკლესიო სკოლებში გაზარდოს და სხვა.

სამღვდელოების წევრი არაფერში არ ექვემდებარება საერო მთავრობას: იგი თავისუფალია გადასახადისაგან, სამხედრო ბევრისაგან და სასამართლოში გამოცხადების მოვალეობისაგანაც კი. პირიქით, მთავრობის პირები, როგორც მორწმუნე კათოლიკენი, მოვალენი არიან, სარწმუნოების საქმეში სამღვდელოებას დაემორჩილონ. ამ გვარად სამღვდელოება მბრძანებელია და სხვისაგან კი ბრძანებას არ იღებს.

მართლაც ასეთი იყო კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობა საშუალო საუკუნოებში. მართალია, მეთოთხმეტე საუკუნიდან ეკლესია დაეცა, საერო მთავრობამ ცოტად თუ ბევრად დაიმორჩილა გალალებული სამღვდელოება, მაგრამ კლერიკალის-მის დედა-აზრი და მიზანი დღესაც იგივეა. ამის დასამტკიცებლად საქმარისია გავიხსენოთ პაპი პიუს მეტრის შეურიგებელი ბრძოლა ეკროპის სახელმწიფოების თითქმის ყველა მთავრობებთან.

1864-ში პიუს მეცხრემ გამოსცა ენციკლიკა („სამოციქულო“) და სილაბუსი („შეცდომათ სია ან კატალოგი“), საიდანიც ცხადათ სჩინს, რომ რომის ეკლესია არ გამოთხოვებია თავის ძველ მიმართულების და პრეტენზიებს.

პიუს მეცხრე ამბობს, რომ კათოლიკე ციფილიზაცია, ასე აყვავებული საშუალო საუკუნოებში, ეხლა დაცემულია სხვა და სხვა ცრუ სწავლათა (ლიუტერი, კოლერი, სოციალისტები) მეოხებით; საზოგადოება საჭიროებს ხელ-ახალ „აშენებას“ ნამდვილ, კანონიერ ნიადაგზე, ე. ი. კათოლიკე ეკლესის წესზე და სწავლაზე. პაპის მოვალეობაა ააშოროს თავიდან ერთს კაცთ სხვა და სხვა შეცდომანი.

ძირითადი შეცდომა ეხლანდელ საზოგადოებისა არის „ნატურალისმი“, ე. ი. ის აზრი, ვითომც მთავრობის საუკეთესო ორგანიზაცია და საზოგადოების პროგრესი აუცილებლად თხოვულობდეს, რომ საზოგადოებრივ წყობილებამ სრულებით ყურადღება არ უნდა მიაქციოს სარწმუნოებას ან განსხვავება არ უნდა ჰქნას „ნამდვილ და ყალბ“ სარწმუნოებათა შორის, და ვითომ საუკეთესო წეს წყობილება ის იყოს, სადაც მთავრობას უფლება არა აქვს დასაჯოს კათოლიკე სარწმუნოების დამარტივეველი.

როგორც ვხედავთ, პაპი იმ აზრის არის, რომ არის ერთად-ერთი ნამდვილი სარწმუნოება—კათოლიკისმი და რომ ყოველი მთავრობა ვალდებულია ეს ნამდვილი სარწმუნოება აუცილებლად სავალდებულო გახილოს ყველასათვის.

ამ ყოვლად ყალბ აზრიდანო, განაგრძობს პაპი, წარმოდგება მეორე დიდი შეცდომა, ვითომც სინიდისის და სარწმუნოების თავისუფლება ყოველ მოქალაქის უფლება იყოს, ვითომ ყველას შეეძლოს თავისუფლად გამოსთქვას, სიტყვიერად თუ მწერლობით, თვისი შეხედულება ისე, რომ არავის უფლება არა იქნება ამისათვის ვინამე დასაჯოს. ასეთი თავისუფლება არის „თავისუფლება დალუბევისა“, რადგან სინიდისის და აზრის თავისუფლებასთან უთუოდ კამათი ატყდება და ასეთ პირობებში კი ყოველთვის გაჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც

გაბედავენ წინააღმდეგობა გაუწიონ კეშმარიტებას (იგულისხმე კათოლიკისმეს).

როცა სარწმუნოება ასე განდევნილია საერო საზოგადოებიდან, არ უნდა გვიყვირდეს, რომ სიმართლეზე და აღამიანის უფლებაზე ყალბი წარმოდგენა იქონიონო: ხალხის ნება უაღრესი და ღვთაებრივ დაწესებულებათაგან დამოუკიდებელი კანონი არის; ამიტომაც არის, რომ ბევრგან მონასტრები დახურეს, საზოგადოების შემდეგ ოჯახიდანაც განდევნეს სარწმუნოება—შემოიღეს სამოქალაქო ქორწინება და საერო სკოლებით.

უაღრეს - უფლებიანობა მიანიჭა ქრისტემ ეკლესიას და რომის მწყემს-მთავარს; პაპის საქმეა მსოფლიო ეკლესიის მოვლა და გამგეობა; ეკლესია სრულებით დამოუკიდებელია და არავის არ უნდა ემორჩილებოდეს.

მოკვდა პიუს მეცხრე და პაპის წმინდა ტახტზე ავიდა ლეონ მეცამეტე. ახალი პაპის პრაკტიკული პოლიტიკა ისე შეურიგებელი არ იყო, როგორც პიუს მეცხრისა: აშკარა ბრძოლის ადგილი ხერხიანმა დაბლობატიამ დაკავა, მაგრამ პოლიტიკური დოკტრინა ლეონ მეცამეტისა საესტილი იგივეა, რაც მის წინამორბედს სწამდა: იგიც უარ-ყოფს სწავლების და აზრის თვის-უფლებას, სახელმწიფოს საერო ხასიათს, ხალხის უაღრეს-უფლებიანობას, საერო სკოლას, სამოქალაქო ქორწინებას და სხვას; ლეონ მეცამეტესაც ვერ გაუგია, თუ როგორ შეიძლება ცხოვრების წესის სხვაგან ძებნა, თუ არ ეკლესიის მიერ მოწონებულ და მიღებულ დოკტრინებში.

ზემოთ მოყვანილიდან ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რად ებრძეის კლერიკალისმ ასეთის გაცხარებით საფრანგეთის დემოკრატია.

დემოკრატია თხოულობს, რომ სახელმწიფო სრულებით არ გაერთოს მოქალაქეთა სარწმუნოების საქმეში—სარწმუნოება კერძო სინიდისის საქმეა, ვისაც რა სურს, ის ირწმუნოს, ყოველი სარწმუნოება თანასწორ-უფლებიანია. კათოლიკე ეკლესია კი ამტკიცებს, რომ მარტო ის არის კეშმარიტი ეკლესია, მარტო ის უნდა ირწმუნოს ხალხმა და თუ ვინმე ურჩი გამოჩნდა,

სახელმწიფომ მატერიალურიდ უნდა აიძულოს იგი და დაუ-  
მორჩილოს ერთად-ერთ კეშმარიტ სარწმუნოებას.

დემოკრატია თხოულობს სინიდისისა და აზრის სრულ  
თავისუფლებას—სინიდისი და აზრი ხელშეუხებელია, რწმენა  
და შეხედულება დაუსჯელია. კათოლიკე ეკლესია კი თავის  
გარეშე სსნას ვერ ხედავს და ამიტომ არსებითად წინააღმდეგია  
დემოკრატიის ამ უაღრეს პრინციპისა.

დემოკრატია ამბობს, რომ მარტო ხალხს ეკუთვნის უაღრესი  
უფლება, მარტო ხალხია უაღრესი კანონმდებელი. კათოლიკე  
ეკლესიის შეხედულებით კი მხოლოდ ის არის უაღრეს-უფლე-  
ბიანობით მოსილი და ხალხიც მისი მონა-მორჩილი უნდა იყოს.

შერიგება დემოკრატიისა და კლერიკალისმისა, როგორც  
ვხედავთ, ყოვლად შეუძლებელია—ან ერთი უნდა იქნეს ან  
მეორე. ამიტომაც არის, რომ მათ ბრძოლის ასეთი გამწვავე-  
ბული ხასიათი აქვს. კლერიკალისმი გრძნობს, რომ მთელი  
დემოკრატიაა ამხედრებული მის წინააღმდეგ და იარაღს არ  
დაჰყრის სანამ ძირს არ დასცემს თავის დაუძინებელ და შეუ-  
რიგებელ მტერს

ფრანგ კლერიკალების ეხლანდელი ლამენტაციები თავი-  
სუფლების პრინციპის შელიახვაზე სულ ტყუილი და ყალბი  
ჩივილია: დღეს შევიწროვებული კლერიკილი, ხვალ, თუ გაი-  
მარჯვა, სრულებით შესხუთავს ხალხის ცხოვრებას, რადგან  
მისი არსებაა ასეთ თვისებისა—კლერიკალისმი, როგორც ზე-  
ვით დავინახეთ, ბუნებით მტერია ხალხის განვითარებისა და  
თავისუფლებისა.

ინგლისში ბევრი რამ მოხდა საყურადღებო ამ ხანებში.  
პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეხ-  
ლანდელ კონსერვატულ სამინისტროს მდგომარეობა შეირყა:  
იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სამინისტროს გაჭირვებით,  
სულ რამდენიმე ხმით, გაუმარჯვნია ზოგიერთ კითხვის გადა-  
წყვეტის დროს და ისიც ირლანდიელ დეპუტატების დაბმარე-  
ბით. ეხლანდელ მთავრობას გადაუდგა ნაწილი ახალგაზდა კონ-  
სერვატორებისა მეტად ენერგიულ უინსტონ ჩერჩილის მეთაუ-



რობით და ხშირად ცუდ დღეს აყენებენ ბალფურს გუშინძლელი მეგობრები. ამ გადადგომილ არისტოკრატების, ეგრედ წოდებულ ადულამიტების, პროგრამაში შედის უფრო ვრცელი სოციალური რეფორმები და ამასთან უფრო ენერგიული გარეშე პოლიტიკაც — ესტეტი და ფილოსოფოსი ბალფური მათ ვერ აქმაყოფილებს. გაზეთი „ტაიმს“ი სხვათა შორის ასე ახასიათებს მთავრობის ეხლანდელ მდგომარეობას: „პარლამენტშიაც და პარლამენტის გარედაც პირველ მინისტრს (ბალფურს) დიდ პატივა სცემნ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთს ნდობა მთავრობისადმი დღითი-დღე სუსტდება. ჩემბერლენის ენერგია და სიმტკიცე მომხიბლველად მოქმედებს ერთს ყოველ კლასზე და, შეიძლება, მარტო მან მთახერხოს იმ განწეობისას განვითარების შეჩერება, რომელიც ეხლა არსებობს სამინისტროს მომხრეთა შორის. თუ ჩემბერლენმა ეს მიახერხა, შეიძლება ესთქვათ, რომ იგი სწორედ დროზედ დაბრუნდა სახხრეთ-აფრიკიდან.“ ინგლისის გავლენიან გაზეთის ეს სიტყვები საგულისხმიეროა. საქმე ის არის, რომ კონსერვატულ სამინისტროს გავლენის მისუსტება და ბოლოს დამარცხება ეხლანდელ პირობებში იმას კი არ მოასწავებს, რომ ლიბერალების გავლენა მატულობს და ბოლოს სამინისტროც მათ ხელში იქნება. ინგლისელი ლიბერალები დღესაც დაქსაქსული არიან, დღესაც ძალას არიან მოკლებული ამ დაქსაქსევის მიზეზით და ძნელი წარმოსადგენია, რომ ინგლისის ერთა ასეთ პირობებში მათ ნდობა გამოუხადოს. ამიტომაც არის, რომ გავლენიანი გაზეთებიც და პირებიც ჩემბერლენს მისჩერებიან და მას ასახელებენ, როგორც მეთაურს მომავალ მთავრობისას. ერთი რუსული გაზეთი სწერს და ეს ნაწერი საფუძველს არ არის მოკლებული: კუველი დამარცხება ბალფურის სამინისტროსა აახლოვებს იმ ქამს, როცა დიდი ბრიტანიის მთავრობის მეჟაური იქნება; ისეთი პირი, რომელმაც არა ერთი და ორი მოუსვენარი საათი გაატარებინა ევროპის სახელმწიფოებს. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავახსენოთ მკითხველს შემდეგი ისტორიული ფაქტი: ყირიმის ომის წინ აბერდინის სამი-

ნისტროში ლორდ პალმერსტონს ოფიციალურად მეორე ადგილი ეყავა. მაგრამ როცა ყირიმის ომში ცხად ყო სამინისტროს უნიკობა და მოუმზადებლობა, პარლამენტმა და ხალხმა ერთ ხმად პალმერსტონს ჩააბარეს ქვეყნის ბედი და იღბალი. ისტორიაში ბევრი რამ მეორდება. ეხლანდელი პირობები საოცრად ემზავებიან იმ პირობებს, რომელშიც აბერდინის სამინისტრო იყო ორმოცდა ათის წლის წინად, და ეხლა მდგომარეობის ბატონი ჩემბერლენია, როგორც მაშინ პალმერსტონი იყო“.

ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ ბალფურის სამინისტრო რამდენჯერმე ახლო იყო სრულ დამარცხებისაგან და თუ იმარჯვებდა, ისიც ირლანდიელ დეპუტატების დახმარებით-თქო. მეტად საყურადღებოა ირლანდიელ ნაციონალისტების გადასვლა ეხლანდელ სამინისტროს მხარეზე. მკითხველს ეცოდინება, თუ რა უკიდურესად გამწვავებული მტრობა იყო ირლანდიელებსა და სამინისტროს შორის: გაბოროტებული ირლანდიელები არ უშვებდნენ შემთხვევას, რომ ზოზო და უკიდურესი მძულვარება გამოიცხადებინათ ინგლისისათვის. სამხრეთ-აფრიკის ომიანობა კი ასეთ შემთხვევას ხშირად იძლეოდა. პარლამენტში თუ საჯარო მიტინგებზე ირლანდიელი ნაციონალისტები ნიშნს უგებდნენ ინგლისელებს, როცა მათი საქე ცუდათ მიღიოდა აფრიკაში; ირლანდიელი ხალხი დღესასწაულობდა და ერთ ამბავს მართავდა, როცა ინგლისელ ჯარის დამარცხების ამბავს გაიგებდა; ბევრი ირლანდიელი ბურების მხარეზე იბრძოდა. ერთი ასეთი ირლანდიელი, ლინჩი, ხალხმა დეპუტატიდ ირჩია პარლამენტში ინგლისელების გასაჯავრებლად. ინგლისის მთავრობა, რასაკვირველია, სამაციეროს უხდიდა ირლანდიელებს და სასტიკ, სამხედრო ლონისძიებებს ხმარობდა აღელვებულ და გამწარებულ ხალხის წინააღმდეგ.

მაგრამ ინგლისი მუდამ სიურპრიზების ქვეყანა ყოფილა და ზემოთ აღნიშნული ცვლილებაც არ უნდა გვაკვირვებდეს. ეხლახან ირლანდიელ ნაციონალისტების მეთაურს ჯონ რემნდს სიტყვა უთქვამს ირლანდიელების საქმის მდგომარეობის

შესახებ: რამდენიმე წლის წინად ლორდ სოლსბერიმ გაშეაცხადა — ირლანდიას რეფორმა კი არ უნდა, არამედ ძლიერ მთავრობის მძღვრი ხელიო. მინისტრები, კონსერვატული გაზეთები და ორატორები არა ერთხელ ამტკიცებდნენ, რომ ირლანდიის უკმაყოფილება შეთხული საქმეა; იგი გამოიგონეს ადგილობრივ უურნალ - გაზეთებმა და აგიტატორებმა, რომელთაც საზღვარ-გარეთიდან აძლევენ მხარსო: ირლანდიელი გაზეთები იმეორებენ იმ ახრებს, რომელიც ჩაუკონებია მათვეის ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ აგიტატორებსთ. აკი სუადა მთავრობამ „მძღვრი ხელი“ ემარა ირლანდიელების წინააღმდეგ. განაახლა საგანგებო სამხედრო კანონები, ციხეში ჩასვა ირლანდიის საზოგადო მოღვაწეები, გაზეთის ზოგი ნომრებიც დაიკრია, პოლიციელები და პროცეკატორები (ხელოვნურად ხალხის აღელვების გამომწვევი) დაახვია ირლანდიას. მაგრამ აგიტაციის მოსპობის მავიერ, მთავრობის „მძღვრმა ხელმა“ კინალამ ახალი ტერორი არ გამოიწვია. სამინისტრო ცოტა შედრეა და პოლიტიკის გამოცვლა სუადა: 1898-ში აგრძელული კანონ-პროცეკტი შემოიტანა, მაგრამ ეს კანონ - პროცეკტი ცარიელი სიტყვები იყო და არსებულ მდგომარეობას თღნავადაც არ სცვლიდა: ირლანდიელის გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობა უცვლელად ჩემბოდა. ხალხი, რასაკირველი, არ მოტყვილდა და სამინისტროს რეფორმით არ დაკმაყოფილდა. გულმოსულ მთავრობამ ერთხელ კიდევ სუადა სასტიკ ღონისძიებათა მოხმარება საზოგადოებრივ მოძრაობის წინააღმდეგ, მაგრამ დროზედ შეჩერდა, რადგან დარწმუნდა, რომ გაბოროტებული ხალხი მხად იყო იჯანყებისათვის. დიდი ბრიტანიის მთავრობა იძულებული გახდა ხალხის სატკიფარის ნამდვილ წამლისათვის მიეგნო. უებლა სულ სხვა დეკორაციებს ვხედავთ, უთქვაშს ბოლოს რედმონდს; მთავრობის პოლიტიკა ირლანდიაში რადიკალურად შეიცვალა; სასტიკ კანონების დრო წავიდა; დადგა ხანა შერიგებისა; მთავრობამ განათავისუფლა ცველა პოლიტიკური პატიმრები. მაგრამ მაინც სიფროსილე გვმარებს — დარაჯად უნდა ვუდგეთ მუდამ ჩვენ ინტერესებს. ამ მოკლე

ხანში პარლამენტში შემოიტანებენ აგრძარულ კანონ პროექტს და მაშინ დავინახავთ, სურს თუ არა მთავრობას ისამღებლოს შემთხვევით და ირლანდია საბოლოოდ დაამშეიღოს\*.\*)

თუ ზოგ საკმაოდ სარწმუნო წყაროებს დავუჯერეთ, ბალფურის სამინისტროს განზრახვა უნდა ჰქონდეს აგრძარულ რეფორმისთან მისცეს ირლანდიას ჰომინიულიც. ცნობილი მომხრე ირლანდიის აგრძარულ რეფორმისა ჯონ როსელი ამბობს: ინგლისის მთავრობა დარწმუნდა, რომ აგრძარულ რეფორმას ადრე თუ გვიან ჰომინიულიც უნდა მოჰყენოს და ამიტომ განზრახვა აქვს ეხლავე დააკმაყოფილოს ირლანდიელების კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნა—მისცეს მათ ნანატრი თვითმმათრველობაო. ამასვე ამტკიცებს დუბლინის ერთი გაზეთი, რომელიც უნიონისტებს ეკუთვნის, რაც უფრო სარწმუნოდ ხდის ამ ხმას.

ირლანდიამ დაამტკიცა, რომ იგი ღირსია თავისუფალი გახდეს: ირლანდიის ერმა საარაკა მხნეობა და ნიჭი გამოიჩინა უფლებისათვის ბრძოლაში და რასკვირველია, რომ ასეთ ბრძოლას შესაფერი დაგვირგვინება მოჰყენს.

შარშან ნოემბერში ესწერდით: „მაკედონია, ეს უდაუქრობელი კერა ბალკანეთის ორეულობისა‘, ისევ ღელავს და მძვინვარებს. მაკედონელი აჯანყებულია, თსმალი სცდილობს აჯანყებულის დამორჩილებას და დასჯას. ვინ რა მდგომარეობაშია, რამდენად ძლიერია აჯანყება, რა არის მოსალოდნელი, არავინ იცის, ან თუ არის ასეთი მუდანე, საკვეყნოდ არას ამბობს. საგაზეთო ცნობები ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან; მკითხველს ვერავითარი დასკვნა ვერ გამოუყავია ამ ცნობებიდან. მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება—მაკედონელების ებლანდელი მოძრაობა უფრო სერიოზულია, ვიდრე წინა წლებისა“ მას შემდეგ აჯანყება არ შეწყვეტილა და დღეს თითქ-

\* ) ეს შიმოხილვა უკვე აწყობილი იყო, როცა გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ ირლანდიის საქმეთა შინისტრმა წარუდგინა პარლამენტს აგრძარული კანონ-პროექტია. მოკლედ ბილის შინაარსიც იყო მოყვანილი და სჩანა, რომ მთავრობას მართლა სერიოზული რეფორმა განუზრახავს.

მის სიტყვა-სიტყვით შეიძლება გამოიჩება შარშან ნოემბერში  
 თქმულისა მაკედონის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ.  
 ერთი გარემოებაა ახალი ბალკანეთის საქმეთა მიმღინარეობაში:  
 ავსტრია-ჰუნგრეთი და რუსეთის იმპერია შეთანხმდნენ, შეად-  
 გინეს მაკედონის რეფორმების პროექტი და სულთანს წა-  
 რუდგინეს; სულთანიც, გასაოცარის სიჩქარით და კმაყოფილე-  
 ბით, დასთანხმდა რეფორმების პროექტს და პირობა მისცა  
 პროექტის შემდგენლებს, რომ დაუყოვნებლივ განახორციე-  
 ლებს მას. მაგრამ ავსტრია-რუსეთის ამ შეთანხმებულმა მოქმე-  
 დებამ კიდევ უფრო არივ-დარია საქმე: ჯერ თავათ პროექტი  
 რეფორმებისა იმდენად ზომიერი და შეკვეცილია, რომ თითქ-  
 მის არას სცელის მაკედონელის ეხლანდელ აუტანელ მდგო-  
 მარეობაში; მეორე—ამ ზომიერ-შეკვეცილის პროექტის გან-  
 ხორციელება მეტად კიანურდება—მაპარაინ ალბანელებთან  
 აქვს სულთანს მოლაპარაკება გამართული, მომცემთ ნებას თუ  
 არა მაკედონიაში რეფორმები შემოვილოთ და ალბანელებიც  
 გაბედულად გაიძინონ—გავწყდებით და რეფორმას არ შემო-  
 გალებინებთო. გამოდის, რომ ევროპის დიპლომატებს ოსმა-  
 ლეთის სულთანთან კი არ უნდა გაემართათ მოლაპარაკება  
 რეფორმების შესახებ, არამედ ალბანელებთან! ევროპის სახელმ-  
 წიფოების წარმომადგენელნი საქებურის მოთმინებით ელიან,  
 სანამ ოსმალეთის მთავრობა თავის ქვეშევრდომებთან მოლა-  
 პარაკების კომედიას გაათავებდეს. მაკედონიაში კი აჯანყების  
 ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდება.

იმავე ნოემბრის „მოამბეში“ ვსწერდით: „ევროპამ დიდი  
 ხანია ყური შეაჩვია საყვედურებს და ხშირად ყურადღებასაც  
 არ აქცევს, თუ ერთხაშად ისეთი უბედურება არ დაატყდა  
 თავს, როგორც ამას წინად ოსმალეთ-საბერძნეთის ომი იყო.  
 თუ აჯანყებამ გასტანა და მაკედონელებმა არ შესწყვიტეს  
 ბრძოლა, შესაძლებელია, ევროპა იძულებული გახდეს ჩაერიოს  
 (აკტიურად) საქმეში და ძალაუნებურად გააკეთოს ის, რაც  
 დიდი ხანია უნდა გაეკეთებინა. საბერძნეთი და მარცხდა, მაგრამ  
 კრეტა მაინც განთავისუფლდა ოსმალეთის ულლიდან, შეიძ-



ლება განმათავისუფლებელთა (ზოგიერთი) სურვილის წინააღმდეგაც. მაკედონელებიც დამარტინდებიან, თუნდა ბოლოგარიამ აშკარად ან საიდუმლოდ დიდი დახმარება გაუწიოს; მაგრამ თუ ბრძოლამ დიდ-ხანს გასრუნა, მაკედონია, იქნება, ბედს ეწიოს და კრეტასებური ავტონომია იშოვოს“.

დღესაც სხვა სათქმელი არა გვაქვს-რა მაკედონის ეხლან-დელ მდგომარეობის გამო.

„კვალი“ რედაქტირას წელს უკიდურესი „მართლ-მორწმუნეობის“ ბეჭედი ასეთია; იგი სავსებით გადავიდა ერთი რუსის მწერლის ბანაკში, მასავით ზიზლით და დაცინვით ლაპარაკობს ოპორტუნისმზე, მიწასთან ასწორებს ბერნშტაინს და მის მიმდევრებს...

წავიკითხეთ ერთ უკიდურეს „მართლმორწმუნეს“ წერილი, დიდის რისითა და გაბედულებით დაწერილი. ბ. კელხი-ცელის არ იყოს, ეს მწერალიც დიდი მოტრფილეა (შედარებისთვის ქართველი მართლმორწმუნე მადლობელი უნდა დამჩრეს), „მოქმედების ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ პროგრამისა“... რა გასაკვირველია, რომ ასეთი პოლიტიკური მოაზრე ცეცხლს ჰქონდეს პირიდან, როცა ბერნშტაინებსა და უოლმარებს ეხება.

ოპორტუნისმი დაიწყო ფოლმარმა 1891 წელს, შემდეგ თან და თან გაძლიერდა და თავისი დასკვნა ბერნშტაინის კრიტიკაში იპოვა. ოპორტუნისმი ებრძეს გაბატონებულ დოგ-მატისმს, ბევრი ძირითადი პუნქტი უარყო ერთხელ მიღებულ პროგრამისა და ხსენებული ავტორი განცვითობულია, თუ როგორ ბედავენ იპორტუნისტები და თავს კიდევ პარტიის წევრებად სთვლიანო. თანახმა ვართ ავტორისა, რომ ბერნშტაინი არ ეკუთვნის დოლმატიკების გუნდს, რადგან მისთვის, ისე როგორც ფოლმარისათვის „საბოლოო მიზანი არაფერია, მოძრაობა კი ყველაფერი“. მაგრამ ერთია საკითხი — რატომ ითმენენ დოლმატიკოსები ასეთ პირფერობას? რატომ არ მოიშორებენ თავიდან ასეთ ერეტიკოსებს?

იმიტომ რომ თეორიით მართლმორწმუნენი პრაკტიკულ ცხოვრებაში ნამდვილი ოპორტუნისტები არიან. საკვირვე-

ლია, რომ ოვითონ ის აეტორი, რომელიც მეტად აღშტოტებულია ოპორტიუნისტების ქცევით, იძულებულია შემდეგი აზრი გამოსთვეს: მუშების წარმომადგენლების მხრივ „სისულელე იქნებოდა სახეში არ მოელოთ ბურუუაზის სხვადა სხვა წრის ინტერესების უთანხმოება, მათი ბრძოლა ერთმანერთისა და რეაქციის წინააღმდეგ... სასარგებლობა, იკოდნენ ყოველ წამს ურთიერთი დამოკიდებულება საპარლამენტო პარტიებისა“... განა ეს იგივე ოპორტიუნისმი არ არის? თუ საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება იმ აზრით, რომ რაიმე პრაკტიკულ მიზანს მიაღწიონ, სარგებლობა ბურუუაზიულ პარტიების ურთიერთ დამოკიდებულებით ამ მიზნის მისაღწევად ოპორტიუნისმი არ არის, ფოლმარი ოპორტიუნისტი იღარ ყოფილა, იგი მეტს არას სჩადის და რაღას ჰყიცხავენ?

ეს კიდევ ცოტაა! იგივე აეტორი ამბობს, „მუშების პროფესიონალურ კავშირებისა და გერმანულ დემოკრატიის მეტოქეობის მოსასპობად, დემოკრატიის წარმომადგენლებში მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფესიონალურ ინტერესებს, როცა ისინი პარლამენტში მოქმედებენ, პოლიტიკოსობენ და აგიტაცის ეწევიანო. მერე რა აზრი უნდა ჰქონდეს ჟურნალის მის მართლმარწმუნებლივ თვალში? ასეთ რამეს მოთხოვნა, ხომ პრაკტიკულადაც და თეორეტიულადაც ბერნშტაინის ოპორტიუნისმია?

როგორც ვიცით, ბებელს სწამდა, რომ ახლო მომავალში მიაღწევდა დემოკრატია საბოლოო მიზანს და ეს რწმენა დამყარებულია დოკტრინის დედა-აზრზე. ფოლმარს ეთქვა ასეთ რწმენის გამო—„მეც რომ ეს მწამდეს, ვერავითარი სააგიტციო მოსაზრებანი ვერ დამატანდნენ ძალის, რომ განმევრდო ყოველ დღიური პოლიტიკური მუშაობა“ო. საბუთიანადაც არის ნათქვამი: ნახევრად ოპორტიუნისტობა და ნახევრად დოგმატიკოსობა ულოტიკობაა. თუ დოკტრინა უტყუარ და უცვლელ ჭეშმარიტებად და სინამდვილის გამომხატველად მიგანია, ზურგი უნდა შეაქციო პრაკტიკულ საპარლამენტო ცხოვრებას და არავითარ პრაკტიკულ შედეგს არ უნდა გამოელოდე მისგან.

მაგრამ ასეთ გულუბრუკილო მიჩნევის და რწმენის დრო დიდი ხანია წისულია. მართალია, ფორმარულად უმრავლესობას ჯერ კიდევ არ უარუყვია უერთხელ და სამუდამოთ შემუშავებული პროგრამა მოქმედებისა“, მაგრამ პრაკტიკულ ცხოვრებაში იგი დიდი ხანია უარყოფილია. ბერნშტაინის ნაწერები მხოლოდ გამოთქმაა უკვე მომხდარ ევოლუციისა. ბებელიც კი, რომელსაც ზემოდ მოყვანილი რწმენა ჰქონდა, ნამდვილი ოპორტუნისტია თავის პრაკტიკულ მოქმედებაში. გავიხსენთ მისი ქცევა საბიუღესურო კომისიაში ამ რამდენიმე წლის წინად: იგი თანახმა გახდა სამხედრო მინისტრისა, რომ გერმანიის ჯარისათვის ახალი გაუმჯობესებული იარალი შეეძინათ— შეუძლებელია, რომ გერმანელი ჯარის კაცი უფრო ცუდათ იყოს შეიარაღებული, ვიდრე სხვა ქვეყნის ჯარისკაცები. რად უწოდა იმავე ბებელმა რიხტერს „მოლალატე“, როცა ეს უკანასკნელი არ გაჰყვა თბოზიცის აბსტრუქციაში სადამოქნო ტარიფის წინააღმდეგ? განა ნამდვილი დოკტრინის მიმდევარი მოლალატეს დაუძხებს „ბურუუს“, რომელიც, მისის შეხედულებით, იმ თავითვე ბუნებით მოლალატე უნდა იყოს დემოკრატიის საქმისა?

ბ. კოლხიდელი დოკტრინით ხელმძღვანელობს, როცა ეფროპის პოლიტიკურ ცხოვრების ზოგიერთ მოვლენებს ეხება და, რასაცვირველია, რომ შეცდომა შეცდომაზე მოდის და მისი დამჯერე მკითხველი, რომელსაც არ ეხერხება თვითონ ადვინოს თვალყური ევროპის ცხოვრებას, მოტყვილებული რჩება.

სხვათა შორის ბ. კოლხიდელი ამბობს: როცა რომელიმე „ძირითადი“ კითხვა წამოყენდება გადასაწყვეტადო, პოლიტიკანობით და ფარისევლობით ხალხის მოტყუება შეუძლებელი ხდება—პასუხი ან „ჰო ან არა“ უნდა იქნესო; ამიტომაც სწორედ ასეთ მომენტებში ხდება ყველასათვის ცხადი, რომ ბურუუაზიული პარტიები ყველა ერთ ნიადაგზე არიან აღმოცენებული და ამიტომ არ შეუძლიათ არ უმტრონ მშრომელ ხალხის ინტერესებსო; წინააღმდეგ შემ-

თხვევაში ისინი თავის თავის უარმყოფელი იქნებოდნენ, რაც შეუძლებელი არისო. საუკეთესო ნიმუშად იმისა, რომ მოყვანილი აზრი მართალია, ბ. კოლხიდელს მოჰყავს გერმანიის რეიხსტაგში მიღებული სადამოქნო ტარიფი, რომელსაც სამართლიანად მოვახშეთა ტარიფს ეძახიან. ეს პროექტი ერთ ხმად მიაღეს, უგეგმა ბურუუაზიულ პარტიებმთვა, ამბობს ავტორი. უფინც პრიზმის საშუალებით უცქერის ქვეყნას, არ უნდა გაუკვირდეს, თუ უკელაფერი აფერადებული ეჩვენება“ო, ამბობს ზევით ნახსენები ავტორი. დოლმატიკოსებისა და დოკტორინიორებისათვის პრიზმა „ერთხელ და სამუდამოთ შემუშავებული“ დოკტორინა. რომ პრიზმა არა, ბ. კოლხიდელი როგორ ვერ დაინახვდა, რომ ბებელი, ბარტი, მილიტარისტი და იმპერიალისტი მომზენი, ფონ ლისტი და სხვ. ერთად თავ-გამოდებული ებრძოდნენ მთავრობასა და რეაქციას?

ვერც პრიზმა და ვერც „ერთხელ და სამუდამოდ“ შემუშავებული პროგრამა ვერ შესცვლის სინამდვილეს. ამ მარტივ ქეშმარიტების შეგნება დიდ სარგებლობას მოუტანდა წმინდა წყლის დოკტორინიორებს, და რაც ადრე მოხდება თვალების ეს ახელა, მით უკეთესი იქნება.

რეგინა". ტარენტიმა (სამხრეთ იტალიაში) სთხოვა დახმარება რომის წინააღმდეგ და იქ წვიდა. ორჯელ დამარცხა რომაელები, შემდეგ სიცილიაში გადავიდა, იქიდან ისევ იტალიაში დაბრუნდა, რომაელებმა დამარცხეს და საბერძნეთში წამოვიდა. აქ იგი კრამიტით მოჰკლა (272) ერთმა ქალმა, როცა ძალათ არგოსში შევიდა. ასე გათავდ ბრწყინვალე, მაგრამ უსარგებლო კარიერა ეპირის მეფისა. კიდევ რომ ეცოცხლა, იგივე მოუვიდოდა, რაც მის მტერ-მოყვარე პოლიორკეტის. პიროვნის შემდეგ ეპირი ისევ დაუბრუნდა თავის უმნიშვნელო არსებობას.

**4. ოესალია და ბეოტია.** ოესალია მაკედონიას ეკუთვნოდა და ეს გარემოება, როგორიც არ იყო მაკედონიის მთავრობა, დიდი სიკეთე იყო ამ ქვეყნისათვის, სადაც მცხოვრებლების მოუსვენარობის გამო შეუძლებელი იყო ყოველი თავისუფალი ცხოვრება.

ბეოტია თითქმის თავისუფალი იყო; თება ისევ აღალენია კასანდრმა; მაგრამ გარყვნილება, ლოთობა და სიზარმაცე არსად ისე არ ყოფილი განვითარებული, როგორც ამ ქვეყანაში. პოლიტიკას სრულებით დაანებეს თავი ბეოტიელებმა და სულითა და ხორცით ლოთობაში და გარყვნილებაში ჩაითვალისწინება.

**5. ათინა.** ათინა ისევ იყო გონებისა და ხელოვნების სატახტო ქალაქი, მაგრამ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა დიდი არ ყოფილია. სალამინი, პირეოსი, მუნიციპალიტეტების ხელში იყო. ფუფუნება და განცხრომა, უთუოდ აღმოსავლეთის ზედგავლენით, მეტად განვითარებული იყო.

**6. ეტოლიეფების დაგა.** შეუსაბერძნეთში ამ დროს მარტო ეტოლიელებს ჰქონდათ ცოტაოდენი მნიშვნელობა. საკვირველია, რომ ხალხი, რომელზედაც აქამდე არც კი ულაპარავნიათ, ეხლა ისე წიმოიწია წინ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეტოლიელები მოშორებული იყვნენ დანარჩენ ბერძნებს და მათ ცივილიზაციას; ისინი სცხოვრობდნენ თავიანთ მთებში და მწყემსობდნენ ან ყაჩაღობდნენ. ეტოლიელები და-



ყოფილი იყვნენ რამდენიმე ნაწილად, რომელთა შორის თბილი კავშირი არ ყოფილა. როცა ეს გაბნეული ნაწილები მჭიდროდ შეკავშირდნენ, ეტოლია შეიქნა ძალა. პირველად ეტოლიელების ლიგა გამოჩნდა დიმიტრის შეილის ანტიგონ გონატას დროს. ლიგის ცენტრო იყო თერმოსი, სადაც შენახული ჰქონდათ იარალი, ფული, ფიალები და ძვირფასი ტანისამოსები. აქ შეკრებილი ეტოლიელები სვამინენ, თერებოდნენ; აქვე ჰქონდათ თათბირი, თუ სად ან ვის დასხმოდნენ თავზე. ეს იყო ლიგა საბერძნეთის იარალით ექსპლოატაციისა. არავითარი პოლიტიკური აზრი ამ ლიგას არ ჰქონია. იგი უფრო ავაზაკების ბრძო იყო, ვიდრე პოლიტიკური კავშირი.

7. აქეელების დიგა. ჰელოპონეზშიაც იყო ერთი ლიგა, მაგრამ იგი უფრო მნიშვნელოვანი და, რასაკვირველია, უფრო პატიოსანიც იყო. აქაის თოხმა ქალაქმა განდევნეს თავიანთი ტირანები და მათი გარნიზონები; რამდენიმე სხვა ქალაქიც შეუერთდა მათ და განაახლეს გარეშე მტრისაგან თავის დასაცველად აქეელების ძველი კონფედერაცია. შეერთებული თემები წარმოადგენდა ფედერაციულ სახელმწიფოს, როგორც ეხლანდელი შვეიცარია. ჰქონდათ ერთი ფული, ეთრი საზომი და საშეაო, მაგრამ თავ-თავიანთი განსხვავებული ზეჩევეულებაც. ლიგის ჯარების უფროსად ირჩევდნენ ყოველ წელს ორ სტრატეგს; აღმასრულებელი უფლება ჰქონდა გრამატეებს, რომელიც ეხლანდელ ფედერატიულ ჩევის თავ-მჯდომარეს ჰგავს. გრამატეებს რიგ-რიგად ირჩევდნენ ყოველ თემში და წელიწადს მისი სახელი ერქვა. წელიწადში ორჯელ სამის დღის განმავლობაში ლიგის საზოგადო კრება იყო ხოლმე ეგიონში.

8. აქეელების დიგა და სპარტა. ლიგა მარტო თავის ძალ-ლონით ბევრს ვერას გააწყობდა, მით უმეტეს, რომ მუდმივი მტრობა ჰქონდა მაკედონიასთან, რომელიც თავისთვის ოცნებობდა ლიგის დაარსებას. ამიტომ აქეელებისათვის საჭირო იყო დანარჩენ ჰელოპონეზის შემოერთება. მაგრამ უმთავრესი

თემი სპარტა უძლეველ წინააღმდევობას უწევდა ლიგას. სპარტა აში ჯერ კიდევ მოქმედებდა ლიკურგოსის კონსტიტუცია, რომელიც დიდი ხანია ხალხის მოტყვილება იყო და მეტი არაფერი. სულ დიდი ასი ოჯახის ოლიგარხია მართავდა სპარტას და მის ხელში იყო მთელი საკუთრება.

სპარტას წინააღმდევობის გამო აქევლების ლიგას გავლენა არ ჰქონია; ასეთ მდგომარეობიდან ლიგა არატოსმა გამოიყანა. ამ დროს ჯარის ხელ-მძღვანელობის ერთიანობისათვის ლიგამ გადასწვევიტა ორის მაგიერ მხოლოდ ერთის სტრატეგის აჩჩევა.

9. არატოსი. კლინიას შვილი არატოსი სიკიონელი იყო; სიკიონი ამ დროს პელოპონესიში ყველაზე ბრწყინვალე და ცოლხალი ქალაქი იყო. არატოსის მამა მოჰკლა 264-ში აბანტიდასმა, რომელიც სიკიონის ტირანალ გახდა. არატოსი ამ დროს შვიდი წლისა იყო; იგი შეიმჩალა ერთმა ნათესავმა ქალმა და დამალა, რაზეან ბავშვების დანდობაც არ იცოდნენ ამ საშინელ შინაურ ომიანობის დროს. პატარა ობილი არგოსში წაიყვანეს და იქ გაიზარდა. სიკიონის ტირანებს არ დავიწყებიათ იგი და შორიდან თვალყურს ადეკვატურების მის ყოფა-ქცევას. როცა არატოსი დავაუკაცდა, მიჰმართ მაკედონიასა და ეგვიპტეს, მაგრამ არა გამოუვიდა-რა. მაშინ გადაწყვიტა თვითვე ემოქმედნა; იგი შეუერთდა სხვა დევნილებს და შეთქმულება მოახდინა. მიზანს სისხლის დაუღვრელად მიაღწიეს: ტირანი განდევნეს და განდევნილები, რიცხვით ექვსასამდე, დააბრუნეს. არატოსის მეცადინეობით სიკიონი აქევლების ლიგაში შევიდა. ძევლი დორიული ქალაქი აქევლების მხარეზე გადავიდა და შესძინა ლიგას დიდი მატერიალური დახმარება და თავისი ხერხიანი გეოგრაფიული მდებარეობა. მაგრამ ამასთან ლიგამ უფრო მეომარი ხასიათი მიიღო და მაკედონიის მტერი შეიქნა; სამაგიეროდ იგი გახდა მეგობარი ეგვიპტესი და პტოლომესი, რომელმაც 150 ტალანტი გამოგზავნა დაბრუნებულ გადახვეწილების სასარგებლოდ. არატოსი თვითონ იყო ეგვიპტეში კავშირზე მოსალაპარაკებლად.

10. აქელების დიგის მნიშვნელობის ზრდა. არატოსმა სხვა უფრო დიდი სამსახური გაუწია ლიგის. როცა ლიგამ პირველად ამოიჩინა იგი სტრატეგად, კავშირით შეეკრა ბეოტიელებს ეტოლიელების ლიგის წინააღმდევე და ბრძოლა შეუსაბერძნეთში გადაიტანა. არატოს ვაჟყაცობას უწუნებდნენ—პირდაპირ მტერს ვერ შეემისო, მისი საქმე ქურდული სათარეშო ომი არისო, მაგრამ მაღლე წინააღმდევე დაამტკიცა: როცა მეორედ აირჩიეს სტრატეგად, ერთის იერიშით აიღო აკროკორინთი, სადაც ანტიგონ გონატა იყო გამაგრებული. კორინთი, რომელიც მთელ საუკუნის განმავლობაში თავისუფლებას იყო მოკლებული, აქელების ლიგაში შევიდა. ამითი ლიგა მეტად დიდმინიშვნელოვანი ხდებოდა—პელოპონესის გასაღები მის ხელთ იყო; ლიგის შეუერთდნენ აგრეთვე მეგარა, ტრედენა და ეპიდავრი. ეხლა აქელების კონფედერაციამ ათინისაკენ და არგოსისაკენ დაიწყო ყურება.

მაგრამ არატოსი ახალ სკოლის პოლიტიკოსი იყო; იგი უნდო თვალით უყურებდა აქაიის გატაცებას თავისუფლების სურვილით, რადგან კარგად ხედავდა, რომ ლიგა ვერ გაუმჯობესდებოდა მარტო მაკედონიას; ამიტომაც მან შემოიყვინა ლიგაში პტოლომე ევერგეტი და ამოარჩევინა იგი ჯარისა და ფლოტის უფროსად. ეს გარემოება ხსნის აგრეთვე არატოსის ქცევას სპარტას მეფე აგისისაღმი.

11 სპარტას მეფე აკისი. რეფორმის ცდა და აგისის სიგვადიდა. ლაკონელების თემი ძალიან გამოცვლილი იყო: სახელით კიდევ ასესბობდა ლიკურგოსის კონსტიტუცია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობა იყო, რომელიც ჭარავდა რიცხვით მცირე არისტოკრატიის ტირანიას. სპარტიატების რიცხვი სულ მცირდასი იყო; მთელი ადგილ-მამული ასი ოჯახის ხელში იყო. დანარჩენი გაღარიბებული სპარტიატები ვერ იღებდნენ მონაწილეობას სისიტიაში (საერთო ნაღიმი) და, მაშასადამე, ვერ სარგებლობდნენ სპარტიატის უფლებებით. მრეწველობა და ვაჭრობა პერიეკების ხელში იყო, მაგრამ ამათ არავითარი პოლიტიკური უფლება არ ჰქონდათ; ჰილოტები, როგორც წინეთ,

ეხლაც ყმები იყვნენ. გასაკეირველი არ უნდა იყოს, რომ ასეთმა მდგომარეობამ ჩევოლიუპია გამოიწვიოს. როგორც სხვაგანაც მომხდარა, საქმე აქაც უპირატესობიან წრიდან და-იწყო. მეფე აგის IV ოცნებობდა სპარტიატების ძველ კანო-ნებისა და დისციპლინის დაბრუნებაზე. ხალხი, რომელსაც სახელოვანი წარსული აქვს, ხშირად უკან იხედება და სცდი-ლობს წარსულის განახლებას, რაც ცხოვრების ახალ პირობე-ბის გამო შეუძლებელი ხდება. აგისი გატაცებული თაყვანის მცემელი იყო სპარტის წარსულისა. პირველად მან სცადა სპარ-ტის სამხედრო მდგომარეობის აღდგენა ჰელოპონეზში; არა-ტომა და აქელებმა გააჩირეს იგი. მეფეს რამდენიმე მასავით გატაცებული ახალგაზდა ეხმარებოდა, მაგრამ მისი წინააღმ-დეგი იყვნენ—მეორე მეფე, მთელი ოლიგარხია და განსაკუთ-რებით ქალები, რომელნიც გამდიდრებულიყვნენ და, რასა-კვირველია, არ სურდათ ძველ სასტიკ წესებს დამორჩილებო-დნენ. აგისმა გადააყენა მეორე მეფე, გამოსცვალა ეფორები და საპატიმროდან გამოუშვა, ვინც ვალში იყო დატუსაღებუ-ლი; მისი განხრახვა იყო ვალების მოსპობა და მამულების ახალი განატილება. მაგრამ აქ ბიძამ აგეზილაოსმა მოატყუილა: აგეზილაოსი ძალიან დავალიანებული იყო და მისი ინტერესი მოითხოვდა, რომ აგისის რეფორმის პირველი ნახევარი გან-ხორციელებულიყო უმეოროთ. ამავე აგეზილაოსმა, აგისის სპარტაში არ ყოფნის დროს, ნამდვილ მტარეალურად მართა სახელმწიფო და როცა აგისი დაბრუნდა, ყველაფერი დაღუპუ-ლი იყო. იგი გამოიტყუილეს ათინის ტაძრიდან, სადაც შეფა-რებული იყო და თავის დედასთან ერთად მოჰკლეს (241). აგისი სულ ოცდა სამის წლისა იყო.

**12. ჭდეომონე:** ბოლოტიგური და სოციალური რევო-ლუცია სპარტაში. აგისი საცემით არ მომკვდარა. აღმოჩნდა მისი შურის მაძიებელი; ეს იყო კლეომენე, რომლისთანა საინ-ტერესო და სიმპატიური პირი სპარტის არ ჰყოლია. კლეო-მენე გაიზარდა იმ დროს, როცა ახალგაზდობა გატაცებული იყო აგისის სახელით; თვითონ კლეომენეს მამა ლეონიდასი

იყო გმირის მკვლელი და მისი ქვრივის ცოლად შემრთველი. აგისის ქვრივს დიდი და კეთილი გავლენა ჰქონდა კლეომენეზე. გარდა ამისა მისი მასწავლებელი იყო სტოიკ ზენონის ერთი მოწაფე, რომელმაც ასწავლა ახალგაზდა სპარტიატს თავის ფიცხელ ტემპერამენტის მორევნა. აგისსავით კლეომენესაც სურდა სპარტას განახლება და საბერძნების სათავეში დაყენება; მაგრამ აგისისავე მაგალითმა უჩივნა მას, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ ძალით შეიძლებოდა. ერთ ხანს კლეომენე მალავდა თავის განზრახვებს. მხოლოდ მეგალოპოლის ბრძოლის შემდეგ, რომელიც მან აქელებს მოუგო, გადასწყვიტა თავის განზრახვის განხორციელება. უმთავრესი მუხლები კლეომენეს პროგრამისა იყო — ეფორატის მოსპობა და ოდგილ-მამულის ახალი განაწილება. ეფორები შეკრებილი იყვნენ სისიტიონში; კლეომენე რამდენიმე მევობრით თავს დაესხა მათ და ყველა დახოცა ერთის გარდა, რომელმაც ტაძარს შეაფარა თავი; მეორე დღეს ოლიგარქის 80 წევრი გააძევა და სახალხო ყრილობა მოახდინა თავის გასამართლებლად, ეფორების უსამართლო ქცევის დასამტკიცებლად და იმის გამოსაცხადებლად, რომ ვალები მოსპობილი იქმნება და ოდგილ-მამულის ახალი განაწილება მოხდება.

მართლაც, ვალები მოისპო (რა სახით, არ იციან), ოდგილ-მამული ხელ-ახლად გაანაწილეს; სპარტიატების ჯარი შეაირალეს მაკედონურ წესზე; ბავშვების ძევლებური აღზრდა შემოილეს; ვარჯიშობა და საერთო პურის ჭამა ისევ დააწესეს. კლეომენემ დაიწყო მეფობა ძველ სპარტანულ წესზე; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი მკაცრი და მოუხეშავი იყო; პირ იქით, როგორც ამბობენ, კლეომენე მეტად მოსიყვარულე და მიმზიდველი იყო თურმე.

**13. არატოსის დიდი დაზატი;** კლეომენეს დამარცხება (222). მაგრამ კლეომენეს მტრები ჰყავდა და პირველი მათ შორის არატოსი იყო. არატოსს ეშინოდა ლიგისათვის, რომელსაც კლეომენემ უკვე წაართვა მანტინეა; მას ეშინოდა უფრო თავის თავისათვის და მოამზადა თავისი დიდი ღალატი. რომ პელოპონეზი კლეომენეს არ რგებოდა, მან არჩია მისი

გადაცემა მაკედონიის მეფისათვის, რომელმაც გირაოდ აკრო-  
კორინთის დაბრუნება მოითხოვა. ორატოსი ჯერ დიდ რყევა-  
ში იყო. ამ დროს კლეომენე სიკიონს მიადგა. ორატოსში  
ქალაქს თავი დანება და მივიღა ეგიონში, სადაც ლიგას მაკე-  
დონიის მეფის მოწვევა გადაწყვეტინა. მაკედონელი ჯარი  
მაშინვე დაიძრა პელოპონეზისაკენ, გადაიარა კორინთის ყელი  
და დაიკავა აკრო-კორინთი; კლეომენე იძულებული შეიქნა  
გაბრუნებულიყო თავის ჯარით. მაკედონიის მეფე ანტიგონი  
• ისე იქცეოდა აქააში, როგორც მეფე; ორატოსი კი იყო  
მისი მორჩილი მსახური; ლიგას უნდა ერჩინა თელი ზამთარი  
მაკედონელების ჯარი. 222 გაზაფხულზე მაკედონელი ჯარი  
ისევ შეუდგა მოქმედებას, ძირიანად დაანგრია მანტინეა და  
ბოლოს კლეომენეც დაამარცხა სედაზისთან (221). უბედური  
მეფე ძლიერ გადარჩა სიკედილს და სპარტაში მოვიდა. იგი  
დაქანცული და სასოწარკვეთილი იყო. ცოტა ფიქრის უმდევე  
კლეომენე ისევ შეჯდა ცხენზე და გითიონში წავიდა; აქედან  
ევგიპტეში გადავიდა, სადაც ორი წლის შემდევ დიღუბა,  
ანტიგონი მივიღა სპარტაში და ისევ ოლიგრჩიული წესი აღა-  
დგინა.

14. გადების (გადების) შემთხვევა საბერძნეთში. საბერ-  
ძნეთის ამდენ შინაურ უბედურებას ზედ დაერთო გალების შე-  
მთხვევაც (280). ეს ხალხი, რომელთანაც ალექსანდრე მაკე-  
დონელს მეფობის დაწყებისათანავე ჰქონდა საქმე, მოდებოდა  
მდ. დუნაის ჭალებს. ერთი ნაწილი პირდაპირ მაკედონიაში  
ჩამოვიდა; აქ მათ მოჰკლეს მეფე პტოლომე და გაიარეს. ბერ-  
ძნები თერმოპილთან უცდილენენ ბარბაროსებს; მაგრამ, რო-  
გორც სპარსელების დროს, მტერმა შემოუარა თერმოპილის  
კარს და პირდაპირ დელფისაკენ გასწია, სადაც დიდალი სიმ-  
დიდრე ეგულებოდა. გალები მიეიღნენ დელფინან, იერიშით  
აიღეს იგი და შეუდგნენ კიდეც ტაძრის გაძარცვას, რომ ამ  
დროს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. თითონ ღმერთი კის-  
რულობდა თავის ტაძრის დაცვას. ჭექა-ჭუხილი საშინელის  
სმაურობით ისმოდა ღრმა ხეობაში და შიშს გვრიდა ცრუმორ-

წმუნე ბარბაროსებს; პარნაის მწვერვალი, რომელიც დაფარული იყო ბნელის ღრუბლებით, განათდებოდა ხოლმე ერთბაშად ელვის გამო და ბარბაროსებს კი ღმერთის საშინელ ძალად ეჩვენებოდათ. გალები შიშმა აიტანა, მიატოვეს თავიანთი ნადავლი და უგზო-უკლოდ გაიქცნენ; უკან ბერძნები მისღევდნენ და ხოცუდნენ. 30 ათასი გალი დაიღუპა; ცოცხალი სულ ცოტალა გადარჩა.

### თავი XXX

თავისუფალ საბერძნეთის უკანასკნელი დღეები.  
 რომაელები საბერძნეთში\*)

საბტები. 1. საბერძნეთის ვითომდა დაცემა; რომაელების გამარჯვების მიზნზი.—2. მაკედონია-საბერძნეთის კონფედერაციის ცდა ანტიგონ დოშონის მხრივ.—3. ფილიპეს უმოქმედობა, რომაელების თვითონ ბერძნები იწვევენ.—4. ფილოპომენი.—5. რომაელების ჩარევა მაკედონიის საქმებში.—6. ფლამინიუსი.—7. თესალიაში გალაზერება; კინოკეფლას ბრძოლა.—8. ბერძნების განთავისუფლება.—9. რომაელების ზომები; ბერძნების უკმაყოფილება.—10. რომაელების დაბრუნება საბერძნეთში; ეტოლიელები. სირიის მეფე ანტიოქეს.—11. ბრძოლა საბერძნეთს და მცირე აზააში.—12. აქელების ლიგა და რომაელები. ფილოპომენის სიკვდილი.—13. მაკედონია და რომაელები. პერსების.—14. რომაელების გრძოლა პერსებთან. პავლე ემილიუსი. პერსების დატყვევება.—15. აქელების ლიგის უკანასკნელი დღეები. კორინთის აღება და დაქცევა.

1. საბერძნეთის ვითომდა დაწერება; რომაელების გამარჯვების მიზეზი. ორი შემოსევა იყო საშიში საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის; ერთი სპარსელების შემოსევა იყო აღ-

\*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები—1) პლუტარხისი—ფილოპომენის, პავლე ემილიუსის და ფლამინიუსის ცხოვრებანი; 2) პოლიბიოსი—წ. IV, V, VI, XVI, XVII, XVIII, XX, XL.

ქმარანდელი ავტორები: 1) ღრიანიშვი (საბერძნეთი რომაელების მფლობელობის ქვეშ), 3) კულანეი—პოლიბიოსი და საბერძნეთის დაყრიცხა რომაელების მიერ 4) მომენტი—რომის ისტორია ტ. III, წ. III, თ. VIII, ტ. IV, წ. III, თ. X.



მოსავლეთიდან, მეორე — რომაელების დასავლეთიდან. ბერძნებმა უკუჯაჭიეს სპარსელები სპარტასა და ათინას ერთობის, მხურვალე მამულის შვილობისა და, განსაკუთრებით, მტრის უვარების ორგანიზაციის მიზეზით. რომაელებმა კი გაიმარჯვეს, რადგან უკეთესი მეომრები იყვნენ და სამხედრო ხელოვნებით იმდენად მაღლა იდგნენ ბერძნებზე, რამდენად სხვა მხრივ ჩამორჩენილები იყვნენ. როცა რომაელები მოვიდნენ საბერძნეთში, არც მატერიალური და არც გონიერივი ძალა არ აკლდა ბერძნთა ერს. საბერძნეთი იყო და დარჩა ბოლომდე ცივილიზაციის სული და გული: მისი ენა, ხელოვნება და გავლენა გაბატონებული იყო იტალიიდან დაწყებული, საიდანაც რომაელები მოვიდნენ, ინდუსტრიულები, რომელიც ალექსანდრემ გადაიარა. საბერძნეთი იმიტომ კი არ დაეცა, რომ საზოგადოთ დაცემული იყო; არა, აქ იგი დაემორჩილო „უფრო ძლიერის“ კანონს, და თუ მართალია, რომ ხან-და-ხან სკოლის მასწავლებელი იგებს ბრძოლას, საბერძნეთში ეს არ გამართლდა. რომაელმა ლეგიონერმა გაიმარჯვა და სკოლის მასწავლებელმა ბერძნებმა შემდეგ გადაუხადა სამაგიერო: მიაღებინა რომაელებს თავისი ცივილიზაცია, რომელიც რომაელმა ცენტრურიონმა (ასისთავი) დაიმონავა.

2. მაკედონია-საბერძნეთის კონფედერაციის ცდა ანტიგონ დოჰონის მხრივ. საბერძნეთს ემუქრებოდა პირველ ხარისხთან სამხედრო სახელმწიფო და მისი ხსნა შეუძლებელი იყო, თუ რომელიმე მეორე ძლიერი სახელმწიფო არ დაეხმარებოდა. ბალკანეთზე მარტო მაკედონიას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია რომისათვის. მარტო საკუთარის ძალ-ლონით იგი ვერაუერს გააწყობდა, მაგრამ თუ ბერძნების კოალიციის მოთავე გახდებოდა, ბრძოლა შესაძლებელი იყო. ანტიგონ დოზონი ამას მიმხდარი იყო. კლეომენეს დამარცხების შემდეგ მან სკალა სიმახიის ან მაკედონია-საბერძნეთის კონფედერაციის შექმნა; კონფედერაციის წევრები უნდა ყოფილიყვნენ—მაკედონია, თესალია, ბეოტია, ფოკიდა, ეპირის თემები, აკარნანია, აქეელების ლიგა და ლაკონია. მაგრამ ანტიგონი მალე

მოკვდა; მის მემკვიდრე ფილიპე წ-ს კი კიდევ რომ შესძლებოდა ანტიგონის განზრახვების გაგება, ვერ შეასრულებდა, რადგან მოკლებული იყო ენერგიასა და სიმტკიცეს.

კარგი მჩხვევლები არ აკლდა ფილიპეს. მისმა მეგობარმა დიმიტრი ფაროსელმა მიუთითა მას იტალიაზე, სადაც ამ დროს დიდი დუელი იყო რომსა და ჰანიბალ შორის. 217-ში ნავ-ჰაკტის საერთო კრებაზე აგელაოს ეტოლიელმა ცხადათ უწინასწარმეტყველა ბერძნებს, თუ რა იყო მოსალოდნელი: „მე ვხედავ დასავლეთით შავ ღრუბელს, რომელიც სულ იზრდება; მოგსპოთ ჩვენი ბავშური კინკლაობა, სანამ იგი თავზე არ დაგვცემია.“

3. ფილიპეს უმოქმედობა. რომაელებს თვათონ ბერძნები იწვევენ. დიდი განსაცდელი უახლოვდებოდა საბერძნებთს. ბოლოს ფილიპესაც აეხილა თვალი და ჰანიბალს საიერიშო და საგერო ტრაკიატით შეეკრა. ამ ხელშეკრულების პირობები მართლა რომ შეესრულებინათ, რომის საქმე კარგიდ ვერ იყო. მაგრამ ფილიპე ეტოლიაში იბრძოდა და დრო გაუშვა; რომაელები მტკიცედ და ფრთხილად იყვნენ, ჰანიბალის ვარსკვლავი ჩაჭქრა და როცა მაკედონელებმა მოისურვეს სკენაზე გამოსვლა, გვიანდა იყო. ბერძნებმა დაივიწყეს ნავპატიში დადებული ფიცი და აღარ მოინდომეს მაკედონიის მეფესთან ერთად მოქმედება. ორატოსი, რომელმაც სრულებით დაჰკარგა ფილიპეს იმედი, მოკვდა ან, შეიძლება, თვითონ ფილიპემ მოაწამვლინა. ლარიბი და ნაკლებად პატიოსანი ეტოლიელები, რომელნიც უკვე იცნობდნენ რომის ოქროს, პირობით შეეკრენ რომაელებს. ამ პირობის ძალით, რამდენ მიწა-საც არ დაიპყრობდნენ კორცირამდე, ეტოლიელების იყო, მოძრავი ქონება და მცხოვრებლები კი რომაელების. სპარსი და ატალ I ჰერგამელიც შეუკრთლნენ ამ ხელ-შეკრულებას. თვითონ ბერძნებს შემოჰყვდათ მტკიცე თავიანთ ტერიტორიაზე. ბოლოს აქევლებიც ჩამოშორდნენ ფილიპეს და ფილოპომენთან ერთად სცდილობდნენ პელოპონეზე გაბატონებას.

4. ფილოპომენი. ფილოპომენი პირველად ყოვლისა ჯარის კაცი იყო. ჩვეულებრივ ისე ყავთ იგი წარმოდგენილი, თითქოს თავის ღრიოსათვის განსხვავებულ რასმე წარმოადგენდეს. ნამდვილად კი ფილოპომენი ღვიძლია ამ ღრიოს საბერძნეთისა, სადაც სამხედრო ნიჭი არა თუ არ შესუსტებულა, პირიქით კიდევ უფრო ბრწყინვდა. არასოდეს საბერძნეთს ამდენი არ უომნია და თუ სამხედრო მამაკანის გაჰქიმბადა ხალხის დაცუ-  
მის ნიშანი, ამ ღრიოს ბერძენს ეს თვისება არ ჰყლება.

ფილოპომენი (შეგალოპოლისიდან იყო) ცხოვრებდა მხო-  
ლოდ ბრძოლისათვის; გატაცებული ემზადებოდა იგი ბავშვო-  
ბიდან ამ ხელობისათვის; რაღაც მეგალოპოლისს განუწყვე-  
რელი ბრძოლა ჰქონდა ლაკონელებთან, ფილოპომენს გასა-  
მან თავისი სხეული ყოველგვირ გაჭირებას და ტარისს: ნადი-  
რობდა, მიწას ამუშავებდა და იქვე მიწაზე იძინებდა მუშებთან  
ერთად. ყველა ამის მიზანი ერთი იყო — სხეულის გამაგრება.  
ფილოპომენს გატაცებით უყვარდა თავისი ხელობა — ჯარის კა-  
ცობა და ომი; მეტი ლაპარაკის საგანი მას არ ჰქონია; ზის-  
ლით უყურებდა ყველას, ვინც ჯარის კაცი არ იყო, და უსარ-  
გებლო ხალხად სთვლიდა. მართალია, ფილოპომენი პატრიო-  
ტი იყო და ემსახურებოდა თავის სამშობლოს, მაგრამ ისიც  
კი ყოფილა, რომ მხოლოდ ბრძოლისათვის უბრძოლნია; მაგა-  
ლითად იგი კრეტაში იყო როგორც დაჭირავებული ჯარის  
კაცი. ყველა ამასთან არ შეიძლება არ ითქვას, რომ ფილო-  
პომენს უბრალო ცხოვრება უყვარდა და გონებაც უქრიდა; მას  
კარგად ესმოდა საბერძნეთის იმ დროინდელი მდგომარეობა.  
კრეტიდან დაბრუნების შემდეგ ფილოპომენი იირჩიეს ცხენოსან  
ჯარის უფროსად. ჩაბარებულ საქმეს მშვენიერად გაუძლვა  
ახალი სარდალი; ჯარი შევენიერად დააყენა; კიდევ მეტიცა  
ჰქნა — მან შეაყვარა აქეელებს სამხედრო საქმე; მის დროს ახალ-  
გაზღვობა სიამოვნებით შედიოდა ჯარში და იწვრონებოდა. ასეთ  
მოღვაწეობას შედევგიც მაღლ მოჰყვა: ლიგამ დაამარცხა ლაკე-  
დემონის ტირანი მახანიდასი, რომელიც თვითონ ფილოპომე-

ნბა მოჰკლა. ბრძოლიდან დაბრუნებული სარდალი თვის ჯარით ნემეის დღესასწაულს დაესწრო. სადღესასწაულო კრება თეატრში იყო გამართული, სადაც დამკვრელები ჯილდოს ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს. როცა ფილოპომენი შევიდა თეატრში ბრწყინვალე სამხედრო ამალის თან - ხლებით, ასტყდა საერთო ტაშის ცემა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მომლერალმა პილადებ წარმოსთქვა სიტყვები ამან შეგვძინა სახელი თვისსუფლებასთან ერთად<sup>ო.</sup> მთელ თეატრში სიხარულის ყიჯინა გაისმა და ყველამ ფილოპომენისაკენ მიიხედა.

საუბედუროთ ამ გამარჯვებას <sup>\*</sup>საბუთიანი არა მოყოლია რა. მახანიდასის მავიერ კიდევ უარესი ტირანი დაჯდა სპარტაში: ნაბისის დროს სრულებით დაინგრა სპარტას ძველი კონსტიტუცია; აიღეს პილოტების სისხლი, რომელთაც ასე საშინელად აწვალებდნენ სპარტიატები რამდენიმე საუკუნე; წარჩინებული სპარტიატები ან დახოცეს ან განაძვევს; შექმნეს ახალი ოლიგარხია, რომელიც სულ დაბალ პირებისაგან შესდგებოდა. ძველი სპარტა აღარ არსებობდა.

5. რომაელების ჩანევა მაგედონის საქმეებში. რომაელებთან მოსალოდნელ ბრძოლის დროს ფილიპეს მარტო თავისი იმედი უნდა ჰქონებოდა. აქევლებს აღარ სურდათ მას გაჰყოლოდნენ; ეტოლიელები, როდოსელები და ათინელები რომის სენატში უჩიოდნენ მაკედონიას. 200 წელს, ზაფხულზე, ფილიპემ აღყაშემოარტყა აბიდოს; ამ დროს მოვიდა რომის დესპანი ემილიუს ლეპიდუსი, წარუდგა ფილიპეს და გამოუცხადა სენატის ბრძანება, რომ ხელი არ ეხლო საბერძნეთის არც ერთ ქალაქისათვის. ფილიპემ დაცინვით უპასუხა დესპანს, რომ უპატიებია ასეთი თავებედობა მის ახალ გაზღობისა, სილამაზისა და რომაელობისათვის. ომი თითქმის მაშინვე დაიწყო.

6. ფლამინინუსი. 199 და 198 წლებში რომაელმა ჯარმა მიზანს ცერ მიაღწია. ამიტომ რომი მეტის ენერგიით შეუდგა საქმეს. კონსულად ამოირჩიეს ახალგაზღდა ტიტუს ფლამინინუსი და ეს არჩევანი მეტად გონიერი იყო: ძველი ტიპის რო-

მაელი, სასტიკი და მოუხეშავი ვერას გააწყობდა გონება-მა-  
ხვილ, ფაქიზ და ბავშვისებურ ხასიათის პატრონ ბერძნის ხალ-  
ხთან. ეშმაკი, გაქნილი და განათლებული რომაელი ფლამინი-  
უსი, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული ენა და ბერძნის  
ხასიათი, ზედ გამოჭრილი იყო საბერძნეთში მოქმედებისათვის.  
ახალმა სარდალმა ბრძოლის ველი თესალიაში გადაიტანა და  
ზამთარი ანტიკირაში დარჩა. ფლამინინუსი ძალიან მოეწონათ  
ბერძნებს; სიამოვნებით ისმენდნენ რომაელ სარდლის ლამაზ  
ბერძნულს და დიდათ კმაყოფილი იყვნენ მის ზრდილობიან,  
ტკბილ ქცევით, რომლის ქვეშ გულწრფელი ზიზლი იფარე-  
ბოდა ენაჭარტალა ბერძნისადმი. შვევნიერი იყო ფლამინინუ-  
სის ხერხი, რომელიც მან თებაში შესასვლელად იხმარა; მსხვერ-  
პლებიც კი აღტაცებაში იყვნენ ამ ხერხით: რომაელმა სარდა-  
ლმა ქილაქის წინ გაიარა; მას შეხვდნენ მაგისტრატები; მიე-  
სარმნენ ერთმანერთს და მასლაათი დაიწყეს; სარდალი ჩაერია  
მათ, ჰკითხა რამები, თვითონაც მოჰყვა ამბებს; თებელები  
აღტაცებაში იყვნენ რომაელის ზრდილობიან და საინტერესო  
საუბრით. ამასობაში ქილაქის კარებსაც მიუახლოვდნენ; სარ-  
დალი ვითომდა ლაპარაკით გართული და გატაცებული შეჲყვა  
თებელებს ქალაქში, ისე რომ არავის ყურადღება არ მიუქცე-  
ვია; სარდალს აფიცრები მიჰყვნენ; აფიცრებს ჯარის კაცები  
და ქალაქიც რომაელების ხელში ჩავარდა. მომხიბლველმა  
რომაელმა იმდენი მოახერხა, რომ აქეელების ლიგა რომისაკენ  
გადავიდა. ნაბისი კი ვერ მიიმხრო; მეფემ განურჩეველად ამოე-  
ლიტა მაკედონოლები და რომაელები, ვინც კი ხელში მოხვდა.  
მისმა ღირსმა მეუღლემ, აპეგამ, სხვა საქმე იკისრა — უველი  
არგოსელი ქალები გააძარცვინა.

7. თესალიანში გადაშეწრება; კინოფეფადეს ბრძოლა (197)  
საბოლოო ბრძოლა 197-ის ზაფხულში მოხდა სკოტუსას ახლო,  
კინოკეფალეს („ძალლის თავები“) გორაკებზე. პირველი არ იყო  
რომაელებისა და ბერძნების ომის ველზე შეხვედრა, მაგრამ  
აქ პირველად გადაწყდა კითხვა ლეგიონსა და ფალანგას შუა.  
ფალანგა დამარცხდა; მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ ლეგი-

ონი სჯობდა: რომაელების შხარეს ბევრი ბერძენი იყო და გარდა ამისა მასინისამ სპილოები მოუყვანა მათ აფრიკიდან. ფილიპემ მოლაპარაკება გამართა და ტიხტი შეიჩინა, მაგრამ როგორის პირობებით! სამხედრო ფლოტი რომაელებს გადასცა, თვითონ მაკედონიის გარეთ ერთი კვალი მიწა აღარ დარჩენია და ჯარი მისი ხუთას ჯარის კაცს ვერ აღმატებოდა.

8. ბერძნების განთავისუფლება. როგორდა უნდა მოგვარებულიყო ბერძნულ თემების საქმე? ესენი ხომ მაკედონიის მეფეს ეკუთვნოდნენ. ეტოლიელებმა ფილიპეს დამარცხებისათანავე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ბერძნებმა მხოლოდ ბატონი გამოიცვალეს და რომ ფლამინინუსი ბერძნების კეთილმყოფელად ვერ ჩაითვლება, რადგან ბორკილი, რომელიც მათ ფეხებზე ჰქონდათ, ეხლა კისერზე დაადო მათ. ბოლოს ფლამინინუსმა გამოიცხადა გადაწყვეტილება, რომელსაც არავინ მოელოდა. ისტომის დღეობა იყო; დიდ-ძალი ხალხი იყო თაგმურილი საბერძნეთის ყოველ კუთხიდან. უეცრად ბუკის ხმა გაისმა; წინ წამოდგა ჰეროლდი (ოფიციალური გამომცხადებელი) და ხმა მალლა გამოიცხადა: „რომის სენატისა და რომაელების სარდალის ფლამინინუსის გადაწყვეტილებით, ფილიპესა და მაკედონელების დამარცხების შემდეგ, საბერძნეთის თემები თავისუფალი არიან გარნიზონის ჩაყენებისა და ყოველგვარ გადასახადისაგან.“ პირველად კარგად არ ესმოდათ ჰეროლდის სიტყვები, მაგრამ როცა მეორეთ გაიმეორეს და ყველამ კარგად გაიგო, ხალხი სიხარულით თავდავიწყებას მიეცა: ჰყავიროდნენ, სტიროდნენ, იცინოდნენ, ცეკვავდნენ. ფლამინინუსს იმდენი და ისეთი მაღლობა უთხრეს, რომ ძლიეს დაბრუნდა კარავში. მთელი ღამე გატაცებული ბერძნები იდგნენ სარდლის კარავთან და ჰყავიროდნენ. მეორე დილამდე ხალხი არ დაწყნარებულა. ყველაზედ უკედ აქელები მოიკცნენ: გამოიყიდეს ათას ორისი ტყვე რომაელი და გაუგზავნეს რომაელ სარდალს ნიშნად მაღლობისა. მიუხედავად ბევრ ნაკლულევანებისა ბერძენი ფაქიზ გრძნობათა პატრონი იყო. მზგავს ფაქტს ვერ ნახავთ რომაელების ისტორიაში.

9. რომაელების ზომები; ბერძნების უქმაეფფილება. ასეთ გატაცებისა და აღტაცების შემდეგ დადგა დრო შეცვლილ გარემოებათა დაფასებისა; ბერძნებმა გაიცვნეს რომაელები და დაინახეს სინამდვილე. თესალია ოთხ პატარა ავტონომიურ რესპუბლიკად იქნა გაყოფილი; ეტოლიელებს ნება არ ჰქონდათ ოთრისს გამოსცილებოდნენ და თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ფლამინინუსზე სასაცილო ლექსებს თხზავდნენ და კინოკეფალეს გამარჯვებას თავის-თავს აწერდნენ; კორინთი აქელების ხელში გადავიდა, მაგრამ სპარტაში ისევ ნაბისი დარჩა, რომ აქელებისათვის ედარაჯნა. ყველა ამის შემდეგ ფლამინინუსი წასასვლელად მოემზადა. წასვლის წინ სარდალმა თავი მოუყარა ბერძნებს კორინთში (194), დიდი ქება დიდება შეასხა რომაელების სულგრძელებასა და პატიოსნებას და ურჩია ბერძნებს მშვიდობიანად ეცხოვრათ და სიფრთხილით მოეხმარათ ახალი თავისუფლება. ამ კრებაზე ნაკლები გატაცება იყო და ფლამინინუსს შიში აღარ ჰქონდა, რომ აღტაცებული ბერძნები მას მოხვევნით დაახრჩობდნენ; ბერძნებმა გაიცვნეს რომაელები.

10. რომაელების დაბრუნება საბერძნეთში; ეტოლიელები. სირიას მეჭვე ანტიოქიას III. რომაელებს მალე დასჭირდათ საბერძნეთში დაბრუნება, მაგრამ არა მეფესთან საბრძოლველად: უბედური ფილიპე მწუხარედ იჯდა თავისთვის სასაბლეში; რომაელებს ეხლა ეტოლიელებთან ჰქონდათ საქმე, რომელნიც სირიის მეფე ანტიოქიას III-ეს შეეკვრენ კავშირით. ამათ მეტად მოჰქონდათ თავი კინოკეფალეს გამარჯვების შემდეგ; ჩიოდნენ, რომ ასე დიდის სამსახურისათვის რომაელები უსამართლოდ მოექცნენ მათ და თან იმუქრებოდნენ, რომ სამაგიეროს უზღავდნენ ომშს. ეტოლიელების სარდალი დამოკრიტოსი ნამდვილი მკვეხარა ჯარის კაცი იყო. როცა საბერძნეთში დაბრუნებულმა ფლამინინუსმა მოთხოვა მას პირი იმ დადგენილებისა, რომლითაც ეტოლიელებმა სირიის მეფე მოიწვიეს, დამოკრიტოსმა ამაყად უთხრა: „ეხლა უფრო საჭირო საქმეები მაქვს; მაგრამ სულ მოკლე ხაზში შეგატყობინებ ჩემ გადაწყვეტი-

ლებას, როცა ეტოლიელი ჯარები მდ. ტიბრის ნაპირზე იქნებიან დაბინავებული“-თ. ასეთი პასუხი რომაელს სიცილადაც არ უნდა ყოფნოდა.

არც ეტოლიელების მოკავშირე ანტიოქიისი იყო უკეთესი. ამ „მეფეთა-მეფეესთან“ იყო მოხუცი ჰანიბალი; მაგრამ ყურსაც არ ათხოვებდა მის გონიერულ ჩერვეს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მთელი საბერძნეთი მზა-მზარეულად ჩაუვარდება ხელში; რაც შეეხება რომაელებს, სრულებით არაფრად აფეხდა. მისი ელჩები მოვიდნენ აქაიში და დიდანს ილაპარაკეს თავიანთ მბრძანებელის უთვალავ ჯარებზე. ფლამინინუსიც აქ იყო და დამცინავის კოლოთი შემდეგი უთხრა შეკრებილი აქეელებს: „მახსოვს, ერთ დღეს სადილად დაპატივებული ვიყავი მეგობართან; ბევრი სულ სხვა და სხვა საჭმელები მოიტანეს სუფრაზე და მე მეგობრულად ვუსაყველურე ჩემ მასპინძელს.—ნუ სწუხარო, მიპასუხა მან; რასაც ხედავ, სულ ღორის ხორცია და თუ სულ სხვა და სხვა საჭმელად გეჩვენება, ეს ჩემი მზარეულის ხელოვნების მიზეზი არისო. შეშინია, რომ ანტიოქიის ჯარებიც ამ ჩემ მასპინძლის საჭმელებს არ ჰვავდეს: ეს მაგნეზიელები, ლიკიელები, კარიელები, პამფილელები სირიელები არიან და სხვა არაფრი.“

**11.** ბრძოლა საბერძნეთსა და მცირე აზიაში. ფლამინუსი მართალი იყო, როცა ასე დაცინვით ლაპარაკობდა სირიის მეფის ძლიერებაზე. ანტიოქიის შემოქსია საბერძნეთს 192 წელს და იმის მაგიერ, რომ ენერგიულად განეგრძო სამხედრო ოპერაციები, ვიღაც კლეოპტოლემოსის ქალი შეუყვარდა და დიდის ამბით ქორწილისათვის ემზადებოდა. ჯარის კაცებიც მასავით იქცეოდნენ: ხელში ღვინით სავსე ფიალა ეჭირათ და თავი უფავილების გვირგვინით პქონდათ მორთული. რომაელები კი დროს არ ჰკარგავდნენ; კონსული მანიუს აცილიუს ელაბრიონი, ფილიპე მაკედონელთან შეთანხმებით, დროზე შეუდგა სამხედრო მოქმედებას. ანტიოქიის უკვე გონება დაგნა და თერმოპილის კარს ამოეფარა, მაგრამ მისი ქცევა ლეონიდასის ქცევიდან შორს იყო. რომაელებმა შემოუარეს თერ-

მოპილს და ანტიოხოსი ისეთის სიჩქარით გაიკა, რომ ჯარი გადაწყვეტილი დავიწყდა. შიტოვებულ ეტოლიელებმა გადასწყვიტეს განეგრძოთ ბრძოლა, სანამ ერთი ჯარის კაცი ეყოლებოდათ; მაგრამ ვერას გახდნენ: 189-ში იძულებული შეიქმნენ განეთავისუფლებიათ ყველა ტყველ-წაყვანილები, ეხადნათ ხარჯი და შემდეგისათვის რომის მეგობრები და მტრები თავიანთ მეგობრებად და მტრებად მიეჩნიათ. რაც შეეხება ანტიოხის, ზღვის მეორე ნაპირის ასეთ არა საქებ სიჩქარით გადასვლაშ მას ვერ უშველა. ლუკიუს კორნელიუს სკიპიონი გადავიდა მცირე აზიაში და ანტიოხოსს მაგნეზიასთან, სმირნის ახლო, შეხვედა. ერთი მუჭა ლეგიონერები საქმარისი შეიქმნა მეფეთა-მეფის დიდი ჯარის გასაფანტავად. ანტიოხოსმა დაჲ კარგა 50.000 ჯარის კაცი და რომაელებმა კი მხოლოდ 300. დამარცხებული და დამცირებული მეფე თანახმა იყო ხელი მოწერა უოჭელ პირობაზე (188): წაართვეს მცირე აზიის ყველა პროვინციები, გარდა კილიკიისა, და ერთი წილი როდოსლებს მისცეს, ერთი პერგამის მეფეს; გადაახდევინეს კონტრიბუცია; უფლება აღარ პქონდა საბერძნეთში ჯარის კაცები დაექირავებინა და ეტოლიელებსაფით რომის მეგობარი და მტრერი მასაც მეგობრად და მტრად უნდა მიეჩნია.

**12. აქევლების დაგა და რომაელება.** ფილონომენის სიგვდილი. ამ ხნის განმავლობაში აქევლების ლიგას არ უღალატნია რომაელების კავშირისათვის, მაგრამ ესენი მინიც ეჭვის თვალით უყურებნენ მას. ფლამინინუსმა მეტად გაუწყრა ლიგის სარდალს რომაელების ნება დაურთველად მესენის შემოერთებისათვის, ნება არ მისცა ლიგას ზაკინთი მისი ყოფილიყო: რომაელებს აქევლების ინტერესებიასთვის კი არ დაუღვრიათ სისხლიო; დასცინოდა კიდეც: თუ პელოპონეზის გარეთ გამოგიყვიათ თავი, იგივე მოგივათ, რაც კუს მოდის, როცა ქერქიდან თავს გამოჰყოფს. რომაელები განსაკუთრებულის ეჭვის თვალით ფილოპომენს უყურებდნენ. ფილოპომენი კარგად ხდავდა, თუ რას უქადიდა აქევლებს რომაელების მუდმივი საქმეში ჩარევა. ლიგის საბჭოში რომაელების ერთი

მომხრე ბევრს ლაპარაკობდა მათ სასარგებლოდ. „შეომარო, რათ გეჩერება საბერძნეთის ბოლო დაინახო“<sup>ო</sup>, უთხრა ფილო-პომენშა. 188-ში აქეელების სარდალმა სპარტა შემოიერთა, მაგრამ ბევრი არ დასკლია მას. მესენიელმა ღინოკრატოსმა, რომელიც ფლამინინუსთან ერთად მოვიდა რომიდან, აჯანყა მესენია ლიგის წინააღმდეგ, ალბად ფლამინინუსისავე რჩევით. ამ დროს ფილოპომენი ავად იყო და არგოსში იწვა. გაიგო თუ არა მესენის აჯანყების ამბავი, მოხუცი და ივაღმყოფი მეომარი მაშინვე ფეხზე წამოდგა, მოახტა ცხენს და შეუსვე. ნებლად მეგალოპოლისში მივიდა (50 ვერსტია). აქ მან შეკ-კრიბა რამდენიმე ჯარის კაცი და დაუყოვნებლივ მესენიაში შევიდა. ბედმა უღალატა მხცვან სარდალს: იძულებული შეიქნა უკან გამობრუნებულიყო თავის პატარა რაზმით; სამ-შვიდობოში მაინც ვერ გამოაღწია—იგი მესენიელებს ჩაუვარდა ხელში. შეპყრობილი სარდალი ერთ გამოკვებულში ჩა-აგდეს, სადაც არც ჰაერი და არც სინათლე შედიოდა. შებრა-ლება არ იკოდნენ იმ დროის ბერძნებმა: რამდენიმე წლის წინად თვითონ ფილოპომენშა 63 სპარტანელი დაახოცინა გულგრილად. ღამე ჯალათი შევიდა მასთან და საწამლავი გაუწიოდა. მწუხარე და ავათმყოფი ფილოპომენი თავის ნისას-ხამზე იწვა და არ ეძინა. როცა ჯალათი დაინახა, წამოდგა, გამოართვა საწამლავი და დალევამდე ჰკითხა ჯალათს თავის ამხანაგების ამბავი, განსაკუთრებით ლიკორტასისა. „ყველა გა-დარჩა“<sup>ო</sup>, უპასუხა ჯალათმა. ფილოპომენშა მაღლობა გადაუხადა და დამშვიდებით სთქვა: „რა კმაყოფილი ვარ, რომ ყველა არ ვყოფილვართ უბედურები“<sup>ო</sup>.

ფილიპომენის სისხლი მაღლე გადაახდევინეს მესენიელებს: აქეელები ისევ შემოვიდნენ მესენიაში, ღინოკრატოსმა თავი მოიკლა და ფილოპომენის ნაშთი დიდის ამბით გადმოიტანეს მეგალოპოლისში. ჯარი, ხალხი, ქალები, ბავშვები და მოხუ-ცები ყველა ტიროდა ასეთ კაცის დაკარგვის გამო.

**13.** მაგედონია და რომაედები. შენსერსა. ფილიპე მაკე-დონელი ვერ შეურიგდა თავის დამარცხებას; ყოველ დღე

ჰკითხულობდა იგი რომაელებთან დადებულ ხელშეკრულების პირობებს. მან კარგად იცოდა, რომ აღრე თუ გვიან ისევ უნდა მოშედარიყო შეტაკება რომსა და მაკედონიას შეუ. ან-ტიოქესთან ბრძოლის დროს ფილიპე მხარში უდგა რომაელებს, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით უცქეროდნენ. მოსწრებით კი არ მოსწრებია მას ეს შეტაკება, რომლისთვისაც იგი ჩუმად ემზადებოდა. მოუხედავად ბევრის ნაკლისა, ფილიპე ჩვეულებრივი პიროვნება არ ყოფილა: ესმოდა და აფასებდა თავის მდგომარეობას, მტკიცე ნების ძალა ჰქონდა და პატრიოტი იყო. ესევე შეიძლება ითქვას მის მეტკვიდრე პერსეოსზედაც, რომელსაც რომის ისტორიკოსებმა ბევრი ცილი დასწამეს. პერსეოსი თავის მამისავით კარგა ხედავდა, რომ მაკედონია მხოლოდ საბერძნეთთან დაკავშირებით გახდებოდა ძლიერი, რომ მაკედონია უნდა გახდეს საბერძნეთის თავისუფლების ფარი წინააღმდეგ რომაელებისა, რომელნიც ყველგან გაბატონებას სცდილობდნენ.

ბერძნებმაც გაახილეს თვალები, იგრძნეს რამდენი სისასტიკე, ეგოიზმი და სიმკაცრე იყო რომის პოლიტიკაში, ცხადად დაინახეს, თუ რამდენად შეუფერებელი იყო ბერძნის ზრდილობიან და ფაქიზ ბუნებასთან რომაელის მოუხეშავობა და აუტანელი სიამაყე. ეხლა ბერძნი უფრო მაკედონიისაკენ მიიწევდა—რაც უნდა იყოს, მაკედონია მაინც საბერძნეთის ნაწილი იყო. გარდა ამისა ბერძნის კიდევ არ ჰქონდა ნამდვილად გათვალისწინებული არც თავის ქვეყნის სისუსტე და არც რომის ნამდვილი ძალა.

პერსეოსმა იმით დაიწყო რომაელების წინააღმდეგ მოქმედება, რომ თავს დაესხა დოლოპებს, რომელნიც რომაელების მფარველობის ქვეშ იყვნენ. შემდეგ თავის ჯარით დელფში წავიდა ვითომ მისნის საკითხავად; ნამდვილად კი იმისთვის, რომ ეჩვენებინა ბერძნებისათვის მაკედონიის ოლორძინებული ძალა; გააკრა ყველგან განცხადება, რომლითაც იწვევდა თავისთან ყველა სამშობლოდან განდევნილ ბერძნებს. იქეელების

ლიგის მიმხრობაც სცადა; მაგრამ ლიგის საბჭოს უმრავლესობა წინააღმდეგი შეიქნა მაკედონის წინადადებისა.

რომაელები თვალს არ აშორებდნენ პერსეოსის მოქმედებას. ეგრეც არ ყოფილიყო. მაკედონის მეფის მტრები აუხელდნენ მათ თვალებს. პერგამის მეფე ევმენოსი, ისეთივე საზიზლარი ჯაშუში როგორც მამა მისი, რომში ზავიდა და დააპეზდა სენატს პერსეოსი. დაგვიანების დრო აღარ იყო; ჯერ დესპანები გაგზავნეს მაკედონიაში (172) და გაახსენეს მეფეს ის მოვალეობანი, რომელნიც ფილიპესთან დადებულ ხელშეკრულების ძალით უნდა აესრულებინა მას. „ეს ხელშეკრულება აღარ არსებობს. თუ რომს სურვილი აქვს მოლაპარაკება გამართოს, მე მზად ვარ მოვილობარაკო როგორც სწორი სწორთან“. ასეთი პასუხი მისცა პერსეოსმა რომის დესპანებს.

**14. რომაელების ბრძოლა პერსეოსთან.** პეგლე ემილიუსი. პერსეოს დატყვევება. ამაყი პასუხი იყო პერსეოსის პასუხი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მეფემ დრო გაუშვა. ამით ისარგებლეს რომაელებმა და იმდენი მოახერხეს, რომ პერსეოს მარტო დარჩა. არც აზიაში და არც პელოპონეზში არავინ აღმოჩნდა მისი დამხმარე. საბერძნეთი გაშეშებული იყო და თვითონ პერსეოსსაც ისე შეეშინდა მისგანვე გამოწვეულ ქარიშხალისა, რომ მოციქულები გაგზავნა რომში თავის გასამართლებლად. სენატმა არ მიიღო ისინი.

დაიწყო ომი. რომაელ ჯარის სარდალი ლიკინიუს კრასუსი უნიჭო კაცი იყო და იგი ადვილად დაამარცხა პერსეოსმა მდ. პენეოსის ნაპირის, ლარისას ქვემოთ. მაგრამ მეფეისე შეშინებული იყო, რომ მაშინვე ზავი მოითხოვა იმ პირობებით, რომელნიც ფილიპეს მიაღებინენ რომაელებმა. ლიკინიუსმა, თითქოს ის ყოფილიყოს გამარჯვებული, მოსთხოვა პერსეოსს სრული დამორჩილება. კონსული ჰოსტილიუსიც ასეთივე უნიჭო გამოდგა და რამდენჯერმე დამარცხდა. უფრო ბედნიერი არც ქვინტუს მარკუსი იყო (169). მაგრამ პერსეოსის საქმეს ეს ცოტას შველოდა.

რომი ააღელვა ამდენმა დამარცხებამ და სარდლობა პავ-  
 ლე ემილიუსს ჩააბარეს. ახალი სარდალი, რომელმაც თავი ისა-  
 ხელა ესპანიასა და ლიგურიაში, ნამდვილი ძველი რომაელი  
 იყო—სასტიკ დისციპლინის მოყვარე და ბევრის მომთხვევი  
 როგორც სხვისაგან, ისე თავის თავისაგანაც, მაგრამ კატონსა-  
 ვით როდი სძულდა ბერძნული ზნე-ჩვეულება და კულტურა.  
 ემილიუსი მტკიცედ და ენერგიულად შეუდგა საქმეს. საბო-  
 ლოო ბრძოლა პირნას ახლო მდებარე ვრცელ ველზე (168)  
 მოხდა. მაკედონის სქელმა ფალანგამ დიდი შთაბეჭდილება  
 მოახდინა რომაელ სარდალზე, შიშიც შეაპარა გულში. შემ-  
 დევში იგი გატეხილად ლაპარაკობდა რომ ჩემ დღეში არ მი-  
 ნახავს ასეთი საშინელი სანახაობათ. ემილიუსის შიში კინაღამ  
 არ გამართლდა: რომაელ ჯარის იერიშმა ვერ შეარყია პერსეოსის  
 ფალანგადა უკნ დაიხია; გამწარებულმა ემილიუსმა აბჯარი შე-  
 მოიგლიჯა. ყველაფერი დაღუპული იქნებოდა რომაელებისა-  
 თვის, რომ ფალანგა მოძრაობის დროს არ გაშლილიყო: ლე-  
 ვინერებმა შეატანეს შიგნით და მაკედანოლების საქმეც დაი-  
 ღუბა—25 ათასი ჯარის კაცი დარჩა ომის ველზე. რომაელე-  
 ბის სიტყვით, მათ მხოლოდ ასი კაცი მოუკლეს, მაგრამ ეგ,  
 რასაკირველია, დასაჯერებელი არ არის. მა ბრძოლას დაეს-  
 წრო პავლე ემილიუსის შეიღი, რომელიც სციპიონებმა იშვი-  
 ლეს და რომელმაც შემდეგ კართავო და ნუმანციუმი დაან-  
 გრია.

პერსეოსი ბრძოლის ველიდან ჯერ პელაში გაიქცა, შემდეგ  
 სამოთრაკიაში. მთელმა მაკედონიმ მიატოვა იგი; ერთმა მაკე-  
 დონელმა, რომელსაც მეფემ თავის შვილები მიანდო, რომაელებს  
 მიუყვანა ისინი. მეორე დაპირდა, მთელის ქონებით გემით გაგა-  
 პარებო და უღალატა. ბოლოს იძულებული შეიქნა თვითონ  
 მისულიყო რომაელებთან და თავი დიემცირებინა. სხვათა შო-  
 რის პერსეოსმა სთხოვა ემილიუსს, აეცილებინა მისთვის სირ-  
 ცხვილი და სატრიუმფო ეტლის უკან არ წაეყვანა. ემილიუსს  
 შემდეგი ნამდვილ რომაულად შეუბრალებელი პასუხი უნდა  
 მიეცეს: „ეს ისეთი საქმეა, რომელიც ყოველთვის შეგეძლო

აგესრულებინა“ო. ამათი რომაელების სარდალმა ის უთხრა პერ-  
სეოსს, რომ სირცხვილის ასაცილებლად თავის მოკვლა მის  
ხელთ იყო.

15. აქეელების დიგის უკანასკნელი დღეები. გორინთის  
აღება და დანგრევა. საბერძნეთის საქმე გათავებული იყო. პი-  
ლინას ბრძოლის შემდეგ რომაელები ნამდვილი ბატონები გახ-  
დნენ ყოველგან. ეტოლია და ეპირი საშინლად გაანადგურეს;  
ათასმდე აქეელი იტალიაში გადასახლეს: მათ შორის იყო  
ფილოპომენის მეგობრის ლიკორტასის შეილი პოლიბიოსი, რო-  
მელმაც შემდეგში დასწერა საბერძნეთისა და რომის ისტორია  
და რომელიც სკაპიონ ემილიონისა და კატონის მეგობარი გა-  
ხდა. გადასახლებულებმა მხოლოდ ჩეიდმეტი წლის შემდეგ ნა-  
ხეს სამშობლო, როცა დადგა საბერძნეთის უკანასკნელი სულ-  
თა ბრძოლა. აქეელების ლიგამ იარაღს მოჰკიდა ხელი, როცა  
რომმა საუკეთესო ქალაქები ჩამოართვა. საქმე იმ თავითვე წა-  
გებული იყო. უკანასკნელი ბრძოლა მოხდა კორინთის ახლო  
ლევკოპეტრასთან. აქეელები დაპირცხდნენ და კორინთმა კარი  
გაუღო კონსულ მუმიუსს. რომაელი ჯარის კაცები ქარიშხა-  
ლივით მოედვენ მდიდარ ქალაქს. მუმიუსი მოუხეშავობითა და  
განათლებით ჯარის კაცებზე მაღლა არ იდგა. ქალაქი საშინ-  
ლად გაანადგურეს, მარტო ნანგრევებილა დარჩა. საბერძნეთი  
რომის პროვინცია გახდა (146) და მხოლოდ ამის შემდეგ შეი-  
ტყვეს რომაელებმა, რა ქვეყანა და ხალხი დაიპყრეს. არ გაუ-  
ვლია 50 წელიწადს და დამარცხებულმა ბერძნებმა სამაგიერო გა-  
დაუხადეს რომაელებს უფრო მშვიდობიან და ხანგრძლივ ომის  
ველზე. მათი ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება,  
მეცნიერება სავსებით გაბატონდა რომში. საბერძნეთი ბარბა-  
როსების შემოსევამდე და ქრისტიანობის გამარჯვებამდე მსო-  
ფლიოს ნამდვილი მბრძანებელი იყო.

## თავი XXXI

საბერძნეთის ხელოვნება და ლიტერატურა ათინის  
 აღებიდან რომაელების გაბატონებამდე \*).

საჩიჩევი. 1. ბერძნულ ხელოვნების ევოლუცია მეოთხე საუკუნიდან.—2. ბერძნული ხელოვნება ალექსანდრეს შემდეგ.—3. ბერძნული მხატვრობა მეოთხე საუკუნიდან მეორემდე.—4. ტრაგედია და კომედია მეოთხე საუკუნეში.—5. ისტორიკოსები: ქსენოფონი.—6. მეოთხე საუკუნის ორატორები.—7. ესტინი და დემოსტენე.—8. ბერძნულ ცივილიზაციის პროგრესი აზიში და აფრიკაში მე-III-ე საუკუნეში.—9. ლიტერატურა სიცილიაში: თეოდორიტე.—10. ბერძნული ფილოსოფია სოკრატეს შემდეგ: პლატონი.—11. აზისტორელე.—12. ახალი ფილოსოფიური სკრტები: პირონისმი, ეპიკურეისმი და სტიკისმი.—13. ბერძნული მეცნიერება რომაელების მოსვლამდე. ეპლიდე და აზიმდე.

1. ბერძნულ ხელოვნების ეფოლიუნია მე-IV-ე საუკუნი დან. ბერძნული ხელოვნება არ დაცუმულია მე-IV-ე საუკუნის შემდეგ, როგორც ზოგიერთები ჰყიქრობდნენ; მან მხოლოდ სხვა სახე და მიმართულება მიიღო. მეოთხე საუკუნემდე ხელოვნება სარწმუნოების მსახური და ამხსნელი იყო. კლასიკურ ხანის სკულპტორის ღმერთი უმშვენიერეს და უსრულეს ფორმის პატრონი იყო და ამასთან ზე-აღმიანურ დიდებულებისა და დამშვიდებულ ბრწყინვალების გამომხატველი. შემდეგ ხანის ხელოვანს კი აღარ შეეძლო ასე მაღლა აღმაფრენა, იგი ნამდვილ ცხოვრებაში ეძებდა ხელოვნების საგანს და ხატავდა იმას, რასაც ხშირად ხელავდა თვალწინ. იდეალისმის მაგიერ რეალისმი გაბატონდა.

\* ) ბიბლიოგრაფია: კრუპე—ბერძნულ ლიტერატ. ისტორია: ფულიე—ფილოსოფიის ისტორია; რეინაკი—კლასიკური ფილოლოგია; კოლინინი—ბერძნული არხეოლოგია; დარენბერგის ლექსიკონი.

მეოთხე საუკუნეში ორი ხელოვანი იყო ამ ახალ მიმართულების გამომხატველი—სკოპასი და პრაქსიტელესი. სკოპას პაროსელის გაკეთებული იყო ათინას ტაძრის (ტეგეიზე) ორი ფრონტონი (სვეტის თავის ბალიში, სამკუთხი და, იშვიათად, ნახევარი სიმრგვლის ფორმისაც); რომელთა ნამტვრევები ამ რამდენიმე წლის წინად იპოვეს; განთქმული იყო აგრეთვე სკოპასის ერთი ქანდაკება, რომელიც წარმოადგენდა მენადას (ვაჟხან კა—ქალი, რომელიც ბახუსის დღეობაზე რელიგიურ ცერემონიებსა და პროცესიებში იღებდა მონაწილეობას) იმ დროს, როცა იგი ციკანს გლეჯს. პაროსელი ხელოვანი იღებდა და მონაწილეობას ეფესის ტაძრის და პალიკარნასის განთქმულ მავზოლეს აგებაშიც. მავზოლე ააშენებია რამდენიმე ხელოვანს კარიის დედოფალმა თავის საყვარელ ქმრის მავზოლის საფლავზე. ეს შესანიშნავი შენობა ხელ-უხლევებელი იყო მე-XV-ე საუკუნემდე; ამ საუკუნეში კი იგი დაანგრიეს თავიანთ სიმაგრეებისათვის როდოსელ რაინდებმა, რომელნიც კარგი ჯარის კაცები იყვნენ, მაგრამ ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდათ. ეხლა ბრიტანიის მუზეუმში ინახება ამ მონუმენტის ბულაურების რამდენიმე ნატეხი.

პრაქსიტელესი ათინელი იყო და თავის სიცოცხლეც თითქმის სულ აქ გაატარა. ამ ხელოვანის ნაწარმოებში აკვირდებდა მნახველს გრაცია, მოხდენილობა და ფორმათა სიწმინდე-სიფაქიზე. აფროდიტა კნიდელის ქანდაკებით მან შექმნა ტიპი ამ ქალ-ღმერთისა. „ვინ ჩაბერა სული მარმარილოს? ვინ ნახა ამ ქვეყნად კიპრიდა (ვენერა)? იგი პრაქსიტელესის ხელის შექმნილია. ოლიბზე აღარ არის პატოსის (კიპრის ქალაქი, სადაც დიდ პატივს სცემდნენ ვენერას) ქალ-ღმერთი, რადგან იგი კნიდში ჩამოვიდა“. ამას ამბობს ერთი ძველი ლექსი. თავის მხრივ ალფრედ დე მიუსეს ლექსებში ვკითხულობთ სხვათა შორის: „და ქერა თმიანი ვენერა, პრაქსიტელესის ქალი, ფეხზე მდგომარე თავის ღვთაებრივობით კიდევ ულიმის უძლურ საუკუნოებს, რომელნიც მან სძლია თავის მშვენიერებით.“

თვითონ პრაქსიტელების ვენერას ჩვენამდე არ მოუღწე-  
ვია; მაგრამ ვენერა კაპიტოლისა, ვენერა მედიჩისა და სხვები  
ამ ხელოვანის ქანდაკებიდან არიან წარმომდგარი. პრაქსიტე-  
ლების დამახასიათებელი ნაზი გრაცია ატყვა საუროკტონის  
აპოლონს (ლუფრის მუზეუმი) და კაპიტოლის მუზეუმის ფა-  
ვნს, რომელიც უკეთესად პირი უნდა იყოს. რამდენიმე წლის  
წინედ ოლიმპიაში აღმოაჩინეს პრაქსიტელების ნამდვილი ნა-  
წარმოები—ჰერმესი პატარა დიონისოსი ხელში.

ამ ეპოქას და ამავე სკოლას უნდა ეკუთვნოდეს ვენერა  
მილოსელიც\*), ლუფრის მუზეუმის უძვირფასები განძი. იგი  
აღმოაჩინეს 1821 წელს კუნძულ მილოსზე; სამწუხაროდ ხე-  
ლები მოტეხილი ჰქონდა და იქმდე მისი რესტავრაცია ვერ  
ჩაითვლება ნამდვილ რესტავრაციად. ვენერა მილოსელი, შეიძ-  
ლება, არ იყოს საუკეთესო ნაწარმოები ბერძნულ ხელოვნე-  
ბისა, როგორც ბევრი ამბობს, მაგრამ რაც დავვრჩენია ამ  
ხელოვნების ნაწარმოებთაგან იგი უკეთილშობილები და უმშვე-  
ნიერებია.

ლიზიპოსი ალექსანდრე მაკედონელის საყვარელი სკულპ-  
ტორი იყო. გადმოცემით ამ ხელოვანს 1500 ქანდაკება უნდა  
გაეკეთებიოს. ლიზიპოსს უყვარდა დიდებულის და უზარმაზა-  
რის რისამე გაკეთება. ასეთი იყო მისი ძევსი, რომელიც სიმ-  
ძიმის გამო რომში ვერ გადაიტანეს; მას მეტად უყვარდა ჰერკუ-  
ლების ტიპი. ფარნეზეს ჰერკულები\*\*), ნეაპოლის მუზეუმში,  
ლიზიპოსის ქანდაკების პირი უნდა იყოს. რომში არის კიდევ  
ერთი პირი მის ქანდაკებისა, რომელიც წარმოადგენს ატლეტს.  
ეს ქანდაკება ტიბერიუსმა ქუჩიდან თავის საწოლ თათაში შეა-  
ტანინა; მაგრამ ხალხმა თეატრში უკამაყოფილება გამოიუცხადა  
იმპერატორს და ესეც იძულებული შეიქნა ისევ ძველ ადგილის  
დაედგა.

2. ბერძნული სელოფნება ალექსანდრეს შემდეგ. ალექ-  
სანდრეს შემდეგ ცხოვრების ახალმა პირობებმა გავლენა იქო-

\*) ბიუსტი ნახე გვ. 48.

\*\*) ნახე გვ. 57.

ნიეს ბერძნულ ხელოვნების განვითარებაზე. გაჩნდა ახალი არტისტიული ცენტროები სპარსეთის ძველ სამეფოში, რომელიც ძალით შემოუქროეს საბერძნეთს და რომელსაც აგებეს ჰელინების ცივილიზაცია. ალექსანდრიის, ანტიოქიის და ჰერგამის მეფეები და მათი სასახლეები ხელს უწყობდნენ ხელოვნების განვითარებას. ხელოვნების სამი სკოლა – ჰერგამისა, როდოსისა და ტრალისისა — სხვაზე მაღლა იდგა.

ჰერგამის სკოლის აყვავება ატალიდების გემოვნებისა და გულუხვობის საქმე იყო. საგანი ამ სკოლის ხელოვნებისა პერგამელ მეფეების გალატებთან ბრძოლაა. ჩვენამდე მოუღწევია ორ მარმარილის, ერთი კაბიტოლის ეგრძელ წოდებული „მომაკვდავი გლადიატორია“, რომელიც ნამდვილად „მომაკვდავი გალატია“ (გალი) და მეორე ვილა ლუდოვიზის გრუპა, „არია და პეტუს“ად წოდებული, ნამდვილად კი ისევ გალატი, რომელიც თავს იკლავს თავის ცოლის შემდეგ. ჰერგამის სკოლის ნაწარმოებთაგან ყველაზედ მნიშვნელოვანი იყო დიდებული და უზარმაზარი საკურთხეველი ძეგლისა და ათინისა, რომელიც ევმენ II-ს დროს ააგდეს (197—159). ეხლახან იპოვეს ბერგამაში (ძველი ჰერგამი) რამდენიმე ნანგრევი ამ საკურთხევლისა, სხვათა შორის ერთი ბულაური, რომელზედაც წარმოდგენილია ბრძოლა გიგანტებისა ღმერთების წინააღმდეგ (ბერლინის მუზეუმშია). მთელ ამ ნაწარმოებში არის მოძრაობა, გულის - თქმა, არა ჩვეულებრივი სიცოცხლე შეერთებული შესანიშნავ აღსრულებასთან.

როდოსისა და ტრალისის სკოლებმა სრულებით უარ-ჰყვეს წმინდა კლასიკური ტრადიცია — აღუშფოთველი ბრწყინვალება და ჰარმონიული გრაცია, ისინი უფრო უზარ-მაზარის ან ტრალიკულ სტილების გამოხატვას ეტანებოდნენ. როდოსელ ხელოვანმა ხარესმა გააკეთა მზის ღმერთის ძეგლი, რომელსაც როდოსის კოლოსს ეძახდნენ; ეს ძეგლი ვ5 მეტრის (მეტრი ნახევარი საეჭნია) სიმაღლე იყო. იგი 86-ში წაიქცა მიწის ძვრის გამო. როდოსის სკოლას ეკუთვნის აგრძოვე განთქმული

გრუპა „ლაოკონი“, რომელიც ათენიდოროსისა და აგეზანდ-  
 როსის ნაკეთებია.



ლაოკონი.

ალექსანდრეს შემდეგ და რომაელების მოსვლამდე ბევრი  
 შესანიშნავი ხელოვანი ყოფილა კიდევ; ამათ ნაწარმო-

ებთ ჩვენამდე მოუღწევიათ: აპოლონ ბელვედერისა \*), სამო-  
 თრაკის გამარჯვება, დიმიტრი პოლიორქეტეს ბრძანებით გაკე-  
 თებული (ლუვრშია), დიანა შვლით ხელში (ლუვრი), დიანა  
 გაბიესისა (ლუვრში). არც რომაულების გაბატონების შემდეგ  
 გამქრალა ბერძნული ხელოვნება; პირიქით, იყო უფრო გან-  
 ვითარდა და გაბატონებული იყო ბარბაროსების შემოსევამდე.  
 ერთი კი ემჩნევა ამ ხანის ხელოვნებას: მიბაძვას მეტი ადგილი  
 უკავია ვიღრე წინეთ იყო და თავისებურობის ადგილი და-  
 კავა ტრადიციის შესწავლამა და ტეხნიურმა ცოდნამ.

3. ბერძნული მხატვრობა მეოთხე საუკუნიდან მეორემდე.  
 მხატვრობაზე ძალიან ცოტა ითქმის, რადგან ჩვენამდე არ  
 მოუღწევია არც ერთ სურათს. ვიცით შემდეგი სახელები:  
 ძეგჭისისა, რომელიც საკვირველის სინამდვილით ხატავდა ოურმე  
 საგნებს; სხვათა შორის მას დაუხატავს ბავშვი, რომელსაც  
 ყურძნი მიაქვს; ჩიტებს მართლა ყურძნი ჰგონებოდათ და  
 კენკა დაუწყიათ; შარაზისისა, აპელესი, ძველ დროის უდიდესი  
 მხატვარი, შროტოგენესი, რომელიც ასე უყვარდა დიმიტრი  
 პოლიორქეტეს, და სხვანი.

4. ტრაგედია და კომედია მე-IV საუკუნეში. ტრაგედია, რო-  
 მელიც ასე აყვავებული იყო ესხილოსის, სოფოკლესა და ევრი-  
 პიდეს დროს, მეოთხე საუკუნიდან აღარ არის ან თუ არის,  
 მისწნელობას მოკლებულია. კომედია უკეთესი გახდა, მაგრამ  
 ხასიათი გამოეცვალა. ბუნებრივ ევოლიუციის გამო, რომე-  
 ლიც დავილად აიხსნება ახლისაღმი მისწრაფებით და პოლი-  
 ტიკურ გარემოებათა გავლენით, გაჩნდა ახალი გვარი კომე-  
 დიისა, რომელსაც „საშუალო კომედიას“ ეძახიან. ხორო, ეს  
 უკანასკნელი ნიშანი კომედიის რელიგიურ ხასიათისა, სრულე-  
 ბით გაპქრა; მასთან ერთად მოისპონ პარაბაზიც, სადაც ავტო-  
 რი მაყურებელ საზოგადოებას მიჰმართავდა ხოლმე. რადგან  
 ავტორს უფლება აღარ ჰქონდა ცოცხალი პირები გამოეყანა  
 სცენაზე და პოლიტიკურ კითხვებს შეხებოდა, კომედია თანა-

\* ) ნახე გვერდი 45.

მედროვ საზოგადოების შესწავლას შეუდგა; გამოიყვანეს სცენაზე პოეტები, ფილოსოფოსები, მკვეჩარა ჯარის-კაცები, გლოხები, თავისუფალ ქცევის ქალები. „საშუალო კომედიის“ ავტორები ძალიან ბევრი ყოფილა. მათ შორის საუკეთესოდ ითვლებოდა ორი — ანტიფანოსი და ალექსისი. მაგრამ არც ამათგან და არც სხვებისაგან ნაწყვეტების მეტი არა დაგვრჩენიარა.

„საშუალო კომედიას“ მოჰყვა „ახალი კომედია“ აღექ-სანდრე მაკელონელისა და მის მემკვიდრეების დროს. ინტრი-გას (სხვა-და-სხვა შემთხვევები, რომელნიც ჰქმნიან პიესის კვანძს) მეტი ადგილი უკავია; მოქმედ პირების ხასიათი წმინდა ბექმული არ არის, იგი უფრო საზოგადო არის, უფრო შესა-ფერი კაცობრიობისა. ამიტომაც იყო, რომ ახალმა კომედიამ უფრო ადვილად გამოიწვია მიბაძვა, განსაკუთრებით იტალია-ში და შემდეგ საფრანგეთში.

ახალ კომედიის საუკეთესო ავტორად ითვლება მენან-დროსი (342—290). იგი ათინელი იყო და, ძველების შეხე-დულებით, ნამდვილ ატიკურ სიმარტივის, მოხდენილობის და სილამაზის მაგალითი იყო მისი ნაწარმოები. იძულებული ვართ სიტყვაზე ვერწმუნოთ ძველებს, რადგან მენანდროსის თხელ-ლებათაგან ჩვენამდე არც ერთს არ მოუღწევია; თუ რამე წარ-მოდგენა გვაქვს მაზე, ეს მის მიმბაძველის რომაელ ტერენციუ-სის წყალობით, რომელსაც ცეზარი ნახევარ-მენანდროსს ეძა-და. მენანდროსს გვერდში უყენებდნენ ფილემონს, რომელსაც რამდენჯერმე გაუმარჯვია მეტოქეზე. ჩვენამდე არც ფილე-მონის ნაწერებს მოუღწევია.

5. ისტორიკოსები: ქსენოფონი. მეოთხე საუკუნიდან ბერძნებს არ ჰყოლიათ არც ჰეროდოტე, არც თუკიდიდე-კველაზე ცნობილი ქსენოფონია, რომელიც დაიბადა ატიკაში 445 წელს. 18 წლიდან ქსენოფონი სოკრატეს თაყვანის-მცე-მელი მოწაფე იყო, რაც მის „მემორაბილია“-დან ცხადათ სჩანს. სოკრატეს სიკედილისა და ათინელების ეჭვიანობის გამო მან მიატოვა სამშობლო და სპარტას მეფეს აგეზილიოსს მიეკედლა. აქ იგი ნამდვილი ლაკედემონელი გახდა და ათინაში აღარ

დაბრუნებულა. უმთავრესი მისი თხაზულებები არის — ჰელენიკა, ანაბაზისი და კიროპედიონი. ჰელენიკა თუკიდიდეს ისტორიის სუსტი გაგრძელებაა მანტინეას ბრძოლამდე; ანაბაზისი — მოთხრობა „ათი ათასის“ ლაშქრობისა, რომელშიაც ქსენოფონმა ასე სახელოვანი მონაწილეობა მიიღო; კიროპედიონი — სურათი დიდ კიროსის აღზრდისა და მისი ცხოვრების ისტორია; ეს ნაწარმოები ისტორიულ რომანის გვარისაა, სადაც ქსენოფონი დარიგებას აძლევს თავის თანამედროვებს; რაც შეეხება ისტორიულ სინამდვილეს და ადგილობრივ ელფერს, აეტორი დიდ ყურადღებას არ აქცევს და თავისუფლად სწერს. ქსენოფონი დიდი მწერალი არ არის, მაგრამ მის ნაწერებს სიმარტივე და შენ ეტყობა; აკლია გულის თქმა, გატაცება, ერთის სიტყვით „წმინდა ცეცხლი“ ნამდვილ მწერლისა.

6. მეთხე საუკუნის ორატორები. მეოთხე საუკუნის მღელვარე ცხოვრება, საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აღორაზე (მეიდანზე) და ომის ველზე მეტად უწყობდა ხელს მჭერმეტყველების განვითარებას. მეოთხე საუკუნე ათინაში ოქროს ხანა იყო ორატორულ ხელოვნებისათვის.

ისოკრატე, გორგიას და პროდიკას მოწაფე, ნამდვილად არ ყოფილა ორატორი. იგი მჭერმეტყველების მასწავლებელი იყო და ძალიან ძვირი მასწავლებელიც; ამასთან მისი გაკვეთილები არ ყოფილა ღირსებისა და მამულის შეილობის მასწავლებელი. ისოკრატეს არასოდეს არ ულაპარაკნია საჯაროდ: სხვებისთვის აღგენდა სიტყვებს სულ სხვა და სხვა საგანზე და სხვა და სხვა მიმართულებისას. იგი მაკვდონელების მომხრე დასის ერთი მოთავეთაგანი იყო და საქებური ცოტა რამ ითქმის მაზედ.

ისეოსი ნაკლებად ცნობილია; ამას უფრო იურიდიული კითხვები აინტერესებდა.

ლიკურგისი პოლიტიკური ორატორი იყო, თან ნამდვილი სახელმწიფო წაცი, კარგი აღმინისტრატორი და დიდი პატრიოტი. ჰიპერიდე, დემოსთენეს და ესხინოსის შემდეგ,

პირველ ორატორად ითვლებოდა. ესეც შეურიგებელი მტერი იყო მაკედონიის პოლიტიკისა.

7. ესხინოსი და დემოსთენე. ჩვენ უკვე ვიცით პოლიტიკური როლი ამ შესანიშნავ ორატორებისა. ერთი იყო გულწრფელი, გატაცებული პატრიოტი, მეორე მოყიდული დამცველი პოლიტიკისა, რომელმაც დაღუპა მისი სამშობლო. ესხინოსის ჩვენ სამი სიტყვა გვაძეს: ერთი დემოსთენეს მეგობრის ტიმარხოსის წინააღმდეგ; მეორე იმ დესპანების შესახებ, რომელნიც თვითონ ორატორმა წაიყვანა ფილიპე მაკედონელთან; მესამე, სხვაზე უფრო განთქმული, იმ ოქროს გვირგვინის წინააღმდეგ, რომელიც დემოსთენესათვის უნდა ეძღვნათ მამულის შვილურ ღვაწლისათვის. ძელი ბერძნები ამ სამ სიტყვას „სამ გრაციას“ ეძახდნენ. ესხინოსის სიტყვა მოძრავი და ძლიერი იყო, მაგრამ აკლდა სასტიკი, ლოლიკური მსჯელობა.

დემოსთენეს, როგორც ვიცით, პირველში ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ მტკიცე ენერგიითა და დაუღალავ შრომით სძლია მათ და გახდა ორატორების მეფედ. ჩვენ გვაძეს დემოსთენეს იურიდიული და პოლიტიკური სიტყვები; ამ უკანასკნელებ შორის პირველად მოსახსენებელია მისი „ფილიპიკები“, „ოლინთიური“ სიტყვები და განთქმული სიტყვა „გვირგვინისათვის“. ეჭვს გარეშე, რომ დემოსთენესაც ჰქონდა ნაკლი, მაგრამ თუ იგი უველვან თავის თავის სწორი არ არის, იგი არასოდეს არ დაცემული მიწაზედ და როცა მაღლი წასულა, სიდიადემდე მიუღწევია. დემოსთენეს მჭერმეტყველების დასახისიათებლად საკმარისია ითქვას, რომ იგი სავსებით შეეფერებოდა იმ დიდებულ საგანს, რომელსაც ემსახურებოდა და თავის შესწირა ორატორმა.

8. ბერძნულ ციგაღაზადანის ბრთვესი აზიაში და აფრიკაში. მესამე საუკუნიდან ცხადათ სჩანს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგი: საბერძნეთი, რომელიც მანამდე ეგვიპტის ზღვის არ გასცილებია, ერთბაშად გაგანიერდა და აზიის და აფრიკის დიდ ნაწილს მოედო. ბერძნული ცივილიზაცია აღარ არის მონოპოლია პატარა თემებისა; ახალი



იდეები გავრცელდა ბარბაროსების ქვეყნებშიაც და ომშიაკულეთის ძველი ციფილიზაცია ჰქონდა ან ადგილს უთმობს ჰელინისმა.

ჟველაზედ უფრო ეგვიპტეს დაეტყო ცვლილება. პტოლომეები ეგვიპტელების ზეჩვეულებასა და სარწმუნოებას დიდ ჰატივსა სცემდნენ, მაგრამ მაინც ნამდვილი ბერძნები დარჩნენ და გონიერის პოლიტიკით ალექსანდრიიდან ახალი ათინა შექმნეს. საბერძნეთის საუკეთესო შეილები აქ იყრიდნენ თავს; აქ დაარსეს შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სადაც 400,000-ზე მეტი ტომი იყო შეკრებილი, და აკადემიისა და უნივერსიტეტის მზგავსი დაწესებულება, რომელსაც მუზეიონი ერქვა. ასეთ წახალისებას და უხეობას მაღლ მოჰყვა შესაფერი ნაყოფი. ალექსანდრიაში გაჩნდა სკოლები მეცნიერებისა, გრამატიკოსებისა, კრიტიკოსებისა და ლიტერატორებისა. სწავლულთა შორის განთქმული იყო არისტოფანე ბიზანტიელი და არისტარხოსი. ეს ორი პირი ნამდვილი შემქნელი იყო გრამატიკულ და ლიტერატურულ კრიტიკისა; პირველად ამათ დააფასეს პომიროსის პოემები და სასტიკის გულმოდგინებით განიხილეს მათი ტექსტი. გარდა ამისა აღადგინეს სხვა შესანიშნავ მწერლების ტექსტი და უსაფუძლო როდია, რომ არისტარხოსის სახელი სასტიკ მაგრამ სამართლიან კრიტიკის სინონიმი გახდა.

სიტყვა კაზმულ მწერლობაში ვერ გამოიჩინეს ასე თავი ალექსანდრიელებმა: არც ატიკური მოხდენილობა და არც ათინური ცხადი სიმარტივე. პოეტი ლიკოფრონი შეტად ძნელი გახაეგბია; კალიმახოსმა დავვიტოვა ჰიმნები და ეპიგრამები, მაგრამ ესენი სრულებით არ ამართლებენ იმ სახელს, რომელიც მას ძველად ჰქონდა. კალიმახოსის მოწაფეს აპოლონს შეტი ნიჭი ეტყობა; მას ეკუთვნის პოემა არგონავტიკა.

9. ღირებარურა სიცილიაში: ოქაკრიტე. სიცილიელებს არ აკლდათ ის თავისებურობა, რომლითაც ასე ღარიბი იყვნენ ალექსანდრიელები. სიცილიამ, რომელიც იმთვითვე მონაწილეობას იღებდა საბერძნეთის გონებრივ მოძრაობაში, მესამე საუკუნეში დაბადა ნამდვილი პოეტი; ეს პოეტი ოქონიტეა.

იგი დაიბადა სირაკუზში, რამდენიმე ხანი ეგვიპტეში იყო და შემდეგ ისევ სამშობლოში დაბრუნდა. ჩვენ გვაქვს თეოკრიტეს 30 იდილია, ოცდორი ეპიგრამა და რამდენიმე პატარა პოემა. თეოკრიტეს იდილია აქამდე შეუდარებელია; იგი ისეთის გულუბრყვილობითა და სიწრფელით აღაპარიკებს მეოცეზებს და მწყემსებს, რომ მხედარის პოვნა იშვიათია.

თეოკრიტეს ვარდა სიცილიელებს კიდევ ჰყავდათ მწერლები, მაგრამ მასთან შედარებით დიდი არაფერს წარმოადგენდნენ.

**10. ბერძნული ფილოსოფია სოფრატეს შემდეგ. პლატონი.** სოკრატეს უშესანიშნავები მოწაფე, რომელმაც ამასთანავე საუკეთესოდ გაგვაცნო თავის მასწავლებლის მოძღვრება, ღვთაებრივი პლატონი იყო. პლატონი დაიბადა ათინაში 429 წელს ქრისტეს დაბადებამდე და დაარქვეს ეს სახელი განიერ ბეჭების გამო (პლატონი ბერძნულად განიერს ნიშნავს). ოცის წლის იყო, რომ სოკრატეს გაეცნო და ამ დროიდან მთელის თვის არსებით ფილოსოფიის შესწავლას შეუდგა. პლატონი ბევრს ეცადა სიკვდილიდან ეხსნა თავისი მასწავლე ბელი; ტრიბუნიდან ძალით ჩამოიყვანეს მეგობრებმა, რომ თავისი თავიც არ გაეხვია საქმეში. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ იგი იყო მეგარაში, იტალიაში, ეგვიპტეში, სიცილიაში. 388-ში პლატონი ისევ ათინაში დაბრუნდა და გახსნა თავისი შესანიშნავი სკოლა ათინელ აკადემოსის ბაღებში; ამ აკადემოსის სახელით მოინათლა შემდეგ პლატონის სკოლა, რომელსაც აკადემიას უწოდებდნენ. პლატონი 82 წლის მოკვდა.

პლატონის თხზულებები ბევრია; იგი დიალოგის ფორმით სწერდა, რომ მეტი ინტერესი და სიცოცხლე მიეცა ნაწერისათვის. უმთავრესი დიალოგებია „გორგიასი“ და „პროტაგორასი“, სადაც იგი სოფისტებს ეკამათება; „ფედონი“, რომელიც ყველაზე უფრო მოსწონდათ ძველებს; აქ სოკრატე ესაუბრება თავის მოწაფეებს სულის უკვდივებაზე; „სიმპოზიონი“ (ნადიმი), „რესპუბლიკა“, სადაც პლატონი მართვა-გამგეობის

საუკეთესო ფორმაზე ლაპარაკობს, „კანონები“, სადაც ისევ პოლიტიკურ კითხვებზეა საუბარი, და სხვანი.



ჰერაკლინი

პლატონის შეხედულებით, ჩვენი საცხოვრებელი ქვეყანა ჰგავს გამოქვაბულს, რომელსაც ანათებს დიდი ცეცხლი და სადაც სინათლისაკენ ზურგ მიქცეული ტყვევები მთელი თავისი სიცოცხლე მიკრული არიან. საგნები, რომელნიც ამ ტყვეების უკან იმყოფებიან, ჩრდილს ისვრიან გამოქვაბულის კედელზე და ტყვეებს, რომელთაც მეტი არაფერი უნახავთ, აჩრდილი ნამდვილი საგანი ჰგონიათ. ტყვეები—ჩვენ ვართ, გამოქვაბული—ჩვენი მიწა; ჩვენი დამჭერი—ჩვენი ილიუზიები და ცრუმორწმუნოებანია; აჩრდილი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და რომელიც სინამდვილე გვვინია, ჩვენი გრძნობების ფენომენებია (მოვლენა). მხოლოდ ფილოსოფის შეუძლია გამოგვიყვანოს ჩვენის შეცდომისაგან; იგი გვასწავლის, რომ აღამიანისა და ნიკოს მაღლა არის ერთი პრინციპი, რომელიც ყოველივე

უაღრესობის განხორციელებაა და ცოცხალი და მუდმივი მო-  
დელი ყოველივე არსებულისა. ამ პრინციპს პლატონი იდეას  
ეძახის. იდეა არის დასაწყისი, წყარო არსებობისა და ცოდნისა;  
იგი არის უცვლელი, მუდმივი კეშმარიტება, მუდმივი მშვე-  
ნიერება, მუდმივი სამართლიანობა, უნაკლულო უაღრესობა ან  
ნამდვილი სიკეთე; იდეა ღმერთია ერთობა ღმერთთან ყოველ  
ადამიანის სულის მიზანია. „რა სანატრელია, ამბობს პლატო-  
ნი, იმ მომაკვდავის ხვედრი, რომელიც ელიტსება სქერიტოს  
შეურეველი, წმინდა და მარტივი მშვენიერება, არა ხორც-  
შესხმული, არამედ მოშორებული ყოველივე იმსა, რაც წარ-  
მავალია! რა ბედნიერია იგი, რომელიც პირის-პირ დაინახავს  
თავის ერთად-ერთ უცვლელ სახით ღვთაებრივ მშვენიერებას“.

პლატონის მორალი (სწავლა ზნეობაზე) მის მეტაფიზიკურ  
თეორიისთვის არის მჭიდროდ დაკავშირებული. „ჩვენ უნდა  
ვსცდილობდეთო, ამბობს პლატონი, რაც შეიძლება მალე  
განვშორდეთ ამ მიწიერ საცხოვრებელ ადგილს. ეს განშორე-  
ბა უნდა იყოს მიმზადესება ღმერთისა, რამდენადაც შევგიძლია;  
ღმერთის მიმზადესება კი შეუძლია ადამიანს სამართლიანობით,  
სიწმინდით და სიბრძნით“. რაც შეეხება პოლიტიკურ კითხვებს,  
პლატონი ჰუკიქრობს, რომ ინდივიდი, პიროვნება არაფერია და  
სახელმწიფო კი ყველაფერი; ასეთ შეხედულებით, პიროვნება  
და ყველა მისი უფლება მსხვერპლად უნდა შეეწიროს უპიროვ-  
ნო არსებას, რომელსაც სახელმწიფოს (ძველად თემს) ეძახიან.  
პირადი თავისუფლება, ინციატივა, კერძო მფლობელობა  
უნდა მოისპოს, რომ არ შეფერხდეს სახელმწიფოს ყოვლის  
შემძლებლობა.

**11. არისტოტელე. პლატონს უნდა დავუპირდაპიროთ  
არისტოტელე. ეს დიდებული ფილოსოფოსი და დიდებული  
შეცნიერი დაიხადა სტაგირაში (ხალკიდიკა) 384 წელს ქრის-  
ტეს დაბადებამდე. არისტოტელე პლატონის მოწაფე იყო  
ათინაში და ყოველთვის დიდ პატივს სცემდა მასწავლებელს,  
თუმცა ბევრში მისი თანახმა არ იყო. შემდეგ იგი გახდა ალექ-  
სანდრე მაკედონელის მასწავლებელი. 334 წელს არისტოტე-**

ლემ დაარსა ათინაში ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც პერი-  
პათეტიკოსების (მოსეეირნეთა სკოლა) სკოლას ეძახდნენ, რაღ-  
გან მასწავლებელი დადიოდა და ისე ქაუბრებოდა და ასწავ-  
ლიდა მოწაფეებს. ოლექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მაკედონე-  
ლების მომხრე ფილოსოფოსი იძულებული შეიქნა ათინიდან  
წასულიყო; იგი მოკვდა ევბეას ხალკისში 322 წელს.

არისტოტელეს თხზულებები ნამდვილი ენციკლოპედია  
იყო იმ დროის ყოველგვარ მეცნიერებისა. ჩვენამდე მათ უვ-  
ნებლად არ მოუღწევია, მაგრამ მაინც ბეკრი გაქვს ფილოსო-  
ფოსის ნაწერებიდან. უმთავრესი ნაწერებია: „ეტიკა“ (ზნეობა),  
„პოლიტიკა“, „რეტორიკა“, „პოეტიკა“, „უცოველების ბუნებ-  
რივი ისტორია“ და სხვ.



არისტოტელე.

არისტოტელეს არ სწამს უაღრესი მიზეზი, არსებულის  
მოდელი, რომელსაც პლატონი იდეას უწოდებს. მას სწამს

მხოლოდ ის იდეა, რომელიც თვით საგანმანათლებლი; არისტოტელეს აზრით, არსება ინდივიდუალურია, ინდივიდუალობაში იმყოფება და ინდივიდუალობა კი მოქმედება-ში: რაც არსებობს, მოქმედებს და რაც მოქმედებს, არსებობს. ბუნება განუწყვეტლივ მოქმედებაშია; იგი მიღის მაღლა, დაბალ ფორმებიდან მაღლ ფორმებამდე, მინერალიდან მცენარემდე და ასე ამ გვარად ღმერთამდე. ბუნების უკანასკნელი და უუსრულესი მოქმედება აზრია. ღმერთი უუსრულესი აზრია.

რაც შეხება ზნეობრივ სწავლას, არისტოტელე ამბობს, რომ ადამიანის უაღრესი აკტი, მოქმედება გონების ვარჯიშობა არის. სათნოება გონების შედეგია. სოციალურ სათნოებათა შორის უდიდესია მეგობრობა და სამართლიანობა; პირველი თანასწორობაა, მეორე ამ თანასწორობის პატივისცემა.

არისტოტელეს პოლიტიკური შეხედულებაც დიდათ განისხვავება პლატონის შეხედულობისაგან: სახელმწიფო უნდა იყოს თავისუფალ და თანასწორ პირების კრძალიო, ამბობს სტაგირიტი. რომ მონაბის დაცვა არა, არისტოტელეს შეხედულება 1789 დიდ რევოლუციის დოკტრინა იქნებოდა. იგი არ თხოვლობს პლატონსავით ოჯახისა და საკუთრების მოსპობას; იგი მომხრეა ხალხის სუვერენიტეტისა უაღრეს უფლებიანობა) და ამტკიცებს, რომ ყოველ რევოლუციის მიზეზი ნამდვილ თანასწორობის დარღვევა არისო.

**12. ახალი ფილოსოფიური სკოლები:** ბირთნისმი, ესი ქურეასმი და სტაციასმი. არისტოტელეს შემდეგ ბერძნულმა ფილოსოფიამ თავი მიანება მაღლ მეტაფიზიკურ კითხვებს და ხელი ჩასჭიდა მორალს. განმდა რამდენიმე სკოლა, რომელთაც დიდი გავლენა პქონდა ქვეყნის ისტორიაზე.

პირონისმი (დამარსებელი ფილოსოფოსი პირონი იყო) უკიდურეს სკეპტიკისმია; იგი არც არაფერს ამტკიცებს, არც არაფერს უარყოფს; ბრძნისათვის ყველაფერი ერთია: სისაღე თუ ავათმყოფობა, სიმდიდრე თუ სიღარიბე; ყველა მისი ცდის მიზანი უნდა იყოს სულის სიმშვიდე და აღუშფოთველობა.

ეპიკურეისმი უფრო განთქმული სწავლაა. ამსკოლის დამაარსებელი იყო ეპიკუროს ათინელი (327—270). იშვიათად ყოფილა, რომ ვინშეს ასეთი თაყვანის მცემლები და ცილის მწამებლები ჰყოლოდეს. მოწაფეები აღმერთებდნენ მას; რომაელი პოეტი ლუკრეციუსი ლაპარაკობს მაზედ, როგორც ღვთაებრივ გენიოსზე; მოწინააღმდევენი კი საშინლად ლანძღავ ღნენ და მის სწავლას უკიდურეს განცხრომის ქადაგებად სთვლილნენ.

ეპიკუროსი ამბობს, რომ გრძნობიერობაა ერთად-ერთი წყარო ცოდნისა. დემოკრიტესთან ერთად იგი ამტკიცებს, რომ ქვეყნის შექმნა და არსებობა ატომების მოძრაობისა და მათი სხვა და სხვა გვარ შეერთების შედევგია. ეპიკუროსი წინააღმდევი იყო ბედის წერის თეორიისა და იცავდა სულის თავისუფლებას. „რაღა გამოსადევგია ლმერთების შიშის მოსპობა, თუ მის მაგიერ გვიჩენთ უფრო საშინელ და აუცილებელ ბედის წერის შიში!“

ეპიკუროსის მორალი იმას ამბობს, რომ სიკეთე უნდა ვეძიოთ ბუნებაში და ამ ბუნების თანახმად ცხოვრებაში. ზოგიერთ მოწაფემ თავისებურად გაიგო ეს პრინციპი; ბუნების თანახმად ცხოვრება მათთვის კუჭის დაკმაყოფილება იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ეპიკუროსს ამდენი დაუმსახურებელი კიცხა და ლანძღავ შეხვდა. ეპიკუროსისათვის სიკეთე წარმავალი სიამოვნება კი არ ყოფილა, არამედ წარუვალი.

სტოიკისმი ადამიანის უმშვენიერესი ცდაა ამ ქვეყნის უბათრუკობაზე მაღლა დადგომისა; იგი დიდებაა ადამიანის ნების ძალისა, რომელიც იმარჯვებს უსაშინელეს უბედურებაზე და გაქირვებაზე. სტოიკისმი გაჩნდა ისეთ დროს, რომელიც შეტაც მდიდარი იყო ყოველ-გვარ უბედურებით, და გახდა თავშესაფარი ამაღლებულ სულისა და ძლიერ ხასიათის პატრონთათვის; მან იხსნა ადამიანი სასოწარკვეთილებისა და განცხრომისაგან. და ამაზედ უკეთეს ქების თქმა ხომ შეუძლებელია!

სტოიცისმის დამარსებელი ზენონი, კაცობრიობის დიდი კეთილის მყოფელი, დაიბადა კუნძულ კიბრისზე 158 წელს. გადარიბების შემდეგ იგი მოვიდა ათინაში და ყურს უდებდა კინიკ კრიტესის ლექციებს. მალე საკუთარი სკოლა გახსნა ერთ გალერეაში ან ბერძნულად, სტოაში, საიდგანაც წარმოსდგა სახელწოდება სტოიცისმი. მიუხედავათ იმისა, რომ ანტიგონ გონატა და პტოლომე ფილადელფი ბევრს სცდილობდნენ მის წაყვანას და ამისთვის ბევრს რასმე პირდებოდნენ, ზენონმა არ მიატოვა ათინა. ათინამ მოქალაქის უფლება მისცა ფილოსოფოსს, მაგრამ მან უარი სთქვა. როცა მოკვდა, ათინელებმა ოქროს გვირგვინი დაადვეს და თემის ხარჯზე დაასაფლავეს იგი კერამიკაში.

სამწუხაროდ ზენონის ნაწერებიდან ჩვენამდე არც ერთს არ მოუღწევია. მაგრამ მისი ფილოსოფია დაახლოვებით მაინც ვიცით.

ჭვეყანაზე ორი პრინციპი—სული და მატერია—კი არ არსებობს; არის ერთად - ერთი სუბსტანცია; სხეული და სული ერთი და იგივეა. ღმერთი მსოფლიოს განუშორებელი სულია.

ზენონის უმთავრესი დამსახურება მისი მორიალია. ადამიანს თვით თავის არსებაში აქვს ერთი პრინციპი, რომელიც შეძლებას აძლევს მას თავიდან აიცილოს ბედისა და ადამიანის დევნა. ეს პრინციპი—ნების ძალაა. ნების ძალა უმთავრესი თვისებაა ადამიანისა; იგი მთელი ადამიანია. ადამიანის დაცემის მიზეზი მის საკუთარ ნების ძალის უარყოფაა. აქედან ზენონს გამოჰყავს შემდეგი აზრი სიკეთეზე: „ჩვენი სიკეთე და სიავე მხოლოდ ჩვენ ნების ძალაში არის“. ნამდვილი სიკეთე სათნოებაა, ნამდვილი სიავე—პიწიერება. ასეთის სწავლით სტოიკებმა აამაღლეს და გააკეთოლ შობილებს ადამიანის ბუნება; არასოდეს ფილოსოფიური დოკტრინა არ ყოფილი ისე ვრცელი და კეთილშობილი, როგორც სტოიცისმი. შნ არ იცოდა გარჩევა ადამიანთა შორის: რადგანაც გონებით ადამიანები არიან,

თანასწორებიც არიან. თუ ყველა ადამიანი თანასწორია ზეობრივ კანონის წინაშე, ისინი მოვალენი არიან ერთმანერთს დაეხმარონ; მსოფლიო ვრცელი სამშობლოა, საღაც ჩნდება ერთმანერთის შეწყალება. „მსოფლიო, ამბობდა მარკუს ავრელიუსი, მიყვარს, რაც შენ გიყვარს. მომეცი, რაც გსურს, ისევ წაიღე, რაც არ გინდა რომ მენდეს. ყველაფერი შენგნით არის: ყველაფერი შენია და შენთან ბრუნდება. ბერძნულ პიესის ერთი გმირი ამბობს: „საყვარელო კეკროპსის თემო“ო! და მე კი თამად გამოიძობ: საყვარელო თემი იუპიტრისა!“ სტოიკებს უსაყველურებდნენ გადაჭარბებულ, არა ბუნებრივ მიღრეკილებას სათნოებისადმი, ავათმყოფობისა და სიკვდილის სრულებით არაფრად მიჩნევას. მაგრამ ნამდვილად კი მხოლოდ ის ესაყველურება მათ, რომ სუსტ სიკვდილის შვილს ბევრს სთხოვდნენ. სტოიკისმის იდეალის განხორციელება ჩვეულებრივ ადამიანის შეძლებას აღმატება; მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ რჩეულებმა გაიგონ იგი და აასრულონ. და განა შეიძლება კიდევ ლაპარაკი საბერძნეოს ეგრეთ წოდებულ „დაცუმაზე“, როცა იგი ასეთ პირებსა და ისეთ მაღალ დოკტრინებს ჰქმნის?

**13.** ბერძნული მეცნიერება რომაელების მოსახლეობა ეგვიპტე და არხამედე. მეცნიერება ფილოსოფიასთან იყო გაერთიანებული საბერძნეთში, მაგრამ პოლოს იგი გამოიყო და დამოუკიდებელი გახდა. ყველაზე უფრო მათემატიკა განვითარდა. არითმეტიკის წესები, თითქმის იმ სახით, რა სახითაც ეხლა არის, პითაგორას და მის მოწაფეების შემუშავებულია. ერთის ტრადიციით, პითაგორას სიმძიმისა და სიგრძის საზომებიც უნდა შემოეღოს საბერძნეთში. გეომეტრიაც მისი დაწყებული უნდა იყოს აქ. მას შემდევ მუშაობდნენ ანაქსაგორა კლაძომენელი, პიპოკრატე ქიოსელი, რომელსაც პირველად უნდა შეედგინოს გეომეტრის ელემენტები, ევკლიდე და არხიმედე.

ეკვლიდეს უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ თავი მოუყარა გეომეტრიის და არითმეტიკის მეცნიერებიდან ყვე-

ლაფერს, რაც კი იყო მანამდე. ევკლიდე ბოლოს ალექსან-  
დრიაში სცხოვრობდა. ერთხელ მეფეს ეთხოვა მეცნიერისათვის,  
ეჩვენებინა მისთვის გეომეტრიის შესწავლის არსებულზე უფრო  
ადვილი გზა. „გეომეტრიაში არ არის ისეთი გზა, რომელიც  
საგანგებოდ მეფეებისათვის იყოს გაკეთებული“<sup>2</sup>, ეპასუხნა  
მოსწრებულია ევკლიდეს.

არხიმედე ნამდვილი გენიოსი იყო. იგი დაიბადა სირა-  
კუზში 287 წელს (მისი მამაც მათემატიკოსი და ასტრონომი  
იყო). ჯერ არხიმედე ალექსანდრიაში იყო ევკლიდესთან  
და შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მაღა გაასწრო  
თავის მასწავლებელს. მექანიკურ გამოგონებათა წყალობით  
იგი მაღა სახელგანთქმული შეიქნა; ამ გამოგონებათა საშუა-  
ლებით იყო, რომ სირაკუზი სამი წელიწადი გაუმაგრდა რო-  
მაელებს. არხიმედე მოჰკლეს ქალაქის აღების დროს.

არხიმედე მრავალ-მხრივი მათემატიკოსი იყო: არითმე-  
ტიკაც შესანიშნავად იცოდა, გეომეტრიაც, მექანიკაცა და  
ფიზიკაც. მის გამოგონებათაგან უფრო ცნობილია—მექანიკაში  
ეგრედ წოდებული არხიმედეს უბოლოო ვინტი, გამოგონებული  
ჰიერონის ერთ უზარ-მაზარ გემის დასაცლელად, და ფიზიკაში  
ეგრედ წოდებული არხიმედეს კანონი \*)


\*) ყოველი სხეული ჰყარგავს წყალში იმდენ სიმძიმეს, რამდენსაც  
იწონის ამავე სიგრძის წყალი.

ძეელ საბერძნეთის ისტორია საზოგადოთ ციფრიზაციის  
 ისტორია იყო. შესაძლებელია, რომ ბერძნებმა ბევრი რამ  
 ისესხეს აღმოსავლეთიდან, მაგრამ ეს ნაისხები დაუმუშავებე-  
 ლი და გამოურკვეველი იყო. მხოლოდ ბერძნის ზენარჩა ნიჭმა,  
 მდიდარმა გამოხატულებამ და ნათელმა გონებამ გამოიყენა ეს  
 დიდძალი და, უეჭველად, მნიშვნელოვანი მასალა. ბერძნი  
 კაცობრიობის მასწავლებელი და აღმზრდელი შეიქნა ლიტერა-  
 ტურაში და ხელოვნებაში, სადაც იმ თავითვე შეუდარებელი  
 გახდა, და მეცნიერებაშიც, სადაც იგი უფრო ნელის ნაბიჯით  
 მიღიოდა. მაგრამ არც ეს არის ბერძნების ნამდვილი უაღრე-  
 სობა. „ღმერთებს არ ემზადესებიან ბერძნები მაკედონელებ-  
 შორის“-ო, გულ-მოსულობით სთქვა ერთხელ აღექმანდა. ეს  
 ეს სიტყვები სრული ჰეშმარიტებაა. ბერძნები ნამდვილი მერ-  
 თები იყვნენ მაკედონელებსა და სხვა ხალხებ შორის, აგრამ  
 იმიტომ კი არა, რომ დიდებული ხელოვანები, დიდებული  
 მწერლები და ორატორები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ პირ-  
 ველად მათ შემოიღეს წინედ გამეფებულ ძალ-მომრეობის მა-  
 გიერ ორი პრინციპი, რომელიც დღესაც ორი პოლიტიკია  
 ჩვენთვის: პრინციპი ადამიანის თავისუფლებისა და პრინციპი  
 ყველას თანასწორობისა კანონის წინაშე. ბერძნული ხელ-კვ-  
 ნება თვალს ახარებდა, ბერძნული ლიტერატურა ანვითარებდა  
 გონებას, ფილოსოფია ამაღლებდა სულს; მაგრამ ბერძნებმავე  
 შექმნეს ადამიანის უფლების პირველი პრინციპები. მართალია,  
 ბერძნენ იმთავითვე არ ჰქონდა სრული წარმოდგენა პიროვნების  
 უფლებებზე. პლატონმა და არისტოტელემაც კი ვერ გაბედეს  
 საბოლოო დასკვნა გამოეყვანათ მათგანვე წამოყენებულ


პრინციპებიდან. მაგრამ ზენონმა ხომ დამთავრა მათი საქმე და ეს დიდებული კაცი, რომლის სახელი სამართლით ისევე ცნობილი უნდა იყოს, როგორც იმ ორისა, იყო დამფუძნებელი კაცობრიობის უფლებათა. ზენონმა წამოაყენა აღვილობრივ სამშობლოს მაგიერ ვრცელი სამშობლო კაცობრიობისა, რომელზედაც დღეს ჩვენ ვოცნებობთ, დაჰგმო მონობა, გამოაცხადა ყველას ერთობა, თანასწორობა და სოლიდარობა და დაარსა, თუ შეიძლება ეგრე ითქვას, აღმიანის ღირსებისა და ნების ძალის რელიგია.

საბერძნეთის დამოუკიდებლობის მოსპობას არ შეუჩერებია ბერძნულ იდეების გაფრცელება. ბერძნები ბოლომდე დარჩენ ქვეყნის მასწავლებელნი მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ დარგში და ბარბაროსების შემოსვეის შემდეგ მათვე იხსნეს ეს მეცნიერება და ხელოვნება დალუპვეისაგან. თუ ბარაროსებმა ვერ მოსპეს სრულებით კულტურის ელემენტები, მოხდა ბერძნების წყალობით. კონსტანტინეპოლიმა შეინახა და დაიფარა ანტიურ კულტურის მემკვიდრეობა, რასაკეირისა, ცოტა შემცირებული, და თავის დროზე მიაწოდა დაფიქტოს. საბერძნეთის ლიტერატურისა და ხელოვნების გამონაშე ნაშთებიდან დაიწყო, ფურდალურ ქპოქის შემდეგ, განვითარის ხანა და ბერძნულ ფილოსოფიის გაკვეთილებიდან შეისრულებობის პიროვნების განთავისუფლების აზრი. როგორ ბარბაროსებისგან დამონაცემებული საბერძნეთი აჯანყდა შეკავშირებული საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობის საშოვნელი, მთელი ეკრანი მარტო პოლიტიკურ ინტერესებისათვის დი გამოექმავება მას; მიზეზი უფრო ღრმა და ნაკლებ წარმატება იყო: საბერძნეთის დახსნით კაცობრიობამ ვალი გადაუხდა იმ ხალხს, რომელმაც ამდენი კეთილშობილი და მაღალი ძრობა, ამდენი დიდებული იდეები და დიდებული ნაწარსტები შემოიტანა მსოფლიოს სალაროში. ამდენი საუკუნე გადაუდა და ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთი გვინათებს გზას საბოლოო განთავისუფლებისაკენ. ძველი ათინელები რომ პირეოსს უახლოვდებოდნენ გემით, აკროპოლისზე დადგმულ პალადა

ათინას ბრწყინვალე ოქტოს ჯილას უყურებდნენ და ისე მიჰყავდათ გემი; განა პალადა ათინა ფეხზე არა დგას და ჩვენ არ მივისწრაფით მისაკენ, როგორც უკვდავ ქეშმარიტებისა, სამართლიანობისა და გონებისაკენ?



ათინური ფული — ოქტოს დრაკონი\* ) (თრივე მსარე)



იგივე ფული უფრო ძველ დროისა.